

გარი ჩაფინე

სიყვარულის მსხვერპლი

ლიტერატური

თბილისი 2012

გამოჩენილი ქართველი მწერალისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს გარი ჩაფიძის კალამს არა ერთი საინტერესო ნაწარმოები ეკუთვნის. მათ რიცხვს შეეძლოა დეტექტიური რომანი „სიყვარულის მსვერპლი“, რომელშიც აისახა ავტორის მსოფლმხედველობა, რწმენის, სიყვარულის, პატიოსნების ხედვა. რომანის ოქმატიკა მრავალმხრივია, ღრმადშინარსიანი და ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

რედაქტორი: 6. პაპიაშვილი

თავი პირველი

— დედა! აი მე ლა ადლე ავდექი, ხომ კალგი გოგო ვალ? დედა ალ გესმის? გამიღე კალები, თოლემ ხომ იცი, მე ვიტილებ და ჩემს ტილილზე მამილო გაჯავლდება, დედილო, ალ გესმის? დედააა!

... და ბავშვს რომ არავინ გამოეხმაურა, ყელში ცრემლები მოებჯინა და, ისედაც გაუმართავად მოლაპარაკეს, ახლა ლაპარაკს დედაც ვეღარ გაუგებდა.

ოთახში ბავშვის ფუნჩულა ფეხების წყნარი ხმა გაისმა, მშობლების საძინებელი ოთახის კარებს მიაწვა, დაკეტილი აღმოჩნდა, წყნარად დააკაკუნა, არავინ გამოეპასუხა, შემდეგ მოუმატა და კარებს მთელი ბავშვური ძალით მუშტები დაუშინა, სცემდა, სანამ ხელები არ ეტკინა, მაინც არავინ გამოეპასუხა. ახლა კი ყელში მოძჯენილ ცრემლთა ცოუნებას ვეღარ გაუძლო, გული ამოუჯდა, კარებთან ჩაჯდა და ტირილი დაიწყო...

ჯერ კიდევ ადრე იყო, მტრედისფერი რიურაჟი თუ იქნებოდა ოთახებში შემოფრენილი. ყველას ეძინა დილის სიწყნარეში ბავშვის ტირილის ხმამ ყველა მეზობელთან შეაღწია, ძილის ბურანიდან გამოიყვანა ისინი და თითქმის ყველა, სადარბაზოს კარებთან შეიკრიბა.

ბინის კარები შიგნიდან აღმოჩნდა დაკეტილი, ბავშვს არ შეეძლო გაღება, მეზობლები გარედან ანუგეშებდნენ და თან კარების გაღებას ცდილობდნენ, მაგრამ საიდუმლო საკეტი არავის ემორჩილებოდა და იძულებული გახდნენ, ძალაყინით შეემტვრიათ.

ბავშვი ერთერთმა დედაკაცმა ხელში აიყვანა, ჯერ მშობლიური ალერსით დააწყნარა და შემდეგ ტანსაცმელი ჩააცვა.

ბავშვი დაწყნარდა, ტირილი შეწყვიტა და ხანგამოშვებით თუ ამოისლოკინებდა.

მეზობლებს ვერა ეხსნათ ბავშვის მშობლებისაგან მარტო დატოვება და საძინებელი კარების გაღება სცადეს, სადაც ღრმა ძილში წასული მშობლები ეგულებოდათ.

ჯმუხა შეხედულების შავულვაშიანმა მამაკაცმა ჯერ წყნარად დააკაკუნა, შემდეგ უფრო ძლიერად, საძინებელი ოთახის მიღმიღან კი პასუხი არ ისმოდა.

ჯმუხა მამაკაცი ქერაომიანმა აზალგაზრდა კაცმა შეცვალა, გასაღებების აცმა მოიმარჯვე და კარების გაღება სცადა, მაგრამ ამაოდ, საძინებელი ოთახის კარები შიგნიდან ჩაკეტილი აღმოჩნდა რომელსაც სხვა გასაღები არ ერგებოდა.

— შევამტვრიოთ! — თქვა ჯმუხამ, მაგრამ ძალაყინით კარების შემტვრევაზე მეზობლები არ დათანხმდნენ და საერთო მოლაპარაკებით გადაწყვიტეს მიღიცის განყოფილებისათვის შეეტყობინებინათ მომზღარის შესახებ.

მალე მოვიდა საგანგებოდ შემდგარი საგამომძიებლო ჯგუფი, რომელსაც გამოცდილი გამომძიებელი, მაიორი ჯულელი ხელმძღვანელობდა.

ჯულელმა ნაჩქარევად, მაგრამ ყურადღებით დაკითხა მეზობლები და ყველასაგან ერთი და იგივე პასუხი მიიღო:

— არაბულების ოჯახში საღამოს ყველანი სახლში იყვნენ და არსად არ გასულან, თუ სადმე წავიდოდნენ, აუცილებლად თან წაიყვანდნენ, ან რომელიმე მეზობელს დაუტოვებდნენ ბავშვს.

ეჭვგარეშე იყო, რომ ცოლ—ქმარი საძინებელ ოთახში იყვნენ ჩაკეტილები, მაგრამ რისთვის?

მიღიცის მაიორმა სცადა კარების გაღება, მაგრამ არც მას დაუმორჩილა საკეტი და იძულებული გახდა, ოქმი შეედგინა კარების გატეხვის თაობაზე. ოქმის ბოლოში მეზობლებმაც მოაწერეს ხელი და მაიორმა საძინებელი ოთახის კარების გატეხვა ბრძანა.

შემაძრწუნებელი სურათი გადაიშალა მნახველთა წინაშე, ცოლ—ქმარი არაბულები ერთ საწოლზე იყვნენ დაწოლილები, ვალერი არაბული მარჯვენა მხარეს იწვა, ოდნავ წინ გადახრილიყო და მარცხნა ხელი მეუღლის მზია ცერცვაძე—არაბულის მკერდზე დაედო. მზია ცერცვაძე—არაბული ზურგზე იწვა, მარჯვენა ხელი მეუღლის მარცხნა ხელზე დაედო, ხოლო მარცხნა ხელი მეუღლის კისერქვეშ გაეყო და ერთი

დანახვით ღრმა ძილში წასულებს გავდნენ, ხოლო ყურა-
დლებას თუ გაგამახვილებდით და დავუკირდებოდით, შევამ-
ჩნევდით, რომ ისინი აღარ სუნთქავდნენ.

ჯულელმა მეზობლები დაითხოვა და საექიმო—საექსპერ-
ტო კომისიას გამოუძახა.

მალე მოვიდა სასწრაფო დახმარების ავტომანქანა, საიდ-
ანაც სამი გამოცდილი ექიმი გადმოვიდა.

ადგილზევე გასინჯეს მიცვალებულთა გვამები და გა-
მომძიებელ ჯულელთან შეთანხმებით გადაწყვიტეს, ექსპე-
რტიზისათვის საავადმყოფოში გადაეყვანათ.

ჯულელი სამძებრო საქმეს შეუდგა, გულდასმით დაათვა-
ლიერა საძინებელი ოთახის შემოსასვლელი კარი, რომელიც
ამ რამდენიმე წუთის წინ მისივე ბრძანებით შეამტვრიეს.
არა! აქედან ბოროტმოქმედის შემოსვლა შეუძლებელი იყო,
მაგრამ მაინც ყურადღებით დაათვალიერა კარი, გამოცდილი
თვალით ზელის ანაბეჭდებსაც კი დაუწყო ძებნა, მაგრამ ამაოდ,
საეჭვო ვერაფერი იპოვა.

ოთახის მეორე კარები ღია აივანზე გადიოდა, რომელიც
ინგლისური საიდუმლო საკეტით იყო დაკეტილი და შიგნიდან
გასაღების გარეშე იღებოდა, ხოლო გარედან ამაოდ. საკეტი
კარებში მჭიდროდ იყო ჩასმული, ასე რომ მთელ კარებს და
მის ჩარჩოს ნემსისწვერისოდენა ღრიჭოც კი არსად ჰქონდა.

აივანი ერთი მეტრი სიგანისა და ოთხი მეტრი სიგრძისა
იქნებოდა, გარშემო დაბალი, ერთი მეტრი სიმაღლის რკინის
გისოსებიანი მოაჯირი ჰქონდა შემოვლებული, იატაკი მარმა-
რილოს ფილაქანით იყო მოპირკეთებული, ზევიდან კი მაღ-
ლარი ვენახით ლამაზად დახურული.

ჯულელი აივანზე გავიდა, კარები გარედან გამოიკეტა და
გაღება სცადა, მაგრამ საკეტი არ დაემორჩილა და ბოლოს
იძულებული შეიქმნა, ოთახში დარჩენილი საგამომძიებლო
ჯგუფის წევრებისათვის ეთხოვა კარების გაღება.

მაიორმა აივანი გულდასმით დაათვალიერა, საეჭვო ვე-
რაფერი შენიშნა, პირველად ვენახის ძირზე ჰქონდა ეჭვი,

მაგრამ ისიც გაუქრაა, როცა ფოთოლშეუშლელი ვენახის აშოლტილი მთელი ტანი გადაამოწმა, ასე რომ არც ყოფილიყო, ვენახი საშუალო ადამიანის წონას ვერ გაუშლებდა, მისი ბოლო თითქმის დაუმაგრებელი იყო რკინის გისოსებზე.

ისევ საძინებელ ოთახს დაუბრუნდა გამომძიებელი და ყოველგვარი ნივთების აღწერას შეუდგა. საწოლთან დადგმული პატარა კარადის უჯრა გამოსწია, უჯრაში ოთხი ცალი ოქროს ბეჭედი და ერთი ცალი ოქროსივე ყელსაბამი იყო, ორი ცალი ბეჭედი თვლიანი, ორიც უთვლო, საქორწინო, ერთი უთვლო საქორწინო ბეჭედი სხვებთან შედარებით გაცილებით დიდი ზომის იყო, ეს ბეჭედი, ალბათ, ვალერი არაბულს ეპუთვნის. ეს სამი კი მზიას, ყელსაბამიც, რა თქმა უნდა, ქალისაა. გაიფიქრა და კარადის მეორე უჯრას გამოსწია, შიგ 283 მანეთი აღმოჩნდა.

„ბოროტმოქმედება გაძარცვის მიზნით არ უნდა იყოს ჩადენილი, შეიძლება არავის ხელიც კი არ ურევია მკვლელობაში, ვნახოთ, როგორი იქნება უქსერტის დასკვნა, თუ ბოროტმოქმედებაა, მე მას ჩამოვხსნი ნიღაბს და გამოვიყვან მზის სინათლეზე, ყველას დასანახავად! ეჰ, რამდენი ბნელით მოსილი ბოროტმოქმედებისათვის ჩამომიხსნია ფარდა და ახლა კი რა იქნება ჩემი გამოურკვეველი? მთელი ახალგაზრდობა ამ საქმეს შევალიე, არც თუ ადვილია უძილო დამეები და ბრძოლა საშიშ რეციდივისტებთან, ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე ჩემი მიუგნებელი კვალი არ ყოფილა და ნუთუ, მოხუცებულობის დროს მიმტყუვნებს აღღო?!” – ფიქრობდა ჯუდელი და საწოლთან მუხლზე ჩამჯდარი მუშაობას განაგრძობდა. – „ნეტავ რა მომდის? ასეთი დაღლა არასოდეს მიგრძნია, ღამეებიც ბევრჯერ თეთრად მითენებია, ახლა კი... წუხელი კარგად მეძინა, ჰო! მგონი ვედარც ვაზროვნებ!“ – სიგარეტი ამოიღო, მოუკიდა, და უფრო დაღლა იგრძნო, ძილიც კი მოეკიდა, რომ არ წაქცეულიყო, თავს ძალა დაატანა, აივანზე გავიდა, ღრმად ჩაისუნთქა სუფთა ჰაერი, ერთჯერ, მეორედ და რაღაც სიმხნევე დაუბრუნდა, დაღლაც თითქოს ვიღაცის

უხილავმა ხელმა მოხსნა, აზროვნებაც უწინდელი დაუბრუნდა, კიდევ უნდოდა რამდენიმე წუთი გაჩერებულიყო სუფთა ჰაერზე, მაგრამ ერთ—ერთმა თანამშრომელმა მოახსენა:

— ამხანაგო მაიორო! — ჯუღელი შემობრუნდა და იმის ნაცვლად, რომ პატაკი მოესმინა, თანამშრომელს უყვირა.

— ფეხი! ფეხი იატაკს არ დააკარო! არ გაინძრე! — შემდეგ თანამშრომელთან მივიდა, ხელი მოჰკიდა, უჩვენა, სად უნდა დაედგა ფეხი და იმ ადგილიდან გასულიყო. თანამშრომელი განცვიფრებით შესცეროდა და ვერაფერი გაეგო, რა ხდებოდა, ჯუღელმა თვითონ გამოაფხიზლა და გაუგებრობიდან გამოიყვანა იგი.

— აი, იატაკზე რაღაც ლაქას ხედავ? მას ფეხი არ დაადგა! რა გინდოდა, სერგო ჩემთვის გეთქვა? — წელან ყვიროდა, ახლა კი, წყნარად, მეგობრული კილოთი უთხრა ჯუღელმა.

— სამედიცინო დასკვნა მოიტანეს ექიმებმა. ამხანაგო მაიორო! — მოახსენა თანამშრომელმა.

— ძალიან კარგი! თქვა ჯუღელმა და მისალებ ოთახში გავიდა ექიმებთან, ერთ—ერთ მათგანს ექსპერტის დასკვნის ბარათი გამოართვა და ხმამაღლა წაიკითხა:

— „დიდი დოზით დასაძინებელი ნარკოზის ხანგრძლივი შესუნთქვის გამო, გარდაიცვალა ცოლ—ქმარი ვალერი და მზია არაბულები.

სისხლის მიმოქცევა და გულის მუშაობა შეწყვეტილია, დაახლოებით, დილის ექვს საათზე...“

დასკვნას ხელს აწერდა სამი ექიმი, ტექსტის ბოლოში კი მრგვალი ბეჭედი იყო დასმული.

— სამი საათით ადრე რომ მოვსულიყავით, გადავარჩენდით? — თქვა იგივე ხმამ და სინანულით თავი გადააქნია, შემდეგ ექიმებისკენ შებრუნდა და ნახევრად მბრძანებლური კილოთი დასძინა — მე მესაჭიროება თქვენი დახმარება! ეს წუთია, იატაკზე შევამჩნიე რაღაც ხსნარის ლაქა, უნდა შემოწმდეს და დადგინდეს, რა იყო იქ დაღვრილი!

— ჩვენ მზადა ვართ! — თქვა ერთ-ერთმა ექიმმა და ყველანი საძინებელ ოთახში გავიდნენ, ლაქას დააცქერდნენ, რომლის ნაკადიც აივნის კარებიდან იწყებოდა და წვრილ ხაზად საწოლის ფეხთან წყდებოდა, ლაქის დანახვა შეუიარაღებელი თვალით არც თუ ისე ადვილი იყო და ერთ-ერთმა ექიმმა ჯიბიდან გამადიდებელი შუშა ამოიღო, რამოდენიმე ადგილზე სპეციალური ჩოგნით ფრთხილად მოფხიკა, მონაფხეცი ლაქა სპეციალურ შუშაში მოათავსა და გასასინჯად წაიღეს.

ჯულელი აღარაფერს აკეთებდა, უცდიდა, როდის მოვიდოდა ლაბორატორიიდან სინჯის ცნობა, წუთი წელიწადად ეჩვენებოდა, მაგრამ საათს წელიწადი არ უჩვენებია, და ნახევარი საათს შემდეგ ჯულელი ცნობას კითხულობს.

— „მოქალაქე არაბულის საძინებელ ოთახში დაღვრილი ხსნარი, იატაკზე ანაფხეცის გასინჯვის შედეგად, აღმოჩნდა დასაძინებელი ნარკოზის სითხე...“

ცნობას ხელს აწერდა ლაბორატორიის მთავარი ექიმი და წესისამებრ მრგვალი ბეჭდით იყო დამოწმებული.

— ასეც ვიცოდი! — თქვა მაიორმა და ჭიქა წყლით აავსო, აივანზე გავიდა, კარები გაიხურა, ჩაკეტა და წყალი კარების ზღურბლზე ნელი ნაკადით დაასხა, სითხე უკან გადორილვარა, აღმოჩნდა, რომ კარებს დამცველი ფიცრები ჰქონდა მიჭედებული, კიდევ გულდასმით დაათვალიერა ჯულელმა კარები და ბევრი გასინჯვის შემდეგ, დაადგინა, რომ კარებში სითხის შეშვება შეუძლებელი იყო. მაშ, საიდან უნდა მოხვედრილიყო ოთახში დასაძინებელი ხსნარი? ეჭვგარეშეა, რომ ბოროტმოქმედს აქვს აივნის კარების საკეტის გასაღები, გაიფიქრა ჯულელმა და ოთახში შევიდა გასაღების მოსაძებნად.

როლზე აცმული აივნის კარების სამივე გასაღები ადგილზე აღმოჩნდა და მწყერზე მონადირე ძალივით გაიტრუნა, მან კარგად იცოდა, რომ საკეტს მხოლოდ სამი გასაღები მოყვებოდა, კვალი უკვე დაკარგული ჰქონდა და იძულებული იყო, თავიდან დაეწყო ყველაფერი.

თავი მეორე

სახლი, რომელშიაც არაბულები ცხოვრობდნენ, ოთხსართულიანი იყო და ორი სადარბაზო ჰქონდა, აյ მცხოვრებლებს კარგი წარსული აკავშირებდათ საზოგადოებასთან და შეუძლებელი იყო, ბოროტმოქმედი ამ სახლში მაცხოვრებელი ყოფილიყო, მაგრამ ჯულელმა მაინც აქვდან დაიწყო, გამოძიებას თავისი საიდუმლოებანი აქვს, რამდენი რამ აღმოუჩნდიათ გამოძიებაში, და ჯერ კიდევ, რამდენი რამეა აღმოსაჩენი, შეიძლება, სწორედ ახალს აღმოაჩენს მაიორი და ბოროტმოქმედს იქ დააკავებს, სადაც ჩვენ არ გვიგონია, ის რა ბოროტმოქმედია, თუ მას ეჭვის თვალით მიჩერებია საზოგადოება? ბოროტმოქმედს ვერცერთი თვალთმაქცი ვერ უნდა შეედრებოდეს თავისი ცბიერებით! ბოროტმოქმედი ბეჭლითმოსილი და სიბნელეში ეშმაკივთ შეუმჩნეველი უნდა იყოს, აი, სწორედ ასეთი ბოროტმოქმედის ხელში ჩაგდება არის ვაჟკაცობა, თორემ, მას რაღა დაჭერა უნდა, კაცი სისხლიან დანას რომ მიუტანს მიღლიცის უფროსს, მაგიდაზე დაუდებს და ეტყვის: – „ესა და ეს ადამიანი მე მოვკალიო“ – ჯულელმა კარგად იცის, თუ როგორ ნიდაბს ატარებს ბოროტმოქმედი და ჩვენ ვერ შევუსწორებთ...

რამოდენიმე დღეში მორჩა პირველ სადარბაზოში მცხოვრებთა დაკითხვას მაიორი და მეორე სადარბაზოში, სადაც არაბულების ოჯახი ცხოვრობდა, პირველი სართულიდან დაიწყო, თორმეტი ოჯახის დაკითხვას ერთ თვეზე მეტ ხანს მოანდომა, თითქმის ყოველგვარი ძიება სწორად მიჰყავდა, მაგრამ შედეგი კი არ ჩანდა, მკვლელობა, ისევ ისე ბურუსით მოცული რჩებოდა, მაიორი ხედავდა თავის პირველ დამარცხებას და სინანულით იგონებდა წარსულს, ოცდათხუთმეტი წლის დაუმარცხებელი დღეს მარცხდება! ოცდათხუთმეტი წელიწადი მბრძანებლობდა ყოველგვარ ბოროტმოქმედებზე, ახლა კი, პირიქით, მბრძანებლობენ მასზე!

„ალბათ, დავბერდი, მღალატობს მეხსიერება“ – ფიქრობდა მაიორი – „ეს უკანასკნელი გამოძიება იქნება ჩემი, ან

გამოვიძიებ და ან ჩემივე განცხადებით წავალ სამძებრო ორ-განოდან, აღარ ვარგივარ ამ საქმისათვის, უწინდებურად ვედარ ვეშსახურები სამშობლოს! ყველას შესწევს იმისი ძალა, რომ სხვისი უბედურება გადაიტანოს, მე კი არა! უმეტესწილად, ძიებას ჩემისთანები სწირავენ თავს, არა წინასწარი გადაწყვეტილებით, არამედ ძიებაში შეტოპილი ბრძა ჩვეულების ძალით, და გამომძიებლები უფრო ხშირად იმიტომ ვიხოცებით, რომ არ შეგვიძლია, თავი ავარიდოთ მას!“ – ფიქრს განაგრძობდა მაიორი, მაგრამ ეს ფიქრიც ფარ-ხმალს ვერ აყრევინებდა, პირიქით, კიდევ მეტი მონდომებით დაეძებდა ძგალს...

არაბულების ოჯახი მეოთხე სართულზე ცხოვრობდა, ვალერი არაბული სამოქალაქო მშენებლობის კონსტრუქტორი იყო, კომუნისტი, პარტიული ორგანიზაციის მდივანი, დირექცია და სხვა, დადგითად ახასიათებდნენ მას: წყნარი, თავაზიანი, არ ეწეოდა, არ სვამდა, მტერი არ ჰყავდა და არც შეიძლებოდა ჰყოლოდა ასეთი ბუნების ადამიანს...

მზია ცერცვაძე—არაბული, მასწავლებელი იყო, ოჯახისა და ბავშვების დიდად მოსიყვარულე, არავითარი ურთიერთობა არ ჰქონია არავისთან, ასეთ ადამიანზე იტყვიან, „კარჩა-კეტილიაო“, სამტრო არავისთვის დაუშავებია რა და არც მტერი არ ჰყოლია...

არაბულების ოჯახს ერთი გოგონა ჰყავდა, ხათუნა, სამი წლისა, ეს იყო ოჯახის ყველაზე დიდი სიმდიდრე, თუმცა არც მატერიალური სიმდიდრე აკლდათ და ყოველ ნივთს ხათუნას სახელი ერქვა, ვინ არ შეიყვარებდა ხათუნას, მტერიც კი სიყვარულიც ჩაიკრავდა მკერდში და ფუნჩულა ლოყებს დაუკოცნიდა, ეს იყო ბავშვი აუღწერელი სილამაზისა, კალმით ნახატი, სწორედ ისეთი, მიქელანჯელოს რომ დაუხატავს, ანგელოზის სურათი.

ობლად დარჩენილი ხათუნა მერი დეიდამ შეიკედლა, რომელიც ამავე სადარბაზოში, მეორე სართულზე ცხოვრობდა, ერთ ოთახიან კეთილმოწყობილ ბინაში, მერი დეიდაც

მასწავლებელი იყო, რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა იმავე სკოლაში, სადაც მე ვსწავლობდი და შემიძლია ვთქვა, რომ კარგად ვიცნობდი.

მერი მასწავლებელი ძალიან სათხო გულისა იყო, ვერ იტანდა ბავშვის წეენინებას, და ხანდახან, როცა ხათუნას გულს მოაყვანინებდა ვინმე, ბავშვებს ვერაფერს უუბნებოდა, თვითონ გადმოსცვივდებოდა ცრემლები... ყველას მიმართ თავაზიანობით, სიწყნარით და ტკბილი სიტყვით, სასიამოენო, მიმზიდველი საუბრით გამოირჩეოდა, მას ვერასდროს ვერ ნახავდით უსაქმოდ, ან სკოლაში იყო და ან სახლში ჩაკეტილი, წერდა, რეცხავდა, იატაქს აპრიალებდა, თავისი ხელით აკეთებდა ყველაფერს. მე, პირვეხანებში, ძალიან მიკვირდა, თუ საიდან ჰქონდა ასეთ პატარა ქალს ამხელა შრომისუნარიანობა. დიახ, წონით 48 კილოგრამს თუ ძლივს იწონიდა მერი მასწავლებელი, პატარა ტანისა იყო, მაგრამ ისეთი ლამაზი და მოხდენილი ტანი ჰქონდა, რომ ბევრი შენატროდა იმისი გამოძერწილი სხეულის აღნაგობას, სახეც ისეთი ლამაზი ჰქონდა, რომ ერთი შეხედვით, ხათუნას ჰგავდა, ჰო, ხათუნას აიყვანდა თუ არა ხელში და გული ჩაიკრავდა, ორივენი ერთად მიქელაჯელოს სურათს მოგაგონებდათ, ღვთისმშობელს ყრმითურთ.

მერი მასწავლებელი მარტო ცხოვრობდა, მასთან არავინ დადიოდა და არც თვითონ არავისთან დადიოდა სტუმრად. ახლა კი საქმე უფრო მოემატა, ხათუნას მოვლა—პატრონობა იკისრა, არავის დაანება ობოლი და მერი მასწავლებლის ფრთის ქვეშ ამოფარებულ ხათუნას არც უგრძვნია ობლობა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო თავს ევლებოდა ხათუნას, ხშირად დაჰყავდა მშობლების სასაფლაოზე, თვითონაც ბევრს ტიროდა და ბავშვსაც არ ავიწყებდა მშობლების საფლავს, მას სხვა სიკეთესთან ერთად, გარდაცვლილი მშობლების სიყვარულსაც უნერგავდა. ნაგროვები ფულით მარმარილოს ფილებით მოაპირკეთა მათი სასაფლაო და ზედ სხვადასხვა ფერის ვარდები ააყვავა, ეს, ალბათ, იმიტომ გააკეთა, რომ

კიდევ მეტად დამახსოვრებოდა პატარა ხათუნას მშობლების ადგილსამყოფელი, და ზრდასთან ერთად, ეგრძნო მათი სითბო.

ხათუნასაც ძალიან უყვარდა მერი დეიდა, არ შორდებოდა არც ერთი წუთით, არც ბაღში რჩებოდა, არც არავისთან ჩერდებოდა მის გარეშე, მხოლოდ ერთს კი ვერ იტანდა, მერი დეიდა „შვილოს“ რომ დაუძახებდა, შეკრთებოდა და ცრემლები წამოცივდებოდა, მის თვალებში მაშინ შეიძლება ამოგვეკითხა იმხედა სიბრალული, რასაც ადამიანი დაჭრილი, მომაკვდავი ირმის ცრემლიან თვალებში ამოიკითხავს. ცრემლიან თვალებს შეანათებდა ხოლმე მერი მასწავლებელს, თქმით კი, ვერაფერს ეუბნებოდა და სამაგიეროს მხოლოდ იმით უხდიდა, რომ არასდროს არ დაუძახნია მერი დეიდასთვის „დედა“.

კრიალოსნებივით ჩამოიმარცვლენ წლები, მე და ხათუნა პირველ სექტემბერს ერთად მივედით პირველ კლასში, ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა ერთად მოვხვდით ჯგუფში და ორივენი ერთ მერჩხე დავჯექით. ხათუნა გულჩათხრობილი, სევდიანი და მიუკარებელი იყო ყველას მიმართ, მე, ერთადერთს, მომწონდა მისი დაღვრებილი, სევდიანი და ხშირად ცრემლით დანამუშლი თვალების მზერა, ალბათ, მებრალებოდა კიდეც და ყველაფერში თანავუგრძნობდი. ჩემს გულკეთილობასა და სპეტაკ დამოკიდებულებაში რომ დარწმუნდა, (თურმე არც ისეთი მიუკარებელი ყოფილა, როგორც გვეგონა), მალე შეეცვალა ხასიათი და ჩემი განუყრელი მეგობარი გახდა.

მერი მასწავლებელი ჩვენს სკოლაში ასწავლიდა და სხვა მოსწავლებთან ერთად ჩვენც ვირიცხებოდით მასთან, მან როცა შემამჩნია, ხათუნასთან კარგ დამოკიდებულებაში ვიყავი, ხათუნაზე არანაკლებ შემიყვარა და ხათუნას მხოლოდ მაშინ აგზავნიდა კინოში ან რაიმე საზეიმო შეკრებაზე, თუ მეც წავიდოდი....

მე და ხათუნამ ერთად გავატარეთ ბავშვობისა და სიყრმის სანუკვარი წლები, საშუალო სკოლა დავამთავრეთ და

ერთად შევაღეთ ინსტიტუტის კარები, საოცრება მოხდა პირდა-პირ, როცა ორივე ჩავირიცხეთ ინსტიტუტში, ბავშვობაში ერ-თად აღზრდილებს, ხუთი წელიც ერთად უნდა გაგვეტარებია.

მერი დეიდამ კიდევ უფრო გაამახვილა ჩვენდამი ყურა-დღება, შეძლებისდაგვარად, არაფერს გვაკლებდა, თვითონ ზამთარ-ზაფხულ ერთი კაბით დადიოდა, რომელიც ბავშვივ-ით ჰქონდა ტანზე შემოსხებილი, ჩვენთვის კი, ყოველ ათ რიცხვში, ხელფასის აღების დროს, რაღაცას ყიდულობდა. ალბათ, ბავშვობაში ვერ ვამჩნევდი და ახლა თვალნათლივ ვხედავ, რომ მერი დეიდასაც ხათუნასავით ნაღვლიანი თვალები აქვს, არავის არ დაუნახავს გაცინებული და მხიაული, მეონი ხათუნაზე უფრო გულჩათხრობილიცაა.

თავი მესამე

ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ხათუნას მშობლების დაღუპვა ჯერ კიდევ ბნელით იყო მოსილი, მე და ხათუნამ ინსტიტუტი დავამთავრეთ და იმავე სკოლაში გაგვანაწილეს მასწავლებლად, სადაც საშუალო განათლება მივიღეთ, პირველ ხანებში ძალიან მერიდებოდა ჩემი ყოფილი მასწავლებლების, აბა, როგორ ყოფილიყავი მათთან მეგობრულად, როცა ამ რამდენიმე წლის წინად ყველანი ჩემი აღმზრდელები იყვნენ?

ჩემზე უფრო ხათრიანი ხათუნა გამოდგა, თავის ყოფილ მასწავლებელს დაინახავდა თუ არა, მისალმებას ვერავინ დაასწრებდა და თითქოს რაღაც დანაშაულზე წაესწროთ, თავდახრილი გაწითლდებოდა. ასე ვიყავით რამოდენიმე თვეს, მაგრამ ყველავერს მიგწევით, ჩვენი მასწავლებლები ამხანაგობაში ძალზე კეთილშობილნი გამოდგნენ, შეგვატყვეს თუ არა მოკრძალება, ისევ ჩვეული, პედაგოგიური ტაქტით დაგვიახლოვეს, ჩაგვინერგეს, რომ ჩვენს შორის აღარ იყო ისეთი დიდი ზღვარი, როგორც უწინ და ჩვენც გათამამდით, მაგრამ პატივისცემა, როგორც აღმზრდელისა, რა თქმა უნდა, ძველებურად შემოგვრჩა.

სამშაბათი დღე იყო, მეორე გაკვეთილს ვატარებდი მეცხრე კლასში, მოულოდნელად, გაკვეთილზე, ატირებული ხათუნა შემოვარდა, ატირებული ბევრჯერ მინახავს ხათუნა, მაგრამ ასე გაფითრებული კი არა, ვერ გავიგე, რა მოხდა, ათიოდე წუთის წინ ისეთი მხიარული იყო, რომ მეც გადმომედო იმის მხიარულება და ასე უცებ, ნეტავი, რა მოუვიდა, რომ სულს ვერ ითქვამს და სიტყვის თქმას ვერ ახერხებს.

— რა მოხდა? — მგონი მეათეჯერ შევეკითხე და ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო:

— დედა ყოფილა უკანასკნელ დღეში, საავადმყოფოდან დამირექეს!

მე კიდევ უფრო გამიკვირდა, ხომ ვიცოდი, რომ ხათუნას დედა არ ჰყავდა, მერი დეიდასთვის კი დედა არასოდეს არ დაუძახია, მაგრამ არ შევიმჩნიე და ვუთხარი:

— წავიდეთ! ახლავე წავიდეთ!

... მერი დეიდა გარდაცვლილი დაგვხვდა, ხათუნა ცხე-დარს დაეშხო და მე პირველად ვიზილე, ხათუნა კი არა, აღამიანი, რომელიც ასე ცხარედ, ალალი, სპეტაკი ცრემლებით ამკობდა გამზრდელის ცხედარს.

ვეღარ გავუძელი მისი გულის დამთუთქელ სიტყვებს, ვთხოვე, გარეთ გამოყოლოდა, უხმოდ დამეთანხმა.

სახლში წამოვედით, უკან გამოგვყვა სასწრაფო დახმარების ავტომანქანა მერი დეიდას ცხედრით, ხათუნამ ვერ შეძლო ათრთოლებული ხელით კარგბის საკეტის გაღება და გასაღები მე გამომიწოდა, კარგბი გავაღე, ოთახში შევედით თუ არა, სიცარიელე ვიგრძენით, ყველაფერი საგანგებოდ და-სუფთავებული მომქჩენა, თითქოს ყველაფერი მერი დეიდას ელოდებოდა, მაგიდაზე წერილი იღო, წერილზე კი გასაღებების აცმა...

— წერილი ალბათ მე მეკუთვნის, შემინახე! — მითხრა ხათუნამ და წერილი გასაღებთან ერთად ჯიბეში ჩამიდო.

სასწრაფო დახმარების ავტომანქანაც მოვიდა, მერი დეიდას ცხედარი ოთახში შემოასვენეს, ხათუნამ ტირილი ატეხა, დაემხო გვამს და აკანკალდა, ტირილი—ისტერიკად იქცა, კანკალი — კრუნჩხვებად და მდგომარეობიდან ნემსის გაკეთებამდე ვერ გამოვიდა.

ექვსდღიანი გლოვის შემდეგ მერი დეიდა ვალერი არაბულის გვერდით დავასაფლავეთ, ვინაიდან მზია არაბულის გვერდით თავისუფალი ადგილი არ იყო და სხვაგან დასაფლავება კი ხათუნამ არ ჰქნა, — „სამივე ჩემი მშობელია და ერთად უნდა იყოსო“.

კვირას დავკრძალეთ მერი მასწავლებელი...

და რაღა აღსაწერია ადამიანის დაკრძალვის ცერემონი-ამლი, რომელ მწუხარებასაც თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობა იზიარებდა.

თავი მეოთხე

სათუნამ მერი დეიდას დაკრძალვიდან ორმოცი დღის შემდეგ მომთხოვა წერილი, მეც დაუყოვნებლივ გავუწოდე ამდენი ხნის სათუთად შენახული ბარათი, გასაღები კი მაგიდაზე დავდე. ადრესატმა ბარათი წაიკითხა, შეჩერდა, დაფიქრდა, ისევ თავიდან დაიწყო კითხვა, როცა მთლიანად წაიკითხა, დაფიქრებული სახით მომაჩერდა და მითხრა:

— შენ წაიკითხე ეს წერილი?

— მე რა უფლებით უნდა წამეკითხა? — ცოტა წყენითაც კი ვუპასუხე, მაგრამ მან, ჩემს წყენას ყურადღება არ მიაქცია და წერილი გამომიწოდა

— აჲა, წაიკითხე!

უნდობლად ჩამოვართვი ბარათი, ერთი თვალის გადავლებით მინდოდა იმის წაკითხვა, მაგრამ იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ კითხვა განმეორებით დავიწყე, მეტი მონდომებითა და ყურადღებით. ხათუნამ შეამჩნია წერილის, კითხვა თავიდან რომ დავიწყე და მთხოვა, ხმამაღლა წამეკითხა, მეც შევუსრულე თხოვნა:

წერილი შეუცდომლად წავიკითხე და ასევე შეუცდომლად, ფრჩხილებისა და სასვენი ნიშნების უცვლელად შემომაქვს ამ ნაწარმოებში:

„შვილო, ხათუნა!

(მე ყოველთვის გამჩნევდი, „შვილოს“ დაძახება ჩემგან არ გსიამოვნებდა, მაგრამ შენ ცრემლიანი თვალით მაინც მოთმინებით მისმენდი ყოველთვის და ახლაც, ამ უკანასკნელადაც, ყურადღებითა და მოთმინებით მომისმინე, შვილო!)

ვამბობ „შვილოს“ და არ ვცოდებ, ეს სრული სიმართლე არის, ადამიანი სიკვდილის წინ, აღსარების დროს, არ იტყუება, სანამ სხვა საბუთებსაც წაიკითხავდე ჩვენი დედა-შვილობის დასამტკიცებლად, იმდი მაქვს, მანამდეც დამიჯერებ, შვილო, ყოველთვის მეხვეწებოდი, ჩემი სეიფი გაგედო, გაინტერესებდა, თუ რას ვინახავდი შიგ, მაპატიე, თუ ამდენხანს ვერ

შეგისრულე თხოვნა, სამაგიეროდ, ახლა სეიფის გასაღებს ამ წერილთან ერთად კტოვებ. ვიცი, გააღებ, შენი თვალით ნახავ და წაიკითხავ მეტად სავალალო ისტორიას, რომელიც არა მარტო შენს ღვიძლ მშობლებს, არამედ შენც გეკუთვნის, შენ პატარა აღარა ხარ, წაიკითხავ და თვითონ განსჯი მტყუანსა და მართალს, თუმცა, ჩემთვის ამას რაღა მნიშვნელობა ექნება, გამამათრლებენ თუ გამამტყუნებენ, მე ხომ ცოცხალი აღარ ვიქნები, როცა შენ ყველაფერს გაიგებ? ვამბობ „მნიშვნელობა არა აქვს მეთქი“. მაგრამ ვცოდავ, შენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, იცოდე სიმართლე და პატივი სცე განსვენებული მშობლების ხსნებას, მინდოდა, შვილო, შენს დაოჯახებას მოესწრებოდი, მაგრამ აღარ შემიძლია ლოდინი, მე ისედაც დიდხანს ვიყავი შენს გვერდით, რომელიც არ მეკუთვნოდა, ახლა, თითქმის, გზაზე დაყენებულს გტოვებ, შენ გეყოფა ჩემი გულის დედობრივი სითბო და თანდათან გაიგებ, თუ რა ძალა აქვს მას, მკვდრად ნუ მიგულებ, მე ყოველთვის მხსნელად გადაეგეფარები, შვილო! შენთვის ლამე არასოდეს არ იქნება და თუ ღამეში შენიშნო ფერმკრთალი სინათლე, ეს მე ვიქნები, შენთვის სანთლად ანთებული. დავიწვები, ლამპრად ვიქცევი, რომ უკუნეთი გაგინათო და შენ უგნებელი იყო. რა ვქნა, რომ ცოტაოდენ გული გატკინე მშობლების დაკარგვით, აბა, ნახე ჩემი გული... ამ გულს სეიფში ნახავ! გაიგებ მტყუანს და მართალს, შენ თვითონ აწონი სიმართლის სასწორზე ჩვენს სულებს, და ყოველგვარი ურთიერთმიდგომის გარეშე, განსჯი, ვინ არის ბოროტმოქმედი.

მე კი იმ იმედით დამშვიდებული, რომ შენ გზაზე დაყენებულს გტოვებ, იმ ქვეყანაში მივდივარ, სადაც შენი მამა წავიდა (მე განგებ არ დავატოვებინე ადგილი მესაფლავეს „დედაშენის“ გვერდით, რომ მის გვერდით არავის დავემარხე), დამბარხე, შვილო მამაშენის გვერდით, რომ ახლა მაინც ვიყო მასთან და სანუკარი ძილის სასუფეველში მყუდროება ვიგრძნო...

მე სწრაფად მომქმედი საწამლავი დავლიე, ვიცი ნახევარ საათში მოვკვდები, მაგრამ ისე კი არ წავალ, რომ

ლოცვა—კურთხევა არ დაგიტოვო: — იყავ დალოცვილი, ყველა
ის ფიქრები შეგსრულებოდეს, რომელიც დედის გულმა დაგი-
მოწმოს, შვილო!

შენთვის აღზრდა არ დამიკლია და შენც ისე მოიქეცი
ცხოვრებაში, როგორც ხარ აღზრდილი, მე მწამს ყველა იამაყებს
შენი აღზრდით, მჯერა, დღეს კარგი მოქალაქე ხარ და ხვალ
სამშობლოს გამოსადეგი ადამიანი იქნები, ქართველ ადამიანს
არასდროს დავიწყებია სამშობლო. მშობლები და ღმერთი!
ეს სამება იხსნიდა ყოველთვის მათ გასაჭირისგან, ნურც შენ
დაჰკარგავ ძველ გზას, მიჰყევი წინაპართა სიბრძნეს.

ცხოვრება შეადგინე, მარტობას ნუ მისცემ თავს, მართა-
ლია ოჯახის შექმნა ზოგისათვის თვალის დავსებაა და ზო-
გისათვის თვალის ახელა, მაგრამ ამან კი არ უნდა შეგაშინოს,
ცხოვრება ყოველთვის მათდა სასიკეთოდ ბრუნავს, ვისაც
მფარველობს!

შეუღლება თუ მყნბაა კვირტისა, ფესვი უნდა შეარჩიო,
რომელზედაც ამყნბ, შემდეგ უნდა შეფუთო და მოუკრო, თორემ
ყველა როდი იხარებს ნამყნი...

ადამიანები უნაკლონი არ არიან, მაგრამ მაინც სიამ-
ოვნებთ სხვების ნაკლოვანებათა ჩხრეკვა, ამიტომ ეცალე, და-
ფარო საკუთარი ნაკლი ვინემ ჩხრიკო სხვისი და ჭორიკანას
სახელი შეგერქვას.

სიკვდილის წინ თავის ტკინი ისე მუშაობს, როგორც
არასდროს, კიდევ მინდა შენთან ვისაუბრო, მაგრამ უკვე ძალა
წამერთვა, შვილო! და კიდევ ერთჯერ გთხოვ პატიებას და
თუ რამ მიწყენინებია შენთვის.

შენი ღვიძლი დედა მერი!“

წერილზე ბოლოში არეული ხელით იყო მიწერილი.

PS. — შვილო ხათუნა, მე თვითონ დავრეკე სასწრაფო
დახმარებისათვის.

ძნელი ყოფილა სიკვდილი!..

თავი მეცნიერება

წერილს ვკითხულობდი და ხათუნას ღაპა—ღუპით ჩამოდიოდა ცრემლები, რომელიც ჩემთვისაც გადამდები გახდა და წერილს ვარიდებდი თვალს, რომ ცრემლით არ დამესვარა, კითხვა რომ დავამთავრე, ხათუნამ ცხვირსახოცით დამალა სახე, არ ვიცი, რატომ შერცხვა ცრემლების, მეც სათქმელი ვერაფერი ვიპოვე და ასე ვიყავით რამოდენიმე წუთს გაჩუმებული, ბოლოს, ისევ ხათუნამ გამოაჩინა ცრემლებშეუმშრალებელი, ოდნავ დამშვიდებული სახე, გასაღები აიღო და სეიფთან მივიდა, გაჩერდა, დაფიქრდა, შემდეგ მე შემომხედა, ჩემი დანახვით თითქოს იმედი მიეცა და გასაღები ისე ფრთხილად მოარგო საკეტს, თითქოს, ახლაც დაუკითხავად აღებდა მთელი ახალგაზრდობის დროს საოცნებოდ გადაქცეულ სეიფს, საკეტმა სამჯერ გაიტკაცუნა და ძლივს გაიღო სეიფის მძიმე კარი. პირველი თაროდან დაიწყო ხათუნამ: — პირველად ჩვილი ბავშვის უხმარი ტანსაცმელი და საცვლები გადმოიღო, შემდეგ პატარა ლეიბი და საბანი, რომელიც აკვნის არტახებით იყო შეკრული, ამ ნივთებს ისეთი სასიამოვნო სუნი ასდიოდა, რომ აშკარად ეტყობოდა, რაღაც სურნელოვანი ხსნარი უნდა ჰქონოდა ნაპერები, თუმცა ყველაფერი ძველებური და ღარიბული იყო, მაგრამ ძალიან მონდომებით შეკერილი და შენახული ჩანდა, უხმოდ დავათვალიერეთ ყოველივე და ნივთები ხათუნამ იმავე თაროზე ისევ ისე მოათავსა, როგორც ეწყო, მეორე თაროს არ შევხებივართ, თვალნათლივ ჩანდა, რომ მასზე მხოლოდ სამი ცალი ბოლოი იდგა, რომდებშიც რაღაც გამჭვირვალე სითხე ესხა.

ხათუნამ გასაღები მოიმარჯვა და სეიფის საიდუმლო უჯრა გააღო. უჯრიდან პირველად, სქელი, ხელით აკინძული რვეული გადმოიღო, რომელსაც ყდა მთლად შემოცვეთოდა, მაგრამ წარწერა მაინც გარკვევით აჩნდა.

ჩემი დღიური „მერი“

ხათუნა ფეხის წვერებზე დადგა, უჯრაში შეიხედა და შემდეგ ღრმად შეჰყო ხელი, გამოუსვა და ოქროს ყელსაბამი გამოიღო, მასზე ოქროსივე მრგვალი კულონი ეკიდა, რომელ-შიც ვალერი არაბულის ახალგაზრდობის სურათი იყო ჩასმული, ხათუნა სურათს დააკვირდა და ძლივს გასაგონად თქვა: – „ჩემი მამა“.

ყელსაბამზე, კულონთან ერთად ჩამოკიდებული ინგლი-სური საიდუმლო საკეტის უბრალო გასაღები დაუანგული იყო, რაც იმას მოწმობდა, რომ ხმარებაში არ უნდა ყოფილ-იყო.

ხათუნამ ყელსაბამი, კულონთან და გასაღებთან ერთად, სეიფში შეინახა და კარები გასაღების გარეშე მიხურა, შემდეგ რვეული აიღო და სავარძელში ჩაჯდა, მეც იმის პირდაპირ მოვიკალათე სავარძელში, ისე რომ ნებართვაც არ მითხოვია.

რვეული არ გადაუშლია, მე გამომიწოდა და მითხრა:

– მე არ შემიძლია, შენ წაიკითხე, მხოლოდ ცოტა ხმამა-ლლა და ყურადღება არ მომაქციო, როცა მე ვტირივარ, შენც ცრემლებიც ნუ გევსება თვალები!

რვეული უხმოდ ჩამოვართვი და ყდა გადავშალე, აქ მხ-ოლოდ ბრჭყალებში ჩასმული „მერი“ ეწერა.

კიდევ ერთი ფურცელიც გადავშალე და დღიურიც დაი-წყო.

თავი მემკვეთ

— მე გუშინ დავამთავრე საშუალო სკოლა, საღმოს საზე-იმი სუფრაც გამიშალეს მშობლებმა, აი. ისეთი, როგორიც შეეფ-ერება ომის ქარცეცხლიან დღეს, ღარიბული, ღარდიანი და უწხ-იარულო, ჩემი მამა მაგიდასთან არ გამოჩენილა, მითხრა — „შენი ამხანაგების მერიდება, ყველას მშობლები ფრონტზეა, შეიძლება იფიქრონ, თავს არიდებსო სამშობლოს დაცვას, ეს სწორი არ იქნება, შვილო! მე აქ მეტად ვჭირდები სამშობლოს, მაგრამ ამას ყველა ვერ გაიგებს და მე რომ ეჭვის თვალით არავინ შემომზე-დოს, მალე წავალ წინა ხაზზე, სამშობლოს დასაცავად!“

ასე იყო, თუ ისე, დამთავრდა ჩემი საზეიმო ცერემონიალი და დღეიდან, გადაწყვიტე ვწერო დღიური, მე ხომ ახალ ცხოვრებას ვიწყებ? მხოლოდ ამ ფურცლებს მინდა გავანდო ყოველივე, ჩემი საიდუმლოებანი, (თუ რამ საიდუმლო მოხდება ჩემს ცხოვრებაში), რვეული უენოა და ვერ აალაპარაკებს ვერც სიყვარული და ვერც ღვინო, თუ ბოროტი ადამიანის თვალი არ მოხვდა და შემდეგ ბოროტი ენით არ ამეტყველდა, ბორო-ტი ადამიანისაგან კი თვითონ მე ვეცდები დავიცვა ჩემი საიდ-უმლოებანი, ჩემი ნაწერი, ჩემი ყოველდღიური ბორგვა სულისა.

— ვთქვი: — „ვეცდები, ჩემი დღიური დავიცვა ბოროტი ადამიანისაგან“ — მაგრამ შეიძლება თქვენ კეთილი ადამიანი ბრძანდებით, რომელსაც ჩემი დღიურის წაკითხვა გადაგიწყვეტიათ, ეს მანც ბოროტება მგონია, რომ შეუკითხავად ხელს აფა-თურებთ ჩემს სულში და იპარავთ „ყველაზე დიდ საგანმურს „საიდუმლოებას“, ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ, „კუთილო“ ადამიანო, დახუროთ და თავის ადგილზე დადოთ რვეული!

„მერი“

ბოლო სტრიქონის წაკითხვისას ხელები ამიკანკალდა და ჩემდა უნებლიერ დავხურე რვეული, ხათუნას არ გაჰ-კვირებია ასეთი მოქცევა, გამიღიმა და მითხრა:

— განაგრძე, კითხვა, მე ხომ უფლებამოსილი ვარ, რომ წავიკითხო დღიური? ჩემ უფლებებს შენ გითმობ, მხოლოდ იცოდე, აქ წაკითხული ყოველივე საიდუმლოდ შეინახე, „საიდუმლოს სანამ გატეხავდე, შენი პატიმარია, გატეხავ და შენ ხარ მისი პატიმარი“, გახსოვდეს ეს!

სიტყვის თქმა ვერ მოვახერხე და უხერხულობისაგან თავის დასაღწევად, რვეული გადავშალე, დავფიქრდი, როგორ მოვქცეულიყავი, და გადაწყვეტილებაც მაღე მივიღე, კითხვა გამეგრძელებია.

1942 წელი, 22 ივნისი, (ორშაბათი)

— დილით გვიან ავდექი, მამა ჩაფიქრებული იჯდა მისაღებ ოთახში და იმდენი თამბაქოს კვამლი დაეგროვებია, რომ შევისუნთქე თუ არა ოთახის ჰაერი, იმ წუთში საშინელი ხველა ამიტყდა.

რაღაც მოუსვენრობა შევატყე მშობლებს, მათი უძილო თვალები რაღაც უსიამოვნებას მიქადდა, მამაჩემს კალთაში ჩავუჯექი და თვალებში ჩავხედე, რომ ამომეკითხა ოჯახის საიდუმლოებანი, დამენახა უსიამოვნების მიზეზი, მაგრამ მამა განზრახვას მიმიხვდა, ნაძალადევი ღიმილით დაფარა სახე, თვალები გააბრწყინა და შუბლზე მაკოცა.

— ცუდი ხომ არაფერი მომხდარა, მამიკო?
— კიო, — თავი დამიქნია.
— რა მოხდა? — გავუმეორე კითხვა.
— ომი დაიწყო!
— ომი ერთი წელიწადია დაიწყო და შენ ახლა გაიგე?

— გავეხუმრე.

— ეგეც საქმეა, ერთი წელიწადია, დაიწყო და მე აქავე ვარ, სამშობლო გასაჭირებია, დაცვა ესაჭიროება, სამშობლომ ხომ უნდა იარსებოს და შენ იცოცხლო!

ადამიანებს უბედურება ბუნების წყალობით კი არ ატყდებათ თავს, არამედ საკუთარი შეცდომის შედეგად, ჭკვიანი

ადამიანი უბედურებას თავს არ დაიტეხს, მე დავაგვიანე, სამშობლოს აქამდის უნდა მივშეელებოდი, ყველა რომ ჩემსავით მოქცეულიყო, ახლა ომი დამთავრებული იქნებოდა და სამშობლო დაღუპული, სინდისის ქენჯნას სიკვდილი სჯობია, მე სინდისის ქეჯნას განვიცდი, შვილო!

— რატომ ამბობ ასე, მამიკო, შენ რამდენჯერ მიაკითხე და არ წაგიყვანეს. შენ აქ ესაჭიროებოდი ხალხს.

— მართალია, ხალხს აქ ვესაჭიროებოდი სამშობლოს კი იქ!

— რას ამბობ, მამიკო? განა ხალხი სამშობლო არ არის? როგორ სამშობლო მარტო მიწაა?

— ვინც ზურგშია, ის სამშობლოს ხალხი არ არის და ჩემი აზრით, მათი დახმარება შეცდომაა, მედიცინის მუშაკები ფრონტზე საჭირო, ხომ შეიძლება გმირები დაიღუპონ უპატრონოდ, უექიმოდ?

აქამდის შენი მარტოდ დატოვება გვიჭირდა, ახლა დიდი ხარ, სამუალო განათლება გაქვს და იმედია, საკუთარ თავს მოუვლი ჩვენს დაბრუნებამდის!

— როგორ, „ჩვენს დაბრუნებამდის“ დედაც მოდის?

— დედა ჩემზე უკეთესი ქირურგია, სწორედ იმისი ხელი უფრო საჭიროა სამხედრო ჰოსპიტალში.

— მაშინ მეც წამოვალ, მე თუ ექიმი არა ვარ, იქ მედიცინის დაც ხომ იქნება საჭირო?

— არა, შვილო, შენ ჯერ პატარა ხარ, შენ ჯერ არ უნდა ნახო ადამიანის დაღვრილი სისხლი, ესეც რომ არ იყოს, შენ ოჯახის სიცოცხლის გამგრძელებელი ხარ და შენი დაღუპვა არ შეიძლება!

შენ ხომ ბავშვობიდანვე გიყვარს ცირკი, დირექტორი ჩემი კარგი მეგობარია, გუშინ მოველაპარაკე, თანხმობა განმიცხადა. უნდა მასთან დაგტოვო, ყურადღების ქვეშ ეყოლები, კიდევ უფრო შეეჩერებული საქანელაზე ტრიალს და ვინ იცის, იქნებ ცირკის დამსახურებული ოსტატიც კი გახდე.

— რაო ცირკის დირექტორმა რა გითხრა?

— დამთანხმდა, გაეხარდა კიდეც, მას ნახული ჰქონია კულტურის სასახლეში, შენს მიერ შესრულებული ნომრები, და დიდად მოწონებია...

აგვისტოში უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარე შვილო მისაღები გამოცდები! ცოტა გაიჭირვე, ისწავლე, ვინ იცის როგორი დრო დაგვიღგება, უსწავლელი ადამიანი ფუქსავატია და თავქარიანობა აიძულებს, დაუყოვნებლივ დაეთანხმოს სხვების ყოველგვარ აზრს, თუკინდ მცდარიც იყოს იგი, ვინაიდან უსწავლელობის სიბრძავით არ შეუძლია დაინახოს ცუდი და კარგი...

აქამდის ასე მეგონა, მამიკო ხუმრობდა, მაგრამ მის სერიოზულ ლაპარაკში, როცა ხუმრობა ვერ აღმოვაჩინე, კისერზე მოვეხვიე და ავჭითინდი, რამდენ ხანს ვიტირე, მეც არ ვიცი, ჩემს დაწყნარებას საშეელი არ დაადგა, საღამოს ტემპერატურამ ამიწია, ჩემი მშობლები ხან მკვდრები, ხან კიდევ დაჭრილები მელანდებოდნენ, მე, თურმე, სინამდვილეში, ვიგლეჯდი თმას და სახეს ვიხოკავდი, ჩემი მშობლები ექიმები არიან, მიშველეს, გამიკეთეს დასაწყნარებელი საშუალებები და დილით, წუხანდელთან შედარებით, კარგად ვგრძნობდი თავს.

1942 წელი, 24 ოქტომბერი, (ოთხშაბათი)

გუშინ ცირკში მიმიყვნეს მშობლებმა, დირექტორმა მითხრა, სხვადასხვა ნომრები შემესრულებინა, კერძოდ, ბაგირზე ცოცვა და ცეკვა, მიუხედავად იმისა, რომ ცუდად ვარ, მაინც დავიმსახურე მოწონება და სამუშაოზედაც უყოფმანოდ მიმიღეს.

წუხელ მთელ ოჯახს არ გვეძინა, მშობლებმა ფრონტზე წასვლის უწყება მიიღეს და წასასვლელად ემზადებიან, მე ადგილს ვერ ვპოულობ, ცუდს მიგრძნობს გული, ერთი გადაწყვეტა გადავწყვიტე, არ დავშორდე მშობლებს, მაგრამ წყენინებას ვერიდები და უყოფმანოდ ვემორჩილები მათ ბრძა-

ნებას, მშობლები ცუდ რჩევას არ მომცემენ და მათი თხოვნის თუ ბრძანების შესრულება, ჩემს ყველა ღირსეულ ჩვევებზე უფრო სათაყვანებელ ჩვევად მიმართა, მე არასოდეს არ მიღალატინა მშობლების რჩევისათვის და ხშირად ქებაც დამიმსახურებია, კეთილი საქმის გამო.

დღეს თერთმეტ საათზე გავაცილე მშობლები, რკინიგზის სადგურიდან, მინდოდა ცრემლი არ გამეტანებია და რაც შემეძლო, თავს ვიკავებდი, მაგრამ როდესაც გამოვემშვიდობე, მხოლოდ ერთი საათის შემდეგ დამიბრუნდა გრძნობა, რკინიგზის ჯანპუნქტში ტახტზე წამოწოლილს.

ასე დაგრჩი დღეიდან მარტოდმარტო და ვინ იცის, რამდენ ხანს? მეგობარი მაინც მყავდეს ვინმე, რომ გავუზიარო ჩემი გულის სევდა, მაგრამ ვის ნახავ ახლა ისეთს, რომ არაფერი აწუხებდეს? თითქმის ყველა ჩემს დღეშია, ყველა გულდათუთქული, სევდიანი და სანუგეში.

ეს არის ერთადერთი ჩემი მეგობარი და ნუგეში, ჩემი რვეული, მას ვანდობ ყველაფერს, რადგან ადამიანის ბუნება ყოფილა ასეთი, გულში ვერ დაიტევს ვერც ნაღველს, ვერც სიხარულს, ვიღაცას თუ არ გაუზიარა.

შეზღუდული, მაგრამ ლამაზად დაწერილი და საღად მოაზროვნე დღიური უფრო მიმზიდველია, ვიდრე ფართო, მაგრამ დახლართული, გულჩათხობილი და გულღვარძლიანი მეგობარი.

გამოცნობით კი, ვის გამოიცნობ, ხანდახან საკუთარ თავსაც ვერ ცნობს ადამიანი.

1942 წელი, 3 ივლისი, (პარასკევი)

კი, მართალია, ხდება ჩემს ცხოვრებაში ისეთი რამ, ყოველდღე ვწერო დღიური, მაგრამ მეშინა ერთფეროვნებისა და განმეორებითი დღეების. როგორც ჩემთვის, ასევე სხვისთვისაც მოსაწყენი იქნება, ამიტომ გადავწყვიტე, ერთფეროვნებას თავი დავაღწიო და დღიურში მხოლოდ ღირსშესანიშნავი თარიღები დავწერო.

დღეს საბუთები შევიტანე პედაგოგიურ ინსტიტუტში და მისაღები გამოცდებისათვის მზადება დავიწყე. მეტი არაფერი არ მინდა, თუ მშობლების თხოვნა შევასრულე და სტუდენტი გავხდი, ოპ! რას გაიხარებენ, მეტყვიან – „ყოჩალ, გიმარჯვნიაო“! – და ეს ორი სიტყვა, რამხელა ალერსიანი, თბილი და სასიხარულო იქნება, – ალბათ დღიურითაც ვერ აღვწერ.

სიხარული ადამიანის სულის დამამშვიდებელი უქარი წამალია, სიმშვიდეში კი, სული ხარბად ისრუტავს იღუმალ სიტყბოს, ამიტომ სიხარულით სულდამშვიდებულები, დროებით ვივიწყებთ ყველაზე დიდ ზრახვასა და უბედურებებსაც კი, მეც მინდა დავივიწყო მშობლების ყოველგვარი უბედურება ჩემს მიერ მინიჭებული სიხარულით.

... ცირკში ყოველდღიურ წარმატებებს ვაღწვ, ჩემს არენაზე გამოჩენას ტაშის გრიალით ხვდება მაყურებელი, ვარჯიშმა თავისი გაიტანა და მივაღწიე მას, რითაც განცვიფრებაში მომყავს მაყურებელი.

ბავშვობიდანვე მიყვარს ცირკი და ახლა კიდევ უფრო გაგიჟებით, სიყვარული ერთი მაქს, ცირკის სიყვარული, ოცნება კი ორი: მშობლების დაბრუნება და უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარება.

1942 წელი, 28 ივლისი, (სამშაბათი)

თვეზე მეტია მშობლების წერილის მოლოდინში ნერვები დამაწყდა, დღეს ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მივიღე წერილები, საქართველო გავხსენი სამჯუთხედი ბარათები და შევიტყე ყოველივე მათი ჯანმრთელობისა და საქმიანობის შესახებ, ორივენი ერთად მუშაობენ სამხედრო პოსპიტალში.

ვკითხულობ დედის წერილს და მთელს ტანში სითბო ჩამეღვარა, ის, ჩვეული ალერსით, ბრძნულად მესაუბრება: – „შვილო, მერი! ჩემო იმედო, ჩემო ერთადერთო, ჩემო სიყვარულო და ნუგეშო, ვიბრძვი, შენი აჩრდილი მიმიძღვის წინ და

ტყვია არ მეკარება, შენი იმედით ცოცხალი დავბრუნდები, გამარჯვებული...

ოჯახში შენა ხარ ქალიცა და კაციც, შენა ხარ საკუ-
თარი თავის მრჩეველიც, ვიცი, უმაღლეს სასწავლებელში
შეიტანდი საბუთებს, იცოდე, შვილო, სწავლა ტვინის სალესე-
ლია, მაგრამ კი არ იცითება, პირიქით, უსწავლელობისა და
უხმარობისაგან იუანგება.

შენ არ იფიქრო, რომ მარტო ხარ, აქედანაც გეყოფა ჩემი
სითბო, დედის გულმა მანძილი არ იცის, შვილო! ყოველთვის
ვგრძნობ შენს სიახლოვეს, თვალწინ მიდგეხარ, გათბობ და
გეალერსები...“

მერამდენედ წავიკითხე დედის წერილი, სათვალავი ამე-
რია, მართლაც, მათბობს და მეალერსება, ხან ვტირი, ხან ვიცი-
ნი და საკუთარ თავს იმდენად ვგავარ ამ წუთებში, რამდენა-
დაც სხვებს.

მამის წერილი მკაცრი და დამრიგებლური მეჩვენა:

– „შვილო, მერი, გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ, ხალხს
არ ათქმევინო, „მშობლების გარეშე იზრდებაო“, თავი არ
მოგვჭრა, ჩვენ ვიბრძით და კიდეც გავიმარჯვებთ, ჩვენი
თავდაცვა სამართლიანია და ვიბრძვი ისე, როგორც შეჰვერის
კომუნისტს, ადამიანს, შენ ფრონტზე არა ხარ, მაგრამ შენი
ცხოვრებაც ბრძოლაა და ვალდებული ხარ, გაიმარჯვო, თუ
გაიმარჯვებ, ისწავლი და იქნები პატიოსანი მოქალაქე, ხალხი
ღირსებისთვის გცემს პატივს, მაწანწალები კი შეწყალებისთვის,
მე მგონია, ხალხის პატივისცემა სჯობია და მათი ღირსების
დაცვა, ვინებ მაწანწალას ლუქმა—პური გადაუგდო, პო, თუ
გაგიჭირდეს, ყველაფერი გაყიდე, მხოლოდ ცოცხალი დაგხვე-
დი, შვილო!..“

გული ვიჯერე მშობლების წერილის კითხვით, მათთან
საუბრით, დავტები მათი სიახლოვით და დაუყოვნებლივ დავწე-
რე პასუხი, ყოველგვარ წარმატებასთან ერთად მივწერე, რომ
პედაგოგიურ ინსტიტუტში შევიტანე საბუთები, თუმცა მეტი
რა უნდა დამეწერა, თითქმის სახლიდან არ გამოვდივარ,

დაზეპირებული მაქვს გზა სახლიდან ცირკამდის და ცირკიდან სახლამდის, თავისუფალ დროს კი მეცადინეობას ვანდომებ, ესაა და ეს, ჩემი ახალგაზრდული ცხოვრება, სეირნობა და კეპლუცობა ჩვენს ქალაქში დიდი ხანია, შეწყდა. თალზებჩაცმული ბავშვებისა და მოხუცების რიცხვი გაიზარდა, აღარ ეპიკლუცება ხალხს.

1942 წელი, 1 აგვისტო, (შაბათი)

მთელი ღამე თეთრად გავათენე, განვიცდიდ პირველ გამოცდაზე გასვლას, მაგრამ „ეშმაკი არც ისეთი საშიში ყოფილა, როგორც ხატავენ“. გავედი გამოცდაზე. ავილე ბილეთი და პირველი ხუთიანი ჩაუქრობ იმედად აკიაფდა ჩემს საგამოცდო ფურცელზე, საჩქაროდ წამოვედი სახლში, თითქოს მშობლები მელოდებოდნენ და უნდა მიმეხარებინა, პირველი წარმატება.

არავინ მყოლია გულშემატკიფარი, არავინ შემოგებებია, სახლის სიცარიელემ გული მატკინა, მარტოობისა და სიხარულის ცრემლებით დავასველე ბალიში. შეძლებ ცირკში წავედი, ამხანაგებს გაუგიათ ჩემი წარმატება და თაიგულებით მომილოცეს, ისევ დამიბრუნდა სიხარული, მომეცა ძალა და მომინდა საქანელაზე ტრიალი, არც ერთი ნომერი არ დამიტოვებია შეუსრულებელი, განცვიფრებაში მოვიყვანე მასწავლებელი და თვით დირექტორიც კი.

სახლში დაღლილი დაგბრუნდი, მაგრამ არ დავისვენე, მშობლებთან საუბარი მომინდა, და ვრცელი წერილი დავწერე, აღვწერე დღევანდელი განცდა, ვახარე პირველი წარმატება, ისიც კი არ გამომრჩენია, რომელი ნომერი ბილეთი შემხვდა და რა საკითხებზე გავეცი პასუხი.

1942 წელი, 25 აგვისტო (სამშაბათი)

ლირსი იყო იმ შესანიშნავ დღეებს ჩემს დღიურში თავისი ადგილი დაეკავებია, როცა დანარჩენი მისაღები გამოცდე-

ბი ჩავაბარე ინსტიტუტში, მაგრამ რატომდაც ერთფეროვანი მეჩვენა, ამიტომ ცოტა მოგვიანებით მოუწია ჩემს დღიურს ფურცლის გადაშლა.

დღეს კი ორი სიხარული მეწვია და ეს ორი ნაპერწკალი ჩაუქრობი კელაპტარივით აგიზგიზდა ჩემ მარტოობით დატანჯულ გულში.

დღეს ინსტიტუტში უთენია წავედი, გამოცდები ჩავაბარე და ვიცოდი ჩარიცხული ვიქებოლი, მაგრამ საკუთარი თვალით მინდოდა მენახა სტუდენტთა სიაში ჩემი გვარიც. კედელზე გაკრულ სიასთან ახლოს მისვლა ძლივს მოვახერხე, იმდენი გოგო-ბიჭები იყვნენ, კინალამ გამთელეს, როგორც იქნა, ამოვიკითხე ჩემი სახელი და გვარი, სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მე უგვე პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი და სექტემბრიდან შევუდგებოლი სწავლას, ავასრულე მშობლების ნატერა-ოცნება და საკუთარ წარმატებაზე მეტად ის მიხარია, რომ მშობლებს გავახარებ, გადავწყვიტე, საჩქაროდ მივწერო წერილი და სირბილით წამოვედი სახლისაკენ.

მოვედი და მშობლების წერილი დამხვდა, ესეც მეორე სიხარული მეწვია და აღმაფრთოვანა კიდეც.. წერილი ერთ ფურცელზე იყო დაწერილი, ფურცლის ერთ გვერდზე დედას დაეწერა, მეორეზე მამას.

მშობლები, როგორც ყოველთვის, დარიგებით იწყებდნენ და დარიგებითვე ასრულებდნენ ბარათს, მე კი, რაც მაინტერესებდა, თავიანთ თავზე არაფერს იწერებოდნენ.

დავჯექი და ვრცელი წერილი დავწერე, ვახარე უმაღლეს სასწავლებელში ჩემი ჩარიცხვის ამბავი, აღვნიშნე, მათი წერილი რომ მივიღე და ვთხოვე ცოტა ვრცლად მოეწერათ მომავალში თავიანთ საქმიანობაზე, რომელიც ძლიერ მაინტერესებდა.

არ დამვიწყებია, დამეწერა, ცირკში ყოველდღიურ წარმატებებს რომ ვაღწევდი, ვიცოდი, მშობლებს ესეც გაეხარღებოდათ და მცდელობა არ დავაკელი, რათა მათ გულს სიხარული ეგრძნო...

— „თქვენა ზართ სიცოცხლე ჩემი სულისა და გულისა, მფარველი ანგელოზი და ზატი სალოცავი, მე თქვენს სურათზე კლოცულობ ყოველდღე, მე თქვენი აჩრდილი მიდგას თვალწინ, როცა მისაღებ გამოცდებს ვაბარებდი, მე თქვენ გცემდით შეკითხვაზე რასუხს და არა სხვას, იმიტომაც მომიწონეთ პასუხი და ხუთიანებს მაზიარეთ, გმადლობთ, მშობლებო, რომ ერთი წუთითაც არ მივიწყებთ და თქვენი აჩრდილი დამყვება მუდამ გვერდით“.

1942 წელი, 1 სექტემბერი (სამშაბათი)

დღეს პირველი ზარი დაირეკა ჩემთვის, რომელმაც ინსტიტუტში ლექციების დაწყება მაუწყა, მახსოვს პირველი ზარი, როდესაც დედამ მიმიყვანა სკოლაში, მაშინ ვტიროდი, მიძნელდებოდა მშობლების მოშორება, მაგრამ მივეჩიე და მაღე ისეთი საყვარელი გახდა ჩემთვის სკოლის ზარის მოსმენა, რომ რაღაც მუსიკალურ წერიალს გკითხულობდი შიგ, ყოველთვის საყვარელი და სასიხარულო იყო სკოლის ზარის ხმა, პირველი სექტემბრისა კი მაინც განსხვავდებოდა, ის რაღაც უფრო პარმონიული მეჩევნებოდა ყოველთვის, მაგრამ ამხელა სიხარული არასოდეს არ მოუნიჭებია სკოლის ზარს, როგორიც ინსტიტუტის ზარმა მომანიჭა. დღვეანდელი ზარის ხმაში სიკეთისაკენ მოწოდება ამოვიკითხე და მჯონა, რომ მეც წელილი მაქს მასში.

გავიცანი ახალი ამხანაგები, ზოგი ადგილობრივები არიან, ზოგიც სხვა რაიონებიდან და სოფლებიდან მოსულები, უმეტესობა გოგონები ვართ. ასევე მასწავლებელთა უმეტესობა ქალებია, თითქმის ყველა ერთნაირი გამომტყველების მქონე, მგლოვიარობა, სევდა და დარდი ამოიკითხება მათ თვალებში, მე მინდა ჩემს ახალ მასწავლებლებს, იმ პირველი მასწავლებლის უკვდავყოფით, რომელმაც პირველი ანბანი მასწავლა, ჯანმრთელობა და მხიარულება ვუსურვო.

... დღეს, უბრალოდ, ერთმანეთის გაცნობა და საუბარი გვქონდა, ალბათ, ხვალიდან დაიწყება „კარგი“ სწავლა, ლექციები

დამთავრდა თუ არა სახლში წამოვედი, მშობლებს ნაჩქარე-
ვად დავუწერე წერილი და ცირკმი წავედი.

1942 წელი, 18 ოქტომბერი (კვირა)

ოჳ! ღმერთო, რისთვის გამითენე დღევანდელი დღე, თუ
ამხელა სიმწარე უნდა მენახა, ნუთუ არ გემეტება ერთი მცირე
სიხარულიც კი ჩემთვის, ნუთუ, ღმერთო იმიტომ ხარ ღმერთი,
რომ ბოროტება სთესო ქვეყნად? რატომ დამტოვე, ღმერთო,
ობლად? რისთვის მომისპე მშობლების ნახვის სურვილი?
იმედი?.. ოჳ, ჩემო დედა! ჩემო საყვარელო მამა! მუხლებზე
მაქვს დადებული თქვენი სურათი და დავტირი თქვენს ცხე-
დარს. არ გვაღირსა ღმერთმა, რომ თქვენს შვილს თქვენთვის
ერთი მუჭა მშობლიური მიწა დაყუარა, მითხარით, ვეღარ ვიხ-
ილავ თქვენს კეთილ თვალებს, ვეღარ მომეხვევა თქვენი თბილი
ხელები, წამიყვანეთ თქვენთან, წამიყვანეთ, მე არ შემიძლია თქვენს
გარეშე სიცოცხლე! დავილალე, ამ ქვეყნაზე მხოლოდ ბოროტება
და სიმწარე ყოფილა დათესილი, თქვენ შეცდომით იყავთ
გაჩენილი, კეთილი ადამიანები და ბოროტებამ მოგისწრაფათ
დღენი, ვაიმე, დედა! რატომ გამაჩინე, თუ ამხელა ტანჯვა მო-
მელოდა, ოჳ, ღმერთო! რისთვის მომასწარი ამ დღეს, რისთვის,
თუ ყოვლის შემძლე ხარ, რატომ ვერ დაგიმარცხებია ეშმაკი,
პირსისხლიანი ეშმაკი, რატომ წამართვი მშობლები, რატომ!!! –
დილიდანვე ასე მოვთქამ, ვიგლევ თმას და ვიხოკავ სახეს...
ნეტავი მშობლების დალუპვის შეტყობინება არ მიმედო და მე
მოგმედარიყავი, ნეტავ არ მოეტანათ ჩემამდის, არ გამოეჩინათ,
ეს დიდი იმედი იქნებოდა ჩემთვის, ჩემს მეხსიერებაში ისინი
იცოცხლებდნენ, დაველოდებოდი მათ დაბრუნებას. და ლოდინ-
ში ამომხდებოდა ტანჯული სული, გული იმედით ხარობს,
ადამიანიც იმედით ცოცხლობს და ვინ იყო ის, ეს ერთადერთი
იმედი რომ მომისპო?

შემძულდა ხალხი, ჩემს თვალში დღეს ყველა ფაშისტები
ხართ, ყველა მკვლელები, ნუ მოგაქვთ სისხლიანი ბარათები

ჩვენისთანა უმანკო ბავშვებისათვის... მკვლელებო, თქვენი სისხლიანი ხელები შორს, თქვენი დამაშვიდებელი სიტყვებით ჩვენ ვერ მშვიდებით!

მშობლების დაღუპვის ცნობა, ორმ მომიტანეს, მე მოვკვდი, მახსოვს, როგორ ჩავიძეცე, ვიღაცამ ხელი შემაშველა, ძირს არ დავცემულვარ, შემდეგ ნელ-ნელა გამიცივდა ხელები, ფეხები და სიცივემ მთელ ტანში დამიარა, გული გაცივდა და სასიამოვნო ურუანტელმა დამიარა, შემდეგ თითქოს ფრთები შემასხეს, ავფრინდი და თეთრ ღრუბლებზე მოვიკალათე, მხოლოდ ეს იყო, რომ ვერ ვაზროვნებდი, თითქოს ვიღაცას დავეძებდი, როგორც მოვკვდი, ასევე გავცოცხლდი მესამე დღეს, მხოლოდ, სიცივის ნაცვლად სითბო დამიბრუნდა და დღეს, 24 დეკემბერს, მშობლების დაღუპვიდან ორი თვის შემდეგ, გამომწერებს საავადმყოფოდან, ექიმმა სათანადო რჩევა—დარიგება — მომცა — თურმე ჩემი ნერვიულობა არ შეიძლება, თუ არა, მართლა მოვკვდები, თუმცა მე სიკვდილის არ მეშინა და არც ვდარდობ დიდად, მაგრამ მამაჩემის სიტყვა მახსენდება — „შენ ოჯახის სიცოცხლის გამგრძელებელი ხარ და შენი დაღუპვა არ შეიძლება!“ რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა შევასრულო „ბრძანება“, არ უნდა ჩავაქრო ოჯახის კერა და უნდა გავაგრძელო მისი არსებობა, გადავწყვიტე, მე არ მოვკვდე!

1943 წელი, 23 თებერვალი (სამშაბათი)

ომის ქარცეცხლი მძვინვარებს მსოფლიოში, 23 თებერვლის დღესასწაულს, აღბათ, სანგარში ზეიმობენ ჩვენი ჯარები და შეტევაზე გადადიანბ კიდეც. დაეტყო ფაშისტებს ჩვენი მებრძოლების ხელი საგრძნობლად გატყდა წელში ფაშიზმი, ჩვენი ჯარები იბრუნებენ დაპყრობილ ადგილებს და წინ მიიწევენ ბერლინისაკენ!

მე, პირადად, ვერ ვზეიმობ დღევანდელ დღესასწაულს, არც ახალ წელიწადს არ მქონია საზეიმო სუფრა, ვმუშაობ, ვირჩენ თავს, ვსწავლობ, ვაღრმავებ ცოდნას და ესაა სულ

ჩემი ცხოვრება, ცირკის მეშვეობით არ განვიცდი მაინცდამაინც ხელმოკლეობას, სამყოფი მაქვს პური და წყალი, ასე რომ, ოჯახიდან არცერთი ნივთი არ გამიტანია ჯერ გასაყიდლად, ვცხოვრობ ჩემთვის, მარტოდმარტო, მართალია, ავადმყოფობის შემდეგ ცოტა გამიჭირდა ცირკში ხელოვნების აღდგენა და ინსტიტუტში სწავლას ჩამორჩენილი, ძლივს დავეწიე ამხანაგებს, მაგრამ რადგანაც გადავწყვიტე, რომ მე არ უნდა მოვკვდე, ყველაფერი აღვადგინე სულ მოკლე ხანში.

საზეიმოდ აღარავის აქვს საქმე ჩვენს ქალაქში, მატერიალური შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, ლხინის სუფრა მაინც არ გაიშლება, მთელი ქალაქის მოსახლეობა შავებში შემოსილი დადის, ჩემი შავი ტანსაცმელიც მიემატა ქალაქს და ვინ იცის, როდის გავიხდი მას, მშობლებზე გულდათუთქული, მე ხომ მათი აჩრდილი არ მშორდება, დამით რჩევა—დარიგებას მაძლევენ და დღისით მეხმარებიან მოცემული რჩევა—დარიგების განხორციელებაში.

არასაღროს არ მჯეროდა ღმერთის არსებობისა და ახლა, მშობლების დაღუპვის შემდეგ, სასაცილოდაც კი მიმაჩნია იმისი ყოფნა, ღმერთი რომ იყოს, ამდენ კეთილ ადამიანებს რა დაღუპავდა, მაგრამ არ ვიცი, როგორ აიხსნება სიზმარი, ყველა სხვადასხვაგვარად ხსნის და არც მე ძალმიძს სწორი ახსნა—განმარტება მივცე მას:

ეს სიზმარი თორმეტ ოქტომბერს ვნახე, მაშინ ჩემი მშობლები ცოცხლები იყვნენ: ვითომ დედა მოვიდა ჩემთან. ვიცოდი, ფრონტზე რომ იყო წასული, და მიხაროდა მისი დაბრუნება, დედამ კალთაში ჩამისვა პატარა ბავშვივით, დამიწყო კოცნა და გამომემშვიდობა.

— რატომ მემშვიდობები ისევ, ისე მიდიხარ? — შევაკითხე.

— ჰო, დილით ადრე წავალ, მოვედი, რომ გამოგემშვიდობო, შენი უნახავი არ მინდოდა წავსულიყავი, აბა, შენ იცი, როგორ ჭკვიანად მოიქცევი, ხალხს არ ათქმევინო, რომ უპატრონო ხარ და შენი ჭკუა არ გაგაჩნია. ხალხს არაფერი

დაავიწყდება, კარგსაც მისცემენ სათანადო შეფასებას და ცუდსაც, ადამიანები იმდენად სამართლიანები არიან, რომ მათი ნდობა კანონზომიერია, ამიტომ მაშინაც კი არ უნდა ვერიდოთ მათ, როცა სავსებით ბოროტები არიან, ბოროტი ადამიანების გარეშე კეთილი ადამიანები ვერ იცხოვრებდნენ, ან ინტერესი არ ექნებოდა ცხოვრებას, ხომ ხედავ, დაჭრილებსაც არ ინდობენ ბოროტი ადამიანები, ჰოსპიტალსაც კი წვავენ და ანგრევენ, მაგრამ მათ შორისაც არიან კეთილი ადამიანები, ყველა ფაშისტი როდია, ამიტომ გავიმარჯვებთ ჩვენ! ერთად შეკავშირებული კეთილი ადამიანები ყოველგვარ გაერთიანებულ ბოროტებასთან გაიმარჯვებენ!..

მე ახლა უნდა წავიდა, შვილო! უნდა მტლად გადავეფარო დაჭრილებს – მითხრა დედამ და წასასვლელად წამოდგა, მე კისერზე შემოვეხვი, ვკოცნიდი და ვტიროდი...

წავიდა, შორს გავაცილე, უკან დაბრუნებისას გზა დამებნა, უღრან ტყეში აღმოვჩნდი, ტანსაცმელი მოთლად შემომეხა, სახლში დაბრუნების მრცვენობა, დედა მობრუნებულიყო, მომიახლოვდა და დამტუქსა, რატომ ასე შორს გამომაცილეო, მითხრა, შემდეგ შავ თავსაფარში გახვეუდი, შავი კაბა და შავი თავსაფარი მომცა, კაბა ჩამაცვა, თავსაფარი დამახურა, ტყიდან გამომიყვანა და გზაზე დამაყენა.

– გიმეორებ, შვილო, მე არა მაქვს დრო, სახლამდის მიგაცილო, წადი სახლში და ყურადღება მიაქციე საკუთარ თავს, შენ პატარა აღარ ხარ და იმდენი უნდა იცოდე, რომ შენი დაკარგვით ვერავის გადაარჩენ...

დედა წავიდა და მე ატირებული წამოვედი სახლში, რომ გამომეღვიძა, სინამდვილეშიც ვტიროდი, სულ მოთლად სველი იყო ბალიში, მივხვდი, რომ სიზმარი იყო და გამეხარდა.

თვრამეტ ოქტომბერს მშობლების დაღუპვის შეტყობინება მივიღე.

ცამეტ ოქტომბერს, დილით, ხუთ საათზე, ჭურვებით დაუნგრევიათ ჰოსპიტალი გერმანელებს და ჩემი მშობლებიც დაჭრილებთან ერთად დაღუპულან...

თვრამეტ ოქტომბერს, როგორც აღვნიშნე, მე მოვკვდი და თეთრ ღრუბელზე მოვიკალათე, დედამ არც იქ დამტოვა მარტო განსაცდელში, მეზობელი ღრუბლიდან გადმოაბიჯა, სულ მთლად თეთრებში შემოსილმა, ფეხშიშველმა და ჩემთან მოვიდა:

— არა გრცებვენია? — მითხრა დედამ — ნუთუ ფუჭად ჩაიარა ჩემმა შრომამ, ჩემმა დარიგებამ, ნუთუ ვერაფერი შეგასმინე? ჰა! დალიე ეს წამალი! — და წამალი თავის ხელით ჩამიდო პირში, (ჩემს სიცოცხლეში ასეთი ტკბილი არაფერი დამილევია, აი, ახლაც, როცა ამ დღიურს ვწერ, იმ წამლით პირი ისევ ტკბილი მაქვს და ნერწყვს მგვრის იმისი სიტყბოება).

წამალი გადავყლაპე.

— ოჳ! რა ტკბილია — აღმომხდა.

— დედისგან მოწილებული საწამლავიც ტკბილია და შვილზე წამლად მოქმედებს, ასეთია დედის გული და დედის ხელი, რასაც დედის ხელი მოხვდება, ყველაფერი ტკბილია!

დედამ თავი წამომიწია, კალთაში ჩაიდო და თმის თითებით ვარცხნა დამიწყო, სასიამოვნო გრძნობა დამეუფლა და გავინაბე, მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ჩემი გატრუნვა, ლოყაზე ცრემლი დამეცა და ზეზე წამოვიჭერი.

— ტირიხარ, დედა?

— არა, შვილო — მიპასუხა და თავსაფრის ჭურით ცრემლები შეიმშრალა.

— დედა, შენ ტირიხარ! — ვიკივლე მე და ხელებზე ვეცი, კოცნა დავუწყე, ხელები გამარიდა, მუხლებზე დავეცი და შიშველ ფეხებზე დავუწყე კოცნა, ვკოცნიდი და ვტიროდი, ხმამაღლა ვტიროდი და ახლაც, როცა ამ დღიურს ვწერ, ვფიცავარ დედას, ახლაც ვტირი, დედა ადგა წასასვლელად, მოემზადა, ჯერ დამკოცნა, ცრემლები მხურვალე ტუჩებით ამომიმშრალა, შემდეგ ხელი მომკიდა და ღრუბლებიდან თოვლის ფიფქივით გადმომაგდო, მე ვიკივლე, ორგანიზმში სითბო ჩამეღვარა...

დღეს, ოცდასამ თებერვალს, გამთენისას, ისე მოვიდა დედა, მომიალერსა, გახარებული იყო, კარგად რომ ვიყავი, კარადიდან საჭმელები გამოვიდე და სუფრა გავაწყვე, ხელი არაფერს არ ახლო.

— ჩვენ მთავრობა გვაჭმევს უფასოდ! — მითხრა და თევზი ჩემსკენ გამოსწია.

— აბა, რა მოხდა, რატომ ხარ ასეთი დარღიანი? — შევეკითხე.

— ქვა მაწევს, შვილო, გულზე, გაჭირვებას არასდროს არ შევუშინებივარ, მაგრამ ვეღარ ვუძლებ!

გამომედვიძა და, ერთადერთი, ჩემი ცრუმლები მოვიშველიე, ვტირივარ და ვფიქრობ: იქნებ მართლაც ნანგრევებში დაიმარხნენ ჩემი შშობლები, ჯერ მართლაც, არავის სცალია მათ ამოსალებად და დასასაფლავებლად, ბიჭი მაინც ვიყო, წავიდოდი მათი გვამების საძებნელად, ახლა, რა ვქნა, რა შემიძლია, უძლურსა და უმწეოს...

ასეთი სიზმრების ნახვის შემდეგ, მეც დამებადა მეცნიერული შეხედულება სიზმარზე:

ჩვენთვის ცნობილია, რომ საფრთხის მოახლოებას ცხოველები წინასწარ რამოდენიმე დღით ადრე გრძნობენ, თურმე, ვირთხები და თაგვები სამი დღით ადრე გრძნობენ გემის ჩაძირვას და გემზე დარბიან თავის გადასარჩენად.

სამი დღით ადრე გრძნობენ მხეცები და გარეული ცხოველები ტყეში მოსალოდნელ ხანძარს და ტყიდან გარბიან. შინაური ცხოველები წინასწარ გრძნობენ მტაცებელი მხეცის მოახლოებას და ბდავიან...

ადამიანს არა აქვს ასეთი შეგრძნების უნარი განვითარებული, მაგრამ გამორიცხული არ არის, ძილში, როდესაც ადამიანის თავის ტკინის ზოგიერთი უჯრედი ფხიზელია, შეიძლება ეს უჯრედები იყოს წინასწარ შემგრძნობი უჯრედები და სიზმარში ვხედავდეთ მოსალოდნელ საშიშროებას.

დადგენილია, რომ ტვინი შედგება დაახლოებით 14–16 მილიარდი ნერგული უჯრედისაგან, მათგან კი აქტიურად, შემო-

ქმედებითად მოქმედებს მხოლოდ 5–7 პროცენტი, ესე იგი, ადამიანს გაცილებით მეტი შეძლებია, ვიღრე აკეთებს და გამორიცხული არ არის, ეს დიდი რაოდენობის ტენის მალული მარაგი მოქმედებაში იყოს ორგანიზმის დასვენების დროს და ძილში ვხედავდეთ ყოველივეს მათი მეშვეობით.

ისტორიაში მრავლად არის მაგალითები, როცა ადამიან-ში მალული რეზერვები იღვიძებს, არა ერთბაშად, არამედ სიცოცხლის რაღაც პერიოდში, ადამიანს აზრადაც არ მოსვლია, ბოროტება ჩაედინა, მაგრამ მასში გაიღვიძა მიმალულმა (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ „მხეცურმა რეზერვმა“) და ბოროტმოქმედება ჩაადენინა, ჯერჯერობით, კაცობრიობა უძლურია, გამოვაღვიძოთ ჩვენი შემოქმედებითი მარაგი და გამოვიყენოთ ის, ეს რეზერვები თავისით იღვიძებენ მოულოდნელად და უმეტეს შემთხვევაში, ორგანიზმის დასვენების დროს, როდესაც სძინავს და ისვენებს ადამიანის თავის ტვინის ნერვიული უჯრედის მოქმედი პროცენტი.

1944 წელი, 25 სექტემბერი (ორშაბათი)

მართალი უთქვამთ, დრო ყოფილა ყველაფრის მკურნალი, დრო და დრო ადამიანის გულში ჩნდება მცირედი სიხარული და იკურნება სევდისაგან, მართლაც, დრო ყოფილა მეფე ზალხისა და წუთისოფლისა, ჭეშმარიტად, გამჭრიახა ის, ვინც იცის დროის ფასი, ხანდახან დრო ჩვენ კეთილშობილი გვგონია და კეთილშობილურად ვიყენებთ მას, როცა ის დიდ განსაკვდელს გვიმზადებს, მაგრამ სიკეთის გულისთვის ქების ღირსა მხოლოდ დროის ის ერთი წამი, რომელსაც იმისი ძალაც შესწევს, ხანდახან ბოროტი იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიკეთე სხვა არა არის რა, თუ არა ბუნების ან დროის სისუსტე.

შეიძლება ვიღაცამ ჩემი დღიური წაიკითხოს და იფიქროს, „დროს მშობლები დაუვიწყებია, ამ გოგონასთვის“ – ეს სწორი არ იქნება, მათი ნათელი ხსოვნა არასდროს არ

მოკვდება ჩემს გულში, „მაშ, არ ყოფილა დრო მჯურნალი“ – იტყვის ის ვიდაცა, არა, მე ისევ ჩემსას ვამბობ, დრო მჯურნალია, მაგრამ ჩემი მშობლების დაღუპვიდან არ გასულა ის დრო, რომ დავიწყებას მისცემოდნენ, რამეთუ მშობლების დავიწყება მათი შეიღების გარდაცვალების შემდევ იწყება....

არიან ისეთებიც, რომლებიც ცოცხალ მშობლებსაც კი ივიწყებენ, ეს ქცევა გადამდებია, კაცთა მოდგმის ყველა ძეთილისმყოფელსა თუ ბოროტმოქმედს თავიანთი მიმბაძველები ჰყავს, მაგრამ კაცთა მოდგმა სიკეთისაკენ არის მიმართული და ჩვენ, უმეტესობა, კაცობრიობის ამ გზას უნდა გაგვეთ, რათა კეთილისმყოფელმა ხალხმა თავის დროზე დაგვავიწყოს დაკარგული ადამიანები.

მე უკვე მესამე კურსის სტუდენტი ვარ და ცირკის დამსახურებული ოსტატი, ისე მიგვჩევე ბაგირზე სიარულს, ცეკვას და ქანაბს, რომ მეჩვენება, თითქოს მიწაზე მიჭირდეს სიარული.

განცვიფრებაში მომყავს მაყურებელი, არ ვიცი, რა არის დაღლა, ალბათ, ამ წარმატებას, ჩემმა ფიზიკურმა ჯანმრთელობამ, სიძლიერებ და ვარჯიშმა მიმაღწევინა.

არაერთჯერ მოურთმევია მაყურებელს ჩემთვის ყვავილები, ვარდების თაიგული და დაფნის გვირგვინიც, კი მაგრამ დღევანდელი ვარდების კონა, ყველა განსაკუთრებულისაგან განსხვავდებოდა; ვარდების კონაში ყველა ჯიშის ვარდი იყო, ღეროები ყველას ერთნაირად ჰქონდა გადამტვრეული, ეს კი უტყუარი მოწმე იმისა, რომ ვარდები მოპარული უნდა ყოფილიყო, ასეთი ვარდები კი არავის მოურთმევია ჯერ ჩემთვის და ვარდების ჩამორთმევისთანავე იმისი მომტანიც შემებრალა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა მაყურებლებისაგან ისიც განსხვავდებოდა, მას ეცვა სტუდენტური ტანსაცმელი, უბრალო, ალბათ, დარიბულიც, საშუალო სიმაღლის ტანი, სახე მრგვალი და იმდენად ლამაზი, რომ ლამაზი ქალიშვილისაგან მხოლოდ საულვაშეზე აყვავებული ბუსუსებით განსხვავდებოდა,. თმა წაბლისფერი, დატალღული, რომელიც თითებით დაევარცხნა და კიდევ მეტ სილამაზეს აძლევდა.

ახალგაზრდა ქალს არ გამოეპარებოდა და არც მე გა-
მომპარვია, რომ ეს ახალგაზრდა აქ ცირკის სანახავად არ
იყო მოსული, მას რაღაც სხვა აწუხებდა, ამას მისი თაფლის-
ფერი სევდიანი თვალები მეუბნებოდნენ.

მომართვა ვარდები, მეც გამოვართვი, მადლობა გადავუჩ-
ადე, მაყურებლებს თავი დავუკარი და კულისებში გავუჩინარ-
დი, რა იყო ძირფესვიანად წუთიერი შესწავლა იმ ახალ-
გაზრდისა, მეც არ ვიცი, ცირკიდან სახლში ვბრუნდებოდი და
იმისი გამოწვდილი ხელები მელანდებოდა, დასაძინებლად
დავწექი და სიზმარში ვნახე.

ნეტავ, რა მემართება? დღდა, დამიფარე, მაკმარე ის სიმწარე,
რაც ვნახე, დათრგუნე და ამაცილე მავნე, როგორც ყოველთვის,
დამაფარე შენი კალთა და მიხსენი ბოროტებისაგან.

ამ სიტყვების ბუტბუტით ავდექი საწოლიდან, მოვძებნე
იმ ყმაწვილის ნაჩუქარი ვარდები, რომელიც უპატრონოსავით
ეყარა მაგიდაზე და ბროლის ვაზაში მოვათავსე.

საათი ვნახე, ორს თხეუთმეტი წუთი აკლდა და ისევ
დავწექი დასაძინებლად, მაგრამ არ იქნა და არ დამებინა,
ავდექი, ჩავიცვი და დღიურის წერა დავიწყე, რიჟრაჟმა შე-
მოაღწია ფანჯარაში, საათს დავხედე, ექვს ოცი წუთი აკლდა,
დღიურის წერას მოვრჩი და სახლის დალაგებას შევუდექი.

1944 წელი, 26 სექტემბერი (სამშაბათი)

ინსტიტუტიდან სახლში წამოსვლას ვაპირებდი, რომ
„განსაკუთრებული ვარდების“ მომძღვნელი ყმაწვილი შევნიშნე,
ის მე მიახლოვდებოდა, მინდოდა, ყურადღება არ მიმექცია და
გვერდი ამევლო, მაგრამ ვერ შევძლი, მონუსხულივით შევდექი
და იმისკენ წავდი, ერთმანეთს შევხვდით, სალამი მომცა, მე
ხმა არ ამომიღია, მან კი განაგრძო:

— მერი, ვერ მიცანი? თუმცა, რას მიცნობდი ერთჯერ
ნახულ ადამიანს, როცა მრავალი ჩემზე უკეთესი თაყვანისმ-
ცემლები გყავთ, მწამს ჩემს სახეს ვერ დაიმახსოვრებდით!

იმისი სიტყვები შეურაცხყოფად მივიღე და თითქოს ამ შეურაცხყოფამ ძალა მომცაო, როგორც იქნა, ხმა ამოვიღე, რათა სამაგიერო მიმეზღო ამ ახალგაზრდისთვის.

— მე თაყვანისმცემლები არავინაც არ მყავს. ცირკის მაყურებლები ჩემი გულგშემატკივრებია და იქ შენსავით არავინ არ დადის, ვისაც ცირკი არ აინტერესებს, არც ასე უხვად არ მოაქვთ ჩემთვის მოპარული ვარდები, როგორც შენ მომიტან!

— იმიტომ გადაყარე ჩემი მოპარული ვარდები, რომ ნაქურდალი იყო?

— დიახ, იმიტომ!

— კი მაგრამ, არ შეგებრალა იმისი მომპარავი? რომელ-საც ფული არ გააჩნდა და ვარდების შოვნა კი სიცოცხლედ უღირდა, რათა შენთვის მოერთმია, წამიერი სიხარულის განცდი-სათვის, ნუთუ გალებზე სისხლის კვალი ვერ შევნიშნე, რომელ-მაც ჩემი ხელის გულები დაგლიჯა? ნუთუ, ვერ შენიშნე იმ ახალგაზრდის ერთადერთი ჩამოხეული შარვალი, რომელიც ძალლმა შემოაგლიჯა და თვითონ შემთხვევით გადარჩა?

კინაღამ ტვირილი დავიწყე, იმხელა სითბო ჩამელვარა გულში, მაგრამ მაინც ასე ვუპასუხე:

— ყველაფერი შევამჩნიე!

— და მაინც გადაყარე?

— არა, არ გადამიყრია.

— არ გადაყრიდი, არა! ბროლის ვაზაში გექნება ჩადებუ-ლი და ვაზა ყველას შესახედავ ადგილზე დადებული...

— სწორედაც რომ ასეა!

— ქვეყნის დაქცევას დავიჯერებ და ამას ვერა, ვერც იმას, რომ ტყეუილის თქმა შევიძლია.

— მე თქვენ არაფერს არ გაჯერებთ, მხოლოდ ჩემი გუ-ლის სიმართლეს ვლაპარაკობ და თქვენ გინდ დაიჯერეთ, გინდ არა.

— მარტო დღეს კი არა, ყოველთვის თქვენს სიმართლეში რომ დავრწმუნებულიყავი და დღეს მომესურვებინა ვაზაში ჩაწყობილი ყვავილების ნახვა, ნებას დამრთავდით?

— ამას ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, მომავალში ჩემს სიმართლეში დარწმუნდებით თუ არა, მხოლოდ დღეს, საკუთარი თვალით დაგანახვებთ ჩემს სიმართლეს, წამობრძანდით!..

ფეხით გაუყევეთ თითქმის დაცარიელებულ ქუჩას, ვაჟი ძალიან მორცხვობს, ჩუმად მივდივართ, სახელიც კი არ ვიცი, რა ჰქვია, მეც რაღაც გაოგნებული ვარ და ასე უხმოდ, შეუმწენევლად მივადექით ჩემი სახლის სადარბაზოს, კიბეები ავიარეთ და სახლის კარებთან ავიტუზეთ, ჩანთაში კარების გასაღები მოვძებნე და უცნობს გავუწოდე, კარები გააღო, ერთი ნაბიჯით უკან დაიწია და გზა დამითმო, ოთახში პირველი შევედი, შემდეგ ის შემოვიდა, მისაღებ ოთახში, უხვად ვარდებჩაწყობილი ვაზა თვალსაჩინო ადგილზე იდო.

უხმოდ შესცემეროდა ვაჟი ვარდებს და თან ოთახის გაწყობილობას ათვალიერებდა, არაფერს ამბობდა. იმისმა სიჩუმემ გული გამიწყალა და მყუდროება ისევ მე დავარღვიე.

— ხომ ნახეთ საკუთარი თვალით. რომ უდიერად არ ვექცევი არც ვარდებს და არც გულშემატკივრებს.

— ვნახე, ვხედავ და მიხარია!

— ახლა ბოლიში, მართალია, ქართველები სტუმართმოყვარები ვართ, მაგრამ მარტო ვარ სახლში და ნახვამდის.

— მე არასოდეს, არავისთან არ ჩავიდენ ისეთს, რომ დავძრახო, შევარცხვინო საკუთარი ღირსება და ოჯახი.

— არა, მე მაგისი არ მეშინია, როგორც მარტოდ მცხოვრებს, ბევრი თვალყურის მდევნებელი მყავს და ჩემთან დიდხანს ვაჟის ყოფნამ, შეიძლება სახელის გატეხვა მომიტანოს.

— კარგი, მე წავალ, მხოლოდ მინდოდა გაგცნობოდით და ორიოდე სიტყვა მეთქვა, რაც აუცილებლად მიმაჩნია:

ფანჯარასთან მივიდა, ძირს გადაიხედა, ამოიხვნეშა და განაგრძო: — ვინ იცის, რამდენი ღამე გამითენებია იმ ხეს ამოფარებულს, ველოდი თქვენ გამოჩენას, დაგინახვდი, დავწყნარდებოდი, და წავიდოდი... გვარად არაბული ვარ, ვალერი მქვია, ვსწავლობ მეოთხე კურსზე უნივერსიტეტში...

— დაბრძანდით, მაგიდასთან! — ბოლოს და ბოლოს, ზრდილობა მოვიხმარე, ვალერი სავარძელში ჩაჯდა.

სამზარეულოში გავედი, ნაჩქარევად ჩაი ავადულე და მაგიდაზე ორი ფინჯანი მოვიტანე, მეც მაგიდასთან დავჯექი, ვალერის თვალებში შევხედე და ამით ვაგრძნობინე, გაეგრძელებინა საუბარი, მან ამოიხვნება, ჯიბიდან ოთხად გადაკეცილი ქაღალდის ფურცელი ამოილო, გამომიწოდა და ძლივს გასაგონად თქვა: „მშობლები და ერთადერთი ძმა ომმა შეიწირა“.. აკანკალებული ხელით ძლივს გავშალე მათი უგზოუკვლოდ დაკარგვის ცნობა, იმწამსვე ჩემი მშობლები დამიდგა თვალწინ და ავქვითინდი, ვალერის არ დავუწყნარებივარ, ისიც ტიროდა, ჩაი გაცივებული იყო, როდესაც დავწყნარდით, ვალერი ცრემლიანი ხმით საუბრობდა.

— თავი მინდოდა მომეკლა, ან მტერს შევკდომოდი, როცა მათი დაკარგვის ცნობა მივიღე, მაგრამ გაჭირვება არანაკლებ უწყობს ადამიანის ხსნას ხელს, ვიდრე სიჭაბუკის სიფიცხე, და თუ გადავრჩი, სწორედ გაჭირვებამ გადამარჩინა.

დღესდღეობით, ვსწავლობ და ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობ, ვარ სტიპენდიის კმაყოფაზე, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს, მიუხედავად მატერიალური სისუსტისა, სიყვარულსაც თურმე...

თქვენს ვინაობას ნუ მომიყვებით, მე თქვენ გიცნობთ, ვიცი ყველაფერი თქვენს შესახებ, თქვენი მშობლებიც ხომ...

სიწყნარე ჩამოვარდა, ვალერი აღარ ლაპარაკობდა, მე კი გულისყურით ვათვალიერებდი მას, შევნიშნე ძალლისაგან ჩამოხული შარვალი, რომელიც ულამაზოდ იყო დაკერილი, ეტყობოდა, ქალის ხელი აკლდა და კიდევ მეტი სიბრალული ჩამეღვარა გულში, ვალერიმ შემნიშნა, გასაყიდივით რომ ვათვალიერებდი, უხერხულად იგრძნო თავი, დამე მშვიდობისა მისურვა და წავიდა...

წავიდა და მთლად ამაფორიაქა, მთელი ღამე თეთრად გავათენე, არ ვიცი, რას ვფიქრობ, ან რა მომდის, არა, ეს სიყვარული არ არის, ვალერი, უბრალოდ, შემებრალა, ობოლი,

უსახლკარო, რომელსაც ადამიანი ვერ უნახავს, გულისტკივილი გაუზიაროს და დახმარების ხელი გაუწიოდოს, არა, ხვალ თუ მნახა, მე თვითონ ვნახავ, მინდა მყავდეს მესაიდუმლე მე-გობარი, ვაშები განა ცუდი სამეგობრონი არიან?

1944 წელი, 27 სექტემბერი (ოთხშაბათი)

დილით ადრე ავდექი და ინსტიტუტისაკენ წავედი, კიბეზე კარის მეზობელი ეთერი შემომხვდა, მოხუცებული ქალია, ძალ-დიან სათონ, კეთილი, არა მგონია, ბოროტება იმალებოდეს იმის სპეტაკ სულში, მარტოდ ცხოვრობს, ქმარი და ორი ვაჟი სამშობლოს დასაცავად ჰყავს გაგზავნილი, თვითონ კი ქარხანაში მუშაობს, საბრძოლო იარაღს აწვდის ქმარ-შვილს, ეთერის უმცროს ვაჟზე, როცა პატარები ვიყავით, მე მახ-ელებდნენ, ეთერიც „ცუგრუმელა რძალს“ მეძახდა და თავიდან ფეხებამდის მკოცნილა პატარას.

— დილა მშვიდობისა! — ვუთხარი, მაგრამ არ მიპასუხა, კიბის რამდენიმე საფეხურით რომ დავცილდი, შემდეგ დამ-იძახა:

- შვილო მერი!
- ხომ კარგი ამბავია, ეთერი დეიდა?
- შვილო! მე მიჭირს თქმა, მაგრამ მანც უნდა გითხრა, ხალხი სხვანაირად ლაპარაკობს შენზე, ეს ამბავი არ შეშვე-ნის შენს ოჯახს, სირცხილია, შვილო, ჯერ მშობლები არ გაცივებულან და შენ კი საყვარლები მოგყავს სახლში.
- რას ამბობ, ეთერი დეიდა?
- იმას, შვილო, რასაც მთელი ქუჩა ლაპარაკობს!
- მე ვის დავუნახივარ ვაჟთან გავლილი? მხოლოდ გუშინ მომაცილა ჩემმა ამხანაგმა, საქმე ჰქონდა და მალე წავიდა.
- შენ აქამდის არავის მოცილება არ დაგჭირვებია და ის შენი „ამხანაგი“ „საქმეზე“ შეიძლება დღე მოსულიყო, დამის თორმეტ საათამდე არაფერი საქმე გქონდათ ალბათ!

— რატომაც არა, ომის საკითხებს წყვეტდნენ! — იხუმრა რომელიდაც მეზობელმა — და მე ახლა შევამჩნიე, კიბე მეზობლებით რომ იყო სავსე.

კინაღამ წავიქეცი, არ მეკადრებოდა დაუშვასახურებელი ლანძღვა და შერცხვენა, ვიყო რამეში დამნაშავე მაინც, მაგრამ, ვის გინდა დაუმტკიცო შენი სიმართლე? კიბეზე დავეშვი და გავუჩინარდი, უკან დამცინავი ხარხარი მომსდევდა...

ინსტიტუტში მივედი, ერთ—ერთ აუდიტორიაში განმარტოებით დავჯერი და ფიქრს მივეცი თავი, პირველად გადავწყვიტე, არავისთვის არ გამენდო ეს ამბავი და არავისთან არ გამევლო, სიცოცხლის მანძილზე, მაგრამ ეს აზრი ისევ უარგაფა, ამით ღირსებას ვერ აღვიდებნდი, მეორე აზრი უფრო სწორი მეჩვენა, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, ვალერი ჩემი მეუღლე უნდა გამზდარიყო, მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა ოჯახის შედგენა, დამცველის ყოლა და ყოველგვარი ჭირვარამის მეგობრებთან გაზიარება, სხვაგვარად არ შეიძლებოდა ღირსების აღდგენა, ვინაიდან მეზობლები, ახალგაზრდობა დავიწყებული მოხუცები არიან და მათი შენებურად შთაგონება ძნელია.

ესეც რომ არ იყოს, მე გავაკეთებ კეთილ საქმეს, სტუდენტს მივცემ თავშესაფარს, მივუჩნენ ტკბილ ლუკმას, შევაქმნევინენ თბილ ოჯახს, განა ეს ცოტა სამსახურია სამშობლო-სათვის?

ეს ფიქრი აღარ ვუარყავი, აუდიტორიიდან ფეხაკრეფით გამოვედი და უნივერსიტეტისაკენ წავედი, მოვძებნე ის აუდიტორია, სადაც მეოთხე კურსის სტუდენტები იყვნენ და ვალერიმ დამინახა თუ არა შეკრთა, არ ელოდა ჩემს უნივერსიტეტში გამოჩენას და ჩემ წინ დამნაშავესავით დადგა.

— საქმე მაქვს შენთან! — ვუთხარი და გარეთ გამოვიყვანე.
— ცუდი ხომ არაფერი მომხდარა, მერი? — შეშინებული ხმით შემექითხა ვალერი.

— არა, ცუდი არაფერი! არც კარგი! ახლა არა მაქვს დრო, საღამოს ცირკში ვიქნები ვარჯიშზე, იქ მოდი, გზაში ყველაფერს გეტყვი!

— კარგი, მაგრამ საღამომდის რა გამაჩერებს, ახლავე მითხარი, რა მოხდა?

— არა, არა, საღამოს! — ვუთხარი და ისე წამოვედი, არც დავმშვიდობებივარ.

ინსტიტუტში დაგბრუნდი, დანარჩენ ლექციებს დავესწარი და პირდაპირ ცირკში წავედი, რაც მეზობლებმა შეურაცხყოფა მომაყენეს, ამის შემდეგ, სახლში მისვლა მეზარება, მაგრამ ვეცდები, ისევ დავიახლოვო ისინი, თუ როგორ, ეს ფარული მოფიქრებაა ჩემი და დღიურს ვერ გავანდობ! დაახლოება კი იმიტომ არის საჭირო, რომ უწინდებურად მიყვარდეს მშობლიური კერა და ყველა მაღლიერი მყავდეს იქ, სადაც მიცხოვრია.

ვფიქრობ და ჩემს ქცევაში საძრახისი ვერა მინახავს რა, მაგრამ მგონია, რომ სხვა უფრო ნათელი თვალით მომჩერებია და ხმას არ ვიღებ, თუმცა ცუდია, რომ ყველა ისე განმარტავს ჩემს ქცევას, როგორც მოესურვება, რადაც არ უნდა დამიჯდეს, თუვანდ სიცოცხლის ფასად, უნდა გავიმარჯვო, უნდა გამოვიდე საძრახისი მდგომარეობიდან, აი, ერთადერთი წსნა, რომლის წყალობითაც შემიცნობენ სხვები და, რაც მთავარია, თვითონვე შევიცნობ საკუთარ თავს!

ცირკში უგემურად ვვარჯიშობ, ცალი თვალი კარებისაკენ მაქვს, ვალერის გამოჩენას ველოდები და აი, ვარჯიშის დასასრულს ისიც მოვიდა, საჩქაროდ ჩავიცვი, ვალერის ვანიშნე და კულისებიდან გავედი ქუჩაში.

უხმოდ მივყვებოლი ქუჩას, ვალერიმ ვეღარ მოითმინა და შემეკითხა:

- მერი, ხომ კარგი ამბავია, რა გინდოდა გეთქვა?
- არაფერი, ისე, წუხელი როგორ გეძინა?
- მხოლოდ ეს? წუხელი არ მძინებია სახლში არ ვყოფილვარ.
- აბა, სად იყავი?
- სადგურში, რკინიგზის სადგურში!
- ეს როგორ?

— ეჭ! მერი, შენ რომ ჩემი ამბავი იცოდე, ალბათ, აღარც შემეკითხებოდი.

— თუ მეცოდინებოდა, რატომდა შეგეკითხებოდი?

— პო და მოყოლაც მიძნელდება, არ მინდა, ჩემი დარდი სხვას გავუზიარო და სხვაც დაგასუვდიანო.

— მაშინ მეგობარიც არ უნდა აგერჩია, მომიყევი, ჩემს დარდთან, იქნებ შენი სევდა არაფერი გამოჩნდეს, უდარდელ ადამიანს დღეს ვის ნახავ?

— ბინა ნაქირავები სადაც მაქს, ეზოს ორი მეტრი სიმაღლის ღობე აკრავს, ჭიშკარს საღამოს ათ საათზე კეტავენ და ეზოში ძაღლს უშვებენ, ასე რომ, საღამოს ათი საათის შემდეგ, სახლში კი არა, ეზოში შესვლაც შეუძლებელია, ბევრჯერ ვცადე გადასვლა სხვა ბინაში, მაგრამ სახლის მეპატრონე ჩენი შორეული ნათესავია, უკაღრისობს ჩემს გაშვებას, ამით კიდევ უფრო აუტანელი პირობები მაქს, ალბათ, დღესაც რკინიგზის სადგურში მომიწევს დამის გათევა...

შეუმჩნევლად აღმოგზნდი ჩენი სახლის სადარბაზოს წინ, კიბეს უხმოდ ავუყევი, რითაც ვალერის ვაგრძნობინე, გამომყოლოდა, გასაღები მივაწოდე, კარები გააღო და ბინაში შევედით, იმის ამბის მოყოლით კიდევ მეტი სიბრალული ჩამელვარა გულში და გადავწყვიტე, დღეიდან აღარსად გამეშვა.

სავარძელზე მივუთითე, უხმოდ ჩამოჯდა, მე სამზარეულოში გავედი ჩაის მოსამზადებლად, მაგიდზე ორი ჩაით სავსე ფინჯანი დავდევი, ვალერი მოვიწვიე, ჩაი მოვსვი და საუბრისათვის მოვეტზადე, მაგრამ ძაღლიან მიჭირს დაწყება, თუმცა ვალერიში ძაღლიან ახლობელ ადამიანს მიეჩერებივარ და ცოტა ძალას მმატებს ეს, მაგრამ მაინც, ქალური სათნოება მწევს უკან, მაყოფმანებს, ბოლოს, როგორც იქნა, ძაღლა მოვიკრიბე და დავიწყე.

— იცი, რისი თქმა მინდოდა? დღეიდან მე შენ არსადაც არ გაგიშვებ! სვალ დილით საკუთარ ნივთებს გადმოიტან ჩემთან, შავი ძაღლის მეპატრონე ნათესავიდან, ამას მოითხოვს

როგორც ჩემი, ისე შენი პირადი ცხოვრება! – ვალერის მო-
ვუყვარ ყოველივე, თუ როგორი შეურაცხოფა მომაყენეს მე-
ზობლებმა.

ვაჟი ჩაფიქრდა. მე მეგონა გაიხარებდა ჩემი წინადადები-
თ და სიხარულის გრძნობით იყო გატრუნული, მაგრამ შევცდი,
დიდი დუმილის შემდეგ ვალერიმ უარი მითხრა ჩემს წი-
ნადადებაზე.

– ეს დიდი ბედნიერება არის ჩემთვის, ფრთები ესხმება
დიდი ხნის ოცნებას, მაგრამ ჯერჯერობით შეუძლებელია, მე
ვარ ღარიბი, უსახლკარო სტუდენტი, უმწეო გოგონას ვერ
დაგაწვები კისერზე სარჩენად და დასახმარებლად, დამთავრდება
ომი, დავმთავრებ უნივერსიტეტს, დავიწყებ სამსახურს და
მხოლოდ მაშინ, იმ დღესვე შევუდლდებით.

– მერე, სირცეგილი? მეზობლებისგან შერცხვენა? რით
ან როგორ მოვაწინდო სირცეხვილის ლაქა? ან შენ რატომ
ფიქრობ, კისერზე დამაწვები, მეუღლე-მეუღლისათვის ხომ
ცოცხალი ორგანიზმია, გული თუ თვალისათვის ფიქრობს,
თვალმაც უნდა ითვიქროს გულისათვის? შეიძლება ბევრი რამე
მოგვაკლდეს მაგრამ უნდა იყოს სპეტაკი სიყვარული!

– მერი, ავადმყოფი ადამიანი ყველაზე ძნელი მოსავლე-
ლია, მაგრამ მას არ აგდებენ, თუმცა, გამოჯანმრთელების შემ-
დეგ ასაყვედურებენ, ვინ იცის, შეიძლება შენც დამასაყვედურო
ოდესმე ლუკმა-პური და თავშესაფარი, ამან კი ოჯახის დან-
გრევა გამოიწვიოს, ყველაფერზე უფრო მე ამას ვერიდები!

– ამას თუ ჩემზე ფიქრობ, შენ მერი ვერ გიცვნია, შენ
საკუთარ თავზე შეხედულებით საზღვრავ სხვას, არ ვიცი,
რატომ, შენ ხომ თანამედროვე ხარ, ნუთუ ვერ გამოგიცვნია
ადამიანი?

საღი გონება ყოველთვის სწორად წყვეტს საკითხს, გვინ-
ერგავს მომჭირნეობასა და წინდახედულობას, ხოლო რაც
შეეხება სიკეთეს, მას ბუნება გვანიჭებს, არ ვიცი, საკუთარ
თავზე ვერაფერს ვიტყვი ბევრს, მაგრამ მგონია, ბუნების წყ-
ალობით, კეთილი უნდა ვიყო, მე მოქალაქეობრივი მოვალეობა

არ მაძლევს უფლებას, დღესაც გარეთ გაგაგდო და რკინიგზის სადგურში გაათიო დამე, როდესაც მე, ერთ ადამიანს, სამოთახიანი კეთილმორწყობილი ბინა მაქვს, შენ არ იფიქრო, რომ მე მინდოდეს შენთან სიახლოვე და გეხვეწებოდე, ჩვენ როგორც აქამდის, ისევ ისე შორს ვიქებით, მხოლოდ შენ იცხოვრებ იმ ოთახში! – ამ სიტყვებთან ერთდ ავდექი, საძინებელი ოთახის კარები გავაღე და საწოლზე ლოგინი ავშალე – ახლა ძილის დროა „დამე მშვიდობისა!“ – ვთქვი და მეორე საძნებელ ოთახში გავედი, კარები საიმედოდ ჩავკეტე გავიხადე და დასაძინებლად დავწექი, მაგრამ მთელი ღამე ძილი არ მომკიდებია, საძნებელი ოთახების შუაში მისაღები ოთახია, თითქმის საკმაო მანძილი გვაშორებს ერთი მეორესთან, მაგრამ მაინც ვგრძნობ იმის სუნთქვას, მესმის იმისი გულის ცემა და ეს სიახლოვე ძლიერ მაფორიაქებს.

ვგრძნობ, რომ არც მას სძინავს, მინდა გული გადავაყოლო, ავდექი და დღიურის წერა დავიწყე, ცოტა დავწყნარდი, შემდეგ ჩავიცვი და ვაღლერის საძინებელი ოთახის კარები ფრთხილად გავაღე, ვიცი, ვაღლერის არ სძინავს, მაგრამ თავი მოიმძინარა და ვერც მე შევამჩნიე თითქოს, წყნარად მივუახლოვდი, სავარძელზე გადაფენილი იმისი ტანსაცმელი ავიდე და ფეხაკრეფით გამოვედი, ნემსი და ძაფი მოვძებნე, გულდასმით დავკერე შარვალი და გაწმენდა დავიწყე, მაგრამ ისეთი ჭუჭუანია შარვალი და პერანგის საყელო, იძულებული შევიქწნი, რომ გამერეცხა, არავისი არ მომრიდებია, ტანსაცმელი გარეთ გავფინე გასაშრობად, სიმშვიდე ვიგრძენი და დასაძინებლად გაუხდელი წამოვწექი, მაღლობა ღმერთს, მაღლე ჩამეძინა.

1944 წელი, 28 სექტემბერი (ხუთშაბათი)

ალბათ, ერთი საათი მემინა, მეტი არა, ფანჯარაში დილის სინათლემ შემოანათა, საჩქაროდ ავდექი, ვაღლერის ტანსაცმელი შემოვიტანე, ცოტა სველია, მაგრამ უთოთი გავაშრე და

ლამაზად გარეცხილ—გაუთოებული თავის ადგილზე გადა-
პკილე.

შემდეგ საუზმე მოვამზადე და ინსტიტუტში წასვლის
დრომაც მოაღწია, ფრთხილად დავაკაკუნე ვალერის საძინე-
ბელი ოთახის კარებზე — „ახლავე“, მომცა პასუხი. როგორც
ეტყობა, ამდგარა და იცვამს, გამოვიდა, პირი დაიბანა, მაღლობა
გადამიზადა ტანსაცმლის დასუფთავებისათვის და კოცნით
უნდოდა დავეჯილდოვებინე, მაგრამ ისე მკაცრად შევხელდე,
რომ ადგილზე გაიყინა და რამდენიმე წუთი ხელგამოწვდილი
იდგა.

მაგიდასთან მივიწვიე, ერთად ვისაუზმეთ და შემდეგ ინ-
სტიტუტამდე მიმაცილა, საღამოს აქ დამელოდე, ვუთხარი მე
და ინსტიტუტის შენობაში გავუჩინარდი, ინსტიტუტიდან გამ-
ოვედი თუ არა, დაბარების თანახმად, ვალერი ადგილზე დამხ-
ვდა. ხელკავი გამოვდევი და სახლში წავედით, არ ვიცი,
რატომ ვარ მხიარული, ალბათ, მეამაყება ვალერის გვერდით
დგომა, საღილი ნაჩქარევად გავაკეთე და ცირკში წავედი,
ამჟამად, გზაზე თუ სახლში, საერთო საქმეზე ვლაპარაკობთ,
უმეტესად კი, ჩვენი საუბარი ომსა და სწავლას ეხება.

მოუხედავად დაღლილობისა, ცირკში თავგანწირვით შევას-
რულე ყველა ჩემზე მიკუთვნებული ნომერი, ალბათ, ვალერის
ცქერა ძალას მმატებდა.

ვალერი პირველი ადამიანია ჩემს ცხოვრებაში, რომ-
ლისთვისაც სიკეთეს ვთესავ და მაღლობელი ვარ მასზედ,
რომ სიკეთითვე მიხდის, ვინც რაც უნდა ისა თქვას, ყურა-
დღებას არავის და არაფერს მივაქცევ, მხოლოდ ვიყო საკუ-
თარი სინდისის წინაშე სპეტაკი, ღმერთმა იცის და ჩემმა
სინდისმა, რომ ვალერი ჯერჯერობით ჩემი ძღვმურია და
მეტი არაფერი, სხვამ კი, როგორც უნდა, ისე ჩათვალოს, უნდა
მეუღლედ და უნდა საყვარლად, ზოგ ადამიანს ბუნებამ დაანათლა:
სიბრივე, სიბეცე და ჭორაობა, ისინი სისულელეს არა მარ-
ტო საკუთარი ნება—სურვილით ჩადიან, არამედ ბუნების გან-
ჩინებითაც და მათ ვერ გადაათქმევინებ და გადააჯერებ სისხლ—

ხორცმი გამჯდარ რწმენას, ასეთ ადამიანებს თავდაჭერილობა აკლიათ და სამაგიეროდ, ჩვენ უნდა ვიყოთ მათთან თავდაჭერილნი, ალბათ, თავდაჭერილობა იმიტომ მოიგონეს, რომ გასაქანი არ მიეცათ მატერიალურად შეძლებული ბრიყვებისათვის, თორემ ასეთი ბრბო ფეხქვეშ გათელავდა ქვეყანას, ამავე დროს, თავდაჭერილობა დიდი ნუგეშია, მატერიალურად სუსტი, პატარა, კეთილი ადამიანისათვის, რათა მტკივნეულად არ განიცადონ თავიანთი სიღატაჲე და სულიერი სიმწარე.

ცირკიდან გამოვედი, ვალერი გარეთ მელოდებოდა, ხელგავი გავუკეთე და სახლში აჩქარებული ნაბიჯით წამოვედით, ვიკახშეთ ღარიბულად, მაგრამ მხიარულად, მაღიანად და გემრიელად, ცოტა ხანს ვისაუბრეთ, მერე ვალერის – „ღამე მშვიდობისა“ ვუსურვე და ჩემს საძინებელ ოთახში საიმედოდ ჩავიკეტე, გავიზადე და რომელ გვერდზედაც დავიძინე, იმავე გვერდზე გამომეღვიძა, ასე გემრიელად და ასე უშიშრად, მშობლების წასვლის შემდეგ აღარ მძინებია.

1944 წელი, 29 სექტემბერი (პარასკევი)

ავდექი, დავიბანე, ჩავიცვი და სამზარეულოში გავედი საუზმის მოსამზადებლად, მეგონა, ვალერის ისევ ეძინა, მაგრამ შევცდი, ის სამზარეულში შემოვიდა – „დილა მშვიდობისა“ – მისურვა და ჩემს წინ პატარა სკამზე ჩამოჯდა, ვგრძნობ, რაღაც უნდა მითხრას, მაგრამ თითქოს ვერ გაუბედავს და ისევ მე შევაგულიანე.

– რატომ ასე ადრე ადექი, ვალერი? – ალერსიანად შევეკითხე.

– აქამდისაც უნდა ავმდგარიყავ, მე მთელი ღამე არ მიძინია, იცი რას გეტყვი, მერი? ბოროტმოქმედება ხშირ შემთხვევაში არც ისე საშიშია, როგორც მეტისმეტი სიკეთის ქმნა.

მე მეტი აღარ შემიძლია, ან შენ შეწყვიტავ ჩემს მიმართ, უცხო ადამიანის მიმართ, სიკეთის ქმნას, ან მე დღესვე წავალ ამ ქალაქიდან.

ბევრი დამე გამითენებია იმის ფიქრში რომ შენ სიახლოვეს ვყოფილიყავი, ეს ნატვრა ამისრულდა, ვართ ერთ ჭერქეშ და ისევ ისე უცხონი. ჩვენ ოჯახში აღარავინ აღარ გვყავს, რომ რჩევა ვკითხოთ, ამიტომ საკუთარი თავით გადავწყვიტოთ, ჩვენ ან შევუძლდებით, ან მე სამუდამოდ წავალ ამ ქალაქიდან.

- მაინც სად აპირებ წასვლას?
- ფრონტზე... და ვინ იცის, იქნებ სამუდამოდ დავრჩე იქ, ყოველ შემთხვევაში, თუ დავბრუნდი, შემდეგ გავაგრძელებ უნივერსიტეტში სწავლას...
- როგორც გენებო!
- მხოლოდ ამ სიტყვით რისი თქმა გინდა?
- რისი თქმაც მინდოდა, გითხარი, რჩევას ვერ მოგცემ, რომელიც შენს წასვლას თუ დარჩენას შეეხება, შეუღლებაზე კი, ალბათ, წინააღმდეგი ვიქწები, ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ, ომი დამთავრდება, დავამთავრებ სწავლას, მოვეწყობი სამსახურში და მერე ვნახოთ...
- ჩემს სიტყვებს იმეორებ?
- რა თქმა უნდა, თუ საკუთარი თავი არ უვარგა ადამიანს, სხვისი თავით უნდა იხელმძღვანელოს.
- მე თუ გაწყენინე, ბოლიშს ვიხდი, ალბათ, ასეთ დასასრულს არ მოველოდი, მაგრამ კეთილშობილი ადამიანის ვალია, ბოროტს კეთილშობილება ჩაუწერგოს და გააკეთილშობილოს საზოგადო კეთილშობილ ადამიანად, მე ვხედავ, თქვენ ჩემზე მეტად შეძლებული ხართ მატერიალურადაც და ბუნებრივი ნიჭითაც, მაგრამ განა თქვენ იცით, რას სჩადიხართ? თქვენ საკუთარი უარით ღუპავთ ადამიანს, რომლის სიყვარულიც გულში გაქვთ, მხოლოდ თქვენი ბუნებრივი პრიციპით აკეთებთ ამას, რაც არ გწადიათ.

„უფალო! შეუნდე მათ, რამე თუ არ უწყიან, რას ჩადიან!“

ესა სთქვა და წასასვლელად მოემზადა, მაგრამ მე ძალა მოვიკრიბე, ხელკავი გავუკეთე და სამზარეულოში გამოვაძრუნე.

— შეუღლება ერთადერთია, გადადებას რომ არ ეგუება, ჩემ ვალერი, გული ნუ შეგწყდება, ვარ თანახმა! მხოლოდ იმ პირობით, რომ შენი სიყვარული ყოველთვის იქნება ასეთივე ძლიერი, როგორიც არის დღეს...

— ვფიცავ! სიყვარულის იმ ლამაზ და სათნო ცნებას, რომელიც გაგვაჩნია!

ამის შემდეგ კიდევ ბევრი ვისაუბრეთ და ბოლოს და ბოლოს გადაგწყვიტეთ, რომ ვიქორწინოთ.

1944 წელი, 30 სექტემბერი (შაბათი)

შაბათ დღის დილა გათენდა, კედელზე ხალიჩა ჩამოვჭეს-ენი და ბაზარზე წავიღეთ გასაყიდლად მე და ვალერიმ, შეძლებულ ადამიანებს რა გამოლევთ, ხალიჩა მალე გავყიდეთ, ცოტოდენი ჩემს მიერ ნაგროვები ფულიც დავუმატე და სალ-ამოსათვის, როგორც მოვილაპარაკეთ, საქორწილო მზადებას შევუდექით... ომია, შიმშილობს ხალხი, მაგრამ ჩვენ დღეს უხვად გგაქვს საჭმელ—სასმელი.

საღამოსათვის მოვიპატიუე ყველა ნაცნობი და ახლო მეზობელი, ქარცეცხლიან დღეს რომ შეეფერება, იმაზე უკეთე-სი პურის ჭამა მოვაწყვეთ მოვიდე ხელი და დასაწოლად წავიყვანე ჩემს ლოგინში, ტანში სასიამოვნო ურუანტელმა დამიარა, შემდეგ მეზობლები გავაცილე, საჩქაროდ დავკეტე კარები, მაგიდა აულაგებელი დავტოვე და დავწექი, თუმცა მთელი ღამე თეთრად გავათენე, არ მიძინია, ვალერის კი ტკ-ბილად ეძინა.

1944 წელი, 1 ოქტომბერი (ორშაბათი)

მე და ვალერი სახლიდან ერთად გავედით, ამჟამად მე კი არა, ვალერის აქვს ჩემთვის ხელკავი გაკეთებული, აღარც მრცხვენია და აღარც მეხათრება მეზობლების, ვალერი დღე-იდან ჩემი კანონიერი მუჟღლეა და რაც ბუნებას დაუწესებია, სამარცხვინოც არ არის.

ვალერიმ ინსტიტუტის კარებამდე მიმაცილა, თვითონ უნივერსიტეტში წავიდა, თან გულიც წაიღო ჩემი, არ ვიცი, რატომ დამუჯულა ასეთი სულის შემხუთავი გრძნობა, არას-დროს არ განმიცდია ასეთი მარტოობა, სამი საათი ვიყავი ინსტიტუტში, მეტხანს ვეღარ გატერდი და ვალერისთან წავედი, წამოვიყვანე, ჯერ ცირკში წავედით, შემდეგ ნაადრევად სახლ-ში, არ ვიცი, რა მომდის, სულ ამ ადამიანთან მინდა ყოფნა, მხოლოდ ვიყო მის სიახლოვეს, ვგრძნობდე მის სუნთქვას, მესმოდეს მისი გულის ცემა, მივჩერებოდე მას თვალებში და მეტი არაფერი.

გრძნობა, ვალერისაც ვუყვარვარ, ზედმიწენით ალერსიან-იც არის ჩემს მიმართ, ესაა მხოლოდ, ცოტა ხათრიანია, ისე გრძნობს თავს, თითქოს ჩემს კმაყოფაზე იყოს და ეს კი არ მომწონს, მაგრამ არა უშავს, მივაჩვევ, ჩვენი გაჭირვება და სიხარულიც საერთო იქნება.

ტკბილი დღები გვაქვს, შესანატრი, ერთიმეორეს თვალებში შევციცინებთ, ვტკბებით ერთიმეორის სიყვარულით, ეს არის მხოლოდ, გულს მიღონავს კედელზე ჩამოხსნილ ხალიჩას დარჩენილი ანაბეჭდი, მაგრამ ჩვენს ბედნიერებასთან ეს შეუმნეველია.

ვალერი ოჯახში იმაზე უკეთესი გამოდგა, მე რომ მეგონა, წყნარი, ტკბილი და დამჯერე, მეტს კი არასოდეს არ მოითხოვს ქალი კაცისგან.

1944 წელი, 9 დეკემბერი (შაბათი)

არაჩვეულებრივი ზამთარია, ძალზე სუსზიანი, მაგრამ ჩვენს პატარა ოჯახს ზამთრის სუსზი ვერ აშინებს, კარგი ხელფა-სი მაქვს ცირკიდან, ამას კიდევ სტიპენდია ემატება და შეძლებულ ოჯახად ვითვლებით.

ვალერის საკუთარი ხელით გადავუკეთე მამაჩემის ტანსაც-მელი და მთელ ქალაქში „სტილნი ბიჭის“ სახელი დაისაკუთრა, ომის ქარცეცხლმა მამაკაცები საგრძნობლად შეათხელა ქალაქ-

ში და ვალერის მტრედის გუნდივით დასდევდნენ გოგოები, ცოტა არ იყოს, ამან ნერვიული გამხადა და ვალერის ნაკვალევს დავყვები, მეშინია, არავინ წამართვას, არ მიღალატოს, არ გამცვალოს ვიზმეზე, თუმცა მასზე ძალიან კმაყოფილი ვარ, ის თითქოს ვერც ამჩნევს გოგოების გამომწვევ მზერას და სუსველას მაგივრად მარტო მე მეალერსება.

დღეს დიდი სასიხარულო ამბავი გავუმხილე ვალერის – „მალე დედა გაგხდები–მეთქი“ – ოჭ! რომ იცოდეთ, როგორ გაუბრწყინდა თვალები, შემდეგ გულში ჩამიკრა და ხელში ამიტაცა, მთელი ნახევარი საათი მაცეკვა ხელში აყვანილი, კიდევ მეტად დავრწმუნდი ვალერის სიყვარულში, მწამს, არასოდეს არ მიღალატებს და საკუთარი თავი დავტუქსე ეჭვიანობისათვის, აწი, არავის არ შევხედავ ეჭვის თვალით, მართალია, სიყვარულმა იცის ეჭვიანობა, მაგრამ ეჭვის ჭიამ მტრის გულში ჩაიბუდა, ერთჯერ ნახული ჯობია მუდამ ეჭვიანობას, ხანდახან ეჭვიანობით შეიძლება ისეთ ადამიანს დავწამოთ ცილი, რომელსაც აზრადაც არ მოსკლია იმის გაკეთება, რასაც ვაბრალებთ.

1944 წელი, 21 დეკემბერი (ხუთშაბათი)

წუხელი ვალერი სახლში არ ყოფილა, შემოვიარე ყველა ნაცნობები, მაგრამ იმის კვალს ვერ მივაგენი, მთელი ღამე თეთრად გავათენე, ქუჩიდან ფეხის ხმა შემომესმებოდა თუ არა, გარეთ გავრბოდი, ასე ველოდი მთელი ღამე, მაგრამ არ მოვიდა, ნეტავი რა შეემთხვა? სად არის, სად ვეძებო? და გამოსავალს რომ ვერ ვხედავ, დამამშვიდებლად ცრემლს ვიშველიებ...

დილით ადრე უნივერსიტეტისაკენ წავედი, რათა ვალერის ამბავი გამეგო, დიდხანს ველოდი, არადა, მეც მაგვიანდება ინსტიტუტში, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე; ინსტიტუტიდან კიდევ რომ გამომრიცხონ, მაინც არ წავალ, სანამ კვალს არ მივაგნებ, სანამ ვალერის არ ვნახავ, ლუქციები დაიწყო და

უფრო მომეკიდა ცეცხლი, კარგად არ არის ვალერის საქმე, თორებ აქამდე გამოჩნდებოდა, საჩქაროდ დავეშვი კიბეებზე და საავადმყოფოსაკენ სირბილით გავეშურე, ყველა განყოფილებაში მოვიკითხე, მაგრამ ვალერი არაბული არავინ აღმოჩნდა.

საავადმყოფოდან მილიციის განყოფილებაში გავიქეცი, მაგრამ არც იქ აღმოჩნდა ვალერი არაბული.

ისევ უნივერსიტეტში დაგბრუნდი, კიბეები ავირბინე და ვალერის შევეჯახე, ის აუდიტორიიდან გამოდიოდა, საყველური არც მომიჯიქრებია, ისე გამახარა იმისმა დანახვამ, კისერზე შემოვეხვიე და სიხარულით ავქვითინდი.

როგორც იქნა, ჩვეული ალერსით დამაწყნარა ვალერიმ და ის ამხანაგი დამისახელა – „მასთან ვიყავიო“ – რომელსაც მე სახლში მივაკითხე, არ მინდა ეჭვიანობა, მაგრამ ამ ამბავმა საგონებელში ჩამაგდო, ძალა მოვიკრიბე, ცრემლები შევიმშრალე და ალერსიანად ვუთხარი.

– ხომ იცი, უშენოდ გაჩერება არ შემიძლია, ხომ შეგეძლო, შეგეტყობინებინა, სად იყავი? რომ არ მეძებნე! საღამოს მაინც არ დაიგვიანო, ბიჭო!

ინსტიტუტში საგრძნობლად დამაგვიანდა, ვალერის ნახვით გახარებულმა, ეს არაფრად ჩავაგდე და ინსტიტუტში დაგვიანებით მისვლა გადავწყვიტე.

დავჯექი, მაგრამ ლექციები არ მესმის, მხოლოდ ერთი ფიქრი მიტრიალებს თავში – „ვალერი მღალატობს, ვალერი მატყუებს!“ – და გადავწყვიტე, თუ კიდევ განმეორდება ასეთი რამ, დავუდარაჯდე და ფაქტზე გამოვიჭირო.

მეგონა, ვალერი ლექციების დამთავრების შემდეგ ინსტიტუტში მომაკითხავდა, მაგრამ შევცდი, ყველაზე გვიან მე გამოვედი ინსტიტუტიდან და ძლივს წავლასლასდი სახლში, ცირკში არ წავედი, ვალერის ველოდები, ამ ლოდინმა კი ღამის ორ საათამდე გასტანა, დიახ, ღამის ორი საათი სრულდებოდა, როცა ვალერი მოვიდა, მომიალერსა, მაგრამ არ გამომპარვია, რომ მისი ალერსი ნაძალადევი იყო. შევატყვე,

იმისი გული რაღაც სევდას შეეპყრო, ღრმად ჩავხედე თვალებში და ჩვენი გაცნობის პირველი დღე დაკინახე, ღმერთო, დამი-ფარე, ნუთუ სხვა შეუყვარდა იმ სიძლიერით, როგორც მე ვუყვარდი?“

ქალური სიფრთხილე გამოვიჩინე, კარგად შევნიღბე ჩემი აღმოჩენა და ღიმილნარევი ალერსით მისაღებ ოთახში გავედით.

მე არაფერს არ ვეკითხები ვალერის, მაგრამ ადამიანი-სათვის სიჩუმე და უხმოდ მიტევებული დანაშაული მეტად მძიმე ყოფილა, ვინემ დაკითხვა და დაკითხვაზე თავის მარ-თლება, ვგრძნობ ვალერის მომზადებული აქვს პასუხი, სი-ცრუით თავის მოტყუებას ვამჯვიბინე არაფერი ვუთხრა, მე ამით ერთგვარი სიმშვიდე ვიგრძენი, მაგრამ ვალერის კი მოუს-ვენობა დაეტყო, როგორც ჩანს, ვეღარ მოითმინა და თვითონ შემეკითხა:

— მერი, რატომ არ მეკითხები, რისთვის დავიგვიანე? ან გუშინ რატომ არ მოვედი? ან რისთვის მოგატყუე ამხანაგთან ვიყავი მეთქი? მისაყველურე რამე, ადამიანი არა ხარ!

— ვალერი, ადამიანი რომ ხარ, ზუსტად მიტომ არაფერს გსაყველურობ, ადამიანს სითბო ესაჭიროება, ალბათ, მე არ ვვარგივარ, შენ არ გყოლნის ჩემი გულის სითბო და ნახე ის, ვინც ჩემზე მეტი ალერსიანია, ვისაც ჩემზე მეტი სითბო და სიყვარული აქვს, ამას ვხვდები და რაღაც შეგვეკითხო?

— არა, მერი, მე ბედნიერი ვარ შენი თბილი გულით, შენი ალერსით და შენი სიყვარულით, მე შენთვის არ მიღალატნია და არც არასდროს გიღალატებ, აი, ნახავ, აწი, არასოდეს არ დავიგვიანე!

— მე მჯერა შენი, დღესაც ისე, როგორც ყოველთვის, მხოლოდ იცოდე, ქალსაც ისეთივე ნერვულ სისტემათა აგე-ბულება აქვს, როგორც მამაკაცებს აი, საკუთარ თავზე იგ-ულისხმე,, მე რომ მთელი ღამე სახლში არ მოგსულიყავი, შენ ჩემს სიყვარულს ეჭვის თვალით შეხედავდი თუ არა.? რა თქმა უნდა კი, და მეტყვი — „ქალს მეტი პატიოსნება მარ-თებს, ვინემ მამაკაცს“ — მაგრამ სცდება, ვინც ასე ფიქრობს,

ყოველგვარი პატიოსნება ადამიანების მიმართ არის დაკანონებული და კანონი ქალსა და კაცს არ არჩევს. მე არ გეუბნევი რომ ვინმეზე გამცვალე, მხოლოდ ერთს გეტყვი, რომ ერიდო სუსტი ნებისყოფის ქალებს, მე ქალი ვარ და ვიცი მათი ხასიათი, ჩვენზე ძლიერი ოჯახები დანგრეულა ქალის უხილავი ძალით და არასდროს არ მიენდო მათ, ვაჟკაცის ვალია, არ გადადგას წინდაუხედავი ნაბიჯი და წინასწარ განსაზღვროს, რა იქნება მოსალოდნელი მცდარი ნაბიჯის გადადგმით.

არსებობს ადამიანები, ვის ავკაცობასაც არაფრით არ დაიჯერებ, სანამ საკუთარი თვალით არ დარწმუნდები ამაში, მაგრამ არ არსებობს ადამიანი, ვისმა ავკაცობამაც შეიძლება გაგანცვიფროს, მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით იხილავთ მის ნაავკაცარს, გასაკვირვებელი და განსაცვიფრებელი ადამიანს აღარაფერი დარჩენია, მხოლოდ კი ვალია მათი, ეცადოს ნაავკაცარით არ განაცვიფროს ხალხი, ვალერი, თქვენ ვერაფერს ვერ ჩაიდენთ მასეთს!..

ვალერი განცვიფრებული მისმენდა, ვერძნობდი იმის გადაწყვეტილებას, რომ არასოდეს არ უღალატებდა საკუთაორ პატარა ოჯახს, გულში მიხაროდა, რომ ტკბილი ლაპარაკით მივაღწიე მიზანს, ვალერი ახლოს მოვიდა და მადლობის ნიშნად ლოფაზე მაკოცა, თუმცა კი ვერ მივწვდი, რისთვისაც გადამიხადა მადლობა.

ვახშამი მოვამზადე, ვივახშემთ, კიდევ ბევრი ვისაუბრეთ, ძირითადად ჩვენს მომავალზე და თავზედაც დაგვათენდა.

1944 წელი, 25 დეკემბერი (ორშაბათი)

მოუხედავად იმისა, რომ ვალერისაგან მტკიცე ფიცი მივიღე, რამაც გამიქარწყლა ყოველგვარი ეჭვი, თვალყურის დევნება მაინც გავაძლიერე იმის მიმართ.

ინსტიტუტიდან ადრე წამოვედი და უნივერსიტეტის შენობის კუთხეში შეუმჩნეველ აღგილზე დავდექი, დაველოდე

ვალერის გამოსვლას, გავითოშე, მაგრამ გადაწყვეტილებას ვერ ვღალატობ, გული მიგრძნობს, რაღაც ახალს, სასწაულს აღმოვაჩენ ჩემს ცხოვრებაში, ლოდინს ვაგრძელებ.

ვალერი თითქმის ყველაზე ბოლოს გამოვიდა უნივერსიტეტიდან, პალტოს საყელო აიწია და აჩქარებული ნაბიჯით გაუყვა თოვლიან გზას. ცოტა შევიცადე და შეუმჩნევლად გავყევი უკან, ჩვენს სახლს რომ გავუსწორდი, მეგონა, ვალერი სახლში მიდიოდა და სიხარულის ღიმილმა დამიფარა სახე, მაგრამ შევცდი, როცა ჩვენს სახლს უკან ჩაუარა, ქუჩა გადაჭრა და მეზობელი სახლის სადარბაზოში შევიდა, ღიმილი სიმწრით შემტევინა ტუჩებზე, სადარბაზოში შევედი, თოვლიანი, სველი ფეხსაცმლის კვალს მივყევი, მეორე სართულზე ორთახიანი ბინის წინ გავჩერდი, ყველაფერი გასაგებია, აქ ლონდა ცხოვრობს.

ლონდა 3 ან 4 წლით არის ჩემზე უფროსი, მამა ფრონტზე დაეღუპა, დედას გაჭირვებისათვის თავი რომ დაეღწია, ახალი ქმარი მოძებნა და ცოლად ომიდან დაბრუნებულ ხეიბარს გაჰყვა, დარჩა სახლში მარტოდმარტო საბრალო გოგონა, სწავლას თავი დაანება და დაადგა იოლი ცხოვრების მცდარ გზას,. ჯერ იყო და ქურდობისათვის დააკავეს, შემდეგ სპეცულაციისათვის... ავი ენები ამბობენ, ახლა მამაკაცებზე ნადირობსო... ფაქტი ერთია, არსად არ მუშაობს და ზომაზე მეტად ხელგაშლილად ცხოვრობს!

აი, ასეთი წარსულის ადამიანთან მოხვდა ვალერი, აღარ ვიცი, როგორ დავიხსნა, ოღონდ ძალიან ლამაზი გოგონაა, მე მას ვერც ტანით და ვერც სილამაზით ვერ შევედრები.

საჩქაროდ წამოველი სახლში, რაღაც უნდა მოვიფიქრო, თორებ გული მიგრძნობს, ლონდას სილამაზე ვალერის წამართმევს, სახლში მოვედი, მინდა ვიტირო, მაგრამ ადამიანს გაბრაზების დროს არ სცოდნია ტირილი, ოთახებში სიარული დავიწყე, ადგილს ვერ ვპოულობ, ბოლოს, გადავწყვიტე, რაღაც გამეკეთებინა, რომ გული გადამეყოლებია, კარადა გამოვალე და ვალერის ტანსაცმლის წმენდა დავიწყე, გავწმინდე

და გავუთაოვე შარვალი, პიჯაკის წმენდის დროს ჯიბეში ბარათი ვიპოვე, არ მინდა წაკითხო, არ არის ლამაზი სხვი-სი წერილების წაკითხვა, და არც ადამიანის ჩუმად უკნ ადევნება, მაგრამ ქალურმა ცოუნებამ მძღია და ბარათი გავხ-სენი.

— „ძვირფასო ვალერი. მაპატიე, რომ თქვენი მყუდროება დავარღვიე და გაწუხებთ უცნობი ადამიანის წერილის წაკ-ითხვით, თუმცა ადამიანის წერილის წაკითხვის კი არა, უბრალ-ოდ ცხოვრებასა და საზოგადოებას მოწყვეტილი ქალის წერ-ილის წაკითხვით, რომელსაც არსებობისათვის „სუსტი ნებ-ისყოფის ქალს ეძახიან“, ვიცი თქვენ საკუთარი პატარა, ტკბილი და მყუდრო ოჯახი გაქვთ, და ალბათ არც გესამოვნებათ ჩემგან წერილის მიღება, მაგრამ დამერწმუნებით, იმიტომ არ გიგზავნით ამ ბარათს, თქვენი ოჯახის მყუდროება დავარღვიო. ღმერთმა შეგაბეროს თქვენ რჩეულთან, თუ მასთან შეჩერება უკვდავებას მოგანიჭებთ.

ამ სამიოდე წლის წინათ მეც ვსწავლობდი უნივერ-სიტეტში, მაშინ გაჟღენთილი ვიყავი თანამედროვე სულისკეთ-ებითა და ჩემს ირგვლივ რა ხდებოდა, ვერ ვხედავდი, მე არ ვამბობ, რომ თვალები ამეხილა და უნივერსიტეტში სწავლა იმიტომ მივატოვე, არა, სწავლა გაჭირვებამ მიმატოვებინა და გაჭირვებამდე ამისილა თვალები, ლუკმა პურისათვის ბევრი ვაუბა ვნახე, რა თქმა უნდა, შემეძლო მეუშავნა და ისეთივე ლიმიტირებული პურის ლუკმა მიმედო, როგორსაც მრავალი ღებულობს, კარგი მუშაობისათვის, მაგრამ, თუ ბუნების შვილი ვარ, იმისი მმართველიც მე უნდა ვიყო, შესაბამისი შრომით უნდა შეიძლებოდეს ადამიანის არსებობისათვის აუცილებე-ლი საგნების შეძენა და არა ფიზიკური შრომით; ფიზიკური შრომისათვის ბუნებამ ცხენი, ხარი, ვირი, აქლები და სხვა მრავალი ადამიანთა სასარგებლო ცხოველი გააჩინა, არა, მე არ მინდა, პირუტყვების მაგივრობა გავწიო, დაზგასთან ვიდგე ოცდაორი საათი, რათა დილით, კუჭის ნახევრად დასაკმაყ-ოფილებლად პური მივიღო, არ მინდა მაღვიძარა ლოგინის

თავთან ჩამოვკიდო, რათა უფრო იხმაუროს და დილით ადრე გამეღვიძოს, რომ სასწავლებლად გავიქცე, იქედან სამუშაოზე და მაიმუნის მაგივრად ბაწარზე ჩამოვეკიდო ზოგიერთებივით, კარგი, ავიტან ყოველგვარ ტანჯვას, მაგრამ ამით განა უკვდავი გავხდები? ან სიცოცხლის წლები დამემატება? თუ პირიქით, მძიმე შრომა დამამახინჯებს. ბეჭებში მომხრის, კუზიანსა და ბრუციანს გამხდის და ბუნებისაგან მონიჭებულ სიცოცხლის წლებსაც შემიმცირებს?

მახსოვეს მამაჩემი დედაჩემს რძეში ბანდა ძილის წინ, რომ უფრო აფუებული ყოფილიყო ქალის ნაზი და სათუთი სხეული, რათა მეტი სიამოვნება ენახა მასთან ალერისში, ქალს თუ კაცზე მეტი მუსკულები აქვს, და იმის ორგანიზმი გახევებულია, ქალს თუ ბენზინისა და ტაოტის სუნი ასდის, მამაკაცი მასთან როგორ მოისვენებს?

არ გეწყინოს და გატყობ, რომ შენ არ გინახავს ნამდვილი ქალი, არ განგიცდია ქალური ალერსი, თორებ იტყოდი: – „ნეტავი, ღმერთმა თავისთვის უკეთესი რა დაიტოვა, ქალები ჩვენ, მამაკაცებს რომ გამოგვიგზავნაო“.

ჩემი აზრით ადამიანები უნდა ცხოვრობდნენ ისე, როგორც მოესურვებათ, მე არ მინდა დღეს მუშაობა, ჩემმა ორგანიზმმა გასეირნება მომთხოვა, მაგრამ ვალდებული ვარ სამუშაოზე წავიდე, არ მინდა, დღეს დილით ადრე ავდგე, მივატოვო მამაკაცის თმიანი ან ქალის სავსე მკერდი და სამუშაოზე გავიქცე, მაგრამ მაიმულებენ, მე არ მინდა დღეს ვჭამო შავი პური, რომელიც საძლომადაც არა მაქვს, მე დღეს წიწილის ხორცი მირჩევნია, მაგრამ არა მაქვს, თუმცა ორგანიზმი ყოველთვის იმას მთხოვს, რაც არა მაქვს და იძულებული ვხდები, მე თვითონ ვაცხოვრო საკუთარი ორგანიზმი ისე, როგორც მას მოესურვება, გადავწყვიტე, ვიცხოვრო ისე, რომ არ მოვიკლო არაფერი, არც ჩასაცმელი, არც სასმელი, არც საჭმელი და, რაც მთავარია, არც მამაკაცთა ალერსი...

კარგი ბატონო, ასეთ სამოთხისებურ ცხოვრებას დავთმობდი და მეც ფიზიკური შრომის ფერხულში ჩავებმებოდი,

თუ უკვდავი გავხდებოდი ან გავახანგრძლივებდი საკუთარი სიცოცხლის წლებს, მაგრამ ეს შეუძლებელია, ჩვენ ყველანი მომაკვდავები ვართ და იმიტომ ვიყო უმწიკვლო, შრომით წელში გაწყვეტილი ადამიანი, რათა სიკვდილის შემდეგ სამოთხის იმედი მქონდეს!

მართალია, ყველა აქებს საკუთარ გულს და ვერავინ ვერ ბედავს საკუთარი გონების ქებას, არ შეიძლება ვცდებოდე, საკუთარი გონების სააშკარაოზე გამოყვანით, მაგრამ იმდენად დარწმუნებული ვარ საკუთარი გონების სიმართლეში, სხვასაც მსურს, თვალები ავუხილო...

მჯერა, ადამიანი მაიმუნისაგან რომ არის წარმოშობილი, ადამიანის მაგვარი მაიმუნებისაგან თანდათან განვითარდა ადამიანი და დღეს თანამედროვე ადამიანად გვევლინებიან, მე კი რატომდაც მგონია, რომ თანამედროვე ადამიანები, მაიმუნზე მეტ ტანჯვას გადიან, სანამ მაიმუნად გადაიქცევიან, სამი წელიწადი პატარა ჩვილ ბაგაში დაჰყავთ, უსუსტდებათ პატარაობიდან ნერვები, მშობლების ალერსს მოკლებულო, ბაგიდან ბაღში კიდევ ოთხი წელიწადი, რათა მთლად დაკარგოს ბაგშვა ბავშვობა, ბაღიდან სკოლაში თერთმეტი წელიწადი, რათა მთლად დაივიწყოს ბაგშვა მშობლები, მისი ალერსი; სკოლიდან – უმაღლეს სასწავლებელში, რათა დიპლომი მიიღოს. იმუშაოს კუჭის ამოსავსებად და სიცოცხლის მანძილზე „იმაიმუნოს“, უკეთესი ხომ არ იქნებოდა, რომ ის პირველი მაიმუნები ან განვითარებულიყვნენ და თავიდან ბოლომდე მაიმუნად გვეცხოვრა, რათა სწავლის ტანჯვა მაინც აგვცდებოდა და მაიმუნის ბანჯველიან მკერდზე აღზრდილიყო თავისი პირმშო.

იქნებ შენ მითხრა: – „თანამედროვე დედამაც აღზარდოს შვილი, ვინ უშლისო?“ – მას არ სცალია, ლუკმა–პურის საშოვნელად არის წასული...

რაღაც ბუნებამ ეს სიკეთე გვიყო და ამზელა განვითარებას მიგვაღწევინა, ხომ არ აჯობებდა, პირობებიც მოეცა, რომ დედას შვილები აღზარდა და საოჯახო საქმეები

განაცოტა არის ოჯახში ქალის საქმე? განასამსახურია შვილების კეთილად აღზრდა? განადამარწმუნებთ, რომ დედაზე უკეთ სხვა აღზრდის შვილებს. ვიცი, რასაც მეტყვით, დღეს ქვეყანას უჭირს, ხვალ უკეთესად იქნება ცხოვრება, არა, მატყუებს! ომი არ იყო, მაგრამ ერთს ბევრი ჰქონდა, მეორეს სრულებით არაფერი, შიოდა, ლუკმა პური არავინ მოუტეხა, ციოდა, არავინ გაათბო, მხოლოდ ყველა თავის ხაზინას ამდიდრებდა, არასოდეს არ დამავიწყდება, – მეექსე კლასში რომ ვსწავლობდი, მშობლებმა დაბადების დღე გადამიხადეს, სხვებთან ერთად ერთი ჩვენი ნათესავი, ლარიბი ალმასხანიც მოვიწვიეთ, მან ძვირადღირებული ხალიჩა მომიძღვნა. დაღლილს კინაღამ მაგიდაზე დაეძინა, ბოდიში მოგვიხადა და მალე წავიდა, ორი თუ სამი თვის შემდეგ ალმასხანმაც გადაუხადა თავის შვილს დაბადების დღე, ჩვენც დაგვპატიჟა, მშობლებმა წასვლაზე უარი განაცხადეს და მე გამაგზავნეს, საჩუქრად კი ზღაპრების წიგნი გამატანეს, მამაჩემს გუთხარი:

– ალმასხან ბიძიამ ისეთი ძვირფასი საჩუქრო მოგვიტანა და შენ წიგნს რატომ მატან–მთქი, მამას გაეცინა და მითხრა“

– მეტის ღირსი არ არის, ალმასხანი ღარიბია, რაში გამოგვადგებაო.

მაინც ვერ გავიგე, განა ალმასხანმა იმიტომ მოგვიტანა ძვირფასი საჩუქრო, რომ ჩვენი მდიდარი ოჯახი კიდევ მეტად გაემდიდრებია? ჩემი აზრით, ეს პირიქით უნდა მომხდარიყო, თუ ადამიანს ადამიანისათვის კარგი უნდა...

ვალერი! ძალიან გთხოვ, ამ წერილს ჩემს გამჭრიახობასა და წინდახედულებას ნუ მიაწერ, ეს მხოლოდ გონების სიცხადის შედეგი გახლავს და მეტი არაფერი, თუმცა „ჩემი გონების სიცხადე: ვრცელი წერილის სახით მოგევლინათ, მაგრამ იმედი მაქვს, მაპატიჟებ და ვიმედოვნებ, ხვალ საღამოს პირისპირ ვისაუბრებთ, უფრო ნათლად, უფრო გასაგებად და უფრო თამამად.“

დაგელოდებით უნივერსიტეტის წინ, ეზოში და ლექციების დამთავრების შემდეგ სახლამდის კი არა, სახლში მიმაცილებთ...

„ლონდა!“

წერილი წავიკითხე და თავზარი დამცა, ასეთი უმგვანო ადამიანურმა აზრებმა, ახლა კი გავიგე, როგორ სოროშიდაც მოხვდა ვალერი, ვაი, თუ ვერ გაიგოს სწორი გზა და ისიც ლონდასთან ერთად მოლიპულ გზას დაადგეს? მაგრამ ვალერი ნუთუ ისეთი გაუგებარია, რომ ვერ მიხვდეს კარგსა და ცუდს? ვერ გაიგოს, რა არის ოჯახი და რა არის გახრწნილება? ნუთუ პატიოსნება ლონდას სახსენებელია? და მის ფეხქვეშ გასათელი? ნუთუ ლონდას ჰგავს ის პატიოსანი მშრომელი ადამიანები, რომელთაც ის დასკინის? ნუთუ ლონდას სახელი და მათი სახელები, ვინც სამშობლოს გმირულად შეეწირა, ერთი იქნება? ლონდა სცდება: ადამიანი ლროსატარებლად კი არ არის გაჩენილი, არამედ პატიოსნებისა და გმირული სახელის მოსახვეჭად, განა მას უცხოვრია ამ ქვეყანაზე, ვინც ხალხის მოსაგონებელს არაფერს შექმნის და დატოვებს? ეს ქვეყანა ასეთი ზღაპრული იქნებოდა, რომ ჩვენს წინაპრებს არაფერი გაეკეთებინა და ჩვენთვის არ დაეტოვებინა? სხვის შექმნილზე და ნამოქმედარზე რომ აპირებ ტკბილ ცხოვრებას და ლროს გატარებას, არ გრცხვენია? შენ რას ქმნი და რას უტოვებ მომავალს?

შეიძლება ლონდა თავის თავს იტყუებს, საკუთარი თავის მოტყუება კი ადვილია, მაგრამ ძნელია და არც არსებობს, რომ სხვისი მოტყუება ვინმეს შერჩენოდეს, ძალიან გთხოვ ლონდა, ნუ მომიტყუებ ვალერის, ნუ ააცდენ სწორ გზას, მე ვიცი, შენ ყველაფერის შემძლე ხარ, მაგრამ შეიბრალე ჩემი პატარა ოჯახი...

პიჯაკი აღარ გამიწმენდია, წერილი, როგორც იყო, ისევ ისე დაგკეცე, ჯიბეში ჩავდე და თავის ადგილზე დავკიდე.

არაფრის თავი არა მაქვს, წერილმა ნერვები მომიშალა, გალერი კი იგვიანებს, ვინ იცის, იქნებ სულაც არ მოვიდეს, გულმოკლული სავარძეში ჩავეშვი და დაღლილი გონება ფიქრ-მა წამართვა.

ბევრი ვიფიქრე, შემდეგ გადაწყვიტე, ხვალ ლონდასთან მივიდე;

ქალის გული და გრძნობა ხომ სათუთია, მე მგონია, გამიგებს, შემიბრალებს და მეუღლეს დამიბრუნებს, ანდა, რატომ არ უნდა გამიგოს, მე ხომ იმისათვის არაფერი წამითრმევია, არც საყველური არ მითქვამს არასდროს ცუდი ქცევისათვის.

გადაწყვეტილება გადაწყვეტილებად რჩება, ფიქრს ფეხის ხმაშ შეუშალა ხელი, კიბეებზე ვალერი მოდის, ვიცანი იმისი ფეხის ხმა და გული დაჭრილი ჩიტიკით ამიფრთხიალდა, საათს გადავხედე, ორის ათი წუთია, საჩქაროდ კარები გავალე და ვალერის კიბეებზე ჩავუდექი.

ვალერი ალერსიანად მომეპყრო.

— კიდევ არ გძინავს, ჩემო ჩიორა? — მითხრა და ნამტირალევი თვალები ამომიკოცნა.

„მაღლობა ლმერთს“ — გავიფიქრე — „ვალერი ჭკვიანი ბიჭია და როგორც ჰგავს, ვერაფერი დაუკლია ლონდას თათბირს.“

მოულოდნელმა ალერსმა მყისვე შემაცვლევინა გადაწყვეტილება — „იქნებ აწი აღარც კი წავიდეს ლონდასთან, იქნებ აწი აღარც კი დაიგვიანოს, ამ ამბავს ყველაფერს საიდუმლოდ შევინახავ და აღარც ლონდასთან წავალ დღეს, მაგრამ ხვალაც თუ დაიგვიანა, ზეგ აუცილებლად ვეწვევი ჩემი პატარა ოჯახის დამანგრეველს!“

ვივახშმეთ, ვალერიმ უმადოდ ჭამა, ეტყობოდა ნავახშმი იყო, მართალია, სიმთვრალე არ ემჩნეოდა, მაგრამ ღვინის სუნი საკმაოდ ასდიოდა. დავწექით, ვალერის მალე დაეძინა.

1944 წელი, 27 დეკემბერი (ოთხშაბათი)

ჩემი ვარაუდი მცდარი გამოდგა, ვალერის ალერსი კი ჩემი თვალის ასახვევი საშუალებაა.

ამ დღეებშიდაც ასევე გრძელდება, როგორც ყოველთვის, გუშინაც დაგვიანებით მოვიდა ვალერი, ცრემლი გამიშრა და ბოლმა მახრხოს, როგორ მოვიქცე, არ ვიცი, ბევრი ფიქრის შემდეგ ისევ იმ გადაწყვეტილებას დაგადექი, რომელიც გუშ-ინწინ მივიღე, მივიდე ლონდასთან და მოველაპარაკო.

დღეს, დილით, მოგვიანებით ავდექით, სახელდახელოდ ვისაუზმეთ და ერთად წავედით, მე ინსტიტუტისაკენ, ის კი უნივერსიტეტში.

პირველ ორსათან ლექციას დავესწარი, გული არ მიჩ-ერდება, გადაწყვეტილება სისრულეში უნა მოვიყვანო, დავ-ტოვე დანარჩენი ლექციები და ლონდას სახლისკენ წავედი, ფრთხილად, გულის ფანცქალით დავაჭირე ხელი ზარის ელექტროლიდაკს, წუთიც და კარგი ფართოდ გაიღო, ლონ-და არ მოელოდა მოულოდნელობისაგან ცოტა დაიბნა, მაგრამ არ შეიმჩნია და სახლში მიმიწვია.

— ოოო... მერი, რაზედ შეწუხებულხართ, მობრძანდით!

ოთახში უხმოდ შევედი, ლონდამ სავარძელზე მიმითითა, ჩავჯექი, შესამჩნევად ათრთოლებული ვარ, ვღელავ, საერთოდ ასე ვიცი, სანამ ლაპარაკს დავიწყებდე, შემდენ თანდათან ვმშვიდდები, მაგრამ ამჟამად ლაპარაკი ვერ მომიხერხებია, საიდან დავიწყო, არ ვიცი.

უხერხულობა ლონდამ შემამჩნია და თვითონ დაიწყო:

— მერი! გული მიგრძნობს, კარგ საქმეზე არა ხარ მოსუ-ლი, მაგრამ „სტუმარი ღვთისაა“, ქალები ერთი—მეორეს გა-ვუგებთ, ჩაის მოგართმევთ, ჯერ მეც არ მისაუზმია, ერთად ვისაუზმოთ!

მინდოდა მეთქვა, ნასაუზმევი ვარ მეთქი, მაგრამ ვერ მოვახ-ერხე და მაგიდაზე უხვად გაჩნდა ხილი, ტკბილეული, ნამცხ-ვარი, ერთი ბოთლი კონიაკი და ჩაი.

ლონდას ისეთი სიკეპლუცით მოჰქონდა ყველაფერი, ტანის ისეთი მიხერა-მოხერით, რომ მამაკაცების არსებობა შემეხარბა და გავიფიქრე, ნეტავი მეც მამაკაცი მქნა და ლონდას თავს ვერავინ წამართმევს მეთქი.

მართლაც და, იშვიათია ასეთი ტანის, ასეთი სილამაზის ქალები, ვალერის ვერ გავამტყუნებ, მე რომ ვალერის ადგილზე მქნა, აღბათ უარესად მოვიქცეოდი, არასოდეს არ მივიდოდი სახლში.

არ ვიცი, ვუთხრა თუ არა ლონდას ჩემი სათქმელი, რაზედაც ვარ მოსული, მინდა ამ საკითხზე დავფიქრდე, მაგრამ ლონდამ ფიქრი შემაწყვეტინა და მაგიდასთან მიმიწვია, მინდა დავწყნარდე, ფინჯანი ავიღე და ჩაი ხარბად მოვსვი.

— არა, არა, ძვირფასო! პირველად კონიაკი მიირთვი, ხომ იცი, სასმელი მადას აღვიძებს და მეტს შეჭამ!

— ეს! ლონდა, დღეს ისეთი დრო არის მადის გამაღვიძებელ საშუალებას არ დაეძებს ხალხი, საჭმელით ნახევრად თუ მაინც დაიკმაყოფილე ორგანიზმი, ესეც დიდი მიღწევაა...

— რას იზამ, უნდა გამონაკლისად იცხოვრო, თორემ ცხოვრებას ფასი არ ექნება, ყველამ ერთნაირად თუ იცხოვრა!

— არ მუშაობ და ასეთად მაინც საიდან?

— კონიაკი დალიე და ასეთი შეკითხვა არ გაგიგონო! შენ რა, ბოროტმოქმედების გამოსაძიებლად ხომ არა ხარ მოსული?

— არა, მაინც უმუშევარი, რომ ხარ...

— სწორია, უმუშევარი რომ ვარ, იმიტომ მაქვს, თორემ მუშას არასდროს არაფერი არ ჰქონია, რომელი მუშა, თუგინდ სწავლული, გინახავს შენი ხელფასით ფუფუნებაში მაცხოვრებელი?

— ფუფუნებაში ცხოვრება რა საჭიროა? ადამიანისათვის ფუფუნებაში ცხოვრება აუცილებელი არ არის და სახელის მოხვეჭა აუცილებელია. სახელს კი შრომა აამაღლებს და მეტი არაფერი?

— ეჭ! შენ კომუნისტური სულისკვეთებით გაუდენთილი ადამიანი ბრძანებულხარ, ჩემო კეთილო და მუდამ ცარიელი მუცლითა და შესამში ალესილი ენით ილაყბებ სიმდიდრის წინააღმდეგ, მაგრამ იცოდე, სიმდიდრისა და ბუნების წინააღმდეგ მებრძოლი ყოველთვის დამარცხებულია, მოდი, დავლიოთ!

მითხრა და ბროლის სასმისი მომიჭახუნა, ერთად უხმოდ დავცალეთ, თითო ნაჭერი ნამცხვარი დავაყოლეთ და ლონდას ლუკმა ისევ პირში ჰქონდა, საუბარი რომ განაგრძო:

— მეოთხე კლასში ვსწავლობდი, ქართულში „არსენას ლექსი“ გვქონდა გაკვეთილად, ლექსი მასწავლებელს კარგად მოვუყევი და შემდეგ ასეთი შეკითხვა მომცა — „აბა, თუ მეტყველ, ლონდა, არსენა რატომ ძარცვავდა მდიდრებს“, დაუფიქრებლად ვუპასუხე: „დარიბებს არაფერი ჰქონდათ და მდიდრებს ძარცვავდა—მეთქი“ — მაშინ ეს ბავშვური გულუბრყვილობით ვთქვი და ახლა კი მელიმება მაშინდელ სიმართლეზე, დღეს თუ მე მდიდრად ვცხოვრობ, შენთვის და შენისთანებისთვის არაფერი წამირთმევია, იმიტომ კი არა, მეშინია თქვენი, არა, არაფერი გაგაჩნიათ და...

მე ვიცი, თქვენ რაზედაც ხართ მოსული და ის სახლიც გეცოლინებათ, სადაც ვალერი მდგმურად იყო, იმ ოჯახის არცერთ წევრს არასოდეს არ უმუშავნიათ, მაგრამ სახლი ორი მეტრი სისქის რკინა ბეტონის ბუნკერზე უდგათ, ომმა აქამდის რომ მოაღწიოს და მთელი ქალაქი გაწყვიტოს, ის სახლი გადარჩება, გეკითხებით; საიდან აქვთ ეს სიმდიდრე მათ? რა თქმა უნდა, უშრომელი, იოლი გზით აქვთ შეძენილი და ასეთებს რომ წაართვა, განა შეცოდებაა? მან ხომ მთავრობას მოპარა, აბა, საიდან გაჩნდა? მე და ჩემმა ღმერთმა, მეცოდება მთავრობა, და მე ჩემებურად ვებრძვი მთავრობის ქურდებს.

უდიდესი სიმამაცეა მოპარულის მოპარვა, რომელიც ცხოვრებაში ძალზე იშვიათად გვხვდება, ალბათ, ეს იმიტომ, რომ მომპარავი მამაცი უნდა იყოს, მაგრამ მომპარავის მომპარავი, მამაცზე მამაცი, მთელი უზარმაზარი სივრცე სიმამაცის ათას-

გვარი ნაირსახეობით გვხვდება, რომელთა შორისაც ისეთივე განსხვავებაა, როგორიც ადამიანთა სახეებსა და ხასიათებს შორის, ზოგი კაცი ცხოვრების დასაწყისშივე წარბშეუხრელად ეგებება განსაცდელს და კეთილსინდისიერი შრომით უნდა მიაღწიოს ბედნიერებას, მაგრამ თუკი ბედნიერება შორს იქნა და შრომა გაჭიანურდა, სიმწნევე ღალატობს და სულით ეცემა, ზოგიერთი მხოლოდ იმას ასრულებს, რასაც მისგან მოითხოვს ხალხი, „ვემსახურები ხალხსო“ გაიძახის და სხვას აღარას დაგიდევსთ, ზოგიერთნი, სხვადასხვა უმნიშვნელო განსაცდელს რომ შეეჩევიან, ისეთნაირად იწრობიან სულით, რომ შემდეგ უკვე თამამად ეგებებიან უფრო დიდ განსაცდელს, ზოგიერთმა სრულებით არ იცის ფიზიკური შრომის ძალა და იმისი მოქმედება ორგანიზმზე, მხოლოდ არ ცოდნითა და ოფლით გადაუწყვეტია ლუქმაპურის შორნა, ზოგიერთნი დასცინიან მათ და ოფლის მოპოვებულს სისხლით მოპოვებული ურჩევნიათ, ამრიგად, ასეა თუ ისე, ლუქმაპურის ვერშოვნის შიში, ყოველთვის აკანკალებს ჩვენს სიმამცეს და შიმშილამდე არ იცის ადამიანმა, რომელი გზა აირჩიოს!

— მაგრამ, ჩემი აზრით, პატიოსანი შრომით მოპოვებული ლუქმა, უფრო უშიშარი და უფრო გემრიელია! ბოროტმოქმედების ერთი დრო არავის შერჩება!

— როგორ, უკვდავი ვინ არის, ერთი დრო განა პატიოსან მშრომელს შერჩენა? ჩემი აზრით, მოკლედლიანი, მაგრამ ბედნიერად მაცხოვრებელი ჯობია ადამიანს, დაკნინებულს და პატიოსანს...

მოდი, მერი, კიდევ დავლიოთ, უფრო თავისუფლად ვისაუბრებთ! — მითხრა ლონდამ და ჭიქები კონიაკით შეავსო, დავლიუთ, სასიამოვნო სითბომ დამიარა ტანში, ახლა კი, მოკუმზადე სხვა თემაზე სასაუბროდ, რომელიც პირადად მე და ჩემს პატარა ოჯახს, ეხება, თუმცა ლონდამ უკვე იცის, რაზედაცა ვარ აქ მოსული, მაგრამ სხვაგვარად არ იქნება, თვითონ მე უნდა ვთქვა სათქმელი და შორიდან შემოვლით დავიწყე:

— ლონდა, ნუ გაბრაზდებით და ცხოვრების შეხედულებაზე მცდარი აზრისა ხართ. ადამიანი კარგი ცხოვრებისა და დროის სატარებლად არის გაჩენილი, ადამიანმა უნდა მომავალს დაუტოვოს ტკბილი მოსაგონარი, კაცმა მამობა, ქალმა დედობა, ეს აუცილებელია ორივე სქესის ადამიანისათვის და მათი მშობლების პატიოსნება აუცილებელზე აუცილებელია, რათა მშობლების უპატიოსნებამ სიმწარე არ ანახოთ შვილებს, თორემ ნათქვამია: „ბაბუას ნაჭამმა ტყემალმა...“

— დედობა მეც განმიზრახავს, ჩემი მერი, ვფიქრობ, შენზედ უკეთეს დედობას გავწევ და შენზე უკეთეს ჯიშიან შთამომავლობას დავტოვებ. მხოლოდ, რაც შეეხება ჩემს პირად ცხოვრებას, ნურავინ ხელს ნუ შემიშლის, დავტკბე იმისი სიტკბოლებით და სიმწარით, არც იმდენ ტყემალს არ შევჭამ, რომ ჩემს გარდა სხვასაც მოჰკვეთოს კბილი, მე ყოველთვის ისეთ ლუკმას ვყლაპავ, რომელიც ყელში გადამეტევა, ბოლოქანქალა ჩიტი ხომ იცი? მაშინ იმ ფრინველზე თქმულებაც გეცოდინება და მეც სწორედ ისე ვიქცევი, როგორც ის!

— შენ რომ მოითხოვ, დატკბე საჭუთარი ცხოვრების, სიტკბო—სიმწარით, ხელი არავინ შეგიშალოს და ბოლოქანქალისებურად იცხოვრო, თვით რად უშლი ხელს სხვას. სხვასაც ხომ უნდა, დატკბეს თავისი ოჯახის სიტკბო—სიმწარით?

— მე ხელს არავისაც არ ვუშლი, ჩემდგარვარი ბუნების ქალები, მებადურებსა ჰყავს. ვისერით ბადეს, თუ მოჰყვა, ხომ კარგი და თუ არა, არ ვვარობთ მაინც, არხენად ვბრუნდებით სახლში, შენ გინდა, რომ მითხრა ვალერიზე, რატომ წამართვიო, შემიბრალე, დამიბრუნეო... მაყრამ როგორც სხვა მრავალი, შენ არც კაცის ბუნება გცოლნია და ამიტომ მე გეტყვი, აწი მაინც რომ იცოდე, კაცი ფუტკარსა ჰყავს, სიტკბოს ეტანება, მაგრამ არის კაცთა სხვა სახეობაც, შენ რომ პატიოსან მშრომელს ეძახი, ისინი ხარაბუას ჰყავს, შრომობენ დღე და

ლამე ნეხვში და ლამის გასათევად ნეხვშივე რჩებიან, შენდა საგალალოდ, ვალერი ფუტკრის მაგვარი კაცი გამოდგა, სიტ-კბო მოძებნა, ნუ გეწყინება, ჩემო მერი და გენ საფუტკრე კი არა, სახარაბუე ხარ და ფუტკარი თუ შენთან ვერ გაჩერდება, „ვინმექ წამართვაო“, არ უნდა იფიქრო, ის თვითონ გაფრინდებოდა, თვითონ წავიდოდა...

— კი მაგრამ, ვალერი ხომ ჩემი კანონიერი მეუღლეა, ვერ გამიგია, შენი ფუტკრისა და ხარაბუას არაკი, რა შუაშია?

— მერი, რას ეძახი შენ კანონიერ მეუღლეს? ერთი ვახ-შამი რომ ჭამო მამაკაცთან ერთად და გვერდით მიუწვე? ეს იქნება კანონიერი მეუღლეობა? თუ ხელის მოწერა ან ჯვარის დაწერა, რომელსაც ერთად აკავშირებს რელიგია ან პარტია, შენ რით განსხვავდები ჩემგან, რომ შენ ერთი საყვარელი გყავდეს და მე მრავალი? ეს ბუნებრივია, ბულბულნი ვარდს უმღერიან, ეკალზეც შეიძლება დროებით ჩამოჯდეს ბულბული, რომელსაც ერთი სული აქვს, მალე აფრინდეს და ვარდს უმღეროს!

— მერამდენე ბულბულია ვალერი თქვენთვის, არ იტყვით? თქვენ ვარდი კი არ ხართ, რომელსაც ბულბული უმღერის, თქვენ ბულბულის დამჭერსა ჰგავხართ, რომელიც იჭერს მგალობელ ფრინველს, საიმედოდ ათავსებს გალიაში და გასაყიდად მიჰყავს, ხოლოდ ერთი განსხვავება არის თქვენს შორის, როდესაც საკუთარ ოჯახში ბულბულის გალობა მოგეწყინებათ, გასაყიდლად კი არ „იმეტებთ“, ციხეში აგზავნით და იადონის საძებნელად მიდიხართ, თქვენმა გულმა არ იცის სიყვარული და სხვასაც უხშობთ სიყვარულს, რამეთუ ბოროტადამიანად ხართ დაბადებული!

— რომელ სიყვარულზე მელაპარაკებით, ეს უბრალოდ დროებითი გატაცება იყო შენი და მეტი არაფერი, დრო ჰკლავს ყველაფერს, ნუ გეშინია, გაივლის დრო და დაგავიწყდება შენი ვალერი, იქნება თვალის დასანახავად შეგძულდეს კიდეც, რომელსაც შენ სიყვარულს ეძახი, ეს გატაცება, თავ-დავიწყება და მეტი არაფერია, ასეთი ავადმყოფობა ხშირად

უნებისყოფო ადამიანებს ემართებათ, სიყვარული არ არსებობს, ეს სიტყვა უბრალოდ არის დღემდე შემორჩენილი, რომელსაც შენი მსგავსი ხალხი სიტყვის მასალათა და რაიმეს დასამტკიცებლად იყენებს, რომ გკითხო მეტყვი: ვალერი თავ-დავიწყებით გიგარს, საკუთარ სიცოცხლეს გირჩევნია, უმისოდ სიცოცხლე არ შეგიძლია და სხვა, მაგრამ საკმარისია, ვალერიმ მიგატოვოს, დარწმუნდე, რომ ის შენი აღარ იქნება, საჭმელში საწამლავს შეურჩევ და მოჰკლავ, რა თქმა უნდა, თუკი ამის შესაძლებლობა მოგეცათ, ესე იგი, სიყვარული არ არსებს, ეს უბრალოდ, ბოროტი გრძნობის ასრულება ყოფილა და მეტი არაფერი, არ მითხრა ახლა, რომ შეყვარებულებს, ქალს კაცი ან კაცს ქალი არ მოეკლას და ასეთი შემთხვევა ახალი „ხილი“ იყოს ჩვენს ეპოქაში.

— ვხედავ, ლონდა, შენ არავინ არ გყვარებია არასოდეს და ამიტომ ასე თავისუფლად წყვეტ ამ საკითხს, სირცხვილი კი არის, სიყვარულზე იღაპარაკოს შენისთანა უწმინდურმა და შენი სახსენებელი იყოს სიყვარულის წმინდა მცნება, რაც კაცობრიობას სათაყვანებელ წმინდანად აქვს ნაღიარები, როგორც ვხედავ, შენ არ გქონია იმისი დრო, ნამდვილი სიყვარული გამოგეცადა, ეს გრძნობა სიკვდილმისჯილის გრძნობასა ჰგავს, რომელიც ჯერ არ უთქვამთ და არც დაუწერიათ, ეს ორი გრძნობა საკუთარ თავზე თუ არ გამოსცადა ადამიანმა, მას არ ეცოდინება სიცოცხლის ფასი, რამეთუ სიყვარული სიცოცხლესა ჰგავს და სიცოცხლე სიყვარულს, მათ ერთი-მეორის გარეშე არსებობა არ შეუძლიათ!

— მე ძალიან ვერიდებოდი, მერი, ჩემს ოჯახში შენთვის მეწყენინებია, მაგრამ ჩვენ ერთიმეორეს ვერ გავუგეთ, თუმცა მე შენთვის უწმინდური არ მიწოდებია, მართალია, შეიძლება მე უწმინდური ვიყო, შენისთანა უმწიკვლო გოგონასათვის, მაგრამ იცოდეთ, რამდენადაც ჩვენ უწმინდურები ვართ, მით მეტი თავმოყვარეობა გაგვაჩნია, და შენისთანა „უმწიკვლოები“ ვერ გვიძედავენ პირისპირ ისეთ საუბარს, რაც სხვაზე მეტად ვიცით საკუთარ თავზე.

შემებრალე, მინდოდა ვალერი სახლში აღარ შემომეშვა დღეიდან, მაგრამ ახლა გადავიფიქრე და იცოდე, ვალერი შენი აღარასოდეს აღარ იქნება! ამიტომ გთხოვთ მიბრძანდეთ და უკანასკნელი იყოს შენი ფეხი ამ ოჯახში, თუმცა მე თავი უნდა შემეკავებინა და საკუთარ ოჯახში არ უნდა მეცემე, მაგრამ გადადებული საქმე არ მიყვარს და დღესვე ეს გასამრჯელოდ ჩემი გალანძღვისათვის, რომ ჩემი სახე არ დაგავიწყდეს!

ეს მითხრა და ისეთი მთხლიშა, რომ სკამიდან გადავტრიალდი და იატაკზე მოვადინე ზღართანი, მკვირცხლად წამოვხტი, ცხვირზე და თვალებზე ცხვირსახოცი ავიფარე და აქვითინებული სავარძელში ჩავჯექი, მეგონა, ჩემი ტირილი გულს მოულბობდა ლონდას, მაგრამ შევცდი, მან თმებში ხელი მომავლო, ზევით ამქაჩა, ზეზე ამაყენა, კარებთან მიმიჯვანა, კარები გააღო, საჯდომზე ამომარტყა ფეხი და გარეთ გამომიძახა. ჩემს უკან ელვის სისწრაფით დაიხურა კარები და ამავე სისწრაფით კედელს შევასკდი, გონს როდის მოვედი, არ ვიცი, სახლში ატირებული წამოვედი, მოვედი თუ არა, ბალიშის ქვეშ შევრგე თავი და ტირილით ვიჯერე გული, ცრემლმა ცოტა დამამშვიდა და ათასნაირი ფი ქრი დამიტრიალდა თავში, ნუთუ, მართლა მითხრა ლონდამ, ნუთუ, მართლა საყვარელი არის ჩემი ვალერი და არა კნონიერი ქმარი? არა უშავს, როგორც დაბრუნდება, ხელს მოვაწერთ და ამ სალაპარაკოსაც გამოულევს ხალხს, მაგრამ ვალერი იგვიანებს, შუაღამე გადავიდა და ის კი არ ჩანს, ნუთუ აღარ მოვა? მთელი დამე ველოდე ვალერის ფეხის ხმას, ასე ლოდინში შემომათხნდა, ვალერი არ მოვიდა, როგორც ჩანს, ლონდა მიხდის სამაგიეროს და მისრულებს დანაპირებს.

ოჟ! ლონდა, ვფიცავარ ჩემს მშობლებს და ჯერ ქვეყნად მოუვლენელ ჩემს პირმშოს, რომლის დედაც მალე გავხდები, რომ არ შეგარჩენ ჩემს შეურაცხყოფას, ჩემს დაჩაგვრასა და ჩემზე ძალადობას, მე შენ სისასტიკით გადაგიხდი სამაგიროს“

თითქმის ორი თვეა, რაც ვალერი აღარ მოსულა, უნივერსიტეტშიდაც მივაკითხე, ჩემს შეხვედრას ერიდება, როგორც ჩანს, სამუდამოდ წამართვა ლონდამ და, რაც დრო გადის, მით უფრო მიცხოველდება შურისძიების გრძნობა, ათასნაირი რამ მოვიგონე ლონდას გზიდან ჩამოსაცილებლად, მაგრამ ერთზე, უფრო სასტიკზე და კვალმიუგნებელზე, შევაჩერე ფიქრი, ჯერ ადრეა, კიდევ არ დამიკარგავს ვალერის დაბრუნების იმედი, მაგრამ ამ დღეებში თუ არ დამიბრუნდა, წასვლიდან ორი თვის თავზე სისრულეში მოვიყვან ჩემს განზრახვას!

რაც შეეხება ჩემს პირად ცხოვრებას, ვარ მარტოდმარტო, საკუთარი ცრემლების ამარა, ვსწავლობ და ვმუშაობ, მხიარულებამოკლებული, ყველაფერი მაქვს, მხოლოდ ეს არის, ვალერის სიახლოე მაკლია, მტერს ჰქონდეს ისეთი ახალი წელი, მე რომ მქონდა, ათასჯერ გადავწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ არ მინდა ჩემი პირმშო ჩემთან ერთად დაიღუპოს და ლონდა ცოცხალი დარჩეს ჩემს საყვარელ ადამიანთან ერთად, მხოლოდ შურისძიების გრძნობა მასულდგმულებს, როდესაც ჩემს განზრახვას სისრულეში მოვიყვან, შემდეგ სიკვდილიც არ იქნება დასანანი!

აქამდის თუ მეზობლები სხვაგვარად მომჩერებოლნენ, ახლა ყველა სიბრალულით მიუტრებს! ნუგეშს მაძლევენ და ზოგი სანაძლეოსაც კი მიდებს, რომ ვალერი დამიბრუნდება, გამოცდილი სალხია ჩემი მეზობლები მეტის მნახველი და ალბათ მეტიც დაეჯერებათ, ესეც არ იყოს, მაინც მაღლობელი ვარ მეზობლებზე, ნუგეშისათვის, სწავლებისა და საქმიანი რჩევისათვის, თუმცა ვიცი, მათი საქმიანი რჩევით არ ვისარგებლო, ახლა ჩემზეა დამოკიდებული ყოველივე, მე თვითონ უნდა ვიბრძოლო, მრჩეველი და დამცველი ოჯახისა არ გამაჩნია, ვერავის ვერ გავანდობ ჩემს საიდუმლოს, ეს მხოლოდ მე და ჩემს რვეულს გვეცოდინება, არ ველი არავისგან სწორ რჩევას, საკუთარი თავი გამაჩნია და საკუთარი გული, რომელ-

შიდაც მხოლოდ შურისძიება და სიძულვილია აღბეჭდილი, სიძულვილი კველა მამაკაცებისა და შურისძიება მხოლოდ ერთადერთი ქალისა, ნეტავი რომელი უფრო მძიმეა, შურისძიება თუ სიძულვილი? კეკითხები საკუთარ თავს და მგონია, რომ შურისძიება უფრო ულმობელია და დაუნდობელი, ვიდრე სიძულვილი, ამიტომ, პირველ რიგში, შურს ვიძიებ და რაც დამამდიმებელ ფორმებში ჩავიდენ მას, იმით მეტ სიამოვნებას მომგვრის! შემდეგ შეიძლება სიძულვილი ვაქციო შურისძიებად და სათითაოდ გავუსწორდე სიძულვილს!

1945 წელი, 27 ოქტომბერი (სამშაბათი)

— დღეს, ზუსტად ორი თვე შესრულდა, ვალერის გზათაც არ გაუვლია ჩემი სახლის სიახლოვეს, დღეს, საბოლოოდ აივსო ჩემი მოთმინების ფიალა და დღეს გადაწყდა ორი თვის ნაფიქრალი, შურისძიების სისრულეში მოყვანის საკითხი, ადამიანს ბევრის გაკეთება შეძლებია და მეც ბევრი საქმე გავაკეთე ამ დღეებში, ზუსტად დავადგინე, რომელ საათზე გამოდის გარეთ ლონდა, რომელზე ვალერი.

დილით ორივენი ერთად გამოდიან სახლიდან, ერთსა და იმავე დროს, ლონდა ვალერის უნივერსიტეტამდე აცილებს და არსად არ ჩერდება, უკან ბრუნდება, სახლში დასახლისობს,, ნაშუალდევს ხანდახან უცხო პირებიც აკითხავენ ხოლმე, მაგრამ ყოველთვის არა, ამ საქმის ზუსტ დადგენაში არავინ გამირევია, მე და ჩემმა დღიურმა დავადგინეთ ყოველივე, ჩვენ მოწმები არ გვჭირდება!

გუშინ დილით, ბაზარზე, ელექტროუთო ვიყიდე, ვიშოვე დენით ასაფეთქებელი დინამიტი და წუხელის მთელი დამე მოვანდომე, უთოში დინამიტის დამონტაჟებას, ყველაფერი შეუმჩნევლად და ფაქიზად გავაკეთე საკუთარი ხელით, შემდეგ „მფეთქებადი უთო“ თავისივე ყუთში ჩავდე, თავი გადავაწებე და დღეს დილით, როდესაც ლონდამ

ვალერი გააცილა და უკან აჩქარებული ნაბიჯით ბრუნდებოდა, უთო შეუმჩნევლად წინ დავდევი, უფრო სწორად, ისე დავაგდე, თითქოს ვიღაცას დაეკარგა, მე გავუჩინარდი და შორიდან თვალთვალი დავუწყე, ლონდამ უთოს ყუთი შეამჩნია, გარემო შეათვალიერა და რომ ვერავინ შენიშნა, იღლიის ქვეშ გამოირჭო.

მე სხვა გზით წავედი, ლონდას სახლის ფანჯრებს თვალს არ ვაშორებ, ვგრძნობ, რაღაც საზარელი მოხდება და საკუთარი თვალით მინდა ვიზილო, აი, ლონდაც გამოჩნდა ლამაზი მიხვრა-მოხვრით, შევიდა სადარბაზოში და გულმა რეჩი მიყო, ნუთუ დღეიდან ლონდა ვეღარ გაარჩევს თავის ლამაზ ტანს? კინაღამ ვიყვირე, „უთო არ ჩართო-მეთქი“, მაგრამ თავი შევიმაგრე და ვიგრძენი, როგორ გააღო სახლის კარები ლონდამ, როგორ შევიდა მისაღებ ოთახში და... აფეთქების ხმაშ ბინა შეაზანზარა, თითქმის მთელი ბინის ფანჯრებიდან ჩამოცვივდნენ მინები, ხალხი შეგროვდა, ლონდას სახლის კარები ჩაკეტილი იყო და ვიღაცამ მხარით შეამტკრია, ბინაში შეცვივდნენ, მეც „სამალავიდან“ გამოვედი და ლონდას სახლისაკენ წავედი, რათა საკუთარი თვალით მენახა ჩემი ნამოქმედარი, საზარელი სურათი გადამეშალა თვალწინ: ოთახის კედლები სისხლის შხეფებით იყო დასვრილი და ლონდას ლამაზი ნაკვთები ოთახში იყო მიმოფანტული, ხალხი გაოგნებული მისხევებოდა ამ საზარელ სურათს, ყველა გაფითრებული იყო, მხოლოდ მე ერთი ნაკვთიც არ შემრხევია, ასე მშვიდად არასდროს მიგრძნია თავი და ცოტა სიამოგნებაც მომგვარა „დამამძიმებელ ფორმაში ჩადენილმა შურისძიებამ“. ისე მოვიქეცი, თითქოს ცუდად შევიქნი, ჯერ გარეთ გამოვედი სუფთა ჰაერზე, შემდეგ ცოტა გავიწიე და სახლში წავედი, რათა სახლიდან მეთვალყურებია მოვლენების განვითარება, მართლაც, მალე გამოჩნდა მილიციის ავტომანქანა და თხუთმეტი წუთის შემდეგ ლონდას გვამიც წაიღეს.

დამშვიდებული ინსტიტუტში წავედი, ამ ორი თვის განმავლობაში პირველად ვუსმენ ლექციებს, საღამოს ცირკში

წავედი, ალბათ, არც არასდროს არ მითამაშნია ასე, როგორც
დღეს, დაღლილი დავწექი და ტკბილად დამეძინა, ვალერის
დღეს არც ველი და არც მოსულა!

1945 წელი, 8 მარტი (ხუთშაბათი)

დღეს ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეა,
არავის სცალია ამ დღესასწაულის აღსანიშნავად, უბრალო
სიტყვით ვულოცავთ ნაცნობებს, არც მე მოვმზადებულვარ
ამ თარიღის აღსანიშნავად, თუ ვინმებ მომილოცა, მაღლობას
გეტყვი, თუ არადა... ვერაფერს ვერ ვწედავ კარგს ქალის
გაჩენაში, ჩვენთვის ერთი დღე წელიწადში საზეიმოდ კი არ
უნდა იყოს დაარსებული, პირიქით, ქალთა მოდგმის
გასაჟღებად, „დაეუფლოს სიკვდილი ქალთა, რათა აცილდეს
ტანჯვა შემდგომში...“

ჩემს გულში, ვინ იცის, როდის იქნება ზეიმი, ვალერიმ
სამუდამოდ წამართვა საზეიმოდ განწყობილების ხასიათი,
ჯერ კიდევ არ დაბრუნებულა, არ ვიცი, სად ათევს დამეს, სად
არის დღისით, თუმცა ცირკში სამჯერ შევნიშნე, გზაზედაც
ხშირად შევამჩნიე, უნდოდა ჩემი შესვერლა, გამოლაპარაკება,
მაგრამ ახლა მე ვიწევ თავში, თითქოს ვერც ვამჩნევ, გაუვლი
გვერდს და მივდივარ ჩემს საქმეზე.

ჩემი უყურადღებობა ვეღარ აიტანა ვალერიმ და გუშინ-
წინ გზაზე გადამიდგა, „გამარჯობა, მერი!“ მითხრა მორცხვად
და ხელი გამომიწოდა, მე, როგორც უცნობ ადამიანს, გაკვირვე-
ბული მზერა მივაშტერე, თავი გადავაქნიე, „უძალური“, ვთქვი
და გზა გავაგრძელე, ვალერი ადგილზე დარჩა თავდახრილი
და ხელგამოწვდილი, თვითონ ვერ ვძლებ უმისოდ, მაგრამ არ
მინდა უბრძოლველად დავნებდე, როგორც პირველად, მართა-
ლია, ვიტანჯვები, მაგრამ, რაც მტანჯა, იმისი სანაცვლო იყოს,
ადამიანმა რომ ჩემს გულში ჩაიხედოს, ნამდვილად შეაქებს
ჩემს ნებისყოფას და შეებრალება სიყვარულით დატანჯული
სული:

ნეტავი სახლში რატომ არ მოდის? ალბათ, მეზობლების ერიდება და კიდევ კარგი, თუ აქვს შერჩენილი რიდი და ნამუსი?

დღეს, მიუხედავად საზეიმო განწყობილებისა, როგორც ყოველთვის, ნაღვლიანი ავდექი დილით აღრე, ვისაუზმე და ცირკში წასასვლელად მოვემზადე, ინსტიტუტიდან დღეს ვისვენებთ.

კარები გავაღე, კარებთან ერთი კალათა გარდები დგას, დანახვისთანავე ცირკში, არენაზე, ვალერის ნაჩუქარი ვარდები მომავონდა, ეს ვარდებიც ისეთივე სიფრთხილით იყო დაგრეფილი, როგორც ისინი. კალათა სახლში შევიტანე, ვარდებსა და ვარდების შუაში ოთხად გაკეცილი წერილი იდო, კალათა მაგიდაზე დავდე, წერილი გავხსენი და წაკითხვა დავიწყე:

„მერი, არ ვიცი, ბოდიშებით დავიწყო, თუ ისე, პირდაპირ, როგორც გაბუტულ მეუღლებს შეეფერებათ, თუმცა ჩვენ არ წავჩეუბებულვართ, უბრალოდ, გაუგებრობა მოხდა და მეტი არაფერი, შენ დღემდე იცოდი ყველაფერი, მაგრამ არ იმჩნევდი და ხომ შეიძლება, არც ახლა შეიმჩნიო და არც გაიხსნო წარსული? როგორც არ უნდა იყოს, უნდა მაპატიო, ამას მოვითხოვ პირადად შენი სინდისისაგან, მე ხომ პირველი სიყვარული ვარ და მომავალი პირველი შვილის მამა, მე მგონია, ასე ადვილად ვერ ჰქორავ ხელს სიყვარულს, ვერ წაიშლი გულში სამუდამოდ აღბეჭდილ გრძნობას, ნუ იწვალებ, ძვირფასო, თავს, მეც ნუ მაწვალებ, საღამოს მოვალ, ნუ მკრავ ხელს, მიმიღე ისე, როგორც ყოველთვის!

ეს მცირედი საჩუქარი, ვარდების კონა, ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად მომირთმევია, არ მქონდა უფლება, არ მომელოცა თქვენთვის ეს დირსშესანიშნავი თარიღი, ისე, როგორც თქვენ არა გაქვთ უფლება, შეცდომა არ მაპატიოთ.

**შენი ვაღერი.
08.03.1945 წელი.“**

— წერილს ვკითხულობ და მგონია, თითქოს ვალერი მითვალთვალებს, წყნარად გავაღე კარები, კიბეები ჩავათვალიერე, აյ არ არის, იქნებ ფანჯრიდან მითვალთვალებს, ფანჯრის ღიად დარჩენილ ღრიჭოში გავიხედე, ვერაფერი შევნიშნე, მაგრამ მაინც მგონია, მწამს და ვიცი, რომ მითვალთვალებს, ვარდებით სავსე კალათა ავიღე, წერილი თავის ადგილზე მოვათავსე, ფანჯარა გავაღე და კალათას ქუჩაში გადავუძახე, გულზე შვება ვიგრძენი, თითქოს რაღაც ტვირთი მომხსნეს, ფანჯარა დავხურე და ცირკში წავედი.

არა ვარ ვარჯიშისთვის განწყობილი, მაგრამ შეძლების-დაგვარად ხელით მიჭირავს ნერვები, არაფერს ვიმჩნევ.

ვარჯიში რომ დავამთავრე, საჩქაროდ გამოვიცვალე ტანსაც-მელი და სახლი, წამოვედი, სახლს რომ გაუსწორდი, უცებ, მოჩვენებასავით, მოულოდნელად წინ ვალერი გადამიდგა.

— ამას კი ადარ მოველოდი, თუ სარვამარტო საჩუქარს თავზე გადმომაყრიდი! — საბყვედური მითხრა, ისე რომ არ მომსალმებია.

— მე ის ვაზაც გავტეხე, რომელშიდაც შენს მიერ პირველად მოტანილი ვარდები მოვათავსე! ეს იყო ყველაზე დიდი შეცდომა ჩემს ცხოვრებაში, ახლა მაინც შემეტვი, ნუდარ მენახვები, თვითონ მინდა გამოვასწორო საკუთარი შეცდომა, აღვზრდი შვილს, მარტოობით დატანჯული გავმხიარულდები და შვილის სიხარული მეყოფა ჩემს სიცოცხლეში, ნეტა გოგო დაიბადებოდეს, მამაკაცები თვალის დასანახად შემჯავრდა ყველანი...

— ესე იგი, ყველაფერი დამთავრდა ჩვენს შორის?

— ყველაფერი! და უფრო მეტიც, მე ვერ ვუარავ შენი სახით ყველა მამაკაცის სიძულვილს, წადი შორის ჩემგან, მე არ ვვაჭრობ ჩემი სხეულითა და სპეტაკი გრძნობით, უმანკო გზა ამირჩევია ცხოვრებისათვის და ნუ მიშლი ხელს, ჩემი გზით ვიარო, არაფერს გთხოვ, მხოლოდ ნუ შემხვდები, რომ შენი სახით ყველა ადამიანი არ შემძლდეს! იქნებ ყველა შენისთანა კი არ არის და შეცოდებაა უდანაშაულო ადამიანის სიძულვილი!

— არსადაც არ წავალ! ვბრუნდები საკუთარ ოჯახში, საკუთარ ცოლ-შვილთან და არავის არა აქვს უფლება საკუთარი ოჯახიდან გამაძეოს, მომკალი და დამიტირე, ერთი დღიდან ცოცჯხალიც შენი ვარ და მკვდარიც...

კიდევ რომ რაიმე მეტქა, შემეშინდა, შეიძლება ვალერი მართლა წასულიყო და გაჩერება ვარჩიე, თითქმის უხმოდ მივედით სახლამდის, კარები თავისი გასაღებით გააღო, გზა დამითმო და მე პირველი შევედი, ვალერი სავარძელში ჩაჯდა, მე სამზარეულოში გავედი, რაღაც გაბოროტებული ვარ, დავ-ფუსფუსებ, თითქოს რაღაც მინდა გავაკეთო და გაკეთებით კი არაფერს ვაკეთებ...

ვალერიც გაჩუმებულია, ხმას არ იღებს, ის მგონი ჩემზე უხერხულად გრძნობს თავს, ასე წყნარად და გაბუტულივით ვიყავით თითქმის ერთი საათი, მეტი ველარ გავძელი, მდუ-მარება მომწყინდა და მყუდროება პირველმა მე დავარღვი:

— ვალერი, მოდი გაგებულად ვილაპარაკოთ, ჩვენი ასაკისა და განათლების ადამიანები შეიძლება სახალხო სასა-მართლოში მიიწვიონ ამა თუ იმ საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის, მწამს, რომ მოსამართლემ ჩვენზე მეტი არ იცის ჩვენი ოჯახისა და შეურაცხყოფად მიმაჩინა, სხვას დავუძახოთ საკუთარ ოჯახში, მამაკაცის მცდარი ნაბიჯის გადადგმისათვის გასაკიცხავად.

საკუთარ თავსა და საკუთარ ოჯახს ჩირქი რომ არ მოვაცხოთ, ამიტომ ჩვენ თვითონ ტკბილად მოვილაპარაკოთ და გავაკეთოთ ისე, რომ დღეიდან ერთიმეორის თვალებში შეხედვის არ შეგვრცხვეს!

— მე უკვე ჩავიდინე ისეთი, რომ მრცხვენია შენი თვალებში შეხედვისა!

— ეს მიპატიებია, რაც იყო, ვივიწყებ, მხოლოდ ასეთი რამ თუ არასოდეს არ განმეორდება!

— ვფიცავ ჩვენს სიყვარულს! რომ არასოდეს განმეორდება!

— არა, ფიცი არ მინდა, მოსმენილი მაქვს უკვე შენს მიერ, შენი ფიცის შემდეგ შემძულდა ყველა ბრტყელ-ბრტყელი

სიტყვა და მათი მთქმელები, მგონია, რომ ყველა სიტყვა სიცრუეა და ყველა ადამიანი მატყუარა.

— ჩემს მიერ მცდარი ნაბიჯის გადადგმა თუ ყოველდღე მოიგონე, ეს პატიება არ იქნება, ვხედავ, შენს გულში ძველებური სიყვარულის ნატამალიც არ შემორჩენილა, ჩემი სიტყვები, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებად გეჩვენება და სიცრუედ, ბოლოს და ბოლოს, რას მოითხოვ, რომ აღვადგინო ძველი სიყვარული?

— დღეს ჩვენ ხელს მოვაწეროთ, რომ მეორედ, შენს მიერ მიტოვების შემდეგ, ბავშვს დარჩეს კანონიერი მამის გვარი!

— ბოლოს და ბოლოს, დამიჯვერე, მერი, რომ არ იქნება არავითარი მიტოვება, მშობლებს გეფიცები!

— ფიცით ნუ მიყოლიებ, საქმით დამიტყიცე სიყვარული, დღესვე მოაწერ ხელს თუ არა ჩემთან?

— არ მითქავს, ბატონო, არ მოვაწერ-მეთქი, მე მზად ვარ, ახლავე წავიდეთ, თუმცა შენ ცდები, თუ ფიქრობ, რომ მაიძულებ, მე თუ შენთან დღეს ქედმოხრილი ვდგავარ და განვიცდი შენს დაკარგვას, ამით შენს ბედნიერებაზე უფრო დაგსტირი საკუთარ თავს, დავსტირი დაკარგულ ბედნიერებას, სიმდიდრეს, გავლენას, ვგლოვობ იმ გულისხმიერებას, რომელსაც არ მაკლებდი, აძრიგად, დაგსტირი საკუთარ ხვედრს, შენთან განშორებით საკუთარ თავში ბევრი სისაძაგლე აღმოვაჩინე, ქედის მოხრა და პირფერობაც კი, მაგრამ ამნაირი პირფერობა მე მიმაჩნია გულუბრყვილოდ, ვინაიდან ამ შემთხვევაში არა მარტო შენ გატყუებ, არამედ საკუთარ თავსაც, პრსებობს უფრო უკეთესი პირფერობა, როცა ადამიანი შეგნბულად აცდუნებს ყველას, მე ვგულისხმობ იმათ სულის ბორგვას, ვისაც სურს გაუქარვებელი მწუხარებით მოიხვეჭოს სახელი. დააცხრობს რა, დრო მათ ჭირ-ვარამს, ისინი მაინც დაჟინებით ღვრიან ცრემლს, უნუგეშობის ნიღაბს ამოფარებულნი, ცდილობენ დაგვარწმუნონ, რომ მათ მწუხარებას მხოლოდ მათივე სიკვდილი თუ დაასრულებს, ისინი ამას მხოლოდ ყალბი სიტყვებით ცდილობენ.

არსებობს კიდევ ერთი წყარო ცრემლებისა, რომლებიც ადვილად იღვრებიან და ადვილადვე შრებიან, ტირიან იმიტომ, რომ მგრძნობიარედ მოგვაჩვენონ თავი, რამეთუ, თანაგრძნობა დაიმსახურონ და ბოლოს, ტირიან იმიტომ, რომ სირცხვილია, არ იტირონ, ასეთ ცრემლს მეკუბოვეს ცრემლები ჰქვია, თითქოს ტირის მიცვალებულს და უხარია კუბოს გაყიდვა, მე კი სრულებით არ შემიძლია ტირილი და საქმიანი თუ უსაქმური ცრემლები ვღვარო, ვღვავარ შენს წინაშე ქედმოხრილი და ვინანიებ შეცდომებს, თუმცა შენ ჩემზე უკეთესად უნდა იცოდე ჩემი ხასიათი!

— მე ვიცოდი შენი ხასიათი, მაგრამ ადამიანის სახით იმდენადვე ამოუცნობი ყოფილა, რამდენადაც მსოფლიოს შვილი საოცრება, მარტოდ გატარებულმა დღეებმა დამარწმუნა, რომ შენ არასოდეს არ გყვარებივარ, თორემ არ შეიძლებოდა ასე ადვილად ჩაქრობილიყო სიყვარულის ხანძარი.

გადადგმული მცდარი ნაბიჯი სანთლის მაგვარად, მოკიაფე სიყვარულს აქრობს, თორემ ხანძარს ვერაფერს უშვრება, პირიქით, უფრო აჩალებს მას, მწამს, რომ შენს გულში სიყვარული არც დღეს არ არის, მხოლოდ, თუ ჩემთან ცხოვრება გადაგიწყვეტია, ალბათ, ადამიანური მოვალეობის გულისათვის, როგორც შენი სიტყვები მეტყველებენ,. აღადგინო დაკარგული ბედნიერება, სიმდიდრე და გავლენა, კარგი, ბატონო, მე ამ პირობითაც ბედნიერი ვიქნები შენს გვერდით...

ახლა ვისადილოთ და წავიდეთ, ხელი მოვაწეროთ...

მაგიდა გავაწყვე მაღიანად ვისადილეთ, შემდეგ ვალერის ვუთხარი თავის ოთახში შესულიყო და ტანსაცმელი გამოეცვალა, დიდი ლოდინი არ დამჭირვებია, ვალერი სუფთად ჩაცმული გამოვიდა, ხელკავი გამომდო და ხელისმოსაწერად წავედით...

ქორწინების სახლთან მისვლამდე არც კი გამსხენებია, რომ დღეს რვა მარტია და დაწესებულებები ისვენებენ, ქორწინების სახლი დაკეტილი დაგვიზვდა, ესეც ჩემი უკუღმართი

ბედის გაუმართლებლობას მივაწერე, გულმოსული გამოვბრუნდით უკან.

დღეს, საღამოს, წარმოდგენა მაქვს ცირკში, სახლში აღარ გაგვივლია და პირდაპირ წავედით, ვალერის საუკეთესო ადგილზე დავსვი. გამოვიცვალე, ვარჯიში დავიწყე და დრო შეუმჩნევლად გაფრინდა, კონცერტი დაიწყო, როგორც ყოველთვის, დღესაც მოწონება დავიმსახურე, ყველა თაიგულის კონა მე დავისაკუთრე, წარმოდგენა დამთავრდა, ვალერიმ ხელკავი გამომდო და ერთად დავბრუნდით სახლში, დაიწყო ახალი ცხოვრება!

ღმერთო! ახლა მაინც მოგვიმართე ხელი!

1945 წელი, 9 მაისი (ოთხშაბათი)

ორმა თვემ გაიარა დღიური არც კი გადამიშლია, საინტერესო არაფერი მომხდარა ჩემს ცხოვრებაში, მოვშინაურდით მე და ვალერი, ვერიდებით ერთიმეორის წყვინინებას, სიტქბო და სიხარული სუფევს ჩემს პატარა ოჯახში, მართლაცდა, ამ ორიოდე თვეში ყველაფერი დამავიწყდა, თვალებში შევციცინებთ ერთმანეთს და უთქმელად ვგრძნობთ, როგორ ჩვენთაგანს რა გაეხარდება, ასეთი ყურადღებიანი არც კი მეგონა ვალერი, მარტო არსად არ მიშვებს, თუ არ გამაცილა, დილით ინსტიტუტამდის მიმაცილებს და ლექციების დამთავრების დროს კარებთან მხვდება, რომ სახლში ერთად წამოვიდეთ.

დღეს 9 მაისია, მსოფლიო ზეიმობს ფაშიზმზე გამარჯვებას, ჩვენი ჯარები, დიდი ხანია, რაც ბერლინში შევიღნენ, ორი კვირით ადრე დამთავრდა ბრძოლა, მაგრამ დღეს, საბოლოოდ მოედო ბოლო ფაშიზმის არსებობას, მე და ვალერიც ვუერთდებით გამარჯვების დიდ ზეიმს, მამაჩემის სასმელების აქამდის ხელუხლებელი ბარი გამოვალე, სუფრაზე ორი ბოლოი კონიაკი დავდე და პირველი სადღეგრელო, ჩვენი მშობლების სახით, მათ ხსოვნას მივუძღვენით, ვინც

თავი შესწირა დიდ სამამულო ომს და გამარჯვების დღეს ვერ დაესწრო, შემდეგი სადღეგრძელოები ვალერიმ თანმიმდევრობით გააგრძელა, ერთი ბოთლი კონიაკიც დაცალა, საგრძნობლად დათვრა და მეორე ბოთლი აღარ გაუხსნია, დიდხანს ვილაპარაკეთ, მიყვარს სიტყვაძვრი ვალერის საუბარი, როცა დათვრება, მაშინ ამოიდგამს ენას, მოყვება მთისა და ბარისას, უმეტესად კი საკუთარ წარსულს, ცუდი არაფერი არ დასცდება სიმთვრალეში, მხოლოდ ეს არის, რომ ტირილი უყვარს. არ ვიცი, უყვარს, თუ ჩვევად აქვს გადაქცეული, ვერ ვიტან ვალერის ცრემლებსა და მეც ვტირი, დღესაც ასე იყო, ჯერ ტებილად დაიწყო ლაპარაკი, შემდეგ მშობლები მოიგონა, მერე თავისი ხელმოკლე ცხოვრება და ცრემლებიც მოაყოლა, მეც მაქვს მოსაგონებელი, მეც მყავდა მშობლები და მათი წილი ცრემლიც არის ყოველთვის მომდგარი ჩემს თვალებზე. ტირის ვალერი და ვტირივარ მეც! ცრემლი დამამშვიდებელი საშუალებაა ადამიანისათვის, ჩემი აზრით, არასდროს არ უნდა რცხვენოდეს ვინმეს დაღვრილი ცრემლის ვალერის კი რცხვენია და ხშირად სახეს მარიდებს.

ცრემლი მაშინ იქნებოდა ადამიანისთვს ნაკლი, თუ თვალთმაქცობით ნაკლის მიჩქმალგას იკადრებდა, ვალერი კი სიმთვრალეში არ თვალთმაქცობს, სიმთვრალეში იმისი დაღვრილი ცრემლი მსოფლიოში ყველა ქალის ცრემლზე უფრო ალალი და სპეტაკია.

მართალია, ვალერის რცხვენია ჩემთან, ერთჯერ მცდარი ნაბიჯის გადადგმის შემდეგ, მაგრამ მან ეს დანაშაული უკვე გამოისყიდა, არ არსებობს ადამიანი, რომ მას სირცხვილი დასტეხოდეს თავზე და არ დარჩენოდეს იმისი შესაძლებლობა, აღადგინოს დაკარგული სახელი თუ სიყვარული, ვალერიმაც უკვე აღიდგინა თავისი სიყვარული და ერთჯერაც არ დაცდენია ჩემთან იმ ქალის სახელი, რომელიც ჩემზე ძლიერ უყვარდა.

... ცრემლმა ორივენი საგრძნობლად დაგვამშვიდა. ვალერი თითქმის გამოფხიზლდა კიდეც და კონიაკის მეორე ბოთლი

გახსნა, პირველი ჭიქა ომის ღვაწლმოსილ მხედართმთავარს სტალინს მუჟქვნა, აღნიშნა, რომ ის არის ლევენდარული ადამიანი, რომელიც ხალხთა საკეთილდღეოდ, ჭაბუკობიდანვე ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, არის კომუნისტური პარტიის წევრი 1898 წლიდან, 1912 წლიდან მუშაობს ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში მონაწილეობს ბოლშევიკური გაზეთების „ზვეზდასა“ და „პრავდას“ გამოშვებაში. დაწერა მთელი რიგი თეორიული ნაშრომები, როგორც პროფესიონალური რევოლუციონერი, იგი არაერთხელ დააპატიმრეს და გადაასახლეს, 1917 წლიდან პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და „პრავდის“ რედაციის აირჩიეს, თანმიმდევრულად იცავდა ბოლშევიკების ტაქტიკას, ცარიზმის დამხობის კურსს.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, პირველი საბჭოთა მთავრობის ეროვნების საქმეთა სახალხო კომისარი, 1922 წელს აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად, 1941 წლიდან ბრალეულად სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს, ომის ქარცეცხლიან დღეებში, როგორც უნიჭიერესი მხედართმთავარი, აირჩიეს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ და დანიშნეს უმაღლეს მთავარსარდლად, დღესაც დაუღალავი შრომით, აქტიურად იცავს მარქს-ენგელს-ლენინიზმის პრინციპებსა და პარტიის საქმეს...

რომ ცოცხლობ ადამიანი ქვეყნად და სუნთქვავ, აი, ასე უნდა იცხოვო!

დიდება დიდ სტალინს! დიდხანს სიცოცხლე და გამარჯვება!

ვალერიმ სადღეგრძელო დამთავრა და ისე სწრაფად გადაჰკრა კონაკი, კინაღამ ჭიქაც თან გადააყოლა, მე კი ტაშით დავაჯილდოვე სადღეგრძელო, კიდევ დიდხანს ვიღაპარაკეთ, მთელი ღამე ქალაქში საზეიმო მაშხალების სროლაა და რა დაგვაძინებს, ჩვენც ფართოდ გავაღეთ ფანჯრები, შევხარით საერთო ზეიმს, მაშხალების კორიანტელს, თაგულივრით რომ იმღება ცის კიდობანზე.

1945 წელი, 28 მაისი (ორშაბათი)

მე და ვალერი ძალიან შეხმატკბილებულად ვცხოვრობთ, ერთად ვმეცადინეობთ და ყოველგვარ ჭირ—ვარამს ვიზიარებთ, სამეცადინო კი ბევრი გვაქვს, მე მეოთხე კურსი უნდა დავხურო და მეხუთეზე გადავიდე, ვალერი კი წელს ამთავრებს უნივერსიტეტს და მპირდება, ამავე ქალაქში დავრჩები სამუშაოდ, სანამ შენც არ დაამთავრებ ინსტიტუტსო. ალბათ, აქვს საქმე „ჩაწყობილი“, თორემ განაწილებაზე უარს როგორ იტყვის? თუ დარჩა აქვე სამუშაოდ, კარგია, დავამთავრებ ინსტიტუტს, იქნებ მეც აქვე გამანაწილონ და რა ჯობია მშობლიურ ქალაქში ცხოვრებას, ბინა საძებარი არ მექნება და ავეჯი, ნაცნობები და მეგობრები, ამ ქალაქს ვარ შეზრდილი და შეჩვეული, აქ ცხოვრება მირჩევნია, სამოთხეში ყოფნას, ამ ქუჩაზე დედახემს და მამახემს გაუვლიათ, არ მინდა დავკარგო და დავივიწყო მათი ფეხის ნადგამი ადგილები, გავსცექერი ამ ქუჩებს და ხანდახან მგონია, სულ მალე გამოჩნდება სამუშაოდან მომავალი დედა ან მამა, მე ხომ მუდამ ამ ფანჯრიდან გავსცექეროდი ქუჩას და ველოდი მათ! ისინიც გამოჩნდებოდნენ, გავიქცეოდი, გზაზე შევეგებებოდი და კისერზე ჩამოვეკიდებოლდი, არასოდეს დამავიწყდება ეს ქალაქი და ქუჩები, არ მინდა სხვაგან, არა! არც ვალერის გავუშვებ, რა თქმა უნდა, თუ ეს ჩემი საქმე იქნება...

მე და ვალერიმ დღეს მოვილაპარაკეთ, რომ კურსის დახურვის შემდეგ ცირკიდან შვებულება ავიღო და გაგრაში წავიდეთ დასასვენებლად, ვალერიმ დამარწმუნა, რომ ზღვის ჰაერი ჩემს ორგანიზმზე კარგად იმოქმედებს, ბავშვიც ჯანმრთელი დაიბადება და მშობლიურ ქალაქში ჯანმრთელი ჩვილით დავბრუნდებით!

რა თქმა უნდა, კარგია ზღვის ჰაერი, თუ გინდა ცუდიც იყოს, რა უფლება მაქვს, ოჯახის უფროსის გადაწყვეტილებაზე უარი ვთქვა. ქმართან წყენაც კი არ უნდა გამოავლინოს ქალმა, იმდენად თავდაჭერილი უნდა იყოს, თავდაჭერილობა

კი ქალისათვის იგივეა, რაც ძვირფასთვლიანი სამკაული, რომლითაც ისინი თავიანთ სილამაზეს ამკობენ.

ყოველ შემთხვევაში, ვალერი არ არის ისეთი, რომ სიტყვის შებრუნება არ შეიძლებოდეს, პირიქით, ის ყოველთვის მომიხმობს, შემეკითხება, აი, ესა და ის საქმე როგორ მოგვარდება, პირველად ჩემს პასუხს მოისმენს, შემდეგ თავისას იტყვის და ვაკეთებთ იმას, რომელიც ჯობია, დღესაც ასე მოხდა, პირველად მე შემეკითხა:

— ბავშვის მოლოდინის დღეები ზღვაზე რომ გაგატარებინო, როგორი იქნება?

— კარგი, მხოლოდ იმ პირობით, თუ შენც ჩემთან იქნები!

— ვუპასუხე.

— ხომ არ გეშინია, ჩემო ჩიორა? — ღიმილით შემეკითხა.

— მეშინია! — თავი დაგუქწიო — მაგრამ სიკვდილის კი არ მეშინია, სიცოცხლე მენანება, არ მინდა, იმის უნახავი მოგვყვდე, ვისი გულისთვისაც შეიძლება ვეღარ ვიცოცხლო!

— ნუ გეშინია, არ მოგვდები! მე შენთან ვიქნები და ჩემი სიახლოვე ყოველგვარ საფრთხეს გაგანრიდებს!

ვალერიმ კიდევ თქვა რაღაც, მაგრამ აღარ გამიგონია, რაღაც წინასწარმა ალომო მიკარნახა, ვალერის ჩემი მოშორება უნდა ამ ქალაქიდან, რომ თავისუფლად იმოქმედოს, მაგრამ არა მგონია, ყოველთვის როდი გაამართლებს ადამიანის წინათგრძნობა, ესეც რომ არ იყოს, ვალერი ხომ მპირდება, რომ ჩემთან იქნება, მაშ, რაღასი უნდა მეშინოდეს? გული დავიმედე, თუმცა ჩემი გულის ნაკარნახევი არ დავმალე ვალერისთან.

— ვალერი ჩემი მოშორება ხომ არ გინდა ამ ქალაქიდან, რომ უფრო თამამად ისეირნო ქალებში?

— ოჳ მერი! შენ კიდევ შენსას არ იშლი? თუმცა სიტყვა მომეცი, წარსულს აღარ მოვიგონებო!

— არა, ვალერი, არც ვიგონებ, არც გძრახავ და არც გზას ვიღობავ, მხოლოდ უქრალოდ გაფრთხილებ, სუსტი ნებისყოფის ქალებს ბევრი ოჯახი დაუნგრევია და არ შეტოპო...

— მამაკაცებს ეპატიებათ ქალებში სეირნობა, თუმცა, ჩემი აზრით, არც ქალები უნდა იყვნენ ამ ბუნების ჯილდოს მოკლებულნი, შენ ძალიან პატიოსნად მიგაჩნია თავი და მეც ვიცი, ზედმიწევნით პატიოსანი ხარ, შენ სულიერად ხან მტკიცე და ჯანსაღი, ეს კველაფერი ამ ორი მტკიცე უჯრედის მოქმედებაა და დროებითია, რადგან სულიერი სიჯანსაღე ბროლივით მსხვრევადია, ისე როგორც ხორციელი და ვისაც ვნებისაგან თავისუფალი პეტრი თავი, ისევე შეიძლება დაავადდეს ამ სენით, როგორც ჯანმრთელი ადამიანი გრიპით!

— ვერ გამიგია, ნუთუ შენ დაავადებული ხარ ამ სენით და მხოლოდ ქალების ტრუობაა შენი ცხოვრების მიზანი?

— კი მაგრამ, მე ხომ შენ გვერდიდან არ გშორდები და რატომ გვიცია, რომ ქალებზე შეყვარებული ვარ? მე, მართალია, ქალები მიყვარს, მაგრამ რამდენადაც მიყვარს იმდენადვე მეჯავრება ისინი, მიყვარან იმიტომ, რომ მიყვარს, ქალები! მეჯავრებიან იმიტომ, რომ ყველანი ჩემი არ არიან!

— და არც შეიძლება იყონ! — სწორედ ამიტომ ვარ მხოლოდ შენთან, ვჯერდები ერთს და გვერდიდან არ გშორდები, ჩემო ჩიორა!

1945 წელი, 16 ივნისი (შაბათი)

გუშინ დავამთავრე გამოცდები, წარჩინებით დავხურე გურსი და დღეიდან მეხუთე კურსის სტუდენტად ვითვლები.

ვალერიმ კი სამი დღის წინ დაამთავრა სადიპლომო სამუშაოები და ამ დღეებში ალბათ დიპლომს მიიღებს, შემდეგ სამსახური და ცხოვრება თავის ახალ კალაპოტში ჩადგება, ხალხში მეტი გავლენა ექნება, მეტი ავტორიტეტი და, რაც მთავარია, ოჯახში მეტი ფული, (ოქ! ჩვენი გამჩენის დღე დაიწვა, ქალს რომ მუდამ ფული ახსოვს), მაგრამ მე მგონია, არ ვცდები, ფული ხომ ადამიანისათვის მზერისა და სმენის ორგანოსა ჰყავს, ამ ღირსებას მოკლებულ ადამიანს არ შეუძლია დაინახოს ცხოვრების მსვლელობა იმ თვალით, როგორი-

თაც მიმდინარეობს ის... და არც შეუძლია მოუსმინოს ცხოვრების გულის ცემას ისევე მახვილი ყურით, როგორც მას უნდა ესმოდეს!

ვალერი პირველ ხანებში მებრალებოდა და შეუღლების შემდეგ გულში ვზეიმობდი იმ პირველ წარმატებას, რომელიც კეთილის საქმის გაკეთებას მივუძღვნი, ეს სიბრალული სულ მაღალ იმხელა სიყვარულის ხანძრად იქცა, რომ სიკეკლუცის ადგილიც კი აღარ დარჩენილა ჩემს გულში, მართალია, უსაზღვროა ქალის სიკეულუცე, მაგრამ ჩემი აზრით, ქალი გათხოვებამდის უნდა კეკლუცობდეს, გათხოვების შემდეგ ქალის სიკეკლუცე და ხშირად სარკესთან ტრიალი, გულში, ოჯახის მიმართ ბოროტ ზრახვებს ბადებს. ქალების უმეტესობა, რა თქმა უნდა, ჩემს შეხედულებაზე არ დამეთანხმებიან, ვინაიდან, ზოგიერთი ქალი უფრო ადგილად იოკებს თავიანთ ვწებას, ვიდრე სიკეკლუცეს, იმის მიმართ, ვინც გეზიზღება, ჩემი აზრით სიმტკიცე უნდა შეინარჩუნო, იმის მიმართაც, ვინც მოგწონს, გიყვარს, მხოლოდ კი არ გეგუთვნის! მაში, რაღა საჭიროა ქმრის სიყვარულის შემდეგ, ზედმეტ სიკეკლუცესაც ჰქონდეს ადგილი ქალის გულში?

დღეს შაბათია, მე და ვალერი სახლში ვართ, გვიან ავდექით და ოთახში დავბორალობთ, რაღაც მოწყნილობა დაგვეუფლა, ალბათ, ეს ამინდის ბრალიც არის ცოტა, ცა დილიდანვე მოღრუბლულია და ისე ნაზად წვიმს... ასეთ ამინდში მხოლოდ ძილს თუ ინატრებს ადამიანი.

ვალერის თითქოს ჩემი ლაპარაკი არ ესმის, ოთახში გადი—გამოდის და პაპიროსს ეწევა, ვატყობ, ჩემი საუბარი არ აინტერესებს და რაღაც მნიშვნელოვანს ფიქრობს, ცოტა ხნის შემდეგ „ახლავე მოვალ, ერთ კარგ საქმეზე მივდივარო“, მითხრა, პიჯაკი მოიცვა და ჩემს პასუხს არ დალოდებია, ისე წავიდა, მართლაც, ერთი საათის შემდეგ გახარებული დაბრუნდა, მატარებლის ორი ცალი ბილეთი გამომიწოდა და მითხრა:

— მოემზადეთ!

მე რაღაც დავიბენი, დღეს ამ ამბავს არ მოველოდი და გამიკვირდა ვალერის წინასწარ, რომ არაფერი უთქვაშს. მე მეტიც არ მინდოდა და საყვედურების ქოქოლა მივაყარე, მან თავი იმართლა, არ მეგონა, თუ ბილეთებს ვიშოვნიდი და ამიტომ ვერ გაგაფრთხილეო, რაღაც ცუდს მივრძნობს გული, არსად წასვლა არ მინდა და ვალერის ვუთხარი:

— ჯერ ხელიც არ მოგვიწერია და ბილეთები კი შეიძინე, გაგრაში ბავშვის ხელის მოუწერლად ვინ გაგვიტარებს, ახლავე წავიდეთ ჯერ ხელი მოვაწეროთ და წასვლაზე შემდეგ ვიფიქროთ!

— ოჰ! ჩემო უგნურო ჩიორა, ხომ იცი, დღეს შაბათია: ქორწილების სახლი დღეს და ხვალ არ მუშაობს, მე შენ წამოსვლას კი არ გაძალებ, მაგრამ ბილეთები რატომ უნდა გავაუქმოთ? როგორ, ხელს გაგრაში ვერ მოვაწეროთ? ბავშვი კი აქ გავატაროთ, რომ დავბრუნდებით!

— ასე უცებ, მოულოდნელად, მომზადება მაინც არ გვინდა?

— ნუ დარდობ, შენი დარდი არ შეიძლება, ბავშვი ნერვიული დაიბადება, ჩვენ კი, თუ დავშვიდდებით, ყველაფერს მოვასწრებთ, მატარებლის გასვლამდე კიდევ ბლომად არის დრო!

როგორც ყოველთვის, ვალერიმ გაიმარჯვა და დავიწყეთ სამზადისი წასვლისათვის, მართლაც, მალე გამზადდა ყველაფერი, საღამოს ათ საათზე მზად ვიყავით გასამგზავრებლად, მატარებელი კი თერთმეტ საათზე გადის...

ვალერი ხუთით წუთით სადღაც გაუჩინარდა და როდე-საც დაბრუნდა, ორი ახალგაზრდა რკინიგზის საღურის მუშა მოიყვანა, თითოს ორ-ორი ჩემოდანი აპკიდა, ორ-ორიც ხელში მისცა და სადგურისაკენ გზა დაულოცა.

მუშებს ჯერ ვალერი გაჰყვა უკან, შემდეგ მე, სულ ბოლოს გამოვედი სახლიდან, ჩუმად, ჩემს გულში დავლოცე მშობლიური ფუქე, ჩვენი მგზავრობა, კეთილი გადარჩენა და კარგბი საიმედო დავკეტე (სამჯერ გადავატრიალე გასაღები).

სახლი ცოდნა, მარტოდ არ უნდა მიატოვო, მიტოვებული სახლის ავეჯი მტვრით იფარება, უწინდება მკილი, ჭია და გულში ამ ჭიის ჩაბუდება ოჯახის დანგრევასა და სახლის ჩამონგრევას იწვევს, სწორედ ამ ჭიის გაჩენის ეშინია სახლს, რომელიც ადამიანივით ცოცხალი არსებაა, რომელიც სუნთქავს, ყველაფერს იხედება და ამბობენ, ოჯახის უფროსს კიდეც ელაპარაკებაო!

სახლს უყვარს თავისი მფარველი ანგელოზი, ხალხმრავლობაა, ბავშვთა ჟრიამული და ხეებით დაჩრდილული ეზო, ცვრიანი ბალახი, დილით ადრე შიშველი ფეხი რომ ჩათელავს ბალახს და კვნესა აღმოხდება, მაგრამ მზის სხივი მიხვდება თუ არა, წელში გაიმართება და ხეებს შეეხმიანება, ქარი სრულებით რომ არ ქროდეს, ხეები მაინც აშრიალდება და სახლს გააგებინებს დილის მობრძანებას, სახლი კი, თითქოს მეტი სიმბიმე დააწვაო, წლოვანებაზე კიდევ ერთი დღის მომატებით კედლებს შეაურეოლებს და ოჯახის უფროსს აუწყებს: – მზის ამოსკლამ მოგასწრო ზეზე ადგომაო.

უჰ! თავზე დამთენებია! – იტყვის ოჯახის უფროსი და თბილ ოთახს ფრთხილად ტოვებს, რათა მეუღლე არ გამოაღვიძოს, მაგრამ მეუღლეს არ გამოეპარება ოჯახის უფროსის წყნარი ფეხის ხმა და თვითონაც საჩქაროდ ადგება.

– დილა მშვიდობისა! – ეტყვის ოჯახის უფროსს და გაუღიმებს.

– მშვიდობა ნუ მოგიშალოს ღმერთმა! – რაკი ადექი, ბავშვებიც გააღვიძე ბარემ!

– ჯერ იძინონ, სანამ საუზმეს გავამზადებდე! – იტყვის ქალი და ბუხართან დაიწყებს ფუსფუსს...

არ, ასეთი რამ უყვარს სახლს, სადაც ყოველდღე ჭერს ულოცავენ და ფუძებს. სადაც ერთი მეორეს სიყვარულია, ხათრი და პატივისცემა...

მე კი რამოდენიმე თვით ვტოვებ მშობლიურ კერას და კარების დაკეტვისას თითქოს მესმის სახლის კედლების ცრემლიანი ხმა – ნუ წახვალ, მერი, შენ ხომ ერთადერთი

მფარველიდა ხარ ჩემი, ნუ მიძატოვებ მარტო! მე დავცარი-ელდები, უშენოდ გულში ჭია გამიჩნდება და ყველანი დავიღ-უპებით. რატომ ჰქოლავ კარებს, შენ ხომ უბრალო გაკეტვა იცოდი ხოლმე მაგ კარების? თქვენს წინაპრებს როცა საყ-ვარელი მეუღლე მოუკვდებოდათ, მხოლოდ მისი ოთახის კარებს ქოლავზნენ და საყვარელ არსებასთან ერთად კვდებოდა მისი ოთახიც, შენ კი მთლიანად ჰქოლავ მთელ სახლს, იკლავ თაგს და მკლავ მეც! ნეტავი რა დაგიშაგი! ეს არის მშობლი-ური ამაგის მაგიერი? ეგ არის მშობლების ბრძანების შეს-რულება? ნუ წახვალ, მერა! გემუდარები!

ჩურჩულებენ სახლის კედლები...

გჩურჩულებ მეც:

– რა ვქნა, უნდა წავიდე, ოჯახის უფროსს ასე გადაუწყვეტია!

– სად არის ოჯახის უფროსი, უფროსმა თქვენთვის შესწირა თავი, რომ კერა არ ჩამქრალიყო! მუდამ თბილი და სუფთა ყოფილიყო ჩემი ჭერი, ფუმე და კედლები, შენ კი მტოვებ და ვიცოდე მაინც, ვის ეძახი ოჯახის უფროსს? სად მიდიხარ? ვისთან?..

მეტის მოსმენა აღარ შემიძლია, საჩქაროდ გვეტავ კარებს, გავრბივარ და ისევ ყურში ჩამესმის საყვედურები...

ბაქანზე მატარებელი დამდგარი დაგვიხვდა და მუშებმა ვალერის მიერ მითითებული კუპეში შეიტანეს ჩემოდნები, ვალერიმ გზა გამიკაფა და ძლიერ მივაღწიე ნაჩენებ ადგილებამდის, ჩემს დღეში არ მინახავს ამდენი ქალი და ბავშვი ერთად, არ მსხენია ამხელა ხმაური და ღრიანცელი, გული კიდევ უფრო შემეკუმშა, არაფერს არ ვინატრებდი ჩემს სიცოცხლეში, მხოლოდ ახლა მატარებელი არ წამოვიდოდეს და სახლში დამაბრუნა, – დაბრუნდი! – ჩამდახის უხილავი ძალა, მაგრამ მე არ შემიძლია გავაკეთო, ჩემი თვითნებური ნაბიჯის გადადგმა, ვიცი, ვალერის დაკარგვას გამოიწვევს და ეს კი ყველაფერზე უფრო მეტად ძნელია, ძალიან აუტანელი, ვიდრე ყოველგვარი ტანჯვა ქვეყნად, ვალერისთან ერთად ყველაფერს

ავიტან, მხოლოდ მაღე გავშორდე აქაურობას, სულ მაღე დავბრუნდებით სამივე უკან, გავახარებთ მშობლიურ ქალაქს და მშობლიურ სახლს, მართლაც და, რას გაიხარებს, აჩურ-ჩულდება და აბუზლუნდება კედლები, დამტუქსავენ, მე კი გავჩნდები, თავს დავხრი და გავწითლდები, კედლებს გაეხ-არდება, ესიამოვნება ჩემი მორცხვობა და შემირიგდება!

მატარებელი ჯერ კიდევ ნელა გასცდა ბაქანს, შემდეგ სიჩქარეს უმატა და ბორბლების რიტმულ ხმაურში გავირ-ინდე, ფიქრებს მივეძალე, შემდეგ ფიქრითაც დავიღალე და ვალერის მკერდზე დავდევი თავი დასაძინებლად...

1945 წელი, 17 ივნისი (კვირა)

არ მინდა ავღწერო, წუხანდელი ის აუტანელი ხმაური, რომელიც მატარებელში განვიცადე... ძილით ორიოდე წუთი თუ წამებინა ვალერის მკერდზე თავმისვენებულს და დილას, რა თქმა უნდა, ისევ მატარებელში შევწვდი!

ვალერი ვაჟეკაცი შეხედულების ბიჭია, თავის დაცვაც შეუძლია და ვგრძნობ, იმის შიშით ჩემსკენაც ვერავინ იხედება გაბედულად, ასე რომ ვალერისთან მგზავრობა არ მიჰირს, თორემ, რა გამოლევს აყროლებულ ხალხს, აგერ ჩემს თვალ-წინაც კი აყენებენ შეურაცხყოფას ქალებს, ქალიშვილებსაც და კაცებსაც კი...

ჩემს პირდაპირ ერთი შუახნის დედაკაცი ზის, რომელ-საც გვერდით 12–13 წლის გოგონა მოუსვავს და წელზე ისე შემოუხვევია ხელი, თითქოს ემინია, არავინ წამართვასო, რომელიღაც გაჩერებაზე ჩვენს სამგზავრო განყოფილებაში ორი ახალგაზრდა შემოვიდა, რამდენიმეჯერ გაგვიარ—გამოგვიარეს გვერდით, შემდეგ ეს 12–13 წლის გოგონა ამოიღეს მიზანში და ლაზლანდარობა დაუწყეს, ქალმა, რომელიც გოგონას ახლ-და, ვეღარ მოითმინა და დაცვა დაიწყო, მაგრამ ერთმა იმხელა თავხედობა გამოიჩინა, რომ ქალს ტუჩებზე ხედი მიაფარა და გამაფრთხილებელი სიტყვებით უთხრა:

- ნუ ტეხავ, ბებოჯან! გამორთე არღანი!
- შეგვეშვი, შვილო! მგზავრები ვართ, ჰოსპიტალში ვიყავით დაჭრილის სანახავად, არც არაფერი გაგვაჩნია, დაგვეხსენი ღმერთი არ გწამთ?
- მაშ, ბებოჯან, გაჭირვებული ხართ არა? ეს ძალიან კარგია, გაჭირვებულს თუ ფეხი არ დააჭირე, მაშ ეშმაკს ვინ დაიჭერს?

- რას გვთხოვ, შვილო, ვერ გამიგია!
- ბევრს არაფერს, დედიჯან, აი, ამ გოგონას წავიყვანთ, განა შევჭამთ?

გოგონას მკლავში ხელი სტაცეს ძალით წასაყვანად, აქ ვალერიმ ვეღარ მოითმინა, ალბათ, ვერც მე ვერ მოვითმენდი, რომ მარტო ვყოფილიყავი, მაგრამ ახლა ვალერისი მომერიდა, იმის წინ წასვლა არ იყო ლამაზი.

ვალერი ზეზე წამოდგა და ის ხულიგანიც შემოტრიალდა, რომელსაც გოგონას მკლავი ხელში ეჭირა, ვალერიმ შემოტრიალება და შუბლში მუშტის დაკვრა ერთდღოულად მოახერხა. მოძალადე გულწასული დაეცა ძირს, მეორე ხულიგნის ხელში კი დანამ იელვა და ვალერზე აღმართა ზურგში ჩასაცემად, აქ ფიქრის დროც კი გვიანი იყო, ელვისისწრაფით მოვწყდი ადგილიდან და ისე მოულოდნელად, მთელი ჩემი ძალით, მოვარტყი ორივე ფეხები ხულიგანს ყბაში, რომ არა მარტო დანა გაუვარდა ხელიდან, არამედ ვაგონის ორმაგი ფანჯრის ორივე მინა ჩაამსხვრია.

სულ მალე ცნობის მოყვარულებმა ჩვენს ირგვლივ წრე შეჰქრეს, მატარებლის გამცილებელიც მოვიდა და მორიგე მილიცაც. მინდოდა ხულიგნები მიღიცისათვის ჩამებარებია, მაგრამ ვალერიმ არ ქნა, ბევრი თათბირისა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ ვალერიმ ჯარიმა და ჩამსხვრული მინების საფასური გადაიხადა.

ღამის ორი საათია, გაგრაში შევედით, ვალერიმ ჩემოდნები საბარგო განყოფილებას ჩააბარა და შემდეგ სადგურის სასტუმროში იშოვა ადგილი, რათა დაღლილებს დილამდის დაგვესვენა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიჩნებე და ძალზე ანერვიულებული ვარ, მაინც მკვდარივთ ჩამეძინა დაწოლისთანავე.

1945 წელი, 18 ივნისი (ორშაბათი)

კარგად გამოვიძინე და კარგ ხასიათზედაც გამომედვიძა, გალერის ჩემთვის მოუსწრია ადგომა და სარკესთან თმებს ივარცხნის, გამოღვიძლებული რომ დამინახა, გამიღიმა და ხელების მოძრაობით მანიშნა – ადექი, წასვლის დრო არისო. – ავდექი, ჩავიცვი და ვალერის ხელკავი გავუკეთე, პირველად სადგურის სასადილოში შევედით, სახელდახელოდ ვისაუზმეთ, შემდეგ ფეხით გავუყევით ტროტუარს, მთავარ ქუჩაზე გავდით.

გავრა პატარა ქალაქი ყოფილა, მთლიანად მწვანეში ჩამჯდარი, მთავარი ქუჩა ერთადერთი აქვს, რომელიც შუაზე ჰყოფს ქალაქს.

ქალაქი ზღვისპირას არის განლაგებული და აქ უმეტესობა საკუთარი საცხოვრებელი სახლები დგას, რომელთა მეტი ნაწილი კაბიტალურია, თითქმის ყველას ერთნაირი პატარა ეზო აქვს და თითქმის ყველა სახლის ჭიკარზე განცხადება არის გაკრული: – „ვაქირავებთ ბინას“.

მე და ვალერი ვკითხულობთ განცხადებებს და სეირნობას ვაგრძელებთ, გვინდა ზღვის ახლოს ვიქირაოთ ბინა და აი, ზღვაც გამოჩნდა, ჩემს სიცოცხლეში პირველად ვიხილე ზღვა, ახლოს მოვედი და გავხედე იმის უძირო პორიზონტს, ცა ავისმომასწავებელ ტყვიისფერ ღრუბლებს დაეფარა, ზღვა შფოთავდა და იმ უძირო პორიზონტიდან ტალღები ისე მოგორავდნენ, თითქოს ქვეყანას წალეკვით ემუქრებოდნენ, მაგრამ ტალღების ბოროტ განზრახვას შესრულება არ ეწერა, ისინი ბროლის ჭურჭელივით იმსხვრეოდნენ...

ერთხანს ვიდექით მე და ვალერი გაბუტულებივით, ზღვას გავსცექეროდით, ვტკბებოდით იმის სილამაზით და ვმშვიდლებოდით.

ზღვას ფიქრი სცოდნია, სანამ ფიქრთა ტალღას ზღვის ტალღები შეუერთდებოდა და გამიტაცებდა, ვალერიმ გამომიყვანა მდგომარეობიდან:

— წავიდეთ, ჩემი ჩიორა, ჯერ ბინა ვიქირაოთ და აქ ყოფნას ყოველთვის მოვესწრებით!

ამჯერად ვალერიმ გამომდვა ხელკავი, მე უხმოდ გავყევი, ოციოდე ნაბიჯი თუ გვექნებოდა გადადგმული, რომ რკინის ჭიშკარზე ტრადიციული წარწერა შევნიშნეთ — „ვაქირავებ ბინას“ — ჭიშკრის შიგნით წითელი აგურის ორსართულიანი სახლი იდგა, სახლის წინ კი უზარმაზარი ცაცხვის ხე აყვავებულა.

— აი, აქ ყველას აჯობებს ბინის შოვნა, თქვა ვალერიმ და ჭიშკარი დაუკითხავად გააღო, ჭიშკრის გაღებისთანავე, სადღაც მიმაგრებული ელექტროზარი აწკრიალდა და მყისვე სახლიდან შუახნის ქალი გამოვიდა, წამიერად შევავლე თვალი, რომ შემესწავლა ჩემი მომავალი დიასახლისის ბუნება, საშუალო სიმაღლისა, შაგვარუმანი და ოდნავ ჩასუქებული, ძაღიან ხშირი, გრუზა და მთლიანად თეთრი თმა, შავ თეთრკოპლებიანი თავსაფრით აქვს წაკრული, სახე კეთილი, თვალები თითქოს ნამტირალევი და ნაღვლიანი, არ შეიძლება ასეთ ადამიანში კეთილი სული არ ბუდობდეს, გავითიქრე და ვალერის ხმაც მომესმა:

— დეიდა, ბინას თუ აქირავებთ?

— კი, შვილო, მობრძანდით!

ოდნავ დამტვრეული ქართულით უპასუხა ქალმა და სახლისაკენ გაგვიძლვა, ოთახში შევედით, რომლის ფანჯარაც ზღვას გადასჩერებოდა, ოთახში ორი გაწყობილი საწოლი, ერთი პატარა მაგიდა და ტანსაცმლის კარადა იდგა.

— აი, აქ იცხოვრებთ! — გვითხრა ქალმა და გაგვიღიძა.

— ამ ოთახის საფასური თქვეში რამდენი იქნება? — ჰკითხა ვალერიმ.

— არც რამდენი შვილო! ხმის გამცემი მაინც მეყოლება, იცხოვრეთ და იყავით რამდენ ხანსაც გინდათ, ახლა სხვა

დროა, დროს სჭირდება ფული და ადამიანი დროებით მიზედვით იყენებს მას, მე ფული რად მინდა მოვაკლო ასეთ კეთილ ადამიანებს, როგორიც თქვენ ჩანხართ, მე კი შევინახო? არა, ამას არ ვიზამ, აი, ომი დამთავრდა, ჩამოვლენ ჩემი ბიჭები მალე და ყველაფერი იქნება, ფულიცა და სიცოცხლეც!

— ომში არიან? — შევეკითხე.

— ომში არიან! სტალინგრადიდან დაიწყეს ბრძოლა და ერთი კვირის წინათ გერმანიდან მივიღე წერილი, ბრძოლით შემოიარეს ქვეყნა, ახლა კი იწერებიან: „ომი დამთავრდა და მალე ჩამოვალოთ“ — ორივე ძმები ერთად არიან, ერთ ნაწილში, უფროსი აშოთი, უფროსი ლეიტენანტია, უმცროსი — ხორენი, კაპიტანი.

ჩვენ კირაკოსიანები ვართ, უფრო სწორად, ჩემი ქმარი იყო კირაკოსიანი, მე ვართანიანი გახლავართ, მაგრამ ახლა, მეუღლის გვარზე ვწერივარ.

ქმარი ლოვა კირაკოსიანი რევოლუციამ შეიწირა, სამეგრელოში მოკლეს, 1924 წელს, ბავშვები პატარები იყვნენ და გერ შევძლით ცხედარი აქ ჩამოგევსგენებია, შემდეგ კი ვეღარ ვნახეთ, ვეღარ მივაგენით, ვინ იცის, შეიძლება ქრისტიანულად დამარხვაც არ ღირსებია ცხონებულს.

— ძალიან ეკლიანი ისტორია გქონებიათ დეიდა, მაგრამ მალე ბიჭები ჩამოვლენ და ყველაფერი ბედნიერებით შეიცვლება! — უთხრა ვალერიმ და საკუთარი თავი წარუდგინა: — მე ვალერი ვარ, არაბული, ეს კი მერი ქართველიშვილი, ჩემი მეუღლე! მშობლები ორივეს ფრონტზე დაგვეღუპა და გადაწყვიტეთ, ობლებს საკუთარი ტკბილი ოჯახი შეგვექმნა.

— მოხარული ვარ შვილო, ღმერთმა ბედნიერად გამყოფოთ, მოგაშენოთ, მოგამრავლოთ და შეგაბეროთ, ბედნიერი იყოს თქვენი ფეხი, სადაც წახვიდ—წამოხვიდეთ!

მე მარიამი მჭვია, ვართანიან—კირაკოსიანი, თქვენ კი, უბრალოდ, მარიამ დეიდა, ან მარიამი დამიძახეთ, როცა ახალგაზრდები მარტო სახელს მეძახიან, მეც ახალგაზრდა მგონია თავი და მიხარია! — სიცილით თქვა მარიამმა და მზერა მე მსტყორცნა:

— ფეხმძმედ ხარ, შვილო? შემეცითხა.

— კი! — ვუპასუხე და ყურებამდის კი არა, ყურებიანად გავწითლდი.

— ოოგორც შენ პატარას მოვესწრები, ნეტავ ისე შვილიშვილებს მომასწროს ღმერთმა, შენ ბედნიერი ხარ, დედისათვის შვილის გაჩენაზე უდიდესი ბედნიერება არ არსებობს, შვილო.

შვილი მშობლებისათვის ცოცხალი ორგანიზმია, შვილის გულისცემა და სისხლის მოძრაობაც კი საკუთარი ორგანიზმივით ესმის მშობელს!

დარდი არ გქონდეს, შვილო, შენი მშობიარობა ბრწყინვალედ ჩაივლის, მე სპეციალობით ფერშალი ვარ და ღმერთმა იმის მეათედი შვილი შეგძინოს, რამდენ ახალშობილსაც ჩემს ხელში გაუვლია.

მარიამი ადგა — დალლილები იქნებით, დაისვენეთო — გვითხრა და გავიდა.

— უკეთეს ადგილას ალბათ ვერ ვინატრებდით! — მითხრა ვალერიმ და მსუბუქად მაკოცა ლოყაზე, მეც მიხარია ასეთ ტკბილ ოჯახში შემოსვლა, თავს ისე ვგრძნობ, თითქოს საკუთარ ოჯახში მომიყვანა ვალერიმ და მარიამის სახით ოჯახში ტკბილი დედამთილი დამხვდა, წამოგწექით, ცოტახანს დავისვენეთ, გამოვედით.

ვალერიმ პატარა ბავშვივით დამიწყო დარიგება:

— ზღვაში არ შეხვიდე, არ გაცივდე, შენთვის საკმარისია ზღვის სუვთა ჰაერი, იცოდე, რომ საკუთარი თავი შენ ალარ გეპუთვნის, შენ მალე შვილის დედა გახდები და მხოლოდ შვილისთვის გმართებს დათმო ყოველივე ეს, ხულიგანს დანა ხელიდან რომ გააგდებინე, მე გადამარჩინე და ბავშვის სიცოცხლე კი საფრთხეში ჩააგდე, აწი, ასეთი რამ არ გააკეთო, შვილისათვის მშობელი თუ თავს გასწირავს, ეს არაფერია მაინცდამაინც!

— რას ამბობ, ვალერი, შენთვის რომ დანა დაეკრათ, მოეკალით, მეც ხომ თავს მოვიკლავდი და ჩვილიც ხომ ჩემთან ერთად დაიღუპებოდა?

— ეს კიდევ თავისას ამბობს! ნუთუ არ გესმის, რომ დედამ ყველაფერი უნდა აიტანოს და მოითმინოს შვილი-სათვის?

— მამამ!

— მამამაც!

— ერთი რამ მაინტერესებს, ჩვენი ყოფნა—არყოფნის საკითხი სასწორზე რომ დადგეს, შენ რომელს გადაარჩენდი, მე თუ ჯერ თვალით არნახულ შვილს?

— არც დავფიქრდებოდი, თუგინდა ყველა ქალები გაწყვეტილიყვნენ ქვეყნად, მე მაინც შვილს გადავარჩენდი! — ღიმილით მითხრა, მაგრამ იმდენად დამაჯერებლად, რომ სიმართლეში ეჭვიც არ შემპარვია.

... ზღვის სანაპიროზე გავვდით სასეირნოდ, ვალერიმ იცურავა კიდეც, მაგრამ მე იმდენად გულდამძიმებული ვარ ვალერიანის საუბრით, რომ ზღვის მაცდურმა ტალღებმაც კი ვერ დამიბრუნდა ხასიათი.

ორიოდე საათის შემდეგ დავბრუნდით სახლში, მარიამ დეიდას სადილი გაემზადებინა და ჩვენ გველოდა, ტკბილად და მაღიანად ვისადილეთ, ცოტა ხანს ვისაუბრეთ, შემდეგ კი „მკვდარი საათი მივიღეთ“ და მართლაც, ზღვის სუფთა პაურზე გემრიელად გამოვიძინეთ. ამჟამად კარგ გუნებაზედ ვარ, აღარ მახსოვს ვალერის საყველურები, გავცქერი, დელფინივით ზღვის ტალღებზე მოცურავე ვალერის და ვტკბები ამ სილამაზით, თუმცა, რაც შორს მიცურავს ჩემგან, იმდენივე კვერცხა აღმომხდება და შიშის გრძნობა მიღრნის გულს, ალბათ, ასე გაგრძელდება რამდენიმე დღე და, ნუთუ, ბოლოსდაბოლოს, მოსაწყენი იქნება ყოველივე ეს?

1945 წელი, 22 ივნისი (პარასკევი)

ტკბილად და მხიარულად გაიარა დღეებმა. რაც აქ ვიმყოფებით, მართლაც, ღირსშესანიშნავ დღეებად ჩავთვლი ჩემს ცხოვრებაში, პირდაპირ თავზე მევლება ვალერი,

ასეთი თავაზიანი და ტკბილი მოსაუბრე არასდროს მინახავს.

დეიდა მარიამი ადამიანებთან საუბარს მონატრებული ჩანს, სულ ერთად ვართ, სულ ერთად ვსაუბრობთ, უჭირს ქართულად ლაპარაკი და ხშირად ბოდიშებს იშველიებს ხოლმე, მაგრამ დღეს, კიდევ ბოდიში მოიხადა ოუ არა ქართული ენის დამახინჯებისათვის, მე სომხურად ვუთხარი:

— ნუ წუხდებით ქართულად ლაპარაკით, სომხურად ისაუბრეთ მეთქი.

მარიამ დეიდას თვალები გაუფართოვდა, მიიხედ—მოიხელა, ალბათ ეგონა, სხვამ ხომ არავინ დაილაპარაკაო და რომ დარწმუნდა, სომხური სიტყვების ავტორი მე ვიყავი, გადამეხვია, დამკოცნა და შვილივით ჩამიკრა მკერდში, მეც გავუღიმე, მან კი თავსაფრის ყურებით შეიძმრალა მარგალიტივით სუფთა და ალალი, სიხარულის ცრემლი.

სადილობის დრომ მოაღწია და დეიდა მარიამი სუფრის გაწყობას შეუდგა, სწორედ ამ დროს ფოსტალიონმა გააღო ეზოს ჭიშკარი და ელექტროზარის ხმამ ცაცვხვებამდის მოაღწია, სადაც მე ვიჯეები.

ახლა ფოსტა მოვიდა, ჟურნალ—გაზეთები და ერთი ცალი სამკუთხა წერილი, დეიდა მარიამმა არც კი შეხედა ჟურნალ—გაზეთებს, პირველად წერილი ჩაიკრა გულში და სათვალეების გამოსატანად გაიქცა, გამოიტანა, წერილი ჩუმად წაიკითხა და მე მითხრა:

— თქვენ ლაპარაკი შეგიძლიათ სომხურად და იქნებ წერა—კითხვაც იცით, წამიკითხეთ, აქ რა წერია!

წერილი გამოვართვი და წავიკითხე, თავზარდამცემი ამბავი:

— „დედიკო, მართალია ომი დამთავრდა, ფაშისტური გერმანიასთან, ჩვენ გავიმარჯვეთ დამპყრობელთა წინააღმდეგ, მაგრამ ახლა გამოჩნდა ახალი მტერი, იაპონია! რომელმაც შემოგვიტია აღმოსავლეთიდან და ჩვენც ვალდებული ვართ, მტერს დაეხვდეთ მტრულად და მოყვარეს მოყვრულად! ჩვენ

მივდივართ იაპონიასთან საბრძოლველად, როგორც გამარჯვებული დაგბრუნდი გერმანიდან, ისე გამარჯვებული დაგბრუნდები, დედა!“

წავიკითხე ეს წერილი და მარიამზე არანაკლებად დამეწვა გული, მოიწყინა დეიდა მარიამმა, მოვიწყინე მეც, ვალერიმ თითქოს ადგილი ვერ იპოვა, გადის და გამოდის, შემდეგ ჭიშკარი გაიხურა და წავიდა, აღბათ, სევდის გასაქარვებლად, დეიდა მარიამი სახლში შევიდა, ვიცი, რომ ტირის, მაგრამ მე ძალა არ შემწევს ვანუგეშო, ვზივარ ცაცხვის ძირში დადგმულ სავარძელში და ვფიქრობ, ნეტავი, როდის ეშველება ხალხს? ნუთუ კიდევ ომი უნდოდათ ომით დაქანცულ ქვეყანას? ვინ იცის, კიდევ რამდენ სიცოცხლეს შეიწირავს იაპონია, ჩვენ გავიმარჯვებთ! დამთავრდება იაპონიასთან ომი, მაგრამ ამით შეწყდება ომები და სისხლისძვრა? არა, კიდევ თაგს იჩენს ახალი ომი, არ ძღებიან სისხლით, სისხლიმსმელები და არ ფიქრობენ, რომ მათი სისხლი მეტი იღვრება, ვინემ სამშობლოს დამცველი მშრომელი ადამიანისა!

ვზივარ ცაცხვის ძირში და შევსცექრი ამ ასწლოვან მცენარეს, რომელსაც ზღვისფერამდის გაუდგამს ფესვები. ვინ იცის, იქნებ ზოგიერთ ადამიანზე უფრო მგრძნობიარე და კეთილია ეს ახოვანი და უენო მცენარე, იქნებ ესმის და ვერ ლაპარაკობს, იქნებ წერილის შინაარსიც გაიგო და ჩვენზე მეტად მოიწყინა, მართლაც, აღარ შრიალებენ ცაცხვის ფოთლები, თითქოს ტოტები დაუხრია და შარვლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ადამიანივთ დგას, მხრებჩამოყრილი.

ცაცხვის, ახოვანსა და ხავხმოკიდებულ ტანს, ხელი მოვხვიე და მივუალერსე, თითქოს ჩემმა შეხებამ გრძნობა აუმღვრია, გააურულა და მთლიანად ააკანკალა, თვალი გავაპარე ორი მძლავრი ტოტისაკენ, რომელიც ზღვის მხარეს გადახრილა და ზღაპრული დევის მკლავები წარმომიდგა თვალწინ, თითქოს ეს მკლავები ხელს უწევს აშოთსა და ხორქნს, თითქოს ჩურჩულებს ცაცხვი, „ჩქარა დაგვიბრუნდით, ბიჭებო, ვიდრე სევდამ არ მომიკლას, ერთადერთი ხმის გამცემი მარიამი!“

არ ვიცი, მართლა ცაცხვის ხემ გამახსენა მარიამი, თუ ზებუნებრივი ჩურჩული ჩამესმა და ზეზე წამოვიჭერი, ფრთხილად შევაღე დეიდა მარიამის საძინებელი ოთახის კარები, ფეხაკრეფით მივუახლოვდი პირქვე დამხობილს და მოზღუქუნეს, ფრთხილად მეთქი, ვამბობ, მაგრამ მაინც გაიგო ფეხის ხმა, გვერდზე გადმობრუნდა, ცრემლით ამღვრეული თვალები შემომანათა და თითქოს შერცხვა თავისი ცრემლისა, კედლისაკენ იბრუნა პირი.

მე ერთხანს უმოძრაოდ ვიყავი და უხერხულად ვგრძნობდი თავს, თანდათან გამოვედი მდგომარეობიდან, დეიდა მარიამის საწოლზე ჩამოვჯექი და თმაზე მივუალერსე.

— დამაცადე, შვილო, ცრემლი მაშვიდებს ხოლმე! — მითხრა მარიამმა ისე, რომ ჩემსკენ არც კი შემობრუნებულა.

— ვის გაუგონია, დეიდა მარიამ ცოცხალი ადამიანის ტირილი, დაწყნარდი, ღმერთმა არ გვიწყინოს?

— სად არის, შვილო, ღმერთი? ღმერთი რომ იყოს, ახალ ომს გააჩაღებდა? განა არ ეყოფოდა, რამდენი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა? ღმერთის სახელს ჩვენ ვამბობთ მოკრძალებულად, თუმცა დიდ პატივად არ არის მიჩნეული და მაინც ხანდისხან დიდ სახელს კუხვეჭთ მას, ვიდრე ჩვენს საკუთარ ღირსებას, ჩვენ არ გვავიწყდება სახელი მისი და ვიგონებთ ლოცვა-კურთხევით, ის გვივიწყებს და ლოცვისათვის მადლობასაც არ ამბობს, ასეთი გაგების ადამიანი რომ გყავდეთ მეგობრად, ხომ ხელს ჩაიქნევდით მასთან მეგობრობაზე?

— არა, დეიდა მარიამ, ადამიანს უნდა ხელის ჩასაჭიდი ჰქონდეს რაღაც, უნდა იმედის ნაპერწკალი უკიაფობდეს, რწმენა და სარწმუნოება ცუდი მოგონილი არ არის და არც სამარცხვინო, ვიწამოთ ის, რაც სწამდა ჩვენს წინაპრებს, რამაც შემოგვინახა სამშობლო, ენა და პატიოსნება, ნუ დარღობ, დეიდა მარიამ, იაპონიას ომის თავი არა აქვს, ეს ომი დიდხანს არ გაგრძელდება და სულ მალე დაბრუნდებიან შენი ვაჟქაცები!

— როდისლა, შვილო, ლოდინი აღარ შემიძლია, შემჭამა დარღის ჭიამ, მუდამ ასე მგონია, რომ მათ დაბრუნებას ვერ მოვესწრები, ხანდახან ვფიქრობ, ჩავიცვამ კაცურად და წავალ, მეც იმათ გვერდით ვიომებ, განა ცხრა ძმა ხერხეულიძეებს დედა არ გაუძღვა წინ საბრძოლველად? რად მინდა თოვი, ვინც ჩემს შვილს ტყვიას ესვრის, მას კბილით დავგლეჯ და შვილები, მე თუ მკვდარს დამინახავენ, მიწას მიმაბარებენ და უფრო გაბედულად იომებენ, არავის შეარჩენენ დედის სისხლს ჩემი ლომები!

ამ სიტყვებს ტირილით ლაპარაკობდა დეიდა მარიამი, მეც ვეღარ მოვითმინე, გული ამომიჯდა, მარიამს მკერდზე ჩავეკარი და ავზლუქუნდი, რამდენხანს ვიტირე, არ ვიცი, ბოლოს, ელექტროზარის წკრიალმა გამოვგარკვია, ვიღაცამ ჭიშკარი გააღო, ორივემ ერთდროულად შევიმშრალეთ ცრემლები და ეზოში გამოვედით, ვალერი დაბრუნებულა, ისევ ისე ნალვლიანი და უხასიათო ჩანს, როგორც წავიდა.

უხმოდ და უხერხეულად დავბორიალებთ ეზოში, ვერცერთი ვერ ვარებავთ ხმის ამოღებას, გვირჩევა, თითქოს ჩვენი ხმის ამოღებით მყუდროება დაირღვევა და რაღაც ცუდის მომასწავებელი ამბავი მოხდება. ასე გაგრძელდა რამოდენიმე ხანს და ბოლოს, ვალერიმ ცოტა ხმამაღლა, თუ მყუდროებაში ასე მომეჩვენა, თქვა:

- მე ამ საღამოს უნდა წავიდე!
- სად? — გაკვირვებული მზერა ვსტყორცნე.
- უნივერსიტეტში ცოტა მოსაგვარებელი საქმე მაქვს, იქნებ აღვილზე დამტოვონ!
- ახლა გაგახსენდა ეს ამბავი? ნეტავი აქამდის სად იყავი?
- არა, მერი, გადაწყვეტილი მქონდა, მე დღეს ეს ამბავი ყოველ მიზეზგარეშე უნდა მეთქვა, ან კი აქ ასეთი რა არის, გავაკეთებ ჩემს საქმეს და მაღე დავბრუნდები!
- მაინც რამდენ ხანში დაბრუნდები?
- როგორც კი ჩემს საქმეს მოვრჩები, იმ დღესვე, მე მგონია, ერთ კვირაში, იქნებ, უფრო ადრეც!

— ხომ ხედავ, რა პირობებში ვარ, დღითიდღე მიძნელდება სიარული, ნუ დაიგვიანებ, ვინ იცის, იქნებ ვეღარასოდეს ვეღ-არ გნახო, ნუ დამტოვებ უყურადღებოდ! — ვუთხარი და ცრემლები წამსკდა.

— ნუ ტირი, ჩემო ჩიორა, ხომ გითხარი, მალე მოვალ—მეთქი, ჩემს მოსვლამდის კი დეიდა მარიამი შენ არაფერს გაგიჭირვებს!

— წადი, შვილო, წადი! ჩვენი დარღი ნუ გექნება, ერთ კვირაში თავში ქვა რომ მცემო, მაინც არ მოვავდები, შენს დაბრუნებას მოვესწრები, ნეტა ისე ჩემი ლომების დაბრუნებას მომასწრო! — უთხრა მარიამმა და იმის თვალებზედაც ამო-ბრწყინდა ცრემლი.

საღამოს ვალერიმ მხოლოდ ერთი პერანგი ჩააგდო ჩემოდანში და გამოგვემშვიდობა, ჩემს გაყოლ—გაცილებაზე უარი თქვა, მსუბუქად მაკოცა ლოყაზე და ჭიშკრიდან დამ-აბრუნა...

1945 წელი, 28 ივნისი (ხუთშაბათი)

დეიდა მარიამი ჩემს ოჯახში „გადმოსახლდა“, მუდამ ერთად ვართ და მარცლაც, ისე შეგვიყვარდა ერთმანეთი, ვერ წარმოგვიდგენია ერთმანეთის განშორება, არ ვიცი, დეიდა მარ-იამის ზღაპრული თავგადასავალი შევიტანო თუ არა ჩემს დღიურში, თუმცა დღიურში შესატანი კი არა და ცალკე წიგნად გამოსაშვებია, ამის არაჩვეულებრივი, ფათერაკიანი თავგადასავალი, რომლის მსგავსიც მხოლოდ სათავგადასავ-ლო ან ფანტასტიკურ წიგნებში შეიძლება წაიკითხოს ად-ამიანმა.

ვნახოთ, თუ ცოცხალი გადავრჩი, შეიძლება შევიტანო ცოტა რამ ჩემს დღიურში დეიდა მარიამის ცხოვრებიდან, დღეს კარგ ხასიათზე გამომეღვიძა, ამინდიც არაჩვეულებრივია, მზიანი და წყნარი, ძლიერ მომინდა ზღვის სანაპიროზე გას-ეირნება და დეიდა მარიამს ვუთხარი...

— ზღვის სანაპიროზე გავისეირნებ, თუ რაიმე დაგჭირდეს, ან შემაგვიანდეს, თქვენც გამოისეირნეთ, ჩემს საყვარელ ადგილზე ვიქწები ჩამომჯდარი!

— წადი, შვილო, ისუნთქვე ზღვის სუფთა ჰაერი, ზღვა ბრძნია, დაუგდე იმის ჩურჩულს ყური და თუ ვერაფერს შეგძენს, არც არაფერს წაგართმევს!

სპორტული ტანსაცმელი ჩავიცვი, ავიღე ბალიში და წავედი, ზღვა წყნარად მოლივლივე ჩანს, მზის სხივებში გარინდულა, თითქოს ჩასძინებიაო, მე ჯერ ზღვის სანაპიროს გავყევი, გათამამებული ისე ახლოს მივედი მასთან, რომ წყნარი ტალღები შიშველ ფეხებზე მელამუნება და ფეხის აღებისთანავე შლის ჩემს ნაკვალევს...

სიარულით თითქოს დავიღალე, მომეწყინა კიდეც და მომინდა, საღლაც, მყუდრო ადგილას ჩამოვჯდე, გავზედო ზღვის უძირო ჰორიზონტს და გავესაუბრო მას.

მართლაც, შორს წავედი ქვიშნარი ნაპირიდან, მოვძებნე კლდეზე მიმაგრებული უზარმაზარი ლოდი, ზედ გაჭირვებით ავცოცდი, ბალიში დავიფინე და ჩამოვჯექი, გავცქერი ზღვას, ვტკბები იმისი სილამაზით და ჩემთვის წყნარად ვბუტბუტებ:

— ლამაზი და ძლიერი ხარ, ზღვაო, მაგრამ ვერაგი და გაუტანელი, მინდორში გაფანტული ყაყაჩოების ყანასავით ლივლივებს შენი ზედაპირი, მაგრამ როგორც ყაყაჩო ადამიანის ხელის შეხებას ვერ ითმენს და კავდება, ასეთივე ხარ შენც, ამაყი, ვერ ითმენ ადამიანის ხელის შეხებას და კი არ კავდება, ჰკლავ! ვინ იცის, რამდენი ადამიანი იმსხვერპლე, ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანის ცოდვა გადევს მაგ აქოჩილ ბებერ კისერზე!

ტალღა მოასკდა ჩემს ლოდის სავარძელს და მარგალიტების მძივებივით გაიფანტა, შემდეგ უკან დაბრუნდა, ქვიშანი გაიტაცა და თითქოს დაიჩურჩულა:

— მე მხოლოდ შენისთანა გაუნათლებლებს ვკლავ, რომლებმაც არ იციან ჩემი ფასი, ვკლავ იმიტომ, რომ სხვამ ისწავლოს და იცოდეს, მართალია, ვერ ვიტან ხელის შეხებას, არა ვარ მონობას ჩვეული! მე ჩემი ბუდე მაქვს, იმდაგვარი,

როგორიც თქვენ, ადამიანებს გაგაჩნიათ, მე არასოდეს არ მოვდივარ და არ ვანგრევ თქვენს ბუღეს, თქვენ რას მე-მართლებით, რად მისერავთ გულს და მართმევთ ყოველგვარ საუნჯეს, დაწყებული თევზიდან, დამთავრებული ბალახებამდის, ნუთუ თქვენ არ გყოფნით მიწა, რომ საბრძოლველად მანც არ გამოიყენოთ ჩემი გული, არ ჩამცეთ შიგ მახვილი, არ მომწამლოთ და ათასნაირი ნაღმ-ჭურვებით არ ამაფორი-აქოთ?

— ადამიანი ბუნების მმართველია, ზღვაო, ადამიანმა უნდა გარდაგქმნას შენ და ადამიანთა სასარგებლოდ უნდა გა-მოგიყენოს:

— კი, ბატონი, სასარგებლოდ თუ გამოიყენებს, მეც მოვეხ-მარები, განა ცოტას ვუკეთებ? მე ვაძლევ 160—ათას დასახ-ელების თევზულს და სასარგებლო წყალმცენარეს, ჩემი „ფოლოფორა“ და „ცისტოზირა“ ოქროზე მეტად ძვირფასია, მხოლოდ მე მოვაშენე დედამიწაზე ადამიანთა სასარგებლოდ ყვალა შინაური თუ გარეული ცხოველი, მხეცი და ფრინველი, ადამიანი კი, რით მიხდის სამაგიეროს, აფეთქებითა და მოწამვ-ლით? მე კი არა, ვერაგი და გაუტანლები თქვენა ხართ, ადამიანები!

— არა, ზღვა ყოველთვის არ იქნება ასე, ახლა ომიც დამთავრდება და თქვენც არავინ შეგეხებათ!

— ნეტავი რა გაქვთ საომარი, რას მოითხოვთ, რა არ გყოფნით. თქვენ იმდენი ხალხი გაწყვიტეთ, იმდენი ტექნიკა გაანადგურეთ და იმდენი ძალა დახარჯეთ, რომ ეს ყოველივე ხალხთა კეთილდღეობას მოხმარდებოდა, აყვავებული იქნე-ბოდა თქვენი სამყარო, ადამიანი მე აღარ შემაწუხებდა და უზრუნველყოფილი იქნებოდა ყოველნაირად!

თქვენ, ადამიანებს შუღლი და მტრობა მოგსდგამთ დასა-ბამიდან, გძულო გამძლარი ადამიანი, ჰკლავთ მას, რათა მისი ქონება მიითვისოთ და მე ბოროტებაში მითვლით, რომ შური ვიძიო და მკვლელი მოვკლა? შენ რა, მკვლელი არა ხარ? ქონებისათვის თუ არა, საკუთარი ბედნიერებისათვის ხომ

იმსხვერპლე ადამიანი? შენ რომ ჩემოდენა გული გქონდეს, მსოფლიოს წალეკავდი, მხოლოდ ერთადერთს, შენს ვალერის დატოვებდი ცოცხალს და ეს კი არ ვიცი, გეყოფოდათ თუ არა მთელი სამყარო ორ ადამიანს!

– მართლა ბრძენი ყოფილხარ, ზღვაო, მაგრამ მე არც ისეთი გულქვა ვარ, როგორც გგონიათ, შეიძლება საკუთარი თავი გავწირო ადამიანთა საკეთილდღეოდ! ჩემი ნაკლი ის არის,. ვერ ვიტან დალატსა და დამცირებას, თქვენ თქვენებურად უსწორდებით ცუდ ადამიანებს, მე კი ჩემებურად!

– აბა, ჩაუფიქრდი საკუთარ გონებას; ხომ გაგაჩნია დიდების სიყვარული, სირცხვილის შიში, ბედნიერი და სამური ცხოვრების სურვილი, სიმდიდრისაკენ სწრაფვა, წყურვილი შორსმჭვრეტელობისა, მაგრამ ვერ ამჩნევ საკუთარ სიბეცეს და კი არ იცი, ჭკუის ჩლუნგი, შორსმჭვრეტელი ვერ გახდება და ვერც იმ დიდების პატრონი,. რომელთა სურვილიც გაგაჩნია!

– რაც შენ ჩამოთვალე, ზღვაო, ეს სურვილები მარტო მე კი არა, თუმცა თქვენ ცდებით, მე არასოდეს არ მქონია გამდიდრების სურვილი, მხოლოდ არ მინდა დაამამციროს ვინმემ, ეს სიამაყე დამყვა თავიდან და ამაყს არ შეუძლია ვალში დარჩეს ვინმესთან ისე, როგორც თავმოყვარეს არ შეუძლია ვალის გადახდა!

რად გმობ ადამიანთა

მოდგმას, თვითონ არა სთქვი, რომ დედამიწაზე ყველაფერი შენი გაჩენილია? იქნებ ადამიანიც და ვინ იცის, იქნებ შენ ასწავლე ადამიანს ერთიმეორის შეჭმა? შენს გულში მობინადრე თევზები თუ სხვა ფაუნებიც ხომ ძალმომრეობით ცხოვრობენ და ერთმანეთით იკვებებიან, მართალია, ბევრის მომსწრე და მნახველი ხარ, მაგრამ, მე მგონია, დიდი სიბრიყვე იქნება, ყოველთვის თავი გამოიჩინო, რათა სხვაზე ჭკვიანი გამოჩნდე და შეეცადო საკუთარი ნაკლის დაფარვას, სხვისი ნაკლის გამომზეურებით...

არ ვიცი, კიდევ რამდენხანს ვისაუბრებდი ზღვასთან, რომ დეიდა მარიამი არ ამოსულიყო;

— სადა ხარ, გოგო, მთელი სანაპირო შემოვიარე, ნეტავი რას ფიქრობ ამდენს, არ მოგშივდა მაინც?

— მოვდივარ, დეიდა მარიამ, ახლავე მოვდივარ! — ვუთხარი და ლოდიდან დავსრიალდი.

— უი, დამიდგეს თვალები, რა თხასავით დარბიხარ, ნეტა ქვა ხომ არ გაქვს მუცელში, შე დალოცებილო, არ უნდა მოუფრთხილდე ცოტა თავს? — საყვედურების ქოქოლა დააყარა მარიამმა, მე დიდად არ მწყენია მშობლიური დარიგება.

მივვარდი, კისერზე ჩამოვეკიდე და ყელი დავუკოცნე, ჩემმა ასეთმა მოქცევამ, არ ვიცი, დააწყნარა, თუ უფრო ააფორიაქა მარიამი, მხოლოდ ეს კი არის, გაკვირვებული მომაშტერდა, გამიღიმა და მითხრა:

— რა იყო, შვილო, ასე რამ გაგახარა, ოქროს თევზი ხომ არ დაგიჭერია? ან რა გითხრა ასეთი გასახარელი ზღვამ?

— რა მითხრა და აშოთი და ხორენი კეთილი ხალხია და მალე მოვლიანო!

— ზღვაც კეთილია, შვილო, შენი ხნის რომ ვიყავი, მე ზღვამ შემინარჩუნა სიცოცხლე, გამოვდიოდი, დავჯდებოდი მყედრო ადგილას და მებაასებოდა ზღვა, მარიგებდა, თუ როგორ უნდა გამეძლო ჭირისათვის. მტუქსავდა, თუ რაიმე ცუდი ზრახვანი მომივიღოდა თავში და ასე მოვატანე დღემდე!

— დეიდა მარიამ, მართლა ლაპარაკობს ზღვა?

— არ ვიცი, შვილო, მე მგონია, ზღვა არ ლაპარაკობს, მხოლოდ ზღვას რომ მისჩერებიხარ, ფიქრი იცის ადამიანმა და ფიქრობს ყოველთვის იმაზე, რაც მას აწუხებს, ესაუბრება თავის თავს ზღვის ენით და თვითონ გმობს ბოროტს და აქებს კეთილ ზრახვებს, ზღვა ადამიანსა ჰვავს, გულჩათხრობილი, ბოროტი ადამიანივით ჰვარავს თავის ბოროტებას, რადგან ჰვანია, მის მიერ ჩადენილი ბოროტება არავინ იცის, ხანდახან კეთილია, წყნარი, ქალივით კეკლუცი და მიმზიდველი, მზადა ხარ, ჩაეკრა ფართო მკერდში, მაგრამ შეეხები თუ

არა, ერთხანს გაქანავებს, განებივრებს და გეალერსება, შემდეგ კი გაგიტაცებს და როგორც მნელია ლამაზი ქალისაგან თავის დახსნა, ასევე მნელია უკან დაბრუნება, ტალღები უკან გეწევა, არ გაძლევს ნაპირზე დაბრუნების უფლებას და თუ გამოუცდელი ხარ, სამუდამოდ დაგიტოვებს თავის თავთან.

მარიამის საუბარმა, ზღვის ქალთან შედარებამ, მომავონა ლონდა და ვალერი, რა ზუსტი შედარება მოახდინა, მართლაც, მნელია ლამაზი ქალისაგან თავის დახსნა, ალბათ, ვალერი დღესაც ლონდასთან იქნება, რომ უბედური შემთხვევა არ მომხდარიყო...

ძლივს მოვიშორე აბეზარა ფიქრის კორიანტელი და საუბრის თემა შევცვალე:

- დეიდა მარიამ, ხომ არავინ მოსულა?
- არა, შვილო, არავინ! – ამოხენეშით მიპასუხა მარიამმა და გაჩუმდა, ალბათ, ესეც ფიქრებმა გაიტაცა, ხელი არ შემიშლია, შეუმჩნევლად მივადექი ჭიშკარს, გავაღე ჭიშკარი, ზარი აწერიალდა და მხოლოდ ახლა გამოერკვა მარიამი.
- ოჰ, მოვსულვართ უპევ, დალოცა ღმერთმა, რომ შენ არა, შვილო, ალბათ სახლსაც ვერ მოვაგნებდი, ნამეტანი გამტეხა დარღმა!

- შენც ნურაფერს იფიქრებ და იდარდებ, მარიამ დეიდა!
- არ მინდა, შვილო, ვიდარდო, მაგრამ გული თავისას შვრება, უდარდელი და უფიქრალი ადამიანი გიჟია, მე მიხარია, რომ ვფიქრობ და ვდარდობ, ესე იგი, ჯერ კიდევ არ შევშლილვარ, რითა ვარ ცოცხალი მეც მიკვირს. ეშმაკი არ არსებობს! ადამიანია თვითონ ეშმაკი და ქალი ალბათ ეშმაკების დედა. მე რაც გადავიტანე, ეშმაკს გაუჭირდებოდა იმისი გადატანა!

- რას იზავ, დეიდა მარიამ, თითოეული ჩვენთაგანი რომ მოყვეს თავის გასაჭირს, მსმენელს თავისი გაჭირვება დაავიწყდება, დრო დადგა ასეთი, ადამიანები, მართლაც, სატანაზე ამტანიანები შეიქმნენ და, მე მგონია, სატანა ცდება, თუ ფიქრობს, რომ ადამიანებს უარესს გახდის, ვინემ არიან!

ყველაფერს შეგუებია ადამიანი და ჩვენც ადამიანები ვართ, ყველაფერს უნდა შევეგუოთ!

— ყველაფერს შეგუებია ადამიანი, ყველაფერს შევეგუები, მაგრამ ვიცი, შენს განშორებას ვერ შევძლებ, შვილო, დაფიქრდი, იქნებ დარჩე ჩემთან ბიჭების ჩამოსვლამდის მაინც.. ცოდო ვარ, შვილო, მეშინია არ გავგიუდე, წელან, ერთ საათში ისე მომენატრე, რომ არ მენახე, ალბათ გავგიუდებოდი და ზღვაში გადავვარდებოდი, არა, შენ კი არ მიყვარხარ. იმედი მაქვს შენი, ასე მგონია, მოვკვდები და არ მინდა უპატრონოდ სიკვდილი, შენ ნუგეში ხარ ჩემი, რომ მოგჩერებივარ, სიკვდილზე აღარ ვფიქრობ!

— ნუ დარდობ, დეიდა მარიამ, მე არსადაც არ წავალ, შენი შვილების ჩამოსვლამდის, მხოლოდ სექტემბრამდის თუ არ ჩამოვიდნენ, შენც ჩემთან წამოდი.

კიდევ ბევრი ვილაპარაკეთ მე და მარიამმა, თუმცა, რა გასაკვირალია, ქალებს სალაპარაკოს რა გამოულევს, მართალი თქვა მარიამმა, „ქალი ეშმაკის დედააო“, საიდან ვიგონებთ ამდენ ამბავს, ვერ წარმომიდგენია, ეშმაკსაც გაუჭირდებოდა, დაემახსოვრებია ის, რასაც ჩვენ ვსაუბრობთ, ჩვენ კი არაფერი არ დაგვავიწყდება.

დაღამდა და ჩემი საძინებელი ოთახისაკენ წავედით, კარები გავაღე თუ არა, ჩემს განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა და მდელვარებაც ვერ დავფარე, როცა ჩემს საწოლთან გაწყობილი აკვანი დავინახე, მარიამს მივაშტერდი და მადლობის ტირილი ამიტყდა, დიდხანს ვიტირე, მარიამს არ დავუწყნარებივარ, როცა ტირილით გული ვიჯერე, იგი მომიახლოვდა, თმაზე ხელი გადამისვა და ალერსით მითხრა:

— ეს ჩვენი საგვარეულო აკვანია, კარგი ვაჟკაცები და სახელოვანი ქალები აღუზრდია ამ აკვანს, იმედი მაქვს, არც ახლა გვიღალატებს ეს ნაკურთხი ფიჭვი და შენ კი, კარგ დედობას გასწევ, ეს პაწაწინა ლოგინი ახალთახალია, შვილო, შვილი წლის წინათ ვიყიდე, ჩემი შვილიშვილი უნდა გაზრდილ-

იყო შიგ, მაგრამ, რაც მოხდა, შენც იცი ყველაფერი, ჩემს რძალს, ჩემთან შენდამი სიყვარული არ დაუმსახურებია და შეცოდებაც არ იქნება, თუ შენ მოგაკუთნებ ნივთებსაც და იმისი ნაწილი სიყვარულით გაფლენთილ გულსაც, კარგ დე-ლობას გისურვებ, შვილო! მოშენებასა და მომრავლებას, მეც დამლოცე, შვილო, რომ შენისთანა ანგელოზი ჩემს ოჯახში-დაც შემოფურენილიყო.

— დამილოცნიხარ, დეიდა მარიამო, დამილოცნიხარ და ჩვენც შეგვძლებოდეს თქვენი პატივისცემის გადახდა, ღმერთ-საც დავუვიწყებივართ, თუ ოდესმე დაგივიწყოთ!

1945 წელი, 1 ივლისი (კვირა)

დღეს, დილიდანვე, ისეთი პაპანაქტბაა, სუნთქვა ჭირს, არცერთი მხრიდან არ იძვრის ქარი, ცოტა რომ მაინც გააგრილოს ჰაერი, ზღვაც ისეთი წენარია, უზარმაზარ ვაზაში ხელოვნურად ჩასხმულ წყალსა ჰგავს.

მე და დეიდა მარიამი ხშირად შევდივართ აბაზანაში, ცივი წყლით ვგრილდებით და ცაცხვის ჩრდილში ვსაუბრობთ, ჩვენი საუბარი, ძირითადად, აშოთს, ხორენსა და ვალერის ეხება, ვალერიმ დაიგვიანა, ნეტავი, ცუდი ხომ არაფერი შეემთხვა? ფიქრმა გამიტაცა და ამ წუთში ისე მომინდა ვალერის ნახვა, რომ ეზოში ადგილი ველარ ვიპოვე, უცერად მოვიწყინე, საძინებელ ოთახს მივაშურე, საწოლზე წამოვწექი და ტირილიც დავიწყე, დეიდა მარიამს არ გამოპარვია ჩემი უხასიათობა და ისიც ფეხაკრეფით შემოვიდა საძინებელ ოთახში, თვალცრემლიანი რომ დამინახა, ძალზეც გაუკვირდა და დამშვიდება დამიწყო:

— ნუ სტირი, შვილო, მართალია, ცრემლი ამშვიდებს ადამიანს, მაგრამ აგლახავებს კიდეც, მე რაც ცრემლი მაქვს დაღვრილი, მარტო ის ეყოფა ჰიტლერს დასახრჩობად, მაგრამ ბოროტება უმანკო ცრემლში როდი იხრჩობა, მათ ისევ ისე ბოროტება ანადგურებს... წუხელი სიზმარი ვნახე, დღეს

შენი ვალერი აუცილებლად მოვა და სულ მალე ქალიშვილის დედაც გახდები?

— მაინც რა ნახე ასეთი, დეიდა მარიამ? — ცრემლშეუმ-შრალი თვალები მივანათე მე.

— ისეთი არაფერი, მაგრამ ეს ასე იქნება! ახლა კი ადექი, ჩაიცვი, რკინიგზის სადგურზე გავიაროთ, ცოტა გულიც გადა-აყოლე და, ვინ იცის, იქნებ შენს ვალერისაც მოვუწყოთ შეხ-ვედრა! — უხმოდ ავდექი, ჩაგიცვი და რკინიგზის სადგურისაკენ მიმავალ ქუჩას წყნარი ნაბიჯით გავუყევით.

სადგურზე ათასი რჯულის ხალხი ირევა, უმეტესობა სამხედრო პირია და მეტი ნაწილი ხეიბარი.

— ღმერთო, ჩემი ვაჟუკაცების ჩამოსკლას მომასწარი და არ დავეძებ, ასეთივე ხეიბარი დამიბრუნდეს, როგორც ის არის! — ლოცვით წარმოსთქვა დეიდა მარიამმა და ხელი გაიშვირა ჩვენსკენ მომავალი ყავარჯნებიანი ახალგაზრდის-აკენ.

ყავარჯნებიანი მოგვიახლოვდა, ჩვენს წინ პიტლერის მგგ-ლევივით გაიჯგიმა და თხოვნით კი არა, უფრო ბრძანების კილოთი გვითხრა:

— ცამეტ ნომერს, ლენინის ქუჩას, ვერ მიმასწავლით?

— როგორ არა, აი, აქ შეუხვიეთ, შემდეგ პირდაპირ წახ-ვალთ და ყველაზე ფართო ქუჩაზე რომ აღმოჩნდებით, ის იქნება ლენინის ქუჩა! — უთხრა დეიდა მარიამმა და ცოტა კიდეც გააცილა.

— უბედური, კანტუზია აქვს მიღებული და ხეირიანად ვედარც კი აზროვნებს! — მითხრა მარიამმა და თვალები თავსაფრის ყურით შეიმშრალა.

ბაქანზე თავისუფალი სავარძელი მოვქებნეთ და ორივენი შიგ მოვალათდით, გავსცექერით ხალხმრავალ, მოყაფანე ბაქანს და ყოველი ხეიბრის გამოჩენაზე კგნესის დეიდა მარიამი.

ჩვენს წინ სამხედრო მუნდირში გამოწყობილმა ქერათ-მიანმა ქალიშვილმა ჩაიარა, მარიამმა ქალებზე მონადირე ვა-ჟივით გააყოლა მზერა და წყნარად მითხრა:

– მსოფლიოში ყველაზე უკეთესები არიან რუსი გოგონები, ტანით, სილამაზითა და გამბედაობით, ალბათ, გამორიცხულიც არ არის, რომ რუსი ქალების ტრფობით ყოფილიყოს გამოწვეული, მაგრამ ისე ჩაძაღლდა ჰიტლერი, ვერ ეღირსა სასურველი მიზნის განხორციელებას.

– თქვენმა ვაჟებმა რომ რუსი ცოლები მოიყვანონ, გაგეხარდებოდათ?

– იმათ დაბრუნებას მოვესწრო და ვინც უნდათ, ის მოიყვანონ!

... სამგზავრო მატარებელი ჩამოდგა, შეიქნა მიწევ—მოწევა, ზოგი ადის, ზოგი ჩამოდის და ზოგიც ნივთებს აწყობს,. მე ყურადღებას არ ვაქცევ ხალხის ღრიანცელს, ამ მხრიდან მომავალს არავის ველოდები, ვალერი თუ მოვა, საწინააღმდეგო მხრიდან უნდა მოვიდეს და მეტი ყურადღებაც საწინააღმდეგო მხრიდან მოსულ მატარებელზე მაქვს მიპყრობილი, მაგრამ საკუთარ თვალებს არ დაუჯერე და დეიდა მარიამს დავანახე ვალერი, რომელიც საწინააღმდეგო მხრიდან მოსული მატარებლის კიბეზე ჩამოდიოდა, მან ვერ გაიგო ჩემი გაკვირვება და ღიმილით მითხრა:

– ხომ გითხარი, დღეს მოვა—მეტქი!

ვალერიმ ჩვენ შეგვამჩნია, ალბათ, არც გველოდა აქ და ბაქანი ჩქარი ნაბიჯით გადაჭრა, ჩვენც ავდექით და იმ მიმართულებით წავედით, სათიაც ის წავიდა, ვალერი გულგადედილი იჯდა სავარძელში ცაცხვის ძირას, როცა ჩვენ მივედით, დაგვინახა თუ არა, ზეზე წამოიჭრა, სათითაოდ გულში ჩაგვირა და მსუბუქად გადაგვკოცნა.

შეძლევ მოყვა, თუ როგორ გაუჭირდა სამუშაოდ მშობლიურ ქალაქში დარჩენილიყო, ყველაფერს სწორად და დამაჯერებლად ლაპარაკობს, მაგრამ მე მაინც ეჭვი მეტარება, თუმცა თქმით არაფერს ვეუბნები და ვერც მამჩნევს ეჭვიანობას, როცა ლაპარაკით თუ ტრაბახით გული იჯერა, მხოლოდ შეძლევ შევეკითხე:

– ჩვენ ახლა რკინიგზის სადგურზე ვიყავით, დაგინახე, შენ რუსეთის მხრიდან მოყევი მატარებელს, სად იყავი, ვალერი?

— ნუდარ მკითხავ, დაღლილს ისე ჩამბინებოდა, წუხელ მატარებელში, რომ არაფერი გამიგია და თავი ტუაფსეში ამოვყავი.

მე მხოლოდ გამელიმა, თითქოს წინასწარ მოფიქრებულ პასუხზე, თუმცა ვგრძნობ, ესეც ტყუილია და ვინ იცის, იქნებ პასუხიც წინასწარ შემუშავებული ჩემი თვალით ასახვევად, მაგრამ მე ეს არ მწყინს, ტყუილს ღმერთიც უტევებს მთქმელს, თუ ბოროტება არაფერი მოაქვს ადამიანისათვის, ესეც არ იყოს, ტყუილის თქმაში შეიძლება სიყვარულიც დაინახოს მეუღლემ, ტყუილში ამოიკითხოს ხათრი, მორიდება, სიყვარული და, რაც მთავარია, მცდელობა, არ გატკინოს გული, ჭეშმარიტად, კეთილშობილი მეუღლე და ადამიანია ის, ვინც დასამალავს მალავს და სათქმელს ლაპარაკობს, გვიან საღამომდის ვისაუბრეთ, ახლა ჩვენი საუბარი უფრო მხიარულია და წარმოგიდგენიათ? დეიდა მარიამიც გამხიარულებულია ჩვენთან ერთად, ისე ვალერსება ვალერის, თუგინდ ლვიძლი შვილი დაბრუნებოდეს ფრონტიდან, ვინ იცის, რას ამბობს, დედის გული, შეიძლება, მართლაც ხედავს თავისი შვილის ტანსა და სილამაზეს ვალერის ზებუნებრივ ქცევაში, იქნებ ამიტომ უფრო ხშირად იკრავს მკერდში, უკოცნის კისერს და თითებით უვარცხნის თმას.

დაწოლის წინ ისევ თავის საძინებელ ოთახში „გადასახლდა“ დეიდა მარიამი, მე და ვალერის ლოგინებით ცალკალე აგვიშალა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ერთად დაწოდა ყოვლად შეუძლებელია.

ბოლოს, მილი ნებისა გვისურვა და კარები გაიხურა.

მე და ვალერიმ კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ, თუმცა ვატყობ, რაღაც აწუხებს ვალერის, სიგარეტის კვამლით გაავსო ოთახი და საფერფლე ნამწვავებით, მე კიდევ ვუსაყველურე — რა მოხდა ამდენი სიგარეტის მოწევა, მოკიდებულს ხომ არ ყიდულობ მაგ დალოცვილს მეთქი — პასუხი არ გაუცია, სიგარეტი საფერფლეზე დასრისა, ამოიხვეშა და კვდლისაკენ გადაბრუნდა.

1945 წელი, 15 ივნისი (კვირა)

დღეს პირველად იყივლა დეზებიანმა მამალმა დეიდა მარიამის საქათმეში და თითქოს მამლის ყივილს მოჰყვა ისეთი ტკივილი, რომ თმაში წამავლებინა ხელი, მუცელი მეტკინა ისე, რომ ასეთი ტკივილი ჯერ არაფრის განმიცდია, თითქოს დანა გამომისვეს და მთლიანად დამიჭრეს ნაწლავები, თვალთ მიბნელდება, ვერძნობ, ვკვდები და ვიკივლე, გაბოროტებული, ნამძინარევი ვალერი ფეხზე წამოიჭრა და ვერ მიმშვდარიყო, რა ხდება, ან რა უნდა გაეკეთებია, ტკივილმა ორი თუ სამი წუთის შემდეგ გადამიარა და ვალერის ვუთხარი, დეიდა მარიამისათვის დაეძახნა, მაგრამ დეიდა მარიამ, დაძახილი არ დასჭირდა, მას ჩემი შეკივლება გაუგონია და ჯერ კიდევ საუბარი არ მქონდა დამთავრებული, ოთახის კარები გაიღო და დამის პერანგის ამარა შემოვიდა ჩვენს ოთახში, დავინახე თუ არა, ამას მხოლოდ ქალი, შვილების დედა გამიგებს, რამხელა იმედი ჩამესახა გულში, ეს დეიდა მარიამს კი არა, წმინდა მარიამს უფრო ჰგავდა, განსაცდელიდან მხსნელს და სიცოცხლის შემნარჩუნებელს.

დეიდა მარიამმა ვალერი ჩვენი ოთახიდან დაითხოვა და უბრძანა, ეზოშიდაც არ გაჩერებულიყო – წადი, ზღვის სანაპიროზე გაისეირნეო – უთხრა და კარები მიუხურა, მე სრულებით ადარაფერი ადარ მტკივა, მაგრამ ამ ორიოდე წუთის ტკივილმა ისე მომქანცა, დეიდა მარიამის ჩემს საწოლთან მოახლოებაც ვერ შევნიშნე, ჩამებინა და თითქოს სიზმრის სანახავად ჩამძინებოდეს, როგორც ცხადში, ისე დავინახე, თუ როგორ მოახვია თავზე თეთრი, შავკოპლებიანი თავსაფარი დეიდა მარიამმა ვალერის, წუთიერი იყო ჩემი სიზმარიც და ჩაჟინებაც, ისევ ტკივილებმა გამომაღვიძა, მაგრამ ადარ მიკივლია, დეიდა მარიამს მოვეხვიე კისერზე და ასე ვიყავი მანამ, სანამ არ გადამიარა, დილის ხუთ საათზე, როდესაც გარიურავის ფერმკრთალი შექი ფანჯარაში შემოფრინდა და დილის სიომ ზღვის გამოუცნობი სურნელება

ოთახში შემოიტანა, ჩემმა კივილის ხმამაც ამ სიოსავით გადა-
უქროლა ზღვას და შენ დაიბადე...

შენ ტიროლი და პირველად ჩემი სიცოცხლის მანძილზე
მსიამოვნებდა „სხვისი“ ტირილი..

მე ვგრძობდი, თუ როგორ აგიძგერდა პატარა გული,
როგორ ჩაგდევარა და ამოძრავდა სისხლი ძარღვებში, ვგრძნობ-
დი, თუ როგორ გაიპო შენი ფერმკრთალი ბაგენი, რომელიც
ნელ-ნელა ატმის ყვავილივით შეიღება და სატირლად ემზა-
დებოდა.

დიდმა ტკივილებმა, დიდი სიხარული მომიტანა და არც
შეიძლება უფრო მეტი სიხარული განიცადოს დედამ ოდესმე,
თუ არა შვილის გაჩენისა, რომელსაც უუფლება გრძნობა
ახალი ორგანიზმის, საკუთარ ორგანიზმში განვითარებისა...

დეიდა მარიამმა ვალერის პერანგი გამოიღო, შუაზე გახ-
ია, შიგ სათუთად შეგახვია და თან თითქოს თავისთვის, მა-
გრამ ჩემს გასავონად ბუტბუტებდა:

— ნათქვამია ძველთაგან, ბავშვს პირველად ვის პერანგში-
აც შეახვევ, ყველაზე მეტად ის ეყვარებაო, შენ კი დედა ხარ,
დედას შვილი სიყვარულიც ჰყოფნის, შვილისთვის კი დედის
ზედმეტად სიყვარული არ არის აუცილებელი, მას საკმარისად,
მშობლიური გრძნობით, ისედაც ეყვარება როგორც დედა,
როგორც მშობელი და აღმზრდელი, განა ეს ცოტა სიყვარუ-
ლი იქნება შენთვის? — დეიდა მარიამი მომიახლოვდა და
სათუთად შეხვეული ჩვილი მკერდზე დამიდო, ისე რომ ჩემთან
საუბარი არ შეუწყვეტია, რომლის ლაპარაკში სითბო, სიყ-
ვარული და სიხარული იყრძნობოდა.

— გოგოა, შვილო, გოგო! ღმერთმა გაგიზარდოს, ნეტავი
მეც გოგოები შემძნოდა და მაინც მადლობა ღმერთს, რომ
კიდევ მოვესწარი ანგელოზის გაჩენას ჩემს ოჯახში, აღზრდა
ძნელი არ არის, თუ მას თანდაყოლილ სიფაქიზესა და სათ-
ნოებას შეუნარჩუნებ, ბავშვთან ყოველთვის თავაზიანი უნდა
იყო, ბავშვის სათნო გრძნობებს ბატონობა არ უყვარს,
ყოველთვის ზრდილ კაცად უნდა ჩათვალო, ოჯახური რჩევაც

უნდა ჰქითხო, ეს მას ცხოვრებაში გამოადგება, არ მოისურვებს სხვის დაჩაგვრას და სხვაზე ბატონობას, დედა შვილისათვის არა მარტო აღმზრდელი, არამედ მაგალითის მომცემიც არის, არ არსებობს, რომ მშობლის ჩვევები შვილს, ადრე თუ გვიან, არ გაემეორებინოს, ამიტომ შვილთან მეტი თავდაჭრილობა გმართებს, ვინემ სხვასთან, მეუღლსთანაც კი...

— დეიდა მარიამ, ვალერის დაუძახე რა! ვგრძნობ, რომ ის ეზოში მოუსვენრად დადის და ჩვენთან შემოსვლას ვერ ბედავს!

დეიდა მარიამმა კარები გამოაღო, ვალერი მართლაც იქვე მდგარიყო და როდესაც დეიდა მარიამის მომლიმარი სახე დაინახა, ნებართვას აღარ დალოდებდა, ისე ამოირბინა კიბეები, მაგრამ კარებში დეიდა მარიამი გადაუდგა, ორივე ყურებში ერთდროულად წაავლო ხელდები და ისე ძლიერად დაქაჩა, — რომ — „მიშველეთო“ — იყვირა, მე და მარიამს სიცილი აგვიტყდა, ვალერი კი ყურებზე ხელებაფარებული ოთახში შემოვიდა, გაპირებული მომაჩერდა და შემდეგ დიმილით მითხრა:

— ეს რა მოგსვლია, ქალო, დაჩუტულ ტიკს რომ დამსგავსებიხარ!

— ჰო, აბა რა , აი, ჩვენი ღვინოც! — დიმილითვე ვუპასუხე და ჩვილი მივაწოდე, მან ძალზე სათუთად ჩამომართვა, სახე შეიბრუნა, რომ ამონასუნთქი ჰაერი მას არ მოხვედროდა და გადმოტრიალებული თვალებით შეათვალიერა, სიხარულის გრძნობით გაებადრა სახე, გულთან ახლოს მიიტანა, ფეხზე აკოცა, ისევ ჩემს მკერდზე დააბრძანა და თვითონ ჩემს საწოლზე, ფეხებთან ახლოს ჩამოჯდა, მიღიმის და თვალებში შემომცინებს, მადლიერების გამომხატველი სიტყვა ვერ უნახავს და მის თვალებში ვკითხულობ ყოველივეს, რამოდენიმე წუთს ასე ვიყავით, შემდეგ ისევ ვალერიძ დაარღვია მყუდროება, ალბათ იმიტომ, რომ უხერხულობიდან გამოვსულიყავი და ხმამაღლა თქვა“, ისე რომ მარიამსაც გაეგონა:

— „უცხო სტუმარი მესტუმრა, აქამდის უსტუმრებელი,
მას ორი კერძი მიგაროვით, სუფრაზე დაუდებელი!“

ამ გამოცანას ვინც მიხვდება, სამახარობლოსაც ის მი-
იღებს! — და ჯიბიდან შოკოლადის ფილები ამოიღო.

— რა და აი, აქამდის უსტუმრებელი სტუმარი! — ვუთხ-
არი და ხელი ჩვილს დავადე.

— სწორია, მაგრამ კიდევ, კიდევ ის ორი კერძი, რაღა
უნდა იყოს სუფრაზე დაუდებელი?

— ეს უკვე აღარ ვიცი! — ვიცრუუ იმ განზრახვით, რომ
დეიდა მარიამი მიხვდილიყო და სამახარბელო გასამრჯე-
ლო იმასაც შეხვედროდა.

— ეს, შვილო, შენი მკერდია, სუფრაზე დაუდებელი,
ორი ბრძოლის ჭურჭელი! — თქვა მარიამმა და ვალერიმაც
იყვირა:

— ბრავო, დეიდა მარიამ, არ დამვიწყებია, ყურები რომ
მატკინე, მაგრამ გასამრჯელო მაინც გეკუთვნის! — შემდეგ
გადაეხვია, მშობლიური სისათუთით დაკოცნა და თავდახრილი
დაელოდა მის ლოცვა—კურთხევას, მარიამსაც არ გაუხსნა
სკივრი ლოცვების ამოსალაგებლად, ისეთი ზეპირსიტყვიერი
ლოცვების კორიანტელი დააყენა, რომ მეც მომინდა დეიდა
მარიამისთვის მეამბორა, რათა ლოცვების ნახევარი ჩემთვის
გაეზიარებინა.

ნასადილებს ვალერი სადღაც გაქრა და ორსაათიანი
გაუჩინარების შემდეგ რძით, მაწოვარათი და საფაფე ფხვ-
ნილით დატვირთული დაბრუნდა.

— ბავშვი დაბადებიდანვე უნდა მიაჩვიო ხელოვნურ კვე-
ბას, თხის რძე მდიდარია ვიტამინებით და ბავშვიც ჯანმრთე-
ლი გაიზრდება — მითხრა ვალერიმ და ბავშვის სანოვაგე
კარადაში შეაწყო.

— რას ამბობ, ვალერი, თხის რძე როგორ აჯობებს დე-
დის რძეს? — ცოტა წყენაც გამოვხატე.

— არა, კი არ აჯობებს, მაგრამ შენ სადა გაქვს იმდენი
რძე, ბავშვის ყოველ წამოტირებაზე მკერდი მოაწოდო?

— მაქვს! რატომაც არა მაქვს! ქართველი დედები ათ და თორმეტ შვილს ზრდიან საკუთარი მკერდით და მე ერთი ველარ გამიზრდია?

— კი, მაგრამ მე შეიძლება ბავშვი მინდა მარტოდ წავიყ-
ვანო სასეირნოდ, მინდა განვმარტოვდე მასთან და რაღაც
საიდუმლო ვეჩურჩულო, შენი მკერდი როგორდა წავიღო იქ?

— რა საიდუმლოს გაგიგებს ახლად დაბადებული?

— რომ ვერ გამიგებს და დაიმახსოვრებს, იმიტომ მინდა,
ვეჩურჩულო, თორემ მაშინ შენც მოგიყვებოდი, შენ თუ შეგხ-
ვედრია ზღვასთან საუბარი, განა ესმის მას და გებულობს
შენსას? მაგრამ ჩვენ, ადამიანები, მაინც ვესაუბრებით, ვგებუ-
ლობთ მისას და გვწამს, რომ ისიც გებულობს ჩვენსა!

ვგრძნობ, რომ რაღაც არასასიამოვნოს ფიქრობს ვალერი,
მაგრამ ვერ იქნა და ვერ ჩაგვედი იმის გულისნადებს, ქალი
ეშმაკზე ადრეა დაბადებული, ქალმა იცის, რას ფიქრობს
ეშმაკი, მაგრამ ეშმაკს ფიქრადაც არ მოსდის, რას აკეთებს და
რას გააკეთებს ქალი, ვალერი, ალბათ, ეშმაკზე კი არა, ქალის
ცბიერებაზე უარესია, სწორედ ამიტომ, მე კი არა, ალბათ,
არცერთ ქალს არ შეუძლია ჩაწვდეს მის საიდუმლოს...

საღამოს, ჩვენი ოჯახის თათბირს დეიდა მარიამიც ეს-
წრებოდა, გადასაწყვეტი იყო ერთადერთი საკითხი, თუ რა
სახელი დაგვერქმია ბავშვისათვის, ვალერის ხმას არ იღებს,
ამ საკითხის გადაწყვეტა მე და დეიდა მარიამს მოგვანდო,.
ქალები ხართ და ქალის სახელიც თქვენ შეარჩიეთო, დეიდა
მარიამმა კი მე მომპაყრო მზერა — დედა ხარ და თავი
გაანძრიეო — ცოტახანს ჩავფიქრდი, მინდოდა დედაჩემის სახ-
ელი დამერქმია, მაგრამ მყისვე გადავიფიქრე, ისეთი უიღბლო,
ღმერთმა ნუ ჰქნას ჩემი შვილი, როგორც დედაჩემი იყო, შემ-
დეგ ფიქრი ვალერის დედაზე შევაჩერე, მაგრამ მაღლე ისიც
უარვყავი, შემდეგ დეიდა მარიამს შევხედე თვალებში, გავი-
ფიქრე, მარიამს დავარქმევ მეთქი, მაგრამ ესეც ვუარყავი, არც
ეს არის ბედნიერი დედა, ფიქრით შემოვირბინე ყველა ნაც-
ნობები, ვამოწმებდი მათ სახელებს, ტანსა და ჯანმრთელობას

და როგორც იქნა, მივაგენი უნაკლო ადამიანს, უბედნიერებსა და ულამაზეს ცირკის დამსახურებულ ოსტატს და ხმამაღლა ვთქვი, მისი კი არა, ჩემი შვილის სახელი.

— „ხათუნა“.

ვალერიმ და დეიდა მარიამმა სახელი მომიწონეს, ალბათ, ხათუნასაც მოეწონებოდა მისი სახელი, რომ არ ძინებოდა და გაეგონა.

1945 წელი, 29 ივლისი (კვირა)

ნაშუადღევს, როცა ცოტა აგრილდა, ვალერიმ თავის მოტანილ ახალახალ ტანსაცმელში და შესახვევში გამომაწყობინა ხათუნა, ბოთლი რძით აავსო, საწოვარა გაუკეთა და ზღვის სანაპიროზე სასეირნოდ წაიყვანა, დღეს, როდესაც ბინდი შეეპარა და ქუჩები დამპიონებმა გაანათა, მხოლოდ მაშინ დაბრუნდნენ მამა-შვილი.

— გული გადამიწყდა ლოდინით! — დანახვისთანავე ვუსაბვედურე ვალერის!

— რა გქონდა სადარდებელი ნეტავი, ვისეირნეთ, ვისაუბრეთ და მოვედით — ღიმილით მითხრა მან და ხათუნა გამომიწოდა.

ბავშვი ჩამოვართვი, გულში ჩავიკარი და დიდხანს უნახავით დავუწყე საუბარი:

— რაო, ხათუნა, რა გქონდა მამიკოსთან ამდენი სალაპარაკო, რომ დაღამებამდის ვერ მოათავეთ საუბარი?

ვალერიმ თავი თავთან მიადო ხათუნას და თითქოს ხათუნამ მი პასუხა:

— შენ ლა იცი, დედიკო, მამაშვილს სალაპალაკოს ლა გამოულევს, ცოტა კიდევ წავიალშიყე ბიჭებში და სლულებით ალ მიტილია, ხომ კაოგი გოგო ვალ?

ისე მოიჩლიექა ენა ვალერიმ და ბავშვს დაემსგავსა, რომ სიცილი ვერ შევიკავე, გულიანად ვიცინოდით მე და ვალერი, ხათუნა პატარა ტუჩებს პრანჭავდა, მგონი ესეც შეუერთდა

ჩვენს მხიარულებას, ჩვენს სიცილზე დეიდა მარიამი გამოვიდა, თითქოს დაღვრემილი მოგვეჩვენა და მყისვე შევწყვიტეთ სიცილი, მაგრამ დეიდა მარიამმა თვითონ გამოგვიყვანა უხერხულობიდან, ბავშვი ჩამომართვა და სიცილ—ხარხარით ისეთი ბაიათები გაუბა, რომ ფილტვები გვეტკინა ამდენი სიცილით, დეიდა მარიამი ამ დღეებში ძალიან მოწყენილია. შვილების წერილი არ მიუღია და ძალიან განიცდის ამ აბბავს, მაგრამ თავისი დარღით, სხვას როდი უწამლავს ხასიათს, პირიქით, საერთო მხიარულებაში ჩაებმება ხოლმე, ხუმრობს და იცინის, თუმცა სახის გამომეტყველებაზე ვამჩნევ, რომ გული სხვას ფიქრობს, საოცარი ადამიანია, ჩვეულებრივი ადამიანი ვერ შეძლებს ასე ადვილად დაფართოს გულის სევდა და ყოველგვარი უარყოფითი უკუაგდოს მოჩვენებითი მხიარულებით.

ბავშვი ჩავაწვინე და გვერდიდან არ მოგშორებივარ, მეგონა, ხანგრძლივი სეირნობა უარყოფითად იმოქმედებდა ჩვილორგანიზმზე, მაგრამ ხათუნას საჭმელიც არ გახსენება, შრომით დაღლილ ადამიანის იერით სძინავს, ღრმა ძილით.

1945 წელი, 3 აგვისტო (პარასკევი)

საუზმის შემდეგ ვაღლერიმ მთხოვა, ბავშვისთვის ჩამეცმია და სასეირნოდ მომეზადებია.

— მეც წამოვალ თქვენთან! — ვთხოვე მაგრამ არ დამთანხმდა.
— დეიდა მარიამს მარტო ნუ დავტოვებთ, ძალზე დანაღვლიანებულია! — მითხრა, აღარ მივძალებივარ და ხათუნას გამოწყობა დავიწყე, ამასობაში ვაღლერიმაც ჩაიცვა, მაგრამ არა „პიუამო“, როგორც წარსულში, არამედ გამოსასვლელი შარვალი, თეთრად გაქათქაცებული ხალათი და ახალი მოდის ახალი ფეხსაცმელები, მე გაკვირვებით შევათვალიერე, მინდოდა მესაყვედურებინა, თუ რა საჭირო იყო ასე მაღალფარდოვნად სასეირნოდ წასვლა, მაგრამ თავი შევიკავე და გაკვირვება იმით დავმალე, რომ კისერთან ხალათის ჩაკეცილი საყელო გაფუსწორე და შარვალზე მიწებებული თეთრი ძაფი

ავაცალე, შემდეგ თვითონ ჩავასხი რძე ბოთლში, საწოვარა გავუკეთე და ბოთლი ხათუნასთან ერთად შევახვიე.

— ცოტაზე გაგვაცილე! — მითხრა ვალერიმ და გზა დამითმო, რათა პირველი გამოვსულიყავი ოთახიდან, ხათუნა მკერდზე მივიკარი და კიბები ჩამოვირბინე, მალე ჩემს უკან კარგის დახურვის სხმა გავიგონე და კიბებზე ვალერის ფეხის ხმაც მომყვა, წენარად გავუყევით ზღვის სანაპიროს და როდესაც დეიდა მარიამის სახლი თვალს მოეფარა, ვალერიმ გულში ჩამიკრა, თვალები დამიკოცნა და მითხრა:

— დაბრუნდი! — რაღაც ამოუცნობი გრძნობა დამეუფლა. ასე არასოდეს გამძნელებია მამა-შვილის განშორება, დიდხანს ვიდექი ერთ ადგილას და გავსცეროდი ჩქარი ნაბიჯით მიმავალ ვალერის, ვისიყვარულებდი მის ყოველ გადადგმულ ნაბიჯს, სანამ ზღვის პირას განცალკევებულ ლოდზე არ ჩამოჯდა.

ერთჯერ კიდევ დავუქნიე ხელი და აუჩქარებელი ნაბიჯით შინისაკენ წამოვედი.

დეიდა მარიამი ცაცხვის ძირას იჯდა და ხათუნასათვის პაწაწინა წინდებს ქსოვდა, ჩემს დანახვაზე სახე გაებადრა, გვერდზე მიიწია, რომ მის გვერდში დაგმჯდარიყავი, დიდხანს ვისაუბრეთ, სადილიც აქვე, ცაცხვის ჩრდილში გამოვიტანეთ, ვისადილეთ და ორივე ჩემს საძინებელ ოთახში შევედით, „მკვდარი საათის მისაღებად“, ოთახში შესვლისთანათე მაგიდაზე დადებული წერილი შეგნიშნე, რომელიც მართლა თვალსაჩინოდ იყო დადებული მაგიდის კუთხეზე, წერილი ავიღე და წაკითხვა დავიწყე, ერთი გვერდიც არ მქონდა ჩამთავრებული, რომ თვალებზე ბინდი გადამეფარა, ასოები დაპატარავდა, შემდეგ პატარა წერტილებად გადაიქცა და ფურცელზე მოძრაობა დაიწყო, მინდოდა სკამზე დავმჯდარიყავი, მაგრამ მხოლოდ სკამის საზურგეს მოვასწარი ხელის მოკიდება და სკამიანად იატაკზე გრძნობადაკარგული დავეცი, როდესაც გრძნობა დამიბრუნდა, ლოგინში ვიწევი და დეიდა მარიამი „ვალერიანკას“ მასუნთქებდა, ხელის გაქნევით მოვიშორე

ცხვირზედ მოდებული წამლის შუშა და წამოვიწიე ასაღო-
მად, მაგრამ სხეული ისე დამძიმებოდა, ვერ მოვერიე და ისევ
ღონებიზილი სასთუმალზედ მივესვენე.

დეიდა მარიამმა ნემსი გამიკეთა, რომელმაც სულ მალე
დამაწყნარა და ფიქრად მაქცია, ამჟამად არაფერი არ მტკივა
და საღადაც ვაზროვნებ, მხოლოდ ეს არის, რომ ვერ გამიგია,
წამოდგომა არ შემიძლია.

მესმის დეიდა მარიამის საუბარი და პასუხის გაცემა კი
მეზარება, მეზარება ლაპარაკის მოსმენაც და თვალგაშტერე-
ბული ჭერს მიგჩერებივარ, ასე ვიყავი საღამომდის, საღამოს
კი, როცა დეიდა მარიამმა სინათლე აანთო, სინთლეც შემზარ-
და და ხელით ვანიშნე, გამოერთა, ასე გავატარე მთელი ღამე,
სიბნელეში თვალებმოშტერებულმა და ფიქრთა მორევში
მოცურავებ, ათასნაირი ფიქრი, კეთილი და ბოროტი აზრები
მომდინალ თავში, დილით კი, აღარცერთი არ მახსოვს, ერთ
წუთსაც არ დავუტოვებივარ უყურადღებოდ დეიდა მარიამს,
ჩემს სასთუმალზე მჯდომმა, თვალზე რულმოუდებლად გაატ-
არა მთელი ღამე, დილის სინათლემ და მზის სხივებმა თითქოს
ძალა შემმატა, უფრო ნათლად მესმის მარიამის შეკითხვა:

– რა მოხდა, შვილო, მითხარი, როგორც ღვიძლ დედას,
გამიმხილე საიდუმლო, საიდუმლოს გაზიარებით დარდი შეგ-
იმსუბუქდება...

– არა, დეიდა მარიამ! ჩემს დარდს მხოლოდ სიკვდილი
შეამსუბუქებს, და მეტი ვერაფერი, მე დავკარგე ქმარ-შვილი,
ისინი აღარასოდეს აღარ დამიბრუნდებიან...

– აღბათ, სიცხე გაქვს, შვილო, იცის ზღვამ ახალბედას
დაცდა, დაწყნარდი და ეს მოლანდებებიც გაგივლის!

– არა, ეს მოლანდებები არ არის, დეიდა მარიამ! მომა-
წოდე ის წერილი, გუშინ რომ ვკითხულობდი, მე მას ხმამა-
ღლა წავიკითხავ, შენ გულისყურით მომისმინე და შემდეგ
მითხარი, ისინი დამიბრუნდებიან თუ არა! – დეიდა მარიამმა
ბალიშები შემისწორა, თავი მაღლა წამომაწევინა და წერილი
მომაწოდა.

„მერის!

მერი, მე შენ ყოველთვის მებრალებყოდი, უმანკო და უპ-ატრონო გოგონა, რძლის პატრონობაც ვიკისრე და მინდოდა, მთელი ჩემი სიცოცხლე მეტარებინა ეს ტყირთი, მაგრამ დღეს კიდევ უფრო მებრალები, ამ წერილის წაკითხვის დროს, თუმცა სხვაგვარად მე არ შემიძლია მოვიქცე, შენ არც ისეთი უმანკო ყოფილხარ, როგორც თავი მომაჩვენე, თურმე ეშმაკი სწორედ შენისთანა ადამიანის ორგანიზმში ბუდობს, რათა მოჩვენებითი კეთილი საქციელით სული ამოაძროს პატიოსან ადამიანს და გვამი კლდეზე გადაჩეხოს.

ადამიანის სიყვარულზე მნელი, თურმე საყვარელი ადამიანის სიძულვილი ყოფილა, შენ მე, არა თუ მძულხარ, არამედ მეშინა კიდეც შენი, მუდამ სისხლიანი ხელებით მელანდები და აზრს ვერ შევრიგებივარ, რომ ვიმყოფები მკვლელის გვერდით, ვკოცნი და ვეალერსები მას!

მე შენს დღიურს შემთხვევით წავაწყდი, დანარჩენს კი თვითონ მიმიხვდები, მხოლოდ ერთი რამ ვერ გამიგია, ნუთუ, ამხელა ბოროტების მომფიქრებელი, ასეთ უბრალო შეცდო-მას უშვებს, რომ დღიურში წერს კველაფერს? ნუთუ შენ დღიურში დაუწერლად დაგავიწყდებოდა ეს საზიზღარი მკვ-ლელორბა და იმისი თარიღი? იქნებ სხვა კიდევ უფრო სასტიკი მკვლელობა გაქვს გადაწყვეტილი და გეშინაია, ერთ-მანეთში არ აგრიოს, იქნებ ბუნებით სადისტი ხარ და გსიამოვნებს შენი ნამოქმედარის წაკითხვა, ტკბები არა უბრალო მკვლელობით, არამედ ადამიანის სისხლში არეული ხორცის ნაფლეთებითა და კედელზე შენთხეული ტვინით. ამიტომ შენ არავის დაინდობ! იძულებული ვარ, გაგეცალო, ძალიან შორს წავიდე ჩემი შვილით, ვიცხოვრო ისეთ ადგილზე, რომ შენ ვერ მოგაგნო! შვილის წაყვანაზე ცოტას ვჭოჭმანობ, რომ შენი ცოფიანი სისხლი არ ერიოს ხათუნას სისხლში, ვფიქრობ ამას, მაგრამ შენთან ბავშვის დატოვება მაინც არ შეიძლება, მიმყავს და მივდივარ იმ იმედით, რომ ძებნას არ

დაგვიწყებ, გეშინოდეს შენი ჩადენილი ბოროტების! შენ თუ შვილის მოძებნას სათანადო ორგანოებში განაცხადებ, მე იძულებული ვიქნები, განვაცხადო შენს მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება, დავიცვა ჩემი სინდისი და ეჭვგარეშეა, რომ თქვენი დაპატიმრების შემდეგ შვილს მე მომაკუთვნებენ. ამიტომ, მოდი, მეც თანამოზოარედ გაგიხდები და ორმა ვიცოდეთ იმ სასტიკი მკვლელობის ამბავი, რომელსაც ვერავინ ვერ გაიგებს, თუ ჭკუით გაჩერდები! სიტყვას გაძლევ, ბავშვი უდადობას არ იგრძნობს, ვინაიდან თქვენზე კეთილი დედა ელოდება მას!

მერი! მართალია, არც მე ვარ თქვენს წინაშე უცოდველი, ბევრი თვითონაც იცი და ბევრი ალბათ არა, მაგრამ თქვენოდენა ცოდვა ღმერთმა ნუ მატარებინოს, ყველაფერი საკუთარ თავს დააბრალე, ძვირფასო! ბრძენთა სიბრძნე იმაშიდაც გამოიხატება, რომ თავიანთ სულის ბორგვასა და ბობოქრობას გულის სიღრმეში ინახავენ და არა დღიურში, შენ უნდა გცოდნოდა და გესმოდეს ამდენი, რომ ბოროტება იმდენ მტერსა და მდევნის ვერ შეგძენდა, რამდენსაც საკუთარი თავი და საკუთარ თავთან მეტი სიფრთხილე გმართებდა, ნუთუ არ გესმის, რომ ბოროტმოქმედება ყველა ენაზე ლაპარაკობს? შენ ჰიტლერის ბოროტმოქმედებაზე ლექციებს კითხულობდი ხოლმე, გერმანული ენა კი სრულებით არ იცოდი, დღეს კი, გენს მიერ ჩადენილ დანაშაულზე გერმანელი ილაპარაკებს, თუ მას ფარდა აეხდება და სააშკარაოზე გამოიყვანებ! მესმის შენი გულის ფკოტება. მართალია, მე როგორ უნდა მომოხოვო საიდუმლოს შენახვა, როდესაც საკუთარი თავისათვის ვერ შეგინახავს ესოდენ დიდი საიდუმლო? მაგრამ მე ფიცს გაძლევ, შევინახავ მას, რამე თუ, მართლმსაჯულების წინაშე მეც ბოროტმოქმედი ვარ, ბავშვის გატაცებისა და მკვლელობის გაუმჯდავნებლობისათვის.

მერი! ნუ გამკიცხავ, რომ ყველაფერში გადანაშაულებ, ვიცი და მესმის შენი, რომ მკვლელობას არასოდეს არ ჩაიდენდი, რომ მე არ ვყოფილიყავი სათავე ბოროტებისა, მესმის,

შენ ყოველივე გააკეთე ოჯახის შესანარჩუნებლად და ბოლოს და ბოლოს, იმ ძლიერმა სიყვარულმა იჩინა შენს ორგანიზმში თავი, რომლის არსებობას მე ვერ ვამჩნევდი და სადღაც, გულის სიღრმეში ყოფილა მიმალული, ჩემთვის გაუგებელი და შენთვისაც უჩინარი.

გაკიცხავ იმიტომ, რომ არა ხარ საქებარი და მეტი გაკიცხვით კიდევ მეტი შვება ვიგრძნო გულზე და არსებობს ისეთი ადამიანი, თუკი გულს აიყრის სიყვარულზე, სიძულვილით არ მოიგონონ ძველი სიყვარული, თვალთმაქცობით კი ვერ დავფარავ იმ დიდ სიძულვილს, რომელიც ამჟამად გამაჩნია, რადგან მნელია წარმოსახვა სიძულვილისა სიყვარულად, ანდა პირიქით.

დღემდე ქალები სათნო და უმწეონი მეგონენ, მხოლოდ მამაკაცები შემეძლო დამესახელებინა კაცობრიობაში მომხდარი ბოროტების სათავედ, ჩვენ ხომ შეუსვენებლივ ვეძებთ დიდ საბაბს, დიდი სიყვარულის შესაძულებლად, ან დიდი ბოროტების ჩასადენად. მამაკაცთა ძალზე ცოტა ნაწილი ფიქრობს: ააშენოს, შექმნას, თვითონ მოკვდეს და კაცობრიობას დაუტოვოს თავისი ნაშრომი! მხოლოდ უმეტესობა ფიქრობს: — დაანგრიოს, მოსპოს, რათა ნაგრევებში ნახოს თავისი ბედნიერება! შენ არ იფიქრო, ლონდას სენი გადმომდებია და იმიტომ ვსაუბრობ ასე, არა, ეს მეც ვიცოდი, ლონდამ კი უბრალოდ გააღრმავა ჩემი ცოდნა.

შენ ლონდას სიკვდილით, მარტო ლონდა კი არ მოჰკალი, არამედ ლონდას გაგების ადამიანები დახოცე მთლად, რადგან ეს იყო ჩვენი აგიტატორი და მასზედ უფრო დამაჯერებლად, ვერავინ ლაპარაკობდა, აღბათ, შენც გეცოდინება და დასაფარიც არ არის, რომ ლონდას საზღვარგარეთის აგენტებთან პქონდა კავშირი, მაგრამ განა ამით დაიძრახება? ეს კავშირი ხომ იმისი საარსებო წყარო იყო!

ჩვენს ქალაქში იარაღისა და წყვია-წამლის „არსენალი“ რომ ააფეთქეს, იცი? მე და ლონდამ ამ აფეთქების ზაზარში, რამდენი მიღიონები დავიჭირეთ? შენ ერთი ხე-

ლის მოსმით გაანადგურე, ბრწყინვალედ მოაზროვნე, მილიონერი ადამიანი, შეიძლება იმიტომ მოჰკალი, რომ ის ფუქსაგატ-სა და ბუნებრივ მოთხოვნილებათა მიხედვით ცხოვრობდა, მაგრამ ლონდა იყო მხოლოდ ასეთი, სხვა ქალები კი განსაკუთრებული თიხით მოზელილები ხართ, ღმერთმა შთაგბერათ სული, ლონდას კი ეშმაკმა, რამდენიც გინდათ ითვალთმაქცეთ, მამაკაცის ნასვამი ჭიქით წყალი არ დალიოთ,. რადგან პატიოსნად მოგვაჩქენოთ თავი, ჩვენ კი მაინც გვეცოდინება, რომ ძალიან ბევრი არსებობს ისეთი ქალი, ვისაც ერთხელაც არ განუცდია მამაკაცის ალერსი და ძალზედ ცოტაა ისეთი, მხოლოდ ერთი მამაკაცის სიყვარულს დასჯერებოდეს, მწამს, რომ შენც ლონდას მაგვარი ხარ, მხოლოდ იმ განსხვავებით, ლონდა ღიად მოქმედებდა, შენ კი ფარულად, მართალია, არ უნდა მიმეტოვებინე და ლონდასთან არ უნდა გადავსახლებულიყავი, მაგრამ, ნუთუ არსებობს ისეთი ქორწინება, როგორიც ჩვენი იყო? ჩემი აზრით, ღატაკთა ქორწინება, მხეცური უინით გამოწვეული, სიგიურა და მეტი არაფერი, ქორწინება უნდა სარფიანი იყოს და აუცილებელი არ არის დიდი სიყვარული! სადაც დიდი ფული ტრიალებს. იქ სიყვარულიც თავისთავად მოის, ჩვენ რომ სიყვარულით მდიდრებს ვეძახით და ბედნიერებად ვთვლით, სულ მალე ინგრევა მათი ბედნიერი ოჯახი და იმსხვრევა დიდი სიყვარული, იმიტომ რომ ოჯახში სიღატაკემ იჩინა თავი და ეს მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს, როდესაც სიგიურ გადაუარათ, იმხანებში მეც გადამიარა სიგიურ და შენს ღატაკ სიყვარულს ლონდას სარფიანი სიყვარული ვარჩიე!

რაც დავწერე, ალბათ, ამდენიც არ უნდა დამეწერა, მაინც ვერაფერს გაგაგებინებ, შენ ხომ სულ სხვა სულისკეთებითა ხარ ადზრდილი და ეჭვიც არ არის, რომ რაიმე საკითხზე დამთანხმდები.

რაც შეეხება, ჩადენილი ბოროტების გამჟღავნებას, აზრი არ ექნება ლონდა მკვდარია და ჩვენ კი ორივენი ერთი თოკით ვართ შებორკილი, ასე აზრი არ ექნება ჩვენს მომავალ

შეხვედრას,. ეს მხოლოდ უსიამოვნებას მოგვიტანს და ვიმე-დოვნებ, მომავალ უსიამოვნებაზედაც ხელს ჩაიქნევ!

ბრწყინვალე მომავალს გისურვებ, სულით მდიდარო, უაღ-რესად პატიოსანო, სამშობლოს პატრიოტო, მშიერო და დაგ-ლახავებულო ადამიანო!

**ვალერი,
3.08.1945 წელი“**

— ვერაფერიც ვერ გავიგე! — მითხრა დეიდა მარიამმა, როდესაც წერილის წაკითხვა დაგამთავრე.

— ვერც მე, ვერაფერი ვერ გავიგე, დეიდა მარიამ, მხოლოდ კი ერთი ცხადია, ბავშვი წამართვა, წავიდა და აღარასოდეს აღარ დამიბრუნდებან!

— მილიციაში განვაცხადოთ, ქვეყანა ჩალით ხომ არ არის დახურული, მაგ ავაზაკს მოთხოვე და თვითონ თუ არ დაგიბრუნდება, ბავშვს მაინც დაგიბრუნებენ, ბავშვი შენ თუ არ გინდა, შვილო, მე მომეცი, ისე აღვზრდი, როგორც ჩემი ხორენის შვილს აღვზრდიდი...

— არა, დეიდა მარიამ, დღეს ქვეყანა ჩემთვის, ჩალითაც არ არის დახურული, თორებ ცოტა მაინც მექნებოდა იმედი, თავი შემეფარებინა საღმე სევდის წვიმა-წარღვნისათვის, მილი-ციაში ვერ განვაცხადებ, მთლად უპატრონოდ დარჩება ჩემი ხათუნა, ჩვენ ორივეს დაგვაპატიმრებენ!

— რათა, შვილო! მართლა მოკალი ვინმე?

— კი, ჩემი ქმრის საყვარელი და როგორც ახლა გავიგე, საზღვარგარეთის აგენტი!

— რას ამბობ, შვილო! ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ხალხის მტრის თანამოსაქმე აფარებდა ჩემს ჭერქვეშ თავს? იქნებ ჩემი შვილები ცოცხლებიც აღარ არიან მაგათი ხელისშეწყ-ობით, შენ კი იცოდი ყოველივე ეს და გაჩუმებული იყავი?

— არა, დეიდა მარიამ, ხათუნას გეფიცები, მე არაფერიც არ ვიცოდი, რომ მცოდნოდა, რომ ვალერი ასეთ საქმეში

გახვეული იყო, ცოტა თუ ბევრი წვლილი შეიტანა საკუთარი მშობლებისა თუ ჩემი მშობლების და მილიონობით გა-ჟღეტილი ხალხის სიკვდილში, მისთვის მეტად სასტიკ გა-ნაჩენს მოვიფიქრებდი, ვინემ ლონდასათვის მოვიფიქრე!

დეიდა მარიამ, მე წავალ ზღვის სანაპიროზე გავივლი, დავთიქრდები და შენც დაფიქრდი, თუ როგორ მოვიქცეთ! – დეიდა მარიამი გაშტერებული მომჩერებოდა და ხმას არ იღებდა, „პიუამოები“ ჩავიცვი. ზღვის სანაპიროზე გავედი და იმ ლოდს მივაშურე, რომელზედაც გუშინ ვალერი და ხათუნა იჯდა.

ნეტა შეძლებას არ ეღალატნა და გუშინ ბოლომდე წამე-კითხა წერილი, თუ ადამიანს თავისი ხალხისა და სამშობ-ლოს მოღალატე არ მოუკლავს, ის ვერ გამიგებს, რამხელა ძალა შემმატა წერილის ბოლომდის წაკითხვამ, აქამდე სინ-დისის ქენჯნას განვიცდიდი, რომ მეგონა, ადამიანი მოვკალი პირადი შეურაცხყოფისა და საკუთარი ოჯახის ბეღნიერებისათვის, ახლა, როცა სინამდვილე გავიგე, მეამაყება კიდეც, რომ ცოტა წვლილი მეც შევიტანე იმ მსოფლიო ომში, რომელ-იც ხალხთა დამონებას აპირებდა, დღეს მივჩერებივარ და ყველა ხეიბარი ლონდასა და ვალერის დაჭრილი მგონია, ყველა საღსალამათი, გამართულად რომ მოაბიჯებს ქუჩაში, ჩემი გადარჩენილი და ამაყად მივჩერებივარ ყველას თვალებ-ში, ნეტა ადრე მცოდნოდა ყველაფერი, სასტიკად შევიძუ-ლებდი ვალერის და ვიბრძოლებდი მათ წინააღმდეგ, ვინ იცის, რამხელა სარგებლობას მოვუტანდი ხალხს, მე კი, ჭურ-ში მძინავს, იქნებ, ამ წუთშიდაც დათარეშობს ლონდას ბანდა, რომელსაც სათავეში ლონდას სიკვდილის შემდეგ მამამისი უდგას?

ნეტა ვალერი რამ აიძულა, ამ წუმპეში რომ გადავარდა? ნუთუ სიმდიდრის ცოუნებამ? ნუთუ შეამინეს? იქნებ ლონ-დას სიყვარულმა? მე კი მეუბნება: – „სისხლიანი ხელები გაქვსო“ და თავის ხელებზე არც კი იხედება, საკუთარი მშობლებისა და მშობლიური ხალხის სისხლით რომ შეულე-

ბავს, გმადლობთ, ვაღლერი, ამ უკანასკნელი წერილისათვის, რომელმაც მე კი არ ამაფორიაქა, დიდი რწმენით, სამშობლოსა და ხალხის სიყვარულით უძლეველი გამხადა, დღე-იდან მხოლოდ იმის ფიქრში ვიქნები, როგორ მოვახერხო შენი განადგურება, რათა ახალი დანაშაული არ ჩაიდინო სამშობლოს დასარბევად და ხალხთა სამჯავროზე არ აღ-მოჩნდე, არ წამოგცდეს ჩემი დანაშაულიც, არა კი, არ მეშინა ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაულის, მაგრამ შენი ბოროტება და ჩემი დანაშაული საკმაო ჩირქს მოცხებს ხათუნას, ამიტომ შენ ჩუმად უნდა მოკვდე, როგორც პატიოსანი, რომ პატიოსანი მამის სახელი ატაროს შენმა შვილმა და არა სამშობლოს მოღალატიის!

რა მოვახერხო, რა ვიცი, როგორ ვიხსნა შვილი ვაღლერის კლანჭებიდან, აღზარდოს და ბერიერად მეგულებოდეს შვილი, ეს შეუძლებელია, ხათუნა ვაღლერის ოჯახში იგივე რწმენით აღიზრდება, როგორიც თვითონ არის, (ნეტავი რატომ ვე-რაფერს ვამჩნევდი, თუ ასეთი იყო? რა დღიდებით ლაპარაკობდა სტალინის სადღეგრძელოს, თურმე გულში კი სხვას ფიქრობდა, მისი მაშინდელი სასიამოვნო სადღეგრძელო დღეს გველის სისინად ჩამესმის ყურში და გული მერევა, ოჰ! მარ-თლაც, რა ძნელი ყოფილა საყვარელი ადამიანის სიძულ-ვილი).

გუშინ ამ ქვაზე იჯდა ვაღლერი, ხელში აყვანილი ბავშვით და ჩემს წასვლას ელოდებოდა, წავედი და... ნუთუ იმ საბე-დისწერო ნაბიჯმა სამუდამოდ დამაკარგვინა შვილი? დღეს მე ვზივარ იმავე ქვაზე და შვილის აჩრდილს ვეაღლერსები, ტირის და ვერ ვაწყნარებ, იქნებ სინამდვილეშიდაც ტირის ჩემი ხათუნა, იმისი ისტერიკული ტირილი ყურში ჩამესმის გამუდებით და საშველს არ მაძლევს, ვიცი, ეს ასე გაგრ-ძელდება წლობით, მე ვერ გავუძლებ ამ ტანჯგას, ჩემმა მშობლებმა ხომ ჩემს ბედნიერებას შესწირა თავი, მეც ხათუ-ნას ბედნიერებას უნდა შევსწირო, გაიზრდება და ვინ იცის, იქნებ სიმართლე გაიგოს ოდესმე.

— მშვიდობით, შვილო! — მგონი ხმამაღლა ვთქვი ეს ორი სიტყვა, ლოდიდან ძირს ჩამოვხტი, უბე ზღვის კენჭებით ავივსე და ისევ ლოდზე შევდექი, ვგრძნობ, თვალები მრისხანებით მიელავს, ვერ ვამჩნევ ლურჯად მოლივლივე ზღვას, რომელიც ცეცხლოვანი ენით იმ ლოდს ლოკავს, რომელზედაც ისე ამაყად ვდგავარ, როგორც შეუძლეკელი საბჭოთა ჯარისკაცი გერმანელთა აღმართულ სახრჩობელათა ქვეშ, რამოდენიმე წუთიც და ეს უზარმაზარი სახრჩობელა შეწყვიტავს ჩემს გულისცემას და შთანთქავს მომავალზე ოცნებას...

შორს, ლურჯ პორიზონტზე, ხათუნას აჩრდილი ამოტივტივდა და კიდევ უფრო ძლიერად ჩამესმა იმისი ტირილი, ფურებზე ხელი ავითარე, თვალები დავხუჭე და ჰაერში სალტე უნდა მომეხაზა, რათა შორს, უფრო ღრმად, ხათუნასაკენ უფრო ახლოს გამერტყორცნა ჩემი გვამი, სუნთქვა შევიკარი და ადგილიდან უნდა მოვწყვეტილიყავი, მაგრამ, ღმერთო ჩემო, ეს რა არის, ლოდს ფეხები ვერ ავაგლიჯე, კიდევ ერთხელ გავიბრძოლე, მაგრამ ამაოდ, თვალები გავახილე და მრისხანებით დავიხედე ფეხებზე, რომ დამეწიწკნა ის, რაც ხელს მიშლიდა საკუთარი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად...

ფეხებზე შემომხვევია, თმაგაწეწილი და მთლად გაფითრებული დეიდა მარიამი, მართალია, იმისი ქვითინი არ მესმის, მაგრამ ღვარად ჩამოდენილ ცრემლებს ვხედავ, ქვითინებს და რაღაცას მემუდარება, ახლა გამახსენდა, ყურები საკუთარი ხელებით რომ მქონდა დახშული და არ გამკირვებია, იმისი მუდარა რომ არ მესმოდა, ყურები გავითავისუფლე თუ არა, მუქარის თხოვნისა თუ ბრძანების სიტყვები ჩამესმა:

— გონს მოეგე, შვილო, რას ჩადიხარ, არ გესმის? შენ ხომ ჩემი დამჯერე გოგონა ხარ, ასე უნდა გამაწვალო. ნახევარი საათია გეხვეწები და ვერაფერი შეეგასმინე, საკუთარი თავი თუ არ გებრალება, მე არ გებრალები, შვილო?!

სულ დამავიწყდა, რომ დეიდა მარიამი ამ ქვეყანაზე არ-სებობდა, მე ხათუნას მეტს ვერავის ვხედავდი და ყოველგვარი ფიქრიც იმას ეკუთვნოდა, ახლა ფეხებზე შემოხვეული

მოხუცი, რომ დავინახე, მუხლები ამიკანკალდა და მოსხლეტით ჩაუვარდიკალთაში, გულში ჩამიქრა, უბიდან კენჭები გადმომიყარა და სახეში მსტკიცა, რას ჩადიხარ, შე ურჯულო, შე უნამუსო, რამდენ სიკვდილს გადავურჩი და შენ უნდა მომქლა? მერე რას ეტყვი ჩემს შვილებს, ან ღმერთს, ან ხატს, ან ხალხს? დაბნეულად ბუტბუტებდა დეიდა მარიამი, ტიროდა და თვალებს მიკოცნიდა, ერთბაშად გამოვერკვიე, მართლაც, რას ჩავდივარ, შემრცხვა ჩემი საქციელის და მეც ავტირდი, ვეზვეოდი ერთადერთ ჩემს მფარველს ვკოცნიდი და ვტიროდი...

ზღვა განრისხდა და ახმაურდა, თითქოს საყვედურს ეუბნება დეიდა მარიამს, რომ მსხვერპლი ხელიდან გამოაცალა და სამაგიეროს იმით გვიხდის, რომ ენას ჩვენ ლოდზე იტეხავს და ტანსაცმელს გვისველებს.

ცრემლმა დაგვამშვიდა, ტანსაცმლის სისველემ და წყლის სივრცილემ, მდგომარეობილდან გამოგვიყვანა და მხნეობა დაგვიბრუნა.

— წამოდი, შვილო, სახლში! შე მოსასპობო და არგასაზრდელო! — მითხრა დეიდა მარიამმა და ამ წყევლაში იმდენი სითბო, იმხელა სიყვარული და ალერსი ამოვიკითხე, რომ თვითონ მოვკიდე ხელი, ფეხზე დავაყენე და ხელკავგამოდებულმა, იმან კი არა, მე წამოვიყვანე.

ტანსაცმელი გამოვიცვალეთ და როგორც ყოველთვის, ცაცხვის ძირას დავკექით, დეიდა მარიამი შევათვალიერე, მღელვარების ნატამალიც არ ეტყობა, მხოლოდ უფრო დაბერებული მეჩვენება, თითქოს ფიქრს მიმიხვდა, თავზე ხელი გადამისვა და მითხრა:

— ხომ არ გიკვირს, შვილო, დღეს რამოდენიმე ნაოჭი რომ შემემატა სახეზე და ჭადარა თმაში? რას ჩადიხარ, გოგო, არა გრცხვენია? შენ განათლებული გოგონა ხარ და იმდენი ნუთუ არ გესმის, რომ შენი სიცოცხლე შენ არ გეპუთვნის, თავს რომ იკლავ, რა გააკეთე სამშობლოსა და ხალხისათვის, ამაზე დაფიქრებულხარ ოდესმე? შენმა ტოლებმა სამშობ-

ლოსა და ხალხს შეწირეს თავი, მოკვდნენ ვაჟკაცურად, შენ კი ლაჩარი ყოფილხარ, სიძნელეს გაურბისარ, ზღვაში ვარდები, თავს იკლავ, თუ დაფიქრებულხარ, რომ ის ზღვა შენს გვაშს არ მიიღებს და გულში არ ჩაგიკრავს იმ მეომრებთან ერთად, რომლებიც თავდადებულად იბრძონენ სიცოცხლის შესანარჩუნებლად, მაგრამ ყრუ აფეთქებამ მაინც ჩაძირა მათი ტანკერი, სირცხვილი არ არის, შენც ზღვამ უნდა დაგახრჩოს და ისინიც?

შენ სხვა გააკეთე, რაღაც, ახალი გამოიგონე, ეს ფანდები მოძველებულია და სხვის ნაკვალებზე გმირები არ დადიან, სხვის გამოგონილ ოლ გზას ნუ აირჩევ, შვილო, მფრთხალი და მშიშარა იკლავს თავს, ადამიანები ცხოვრებას ებრძვიან, სიძნელეში იწროობიან და სახელს ტოვებენ, თვითმკვლელობისას კი არა—გმირობისას, შენ როგორ იტყვი, შვილო, რამდენი მამისა და შვილის სიცოცხლე შეიწირა ომმა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, რომ მათ ოჯახში მოეკლათ თავები, ქრისტიანულად დაგვეტირებია და მათი საფლავი გვცოლნოდა? მაშინ მტერიც არ გაწყვიტავდა თავის ძალებს და აუარებელ ტექნიკას, თავისუფლად დაიპყრობდა მსოფლიოს, ჩვენც რა გვიჭირდა, გვეცხოვრა ხომ მონობაში! შენი ხნის კიდევ არ იყო ზოია რუხაძე და ჩემზედ კარგად გეცოდინება, რა გმირობაც ჩაიდინა, მას არ შეეძლო ზღვაში გადავარდნილიყო? მაგრამ არა, მან ტანჯვით სიკვდილი არჩია, რათა ამ სიკვდილით სხვისთვის თავისუფლება და ბედნიერება მოეტანა, საკუთარი თავისთვის კი უკვდავება!

მართალია, დავბერდი, მაგრამ შენ რატომ გგონივარ ისე-თი უგნური, ყურადღებას მოგაქლებდი, როდესაც თითქოსდა სასეირნოდ წახვედი? შენ როგორც გინდა, ისე ჩამთვალე, შვილო, მხოლოდ ეცადე, ნურასოდეს ნუ მიატოვებ, ნუ მოატყუებ სხვებს და საკუთარ თავს, უმჯობესია, სხვამ მოგატყუოს, ეს უფრო ადვილი ასატანია, ვიდრე სინდისის მოტყუება!

დღეს შენთან მეტს აღარ ვისაუბრებ, განათლებული გოგონა ხარ და იმედი მაქვს, ყველაფერი გამიგე, დავივიწყოთ დღევან-

დელი დღე, რომელიც არც ბუნებრივად და არც მორალურად აღარასოდეს აღარ განმეორდება!

— ვფიცავარ, შენს მშობლიურ სიყვარულს, დეიდა მარიამ, რომ ასეთ სისულელეს აღარასოდეს აღარ განვიძეორებ, მე კი, პირადად, თქვენთან სიცოცხლითა ვარ დავალებული, გმადლობთ გადარჩენისათვის, რომელიც მოუფიქრებლობამ, თუ წუთიერმა უაზრო მოუფიქრებამ და წინდაუხედაობამ ჩამადენინა!

— მადლობას რაზედ მიხდი, შვილო, სამადლობელი მე არაფერი გამიკეთებია, უბრალოდ შემთხვევა ზელიდან არ გა-ვუშვი და ადამიანური ვალი მოვიხადე, შენ კი, შესაძლებელია, ცხოვრებაში კიდევ მეტი წყენინება შეგხვდეს და წყევლა-კრულვით მომიგონო დღევანდელი გადარჩენისათვის, მაგრამ მთავარი უნდა გახსოვდეს, რომ ადამიანი ხარ და შეუძლებელი ბრძოლა გმართებს იმ უჩინარ მტრებთანაც კი, რომლებიც მოყვრად გაჩვენებენ თავს!

— დეიდა მარიამ, როგორ გავიგო, ვინ მტრია და ვინ მოყვარე?

— როგორი კეთილი და მოყვარეც არ უნდა იყოს ადამიანი, საკუთარ თავზედ ძვირფასი არ იქნება, როცა საკუთარი თავის გასანადგურებლად ზელი აგიღმართავს და არ ინდობ, სწორედ მიუნდობლობაში იპოვი სპეტაკ ადამიანს, თუმცა საკუთარი თავის მოღალატეს იშვიათად თუ მიენდობა ვინმე. ვინადან პრაქტიკაში იგივე ხშირად მეორდება, არ არსებობს ისეთი ადამიანი, თუ მას საკუთარი თავისათვის სახრჩობელა ჩამოუბამს, ადრე თუ გვიან, სახრჩობელათვე არ დაამთავროს საკუთარი სიცოცხლე...

— ვფიცავარ, დეიდა მარიამ, რა გაჭირვებაც უნდა შემხვდეს, ვაჟკაცურად ავიტან!

— კარგი დაპირებაა, შვილო, ხოლო დაპირებას ასრულებაც უნდა! თუმცა იშვიათად სრულდება კარგად, კარგი დაპირებები, მაგრამ მე შენი მჯერა მაინც და წინასწარ მადლობას გიხდი...

— დეიდა მარიამ, ხომ არ დაფიქრებულხარ, თუ რა გზით
შევძლებ შვილის დაბრუნებას?

— არა შვილო, ამაზე ფიქრის დრო არ მქონდა, ჩემი
აზრით, მაგ საკითხს თუ საკუთარი თავით გადაწყვიტავ, უკე-
თესი იქნება!

სწორია დეიდა მარიამი, მხოლოდ საკუთარი თავით უნდა
გადავწყვიტო, ცხოვრებისა თუ საკუთარი ოჯახის საკითხი,
თუ შეცდომას დავუშვებ, სხვას მაინც ვერ დავაბრალებ, და
ყოველთვის მართალი ვიქნები საკუთარი სინდისის წინაშე,

მეორე საკითხშიდაც სწორია დეიდა მარიამი, ნეტა, რა
სიკეთე დამითესია, რომ სიცოცხლე მომბულებია? მართლაც,
და რა ჩავიდინე ეს, საკუთარი თავისთვის ვერ მიპატიებია,
დეიდა მარიამის გამწარება, მართალია, თავისი ზებუნებრივი
კუთილი მოძყრობით, თვალი ამიხვია და მომატყუა ვალერიმ,
მაგრამ შურისძიების ნაცვლად, საკუთარი თავის სიკვდილით
დასჯა განა შეიძლება?

მე ისეთი გზა მაქვს გამოვლილი, მეტი უნდა ვიცოდე,
უნდა მცოდნოდა ვალერისა და ვალერისმაგვარი ადამიანების
ბუნება, უნდა მცოდნოდა, რომ ასეთი ბუნების ადამიანებს
მხოლოდ იმიტომ ჩვევიათ სიკეთის ჰქმნა, რომ სიავეს გასაქანი
მისცენ და ბოროტმოქმედებისათვის არ დაისაჯონ, მე კი,
მიზნად მქონდა დასახული, მყვარებოდა, გულით მივნდობოდი
ვალერის და არასოდეს მომეტყუებია,. სწორედ ასეთმა მო-
ქცევამ ამიხვია თვალები და თვითონ მოვტყუვდი, ახლა, როცა
ამ დღიურს ვწერ, შეცდომაზე წუწუნი სწორად არ მიმაჩნია,
რაღაც ღმერთმა დამიფარა და წუთიერი მცდარი განზრახვა
სისრულეში ვერ მოვიყვანე, რაღაც ცოცხალი ვარ და კიდევ
ბევრის გაკეთება შემიძლია, დღიდან მხოლოდ მოხუცებუ-
ლობით სიკვდილი გადამიწყვეტია, რომელიც, ჩემი აზრით,
შორს უნდა იყოს, ვნახოთ, რის გაკეთებას შევძლებ, ჩემე-
ბურად შევებრძოლები უსამართლობას, ვიყო ბოროტმოქმედი!
ბოროტმოქმედებაც გმირობა არის და არანაკლები სხვა სახ-
ის გმირობაზე. მეც ცხოვრების პატარა სიმღერა ვიქნები,

ცოტახანს ხალხი იღიღნებს ჩემს სახელს და მალე დავიწყებას მიცემა ყოველი...

1945 წელი, 8 აგვისტო (ოთხშაბათი)

არა თავი უნდა მოვიკლა, მე ძალზე ცუდი ადამიანი ვარ, ნაცვლად იმისა, რომ ჩემი ფეხი დალოცვილი იყოს, ბედნიერება და სიხარული შევიტანო ყველგან, ცრემლსა და უბედურებას დავატარებ თან, ჩემი სიკვდილით შეიძლება ხალხს მეტი ბედნიერება მოვუტანო, სიკვდილის არ მეშინია, კარგად ვიცნობ მას, ბევრჯერ ჩამიხედავს იმისათვის თვალებში და ერთჯერაც არ გამჟრულებია,. ჩემი აზრით, ადამიანები მხოლოდ იმიტომ იხოცებიან, რომ ეშინიათ და არ შეუძლიათ, თავი აარიდონ სიკვდილს, მე თვითონ გამირბის სიკვდილი, რათა მაცხოვროს წარსულ უბედურებაზე და ახალ—ახალი, უფრო საშინელი და უფრო დაუნდობელი უბედურებანი წინ დამახვედროს, აღარაფრის აღარ მეშინია, აღბათ იმიტომ, რომ ყველას და ყველაფერს ჩემი ეშინია,. სიკვდილის—უკვდავების უნდა ეშინოდეს, მოკვდავებს კი სიკვდილი, ზოგს თვალს უხელს და სწორედ სიკვდილის შემდეგ ხდება უკვდავი — ზოგს თვალს უმსებს და სიკვდილთან ერთად ქრება მისი სახელი...

— შენ ხარ სიკვდილი, ხარ არაფერი,
შენით ცისკროვნებს, კი არ ბინდდება,
სწორედ ჩვენი ხარ, შენ ყველაფერი
და შენს მერეა ჩვენი დიდება!

კარგი, არაფრის გეშინოდეს, ყველა და ყველაფერი შენ გაგირბოდეს, ბედი არ გინდა.? თუმცა, ბედი ვისაც მფარველობს, ცხოვრებას ყოველთვის მისდა სასიკეთოდ მოაქცევს, მე რა გამოვედი ასეთი უბედო და უბედური, დაბადებიდან ცრემლი თვალზე, არც მე და არც ჩემს მფარველს არ შეგვშრობია,

თუკი ვინმეს გაუწევია რისკი და ჩემი მფარველობა უკისრია, ისიც ჩემს დღეში ჩაგარდგილა, ან უარესში...

დღეს, რას ვწერ, არ ვიცი, ალბათ, თქვენ ჭკეუიდან შეშლილი მოგეჩვენებით და არც არის გასაკვირი, ადამიანი, რომელსაც თავის მოკვლა განუზრახავს, არც შეიძლება სრულ ჭკუაზე იყოს!

დღეს ყველა დღეზე უმბიმესი დღე გათენდა ჩემთვის, დილით, როგორც ყოველთვის, დეიდა მარიამი ადრე არ ამდგარა, გამიკვირდა, რომ განთიადს დაწოლილი შეხვდა და სასოფტმალთან ჩამოვუჯექი. სახე გაფითრებული პქონდა, თვალები ნამტირალევი, შევეკითხე – რა მოგივიდა–მეთქი, მან ცრემლით დაწითლებული თვალები მომაპყრო და არაფერი მიჰასუხა, შემდეგ ისევ წამოსცვივდა ცრემლები და მითხრა:

– ჯერ არაფერი, მაგრამ ვგრძნობ დიდი უბედურების მოახლოებას, ცივ წყალში ტილო დამისველე და ბუძუებზე დამაფინე, ბუძუები მტკივა ამ ხნის ქალს, ალბათ, შვილები ვერ არიან კარგად, დედის ბუძუები ყველაფერს გრძნობს, როდესაც ბუძუს თავები ვარდისფერია, შვილებს რაღაც უხარიათ და ხარობს დედის გულიც, როდესაც ტკივა, იცოდე, განსაცდელშია შვილები, არა, შვილების განსაცდელი არაფერი არ არის, როდესაც დედის კალთაში უდევს თავი, მაშინ განსაცდელს დედაც ადვილად აიტანს და შვილიც, მაგრამ ვაი, უბედურებას, როდესაც შვილი დედის სითბოს მოკლებულია, როდესაც შვილს ხელი დაეწვება და დედა სულს ვერ უბერავს, ვაი, იმის დედობას! ვაი, ჩემს თავს, იქნებ შვილი დაჭრილი მყავს და დედა ჭრილობას ვერ უხვევს, აი, რა არის ვაი და ვუი!

დეიდა მარიამმა წამოიწია, წამოვდა და ჩემს მიერ მკერდზე დაფუნილი სველი ტილო გვერდზე გადადო, შემდეგ თვალებში მომაშტერდა, ნიკაპი აუკანკალდა და ცრემლები წამოსცვივდა...

– რა მოგდის, დეიდა მარიამ! – მივვარდი და თითებით თმის დავარცხნა დავუწყე, რომ დამეტვიდებია, მართლაც, დამშ-

ვიდდა, მხოლოდ მოჩვენებითი სიმშვიდით, აშკარად ეტყობოდა, სულიერი შფოთვა ჯერ კიდევ დიდხანს ვერ გადაუვლიდა.

— დაჯექი და მომისმინე! — მითხრა წუთიერი დუმილის შემდეგ, ვერ გავიგე მის ხმაში, ბრძანება იყო თუ თხოვნა, შეიძლება არც ერთი, არც მეორე, შეიძლება ორივე ერთად და მე სმენად ვიქეცი, დეიდა მარიამმა არ დააყოვნა და დაიწყო:

— კლოცავ, შვილო, იმ დღეს, როდესაც შენ ჩემს ოჯახში შემოხვედი, მადლობელი ვარ ყოველი ძალისა, რომ ჩემთან ადამიანი იძყოვება სიკვდილის დროს, რომელსაც შემიძლია გავანდო ყოველგვარი საიდუმლო და ვანდო ჩემი სული, ალბათ, მარტონი რომ ვართ და ერთი მეორის იმედი გვაქვს. იქნებ, ამიტომ უფრო შემიყვარდი, ამ სიყვარულმა ახლა უფრო იჩინა თავი და მწამს, ის სიყვარული ყოფილა წმინდა და სპეტაკი, რომელიც სადღაც გულისკუნჭულშია მიმღული და დრომდე ჩვენთვისაც უჩინარი.

ადამიანს თურმე სიკვდილის წინ თავის ტვინის ყველა უჯრედი აქვს მოქმედებაში, არ არის გასაკვირი, ბრძენად და მქადაგებლად იქცეს, თუმცა გული ვერ აიტანს გონების ეგზომ ქადაგებას, ცდება ის, ვინც ერთმანეთს ადარებს გულსა და გონებას. შემიძლია, თამამად ვაღიარო, რომ ის, რასაც გულითსქმას მაიწერენ, სინამდვილეში გონების სიცხადის შედეგი გახლავთ. ისე, საკუთარი გონების ქება ადვილი არ არის, მაგრამ სიკვდილის წინ მებატიება...

— რას ამბობ, რას! დეიდა მარიამ! ცრემლმორულმა შევაწყვეტინე საუბარი, რა დროს შენი სიკვდილია! ვის უტოვებ სახლს, კარს, კერას, ვინ დახვდება შენს მაგიერ შვილებს ოჯახში, ომი დამთავრდა, სადაც არის, ისინი ჩამოვლენ და შენ უძლური რომ იყო, მაინც უნდა დასძლიო სიკვდილი, რათა შეხვედრა მოუწყო შვილებს, შენ კეთილი ხარ, კეთილი! სასიკვდილო მე ვარ, არ მოვსულვარ ამ ოჯახში ბედნიერი ფეხით, მაგრამ მე მოვედი კეთილი გულით! ბედნიერი ფეხი კი, ალბათ, არ გამარია! მე უნდა მოვკვდე, დეიდა მარიამ, და შენ უნდა იცოცხლო, უნდა იცოცხლო! შენი შვილების გული-

სათვის მაინც და თვით სიკვდილიც უძლური უნდა იყოს შენს წინაშე! შენ არ გიყვარს სულიერი დაცემა და ნეტავი, დღეს რა მოგივიდა?!

დეიდა მარიამმა მკლავზე ისე ძლიერად მომიჭირა ხელი, რომ ხუთივე თითები ჯერ წითლად დამაჩნდა და სულ მაღე შავად იცვალა ფერი.

— ხელს ნუ მიშლი, მომისმინე! — ახლა კი მიბრძანა და რომ კიდევ არაფერი მეთქვა, თვითონ დაიწყო:

— მოთმინება იქონიე, შვილო! გელაპარაკები და გული-სყურით მომისმინე, პატარა კი არ ხარ, ჭკუა მოგეთხოვება, შემთხვევამ არასდროს გაგხადოს ბრძენი და ჭკვიანი, შემთხვევის გარეშე გესმოდეს, რა არის ჭკუა და ყოველთვის უნდა შეპხაროდე მას, შენა ხარ ჩემი უკანასკნელი იმედი, შენ უნდა მოუხმო ჭკუა—გონებას და უყოფმანოდ შემისრულო ის, რასაც დაგიბარება: — მე მოგკვდებიო — რომ იძახი, შენ ჯერ არაფერი არ გაგიკეთებია იმისი ფასი, რომ მოკვდე ადამიანური ღირსებით, თუ ადამიანი ხარ, სიკვდილმა უნდა აგამალლოს, უნდა სიცოცხლე დაგიფასოს, შეგამკოს და გაგალამაზოს, მე სიკვდილის წინაშე ეს დიდება მაქვს დათესილი და ამ დიდებას გელარავინ წამართმევს, შენ ჯერ ახალგაზრდა ხარ, დაუნდობელი ბრძოლა გმართებს, რომ შენი ცხოვრებაც შეამქოს სიკვდილმა დიდების შარავანდედით, დავიდალე, აღარ შემწევს ბრძოლის ძალა, სიცოცხლემ დამდალა რომელსაც ასე შევტრიფივარ და შევხარი, სიკვდილი კი ჩემთან ყოველთვის მორიდებული იყო, რომლისაც ასე გვეშინია, ვწყევლით და ვაგინებთ, ახლა შენ თვითონ გაიგე, რომელი ყოფილა საშინელი, სიცოცხლე თუ სიკვდილი.

სიცოცხლე ზოგჯერ შემპარავი სიკვდილია და ვერავინ ამჩნევს ამას, აქებენ და ადიდებენ სიცოცხლეს, სიკვდილის შექებას ვერავინ ბედავს, ცხოვრებაში კი პირიქით უნდა იყოს, სიცოცხლეს არ შეულია ითამაშოს სიკვდილის როლი და სიკვდილი, თვით სიცოცხლესაც ათამაშებს სიკვდილის როლს, რამეთუ შენისთანა ცოცხალ მკვდრებით სავსეა სამყარო, ნუ

გამიჯავრდები, ჩვენ ადამიანები არ ვარიგებთ ისე გულუხვად, როგორც რჩევას, და ხშირად გვავიწყდება საკუ-თარი თავისთვის გვერჩია რაიმე სასარგებლო, როდესაც ამას ვგებულობთ, სიბერისაგან დაჩლუნგებული გონებაც გვეცემა ხოლმე თვალში, ისე როგორც სიბერისაგან გამოწვეული ფიზ-იკური ნაკლი, ამიტომ სიბერეში, რამე თუ გული არ ბერდება, ისე ადვილია საკუთარი თავის მოტყუება, როგორც მნელია სხვისი მოტყუების კეთილად გამოყენება, მე დავბერდი და სწორედ ათასნაირი ხრიკებით ვიტყუებდი და ვინუგეშებდი დღემდის თავს, ახლა კი, დროა, საკუთარ სინდისს არ შევარ-ჩინო ჩემი მოტყუება და ყველაფრისათვის ერთად გადავუხა-დო სამაგიერო...

ნათქვამია: „მწოლიარე ადამიანი ანდერძს თუ იტყვის, ის ფეხზე ვეღარასოდეს ვეღარ დადგებაო“ – არ ვიცი, რატომ, მაგრამ მაინც მენანება ამ ტანჯული ცხოვრების დატოვება, ხელი მომკიდე, ცაცხვის ქვეშ სავარძელზე ჩავჯდები და იქ გავაგრძელოთ ჩვენი საუბარი... თხოვნა მყისვე შევუსრულე, თბილად ჩავაცვი, თეძოებზე შალი შემოვაკარი და ხელი გამ-ოვდევი მკლავში, რათა დათქმულ ადგილზე მიმეყვანა, თუმცა არ დაჭირვებია ჩემი ხელის მოკიდება, არც დამყრდნობია საგრძნობლად, მაგრამ სიფრთხილისათვის ხელი მაინც არ შემიშვია და სავარძელვში ჩავსვი, დეიდა მარიამმა ჭიშკარს გახედა, ფიქრებმა გაიტაცა და რამოლენიმე წუთი გარინდებუ-ლი გასცექროდა გზას, მე ხელს არ ვუშლიდი იმის ფიქრებს, წყნარად ვიჯექი მის გვერდით და ხმას არ ვიღებდი, მაგრამ მარიამმა მალე დასძლია მოგონებებს და საწყის მდგომარე-ობას დაუბრუნდა:

– შვილო, მერი! ვინაიდან შენ ჩემი ერთადერთი ჭირის-უფალი ხარ, ფიცი მომეცი, რომ თხოვნას შემისრულებ...

– ვფიცავ დეიდა მარიამ, თუგინდ ზვარაკად შემომწირონ შენს ჯანმრთელობას, ერთსაც არ დავიკვნესებ, ვფიცავ! ყველა საფიცარს, შეგისრულო ყოველგვარი ბრძანება, რამე თუ თხ-ოვნა, ჩემს მიმართ, არ გეპადრებათ!

— შვილო, ადამიანებს განურჩევლად ერისა და სქესისა, ფიცის გატეხვა არ უყვართ და შენც მუდამ გახსოვდეს, ჩემს წინაშე წარმოთქმული ფიცი... ეცადე, საკუთარი სიკვდილით მოკვდე, გაჭირვებამ არასოდეს არ მიგატანინოს თავი სასაქ-ლაოზე... შენი ულირსი ქცევით ადამიანებს ნუ გააცინებ, შენი თავის საფუძვლიანი განადგურების მიზეზი, მუდამ დაფარული იქნება გარეშეთათვის და მუდამ სასაცილო იქნება, სანამ მსგავსი რამ შემთხვევა არ შეცვლის შენს მიერ გადადგმულ ნაბიჯს, შემდეგი კი დავიწყებას მიეცემი...

ღმერთმა დიდად არ იცის უფროს— უმცროსი, მაგრამ მადლობა მას, რომ ამ შემთხვევაში ბრწყინვალედ ასრულებს ღვთიურ კანონს, შენ ჩემს სიკვდილს უნდა დაესწრო, შვილო, და კიდევ ერთი გულისტკივილი უნდა მოგაყენო, მაგრამ იმედი მაქვს, შენ ყოველიგეს გაუძლებ და შენი თბილი ხელებით დამაყრი მიწას, რათა ცოტახანს მაინც ვიგრძნო შენი სურნელოვანი ხელების სითბო, ნუ შექმნი ბევრ წივილ-კივილს, არ არის საჭირო ზედმეტი გაფორმებები და ნურც უცრემლოდ გამაცილებ, კარადაში ამ დღისათვის გადანახული ახალი ტანსაცმელი მაქვს შენახული, გაპატიოსნების შემდეგ ყველაფერი სუფთად და ლამაზად ჩამაცვი, ფული სკივრშია, სადგომისათვის და სხვა ხარჯებისათვის დაგჭირდება, მგონია, გეყოფა კიდეც, ჩემს საფლავს გრანიტი ძეგლი და დიდი შემკიბა არ უნდა, უბრალოდ, სუფთად იქნიე და ნუ ჩაშლი ჩემს ადგილსამყოფელს, ვინ იცის, იქნებ ერთი მაინც დაბრუნდეს ჩემი შვილი და იცოდეს მან დედის საფლავი, ეს აუცილებელია, ჩემთვის კი არა, მისთვის, ეცადე ოჯახის კერა არ გააციო, ჩემი პატარა ოჯახი, მართალია, დიდი ღირსებით არ არის შემკული, მაგრამ ამ პატარა სახლ-კარ-ეზო—გარემოს ყოველთვის ჰქონდა მტერ—მოყვრის დახვედრის შნო და ლაზათი, აქ მცხოვრებლებს კი მისი მოხმარების თავი და ეშხი გააჩნდა მუდამ, ამიტომ, ცოდოა, ბებრის წასვლის შემდეგ გაცივდეს ყოველივე, ბებერიც და ახალგაზრდაც...

— დეიდა მარიამ! ჩემს მიერ სწავლება არც გესაჭიროება და არც გეკადრებათ, მაგრამ შენსავე სიტყვებს თუ შეგახ-სენებთ, იქნებ გულზე სიმშვიდე იგრძნოთ, თქვენ ვალდებული ხართ, მთელი ძალა მოახმაროთ თავს დატეხილი უბედურებ-ის ღირსეულად ატანას, იმაზე ფიქრმა კი არ უნდა დაგა-ძაბუნოს, რომ მოსალოდნელია რაღაც უბედურება და შეი-ძლება დაგვატყდეს თავს, შენ მუდამ მტკიცე ნებისყოფისა და კლდესავით გაუტეხლი, დაუმარცხებელი და შეუვალი იყავი, დღეს სად გაპქრა შენი სიმტკიცე, შენი სიძლიერე, შენი ნებ-ისყოფა? თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ თქვენი წუხილი იმდენად როდია საშიში, რამდენადაც შიში მოსალოდნელი უბედურებისა, რომელიც არამც თუ მოხდება ოდესმე, არამედ, არც შეიძლება მოხდეს, თქვენ ჩემში მშობლიური სიყვარული დათესეთ და ვალდებული ვარ ავიტანო თქვენს მიერ მოყ-ენებული ფიზიკური შეურაცხყოფაც კი, თუმცა დღეს იმხელა გულისტკივილი მაგემეთ, ათასჯერ ჯობდა კარგად გვარი-ანად გაგეწყვეტლეთ, რამეთუ ჯანმრთელობისათვისაც სჯობს კანის დასუსხვა, გულის ჭრილობა კი არ შეხორცდება, ჩვენ-თან ერთად გაიზრდება და ზღაპრულ ურჩხულივით სულს მომიწუთავს ყოველთვის მისი გახსენება....

— ეჰ, შვილო! ეს ცხოვრება, დიდი ხანია, რაც ჩემთვის ურჩხულად გადაიქცა, შენთვის კი, აწი უნდა გადაიქცეს, მე ვეღარ ვძლებ ურჩხულის ხახაში და შეურაცხყოფად არას-დროს არ მივიღებ, თუ მისთვის სასიამოვნო ხორცი არ აღმომაჩნდება და ზიზღით გადმომაფურთხებს, მე აქამდის არასდროს...

აქ დეიდა მარიამა თხრობა შეწყვიტა, ჭიშკარს სამხედრო მუნდირში გამოწყობილი სამი მამაკაცი მოადგა, პირველად დაძახება უნდოდათ, მაგრამ, როდესაც ეზოში დაგვინახეს, დაუ-კითხავად შემოაღეს ჭიშკარი და შემოვიდნენ, ნელი მწყობრი ნაბიჯით მოდიოდნენ თავდახრილნი, მე დეიდა მარიამს გადა-ვხედე, ის მთლად გათეთრებულიყო, თვალები გაფართოებოდა და გაფითრებული შესცექეროდა სამხედრო პირებს, ზეზე ადგომა

კი ვერცერთს ვერ მოგვეხერხებინა. ერთ—ერთი მაიორის სამხედრო პირი თავდახრილი დადგა დეიდა მარიამის წინ და სუფთა სომხური ენით უთხრა:

- დედა ხარ, უნდა გამაგრდე!
- რომელი?! — კბილებში გამოსცრა დეიდა მარიამა და გული შეუწუხდა.
- ხორენი! — უპასუხა მაიორმა, მაგრამ ეს დეიდა მარიამს უკვე აღარ გაუგონია.

დღე—ღამეს ჰეგანებია ადამიანი, მახსოვს, როდესაც პირველად შემეგება დეიდა მარიამი, მზიანი, თბილი, დილასავით მოღიმარი სიხარული იფრქვეოდა მზისა და ადამიანის თვალთაგან.

როდესაც მე გადამარჩინა და ხელი ამაღებინა თვითმკვლელობაზე, ღრუბლიანი იყო, მოჭურუფული ისე, როგორც ტყვიასფერ ღრუბლით იცის ცამ დამძიმება ქარიშხლის მოლოდინში, იმის გულშიდაც ამოვარდა ქარიშხალი და წყევლა—კრულვის კორიანტელი დამაყარა სეტყვასავით თავზე.

დღეს, დილიდანვე მძიმე დღე გათენდა, შუადღეა და ჯერ მზე კიდევ არ ამოსულა, ზღვის მხრიდან დასავლეთს მძიმე ღრუბელი დასწოლია და ცუდის მომასწავებლად დაუხშვია ჰერი, ასეთი დღე აღბათ სიბრძნისა და წინასწარმეტყველებისაა, დილიდანვე ქადაგად იქცა დეიდა მარიამი და ახლა დაღამდა, ჯერ თეთრად, რძისფერი ღრუბელი შემოეპარა დღის სინათლეს, შემდეგ ნელ—ნელა ჩაშავდა და სიბნელემ მოიცვა ყველაფერი...

ღონემიხდილს, დეიდა მარიამს მკერდზე ჩამოუვარდა თავი, იმ წუთში მივვარდი, ერთი ოფიცირის დახმარებით ტახტზე წამოვაწვინეთ და გულწასული ადამიანისათვის პირველი დახმარება აღმოვუჩინეთ, მაგრამ ამაოდ, ტყვიისფერი ღრუბელი ჩამოწვა მის სახეზე, ათასნაირი მასაჟის გაკეთების შემდეგ კი სილურჯე შეეპარა ფრჩხილებსა და ტუჩებს, შემდეგ ნელ—ნელა ჩამოღამდა თვალებში და სულ მალე მთელი ორგანიზმი წყვდიადმა მოიცვა, შორს ისმოდა ჩემი კივილი, მაგრამ ვინ დაუხსნია ცრემლსა და კივილს განსაცდელისაგან?

მაიორმა საჩქაროდ ექიმი მოიყვანა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, მე კი ექიმის დანახვამ რაღაც იმედი ჩამისახა გულში და კივილი უნებლიერ შევწყვიტე, ექიმმა დახედა თუ არა უსულო გვამს, თვალები დაუხუჭა და თითქოს გვანუგეშა:

— რომ მომესწრო ცოცხალისათვის, მაინც ვერაფერს ვუშველიდა!

გვამის სააგალმყოფოში გადატანა ზედმეტი იყო, უნდა შევდგომოდი დეიდა მარიამის ანდერძის შესრულებას.

ჩემს კივილზე ბევრი მეზობელი მოაწყდა სახლს., ყველა მწუხარებას გამოიტქვამდა და აღმოიტქვეს ყველა დახმარება, მაიორმა მიცვალებულის საპატივცემულო დარაჯად სამი ოფიცერი დააყენა კარებთან, რომლებიც ყოველ ორ საათში იცვლებოდნენ და მაინც იდგნენ დაკრძალვის დღემდე.

დეიდა მარიამი მეზობლების დახმარებით საღამოს გავბანეთ და როგორც ჰქონდა დაბარებული, ახალ ტანსაცმელში გამოვაწყვეთ, მეუბნებიან, რომ მე არ მივიღო მონაწილეობა ამგვარ საქმიანობაში, მაგრამ არავის არ ვუსმენ, საკუთარი ხელით ვაკეთებ ყოველგვარ შემზარავ ოპერაციას და გადავწყვიტე, ყოველი დამე ვუთიო მიცვალებულს დაკრძალვამდე. მეზობლებს არასოდეს არ დავუტოვებივარ განსაცდელში, არ ვიცი, მე ვებრალები, თუ დეიდა მარიამის საპატივცემულოდ აკეთებენ ყოველივეს, იწვის თაფლის სანთელი დეიდა მარიამის სასთუმალთან და ჩემს გარდა ექვსი მანდილოსანი ათევს დამეს.

1945 წელი, 14 აგვისტო (სამშაბათი)

დადგა ცხედარის გასვენების პირქუში დღე, დღე გამომშვიდობებისა და დღე უკანასკნელი ხილვისა, მე, სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოხვეული, სასთუმალთან ვუზივარ ცხედარს და, გულიდან ამოხეთქილი სუფთა ცრემლის დაფრქვევის გარდა, არაფერში ვღებულობ მონაწილეობას.

თორმეტი საათის შემდეგ ზღვა ხალხი მოაწყდა დაკრძალვას და ყველაფერს თავისებური წესი აქვს, თავისებური პატივისცემა უნდა ხალხს, მეზობლები და სამხედრო პირები პირნათლად ასრულებენ ყოველგვარ დაკისრებულ მოვალეობას და რა საჭიროა, დაწვრილებით აღვწერო დაკრძალვის ცერემონიალი, ან რა მოხდა გარდაცვალებიდან დღემდე, ეს თითქმის ყველამ იცის, გარდაცვალებისა და დაკრძალვის დღები ყველგან ერთფეროვანია, რაც აღწერას აღარ საჭიროებს.

საღამოს ხუთ საათზე გამოასვენეს ცხედარი, ცოტა ხანს სწორედ იქ, ცაცხვის ძირას დაასვენეს, სადაც დაჯდომა უყვარდა, სამღლოვიარო გამოსამშვიდობებელი სიტყვით გამოვიდა მრავალი უცნობი და ნაცნობი, მეც დავემხვე დეიდა მარიამის ცხედარს, ვტიროდი და რაღაცას გაუგებრად გლულულებდი, ცოტა ხანს დამაცადეს და შემდეგ ცხედარს ისე ამაგლიჯეს, რომ გულის მოოხება ვერ მოვასწარი, ოთხმა სამხედრო პირმა მხრებზე შეიდგა სადგომი და მწყობრი ნაბიჯით წაიღეს, მე პირველი გავევი ცხედარს, თუმცა მეზობლებს არც აქ მიუტოვებივარ და ორივე მხრიდან ხელკავი გამიკეთეს მანდილოსნებმა

საფლავი უზარმაზარი ცაცხვის ძირში ისე ახლოს იყოს, გაჭრილი, რომ ზისთვის რამდენიმე ფესვი გადაეჭრათ, საფლავი აგურით იყო ამოშენებული და ლამაზად ამოლესილი, იქვე ელაგა ბეტონის ფილები ზევიდან დასაწყობად, დეიდა მარიამის ცხედარი ბაწრებით ჩაუშვეს საფლავში, შემდეგ ფილებით გადახურეს და მე პირველმა, ხელით დავაყარე მიწა, მისივე ანდერძის თანახმად, გავსწორდი და ფიცი დავდე, რომ მის საფლავს არასოდეს არ დავივიწყებ, სანამ ცოცხალი ვიქნები...

ნელ–ნელა გაიკრიფა ყველა და დარჩა ყვავილებითა და თაიგულებით შეკალთავებული მიწის პატარა გორაკი, მაიორმა ხელკავი გამიკეთა, სახლამდის მიმაცილა, თან არასწორად მანუგეშებდა და დახმარებას აღმითქვამდა, თუკი რაიმე დამჭირდებოდა.

— რომელმა იმსხვერპლა დეიდა მარიამი? — მოულოდნელად შევეკითხე მე, ჩემმა შეკითხვამ ცოტა შეაკრთო მაიორი, მაგრამ მაინც დინჯად მიჰასუხა.

— ორივე!

ამ სიტყვის გაგონებაზე კინაღამ ჩავიკეცე, მაგრამ მაიორმა დროულად შემაშველა ხელი და სამხედრო მტკიცე ხმით მიბრძანა: გამაგრდი! შენ ახალგაზრდა ხარ და ვალდებული, ყველაფერი აიტანო!

საღამოს სიცხე მომცა, ათასნაირი მოჩვენებები მტანჯავდა მთელი ღამე და მაბოდებდა, დილით ცივ ტილოებში გახვეული მოვედი აზრზე, ოთახი სავსე იყო მეზობლებით, ექიმებითა და აქ იყო მაიორიც, ჩემი ამქვეყნად დაბრუნება ყველას გაეხარდა, ზოგი მილოცავდა გადარჩენას და ზოგი მტუქსავდა კიდეც, გაჭირვების ასე ახლოს გულთან მიტანისათვის, ბოლოს, მაიორი მომიახლოვდა და კონიაკში შეზავებული ასკილის წვენით სავსე ჭიქა უხმოდ მომაწოდა, მწყუროდა, მეც უხმოდ ჩამოვართვი და სულმოუთქმელად გამოვცალე, სხეულში სასიამოვნო სითბო ჩამეღვარა და მომეჩვენა, რომ მთლად გამოვჯანმრთელდი, მაგრამ ასაღვომად რომ წამოვიწიო, ბრუ დამესხა და ისევ ისე სასთუმალს მივესვენე, მთელი ღამის ნატანჯს ტკბილი ძილით ჩამეძინა.

1945 წელი, 16 აგვისტო (წუთშაბათი)

დილით ადრე ავდექი, საღ—საღამათი, არაფერი არ მტკივა, თითქოს ავად არასოდეს არ ვყოფილვარ, მხოლოდ ეს არის, რომ დეიდა მარიამის აჩრდილი არ მშორდება თვალწინ, დღისით თუ ღამით, სულ თანა მსდევს, გამუდმებით მესმის იმისი დარიგება და მეც ისე შევეჩვიე ამ ხმას, თითქოს მოჩვენება კი არა, იგივე ცოცხალი არსება მელაპარაკებოდეს, რომელიც ამ ორიოდე დღის წინათ მარიგებდა.

... მეც არ ვიცი, როგორ აღმოვჩნდი სასაფლაოზე, დავემხვედი დეიდა მარიამის ჯერ კიდევ თბილ საფლავს და გული

ვიჯერე ცრემლით, ცრემლმა სასწაულად დამამშვიდა, თითქოს მოჩვენებებიც გამიქრა და აზროვნების უნარიც უმაღლესი წერტილამდის გამიხსნა. თვალებამოწითლებული, მაგრამ დამშვიდებული, სასაფლაოს რაგვების დამამზადებელ სახელოსნოში შევედი, ყველაზე უკეთესი ფორმის რკინის ღობის შეკვეთა მივეცი, თანხის ნახევარი წინასწარ გადავიხადე და მოვრიგდით, რომ კიდეც უნდა დამიდგან 18 აგვისტოს. ეს ერთი საქმე მოგვარებულად ჩავთვალე, და ქვის დამამზადებელი სახელოსნოსაკენ წავედი, აქ ქვის მთლელები, ჩუქურთმის გამომყვანები, წარწერის გამკეთებლები და მხატვრებიც კი ყველა ბერძნები არიან, მე მათ პირველად რუსულად მივესალმე, მაგრამ როდესაც მათივე საუბრით შევიტყვე, რომ ბერძნები იყვნენ, ბერძნულად დავიწყე ლაპარაკი და მალე მათი უფროსის ყურადღების ღირსიც გავხდი, რადგან მათი ენა ვიცოდი, თავიანთი მიწა-წყლის ადამიანად ჩამოვალეს და გასაჭირი გამომკითხეს, მეც ყოველივე ვუპასუხე, მხოლოდ უფრო გართულებულ ფორმებში და დეიდა მარიამი მათ, ღვიძლ დედად გავაცანი, ბევრი საუბრის შემდეგ შეკვეთა მივეცი, რომ გრანიტისაგან გამოეკვეთათ ტოტებდამსხვრეული ხე, რომელზედაც ამოკვეთილი იქნებოდა წარწერა:

ჩვენთვის ტანჯულო, დედა ძლიერო,
რად დაგმსხვრევია მძლავრი ტოტები,
ჩვენთან მოდიხარ საბედნიეროდ
და მაინც წევხარ განმარტოებით!

დედას, სამამულო ომში
დაღუპული შვილებისაგან
აშოთი, ხორენი, 1945 წელი.

ჩემს მიერ მიცემული შეკვეთის თანახმად, წარწერა უნდა იყოს გრანიტის ქვაზე ისეთი ფორმით შესრულებული, როგორსაც ბაგშვები ცოცხალ ხეზე სახელებს ამოკვეთავენ

ხოლმე, ხის ჭრილობა ხორციელდა და წარწერა რჩება ხის მერქნისაგან პრესის მაგვარად ამოღბეჭდილი.

— ასეთი არაფერი გამიგონია და არც გამიკეთებია, მაგრამ გავაკეთებთ და კიდეც დავდგამთ 20 რიცხვისათვის, მითხრა სახელოსნოს უფროსმა, წინასწარ ფულის აღებაზე უარი გამომიცხადა, მორიგებით კი მოვრიგდით, ნახევარ ფასში და მთლად დამშვიდებული წამოვედი, მაგრამ ჩემი ფიქრი ისევ—ისე სასაფლაოს არ სცილდება, იმ ადგილას, სადაც დეიდა მარიამი არის დასაფლავებული, რამდენი კარგი ადამიანია აქ მიწადაყრილი, რამდენი ცუდი, რამდენი მიწადასაყრელი ცოცხალია, რამდენი ღმერთს სიკვდილს ეხეწება და არ უსრულებს, რამდენი სიცოცხლეს სთხოვს უფალს და არ უსმენს, რამდენი ჯან—ღონით სავსე ადამიანი მიდის და ხებარი რჩება, რამდენი ტანჯვაში ცხოვრობს და ცხოვრების პირობები რომ გაუუმჯობესდეს, ჯვართან ლოცვაში ასრულებს თავის დღეს, რამდენი უუფუნებაში ცხოვრობს ისე, რომ ჯვარი სასაფლაოზე რომ დაუნახავს მიმატების ნიშანი ჰგონია, დაიღლოცოს, ღმერთო, შენი განვება, მაგრამ მე რაღაცატომ მგონია, რომ შენს გარდა, კიდევ სხვაც განაგებს ხალხთა ბედს!

კარგი იყო ისეთი საათი გამოეგონებინათ, რომ ისრებმა გვიჩვენოს, როგორ ვიცხოვროთ, მაშინ ალბათ, ერთნაირად იცხოვრებდა ყველა ადამიანი, თუკი რომელიმე ეგოისტი ერთნაირად არ შეიძნდა, ქვეყნად რამდენი საათიც იქნებოდა გამოშვებული.

ოჰ, ადამიანი! რატომ მაქვს რწმენა დაკარგული ადამიანებზე? ნეტავ მაქვს ამის უფლება? ყველა ვალერი ხომ არ არის, რომ ძალმომრეობით გაღლიტოს ადამიანები? შეიძლება ზოგი ვალერიზე საშიშია, უბრალოდ საჩვენებები თითოით დაგვემუქრება, რომელი თითოც თოფის ჩახმახზე იქნება დაღებული და შიშით სურვილისამებრ იმას გაგაკეთებინებს, რასაც მოისურვებს, ვერ ჩამოვთვლი, ადამიანები რა ხერხს არ მიმართავენ, ხალხზე ბატონობის, უფლებების მოსაპოვებლად, რომ ერთუ-

ლი იყოს ყველაფრამდის უფლებამოსილი, მაგრამ განა დაქმაყოფილდებიან? უფლებამოსილი თანდათან უფლება გაუმაძღარი გახდება მოპოვებული უფლებების წყალობით, საკვირველი ქმნილებაა ადამიანი, ზოგიერთი დასახრჩობად რომ გაიყვანოდა სახრჩობელა თოკი ამოარჩევინო, აბრეშუმის თოკს ამოირჩევდა, ყველაზე ლამაზს, მწამს ადამიანის შესაძლებლობის, მათი მიღწევებისა და წარმატებების, მჯერა, ლითონის ხელოვნურ ადამიანსაც კი შექმნის – ადამიანი, მაგრამ ღმერთმა ნუ ქნას, რომ თვითონ დაიმსგავსოს გამომგონებელმა...

არიან კეთილი ადამიანებიც, რომლებიც მარტო არ მტოვებენ და დამეც კი რჩებიან ჩემთან, მაგრამ ერთი კოცონით ქვეყნის წყვდიადს გაფანტავ?

ალბათ, ყველაფერი ვალერის ბრალია, ასე რომ დამაკრგვინა ადამიანებზე რწმენა, თორემ, არა მგონია, ყველაფერი თავის კეთილდღეობისათვის შეიწიროს ადამიანმა, ადამიანებიც კი...

1945 წელი, 15 აგვისტო (ოთხშაბათი)

ჩემი ცხოვრების ყოველი დღე სასწაულია და თუ ჩემს ცხოვრებაში ისეთი დღე გამოერია, როდესაც სასწაული არ მოხდება, იმ დღეს ნამდვილად სასწაულს დავარქმევდი, დღეს, დილით, მილიციის ორგანოდან უწყება მომიզიდა, „საჩქაროდ გამოცხადდოთ მილიციის მეორე განყოფილებაში ინსპექტორ ჩადუნელთან“ – ეს მაკლდა კიდევ, ნეტა რაშია საქმე? ნუთუ ვალერიმ გამოქვა? გავიქცე?! არა! გამოვცხადდები! მაგრამ სანამ ჩადუნელთან გამოვცხადდებოდი, ჩემი გადამიწყდა, ათასნაირი ფიქრი მიტრიალებს თავში, რაც არის არის და შევაღე მილიციის კარები.

– ჩადუნელი თქვენ ბრძანდებით?

– დიახ, მოპრძანდით! დაბრძანდით!

მე არ დავმჯდარვარ, უწყება გავუწოდე, გამომართვა და მეტი მოკრძალება შევატყვე, იმისმა მოკრძალებამ რაღაც იმედი ჩამისახა და ცოტა გამამხნევა კიდეც.

— დაბრძანდით! — თხოვნა გამიმეორა ინსპექტორმა, იმის ხმაში მოკრძალება და ალერსი იგრძნობოდა, ღრმად ჩავჯერდი სავარძელში და მოლოდინში გავინაბე.

— იცით, რისთვის დაგიბარეთ? — მყითხა ინსპექტორმა.

— არ ვიცი და ამიტომაც უწყების მიღებისთანავე გამოვცხადდი, დანაშაული არავისთან მიმიღვის და ძლიერ მაინტერესებს, მიღიცის ორგანო რატომ დაინტერესდა ჩემი პიროვნებით!

ინსპექტორმა საწერი მაგიდის უჯრა გამოსწია და საბეჭდ მანქანაზე სუფთად გადაბეჭდილი, დეიდა მარიამის მიერ დაწერილი და ნოტარიუსისაგან დამტკიცებული ანდერძი მომაწოდა.

გულდასმით წავიკითხე ანდერძი და:

— არავითარ შემთხვევაში! — ვიყვირე მე, ინსპექტორს გაეღიმა.

თაახში წუთიერი სიჩუმე ჩამოწვა, შემდეგ ისევ ინსპექტორმა დაარღვია მყედროება და უხერხულობილან გამომიყვანა.

— მერი! მას თქვენთვის სამუდამოდ არ გადმოუცია თავისი კუთვნილი ქონება, აქ გარკვევით წერია „შვილების დაბრუნებამდე“, რომ არ გაცივდეს მამაპაპური კურა და ჩემი სიკვდილის შემდეგაც ჩემს შვილებს ელოდოსო ვიღაც — კიდევ ასე წერია — განვაგრძე მე „შვილების დაბრუნების შემდეგ, თუ ერთმანეთს ვერ შეეწყობიან, მერის გამოყოს საძინებელი ოთახი, ზალა და სამზარეულო, ჩემი ანდერძის თანახმად, დარჩეს იმის საკუთრებად, მაგრამ თუ ჩემი შვილი, ვერცერთი ველარ დაბრუნდა, მთლიანად დარჩეს მერის საკუთრებად და ვთხოვ, ყოველდღე იყოს ჩემი შვილების მოლოდინში, არ მიატოვოს და არ გააცივოს სახლი“.

მათი შვილები კი არცერთი აღარ დაბრუნდება და მე არ მინდა ლომის კერძი ვიღაც უღირსმა შთანთქოს! — სახის გამომეტყველებაზე როგორც შევატყვე, ინსპექტორმა არაფერი არ იცოდა დეიდა მარიამის შვილების დაღუპვის შესახებ, მაგრამ არ შეიმჩნია და დაიმედება დამიწყო:

— ისეც ხდება ხოლმე, რომ დაღუპვის ცნობა მოდის და შემდეგ საღ-საღამათი ბრუნდება „დაღუპული“, შენი ვალია, შეასრულო აწ გარდაცვლილი დეიდა მარიამის ანდერძი...

— ჩემი უარის თქმის შემდეგ, თქვენი ვალია, მოძებნოთ დეიდა მარიამის ახლო ნათესავი და მას გადაუფორმოთ ანდერძი — სიტყვა არ დავამთავრებინე ინსპექტორს.

— დეიდა მარიამმა, ჩვენზედ უკეთ იცოდა თავისი კეთილი ნათესავები, მაგრამ ანდერძში არცერთი არ არის მოხსენიებული, ამიტომ შენ უნდა გიხაროდეს!

— რა, მუქთად შეძენილი ქონება — ისევ გავგულისდი!

— არა! — მტკიცედ მოსჭრა და სიტყვა გააგრძელა ჩადუნელმა — „მუქთად შეძენილი ქონება კი არა“, ეს მე მხედველობაში არ მქონია, ის ნდობა, რომელიც დეიდა მარიამმა გამოგიცხადა და შენმა სიყვარულმა ყველა კეთილ ნათესავების სახელიც კი დაავიწყა, მე კი მხოლოდ ერთს გეტყვით, ჯერ ახალგაზრდა ხართ და ვინ იცის, იქნებ ოდესმე გამოგადგეს ჩემი რჩევა: ყველასთან თანასწორად ილაპარაკეთ, ნასწავლთან სწავლულად, გიუთან თავი მოიგიუიანე, მხოლოდ იცოდე, ყველასთან თანასწორი იყო და თანასწორუფლებიანი...

— გმადლობთ, ბატონო ინსპექტორო, მართალს ბრძანებთ, მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, თუ იმ საწოლში იღვიძებს, რომელშიდაც არასოდეს არ დაწოლილა და არც ეკუთვნის, თავის თავი სინდისის სარკეში უნდა შეამოწმოს, მართლა თვითონ არის თუ არა, ზოგიერთი სრულებითაც არ ჩაიხედავს სარკეში და თავს არ შეიწუხებს სინდისის ქეჯნით, მე კი, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არ მომასვენებს ეს...

— თქვენ, იცით, რას ლაპარაკობთ? — უკვე აღელვება დაეტყო ჩაღუნელს — უსინდისობა ანდერძის შეუსრულებლობა არის, ნაანდერძევი ნივთისა და ქონების განიავება, დაკარგვა და ბოროტად გამოყენება, კანონით ისჯება, მაგრამ რა გელაპარაკო, ზოგიერთები მკვდარს კი არა, ცოცხალსაც

არ სცემენ პატივს, თუმცა, რომ იცოდე, მკვდარი მეტად არის საპატივცემულო ცოცხალზე, შენ დეიდა მარიამის საპატივცემულოდ კი არ ჩაგიცვამს სამგლოვიარო ტანსაცმელი, არამედ ხალხის დასაბრძავებლად, თითქოს პატივს სცემ და გლოვობ მიცვალებულს, მე მაპატიე, თუ სიმართლით წყენა მოგაყენე, ჩემს ადგილზედ რომ თევზი ყოფილიყო, წყალს სახეში შეგასხურებდა, ენას ამოიდგამდა შენი შემზელვარე და გაგკიცხავდა, შენ ვერ გაიგებ, რა არის სულის სიმშვენიერე, ტილოზე დახატულ სოკოში ყვავილების სურნელებას და ტყის მშვენიერებას მიჩერებიხარ, ეს იმიტომ, რომ არასდროს გიგრძვნაა და განგიცდია ის ბედნიერება, რითაც ხალხია ბედნიერი და კმაყოფილი, შენ ვერასოდეს ვერ გაიგებ იმ ბედნიერებას, როდესაც ადამიანი – ადამიანს დავალებას ან თხოვნას შეუსრულებს და ოდესმე უხმოდ, მოღიმარი თვალებით შეხედავენ ერთიმეორეს, შენ არ განგიცდია და ვერ გაიგებ ოთხი მოღიმარი თვალის ცქერას, საიდანაც მხოლოდ უხმო კმაყოფილების გრძნობა იფრქვევა...

ახლა წაბრძანდით, მე თქვენთან მეტი საუბარი არ მსურს, როგორც თქვენმა სინდისმა გიკარნახოთ, ისე მოიქეცით...

ინსპექტორმა ანდერძი ხელში მომაჩეჩა და ფეხზე ადგა, იმის ნიშნად, რომ კაბინეტი დამტოვებია, მეც ზომაზე მეტად შეურაცხყოფილმა და გაბრუებულმა უხმოდ დავტოვე ინსპექტორი ჩადურებლი და აჩქარებული ნაბიჯით სასაფლაოსაკენ წავედი, რათა ყოველივეს მოყვოლოდი დეიდა მარიამს და ინსპექტორთან მოწოლილი ცრემლები საფლავზე დამტორქვია...

1945 წელი, 21 აგვისტო (სამშაბათი)

დღეს და გუშინ თავაუღებლად მუშაობენ დეიდა მარიამის სასაფლაოზე, შემორაგვეს და დაიდგა გრანიტის ქვა, ტოტებდამსხვრული ხის ხატება, მართლაც ფანტასტიკური გამოვიდა ეს ერთადერთი განუშეორებელი ძეგლი კაცობრიობის ისტორიაში,. დეიდა მარიამის უკვდავსამყოფად, ბოლოს,

მიწა ზღვის ქვიშით მოვასწორეთ, ყველანი სახლში წამოვიყვანე, აქ რამდენიმე მეზობელს დავუძახე და დეიდა მარიამის სამუდამო სასუფევლის კეთილმოწყობა აღვნიშნეთ.

საღამოს, როდესაც ყველა წავიდა და მარტო დავრჩი, გულს სევდის ლოდი დამაწვა, მაგრამ გადავწყვიტე, დარდი საქმით დამემარცხებია და ჭურჭელი გარეთ, ონკანთან გამოვიტანე გასარეცხად.

საქმით გართული ფიქრმა გამიტაცა, ვერც კი შევამჩნიე, თუ როგორ შემოვიდა ეზოში მილიციის მუნდირში გამოწყობილი, ზემდეგის სამხრეებით, შარვლის ქამარზე მუცელგადმოკიდებული და ჩამრგვალებული მამაკაცი, მოჩვენება თუ სინამდვილე თავზე ისე ჩუმად წამომადგა, რომ დავიბენი, თითქოს რაღაც დანაშაულზე წამასწრეს.

ქათმისებური, გაყინული მზერა მიგაპყარი დაუპატიჟებულ სტუმარს და გაკვირვებით ვკითხე:

- რა გნებავსთ?
- თქვენთან დაახლოება, ძვირფასო!
- ჭიშკარი გაიხურეთ და გზა ამ სახლისაკენ დაივიწყე, თორემ არ გაშინებ და კარგს არაფერს გპირდება შენი ბედისწერა.
- აქ სიარული ჩემი მოვალეობა და სამსახურია, მე ამ ქუჩის რწმუნებული მილიციელი ასლან აშბა გახლავართ და შენისთანა წუპაკი და გარეუნილის დასათხოვი არა ვარ! ამ სიტყვებს ისე ხმამალლა ლაპარაკობდა ეს ვიღაც ასლან აშბა, რომ მეზობლები შეგროვდნენ, ის კი განაგრძობდა:
- რა! მე თუ კი ვიკადრო შენთან დროს გატარება, შენ უარს უნდა მეუბნებოდე? გასაგებია, უარს ალბათ იმიტომ მეუბნები, რომ სხვებივით არ მოგცემ შვილის გაყიდვის უფლებას?

სიმწარემ ძალა შემმატა და სახე ჩამოვუკაწრე.

– საზიზღარო არსებავ, გაეთრიე აქედან! – ვიკივლე და გასარეცხად გამოტანილი ჭურჭელი დავუშინე, ის ჭიშკარგარეთ ყვირილითა და ქაქანით გავიდა:

— ხვალ განყოფილებაში გამოცხადდი და იქ მოგკითხავ, ბავშვი, რომელიც ამ ოჯახში დაიბადა, სად არის, გაყიდე? მოკალი?. რა უყავი? რატომ არ არის გატარებული იმისი დაბადება, ადგილმდებარეობა და? თვალწინ წარმომიდგა ჩემი ხათუნა და ნელ—ნელა ჩავიკეცე.

გრძნობაზე რომ მოვედი, თავზე რამოდენიმე მეზობელი დამტრიალებდა და მანუგებებდნენ,. ერთნი მეუბნებოდნენ, რომ ასლანი, ძალზედ ცუდი ადამიანია, მხოლოდ და მხოლოდ სიცუდე არის იმისაგან მოსალოდნელი და მეტი არაფერი! ზოგი კი მირჩევდა — ასლანის გადაკიდებას ჯობდა, რომ იმისათვის არ მეწყენინებია და სხვა...

მეზობლების საუბარს ყურს არ ვუგდებ, მხოლოდ იმას ვფიქრობ, თუ როგორ მივუზღო სამაგიერო ჩემი შეურაცხყოფისათვის ასლან აშბას! აი, კიდევ ერთი ადამიანი, ვინც შემაძულა მამაკაცთა მოდგმა, და ძე ლომად შემმართა შური ვიძიო ყველა მამაკაცზე, ვინც ასეთი ტვინნაღრძობია!

სახელმწიფო საქმის უშიშროება და წესრიგის დაცვა აბარია, მხოლოდ თვითონ კი, სხვისთვის დაუკერებელ და გაუთვალისწინებელ დანაშაულს ჩადის. მე შენ ფიზიკურად მოგსპობ!

1945 წელი, 25 აგვისტო (შაბათი)

რას მიქვიან, ხასად არ დავუწექი ასლან აშბას, მგელივით დაძუნულებს და ყნოსავს ჩემს კვალს, იკვლევს წარსულს და გასამტყუნებელ მასალას აგროვებს, მაგრამ, რაცა ვარ, ესა ვარ, აქამდის ლონდას მკვლელობის საქმე მიწეწავდა ნერვებს, ახლა კი, რაც იმისი სამშობლოს მოღალატეობა გავიგე. აღარც ამ ამბავის მეშინია და არც სინდისის ქეჯნას განვიცდი მაინც და მაინც. პირიქით, მეამაყება კიდეც, რომ სამამულო და მეორე მსოფლიო ომის გამარჯვებაში მეც ცოტაოდენი წვლილი მიმიძღვის! ირბინოს და აგროვოს ჩემი გასამტყუნებელი მასალა, ეს საშიში არ არის, მე ასლანს დავამარცხებ და

გავანადგურებ, საშიში ის ადამიანია, ვინც კეთილი გგონია და ბოროტებას ჩადის, ფარულად თუ მოქმედებს და ვერ ცნობ მას, აი, ვინ არის საშიში, აშაბ! მე კი არ გამომიყვანა სააშკარაოზე, თავისი თავი ამხილა და თავისივე ბოროტება მოჰყინა ხალხს, საკუთარი ძლევამოსილებაში დარწმუნებულმა.

მე ძლიერი ვარ! ფარულად ვმოქმედებ! ასლანი ჩემს კვალს დაჰყვება, მე ასლანისას, ის შეუმჩნევლად, ნაღიარებად, მე კი შეუმჩნევლად, ფარულად...

ახლოვდება პირველი სექტემბერი, უნდა წავიდე, სწავლა უნდა გავაგრძელო, მაგრამ ისე კი არა, აქაური საქმე მოუგვარებელი დავტოვო, პირველ რიგში, დეიდა მარიამის სახლ—კარი უნდა დავალაგო და თავ—თავისი ადგილი მივუჩინო ყოველ ნივთს შესაძლებლობის გვარად ვიარო ამ სახლში, მტკერს არ შევაჭამო ავეჯი და სახლის კედლები.

ხელოსანი მოვიყვანე, კარებებსა და ფანჯრებზე რკინის გისოსები გავაკეთებინე, ასე რომ, ბინა თავდაცულია თავდამსხმელებისაგან.

ჩემი მეორე განზრახვა აშბას ფიზიკურად განადგურება არის, რათა მარტო ჩემი შეურაცხყოფისათვის კი არ მოვთხოვო პასუხი, არამედ, მომავალშიც თავდაზღვეული იყოს ხალხი, იმისი ბოროტებისაგან.

დავიწყე სახლის დალაგება—დასუფთავება და ყველა წვრილმანს თავისი ადგილი მივუჩინე, აქ, ამ სახლში, სამი საუკუნე უცხოვრია ხალხს, რას იტყვის ენა, რომ არ ნახო და მოულოდნელად არ წააწყდე, აკრძალულს თუ ნებადართულს, კომუნისტურს თუ რელიგიურს... როდესაც სახლის პირველი და მეორე სართულის დალაგებას მოვრჩი, სხვენზე ავძვერი, დავიწყე უამრავ ხარახულების მოწესრიგება და აი, ტილოში საგულდაგულოდ შეხვეულ წიგნებს წაგაწყდი, თვალებს არ დავუჯერე, უამრავ აკრძალულ წიგნებთან ერთად ხბოს ტყავზე დაწერილი „შავი და ოეთრი მაგია“ აღმოჩნდა.

წიგნების წაკითხვა დავიწყე და ღმერთო ჩემო, შეიძლება გაგიყდეს ადამიანი, ნუთუ ეს ყველაფერი სიმართლეა, რაც საუკუნეების მიღმა დაწერილ წიგნში წერია?

სასწაული მოახდინო, საინტერესოა, მაგრამ კიდევ მეტად საინტერესო ის არის, სიმართლეს ექვემდებარები თუ არა, აქ აღწერილი ჯადოქრობა, საქმეს გადადება არ უყვარს, გადავწყვიტე, დღესვე მოვახდინო ერთი სასწაული, მიცვალებულის სულს გამოვუძახო და როგორც „შავ მაგიაში“ არის აღწერილი, მეც ისე მოვიქცი: დრო შუაღამეს გადასცდა თუ არა, სასაფლაოზე წავედი, ეკლესია სამრეკლოს ქვეშ დავდევი, ორივე ხელები აღვმართე ცისკენ ისე, რომ ხელის გულებს ცისკენ მივეცი მიმართულება, შემდეგ მიწას დავაბჯინე ხელის გულები, ასე გავიმეორე, რამოდენიმეჯერ და ვიგრძენი, რომ დავამყარე კავშირი ცასა და მიწას შორის...

მე უკვე აღარ ვეკუთვნოდი არც მიწას და არც ცას, თითქოს რაღაც ძალამ თავისებურად დამაპროგრამა, შემდეგ როგორც „შავ მაგიაშია“ აღწერილი, ცაზე დაგელოდე ვარსკვლავის მოწყვეტას, დიდი დრო არ გასულა, რომ ვარსკვლავიც მოწყდა, მე მას თვალი გავაყოლე და ვუთხარი „სულ-თა მეუფეო, გთხოვთ, გამოუძახოთ მარიამ კირაკოსიან-ვართანიანს!“

(რა თქმა უნდა, ნებისმიერი მიცვალებულის სულის გამოძახება შემძლო, რომელიც ამ სასაფლაოზე იყო დაკრძალული, მაგრამ მე ხომ მხოლოდ დეიდა მარიამის ნახვა და მასთან საუბარი მაინტერესებდა?!)

გამოძახებიდან ერთ წუთსაც არ გაუვლია, ვიგრძენი, თუ როგორ ვიქეცი სულად, თითქოს ჩემს სხეულს სული გაეყრა და თითქოს აზროვნებასაც რაღაც ზებუნებრივი ძალა განაგებდა, კიდევ ერთი წუთიც და აღმოსავლეთის მხრიდან მარიამ დეიდა გამოჩნდა, ის განათებული იყო რაღაც ზებუნებრივი სხივით, მომიახლოვდა თავისი დარბაისლური კლდემამოსილებით, ზუსტად იმ ტანსაცმელში გამოწყობილი, რომელიც საკუთარი ხელით ჩავაცვი, ის ჩემგან ორიოდე მეტრის მოშორებით გაჩერდა, მინდა

ვიყვირო. მაგრამ ვერ მომიხერხებია, მივჩერებივარ და აღფრთოვანებული ვარ ამ სანახაობით, დეიდა მარიამს მიწაზე ფეხი არ უდგას, თითქოს ჰაერშია გამოკიდებული და ათიოდე სანტიმეტრი აშორებს მიწასთან. არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანა ჩვენმა დუმილმა, და რამდენ ხანს ვიქებოდი ასე გაოგნებული, რომ დეიდა მარიამის ხავერდოვანი ხმა არ გამეგონა:

— რაზეც შეწუხებულხარ, შვილო, მერი?

მე არაფერი ვუპასუხე, მომინდა, რომ მოვხვეოდი და დამეკოცნა ამდენი ხნის უნახავი, მაგრამ ფეხის გადადგმა ვერ მოვახერხე, მარიამიც მიმხვდა განზრახვას და გამაფრთხილა, „არ მომეკარო, მკითხე, რისთვის შემაწუხე“.

— ხათუნას ვნახავ! — ინსტიქტურად წამოვიძახე.

— ხათუნას აღზრდა შენ გიწერია! — ცოტა დუმილის შემდეგ მიპასუხა მან.

— ვალერის ვნახავ?

— შენს მიერ მიეზღვის საკადრისი!

— ხომ არაფერი გაკლია?

— შენი წყალობით არა!

— აშოთს და ხორენს თუ ნახულობ მანდ?

— არა! ისინი აქ არიან!

— შენ მათ ვერასოდეს ვერ ნახავ?

— მე არა, იქნებ მათ მნახონ!

— წამოვალ შენთან!

— მადაური სამყარო გეპატარავება?

— არა, მაგრამ შენთან მირჩევნია!

— შენ კი არა, აქ მეც ძლივს მიმიღეს, შენ ჯერ არ იცი, სიკვდილს სიცოცხლეზე მეტი მზრუნველობა უნდა, მომზადება, ეს სიცოცხლეში უდიდესი მცნებაა, სიცოცხლე არ არსებობს, არსებობს მხოლოდ ცოდნის გაღრმავება და მომზადება სიკვდილისათვის.

— ხომ სამოთხეში ხარ, მარიამ დეიდა?

— არ არსებობს ორი მცნება, აქ მხოლოდ სამოთხეს იტყვიან, ჯოჯოხეთს მაღაურ ცხოვრებას ეტყვიან!

- თქვენ კიდევ დაიბადებით?
- დადგენილი წლების შემდეგ ვპვდებით და ასევე დადგენილი წლების შემდეგ ვიძალებით!
- შენ ახლა დაიბადე?
- აქაური სამყაროსათვის დაფიბადე, მაღაურისათვის მოვკგდი!
- აქაურისათვის მოვკვდები, მაღაურისათვის დავიბადები!
- რამდენი წლის შემდეგ დაუბრუნდები აქაურ ცხოვრებას?
- არ ვიცი, ეს ჩვენ არ ვიცით!
- აქაური ცოდვილები, მათ როგორ იბადებიან?
- კაცი ვირი, ვირად! ადამიანი გველი, გველად და ასე შემდეგ...

დამაგვიანდა, უნდა წავიდა, ყველანი მენატრებით, სურათების ალბომი გამომიგზავნე!

- როგორ გამოგიგზავნო?
- სადილი რომ გამიკეთო, იმ მაგიდაზე დადე, სანთელი ამინთე.

- მეტი არაფერი?!
- მეტი არაფერი!
- დამარიგე რაიმე!
- არ გესაჭიროება, შენ ყველაფერი კარგად იცი, თუ დაგჭირდა, სიზმარში გეტყვი, ახლა მაგვიანდება, იცოცხლე ჩემდა საიმედოდ..., თქვა და სასაფლაოსაკენ წავიდა, ვხედავდი, თუ როგორ მიდიოდა, არა, ის კი არ მიდიოდა, თითქოს რაღაც მოძრავ საგანზე იდგა და ამ მოძრავ საგანს მიჰყავდა, ნაბიჯს არ აღგამდა, მიწას რამოდენიმე სანტიმეტრით იყო დაშორებული და მიცურავდა...

ეს ყველაფერი ჩემი თვალით დავინახე, აი, რა ყოფილა „შავი მაგია“...

წავიდა, მე თითქოს რაღაც ტვირთი მოსეხსნა მხრებიდან და აზროვნებაც დამიბრუნდა, შემეშინდა, სირბილით წამოვედი სახლისაკენ.

მოვედი, კარებები და ფანჯრები დავხურე, ფარდები ჩამოვაფარე, შიში მაინც ვერ გამოვდევნე ორგანიზმიდან, მეჩვენება,

თითქოს, სულები თუ რაღაც ძალა დაბუდებულა ჩემში და არაადამიანური გავლენის ქვეშ ვიმყოფები.

„თეთრი მაგია“ გადავშალე და ის ლოცვანი მოვნახე, სადაც წერია, „სულები დაუბრუნდეს სასუფეველს“, სამჯერ წავიკითხე, ამინი კუთხარი და ყველაფერმა გაიარა, ასე მშვიდად არასოდეს არ მძინებია. იქნებ ზღაპარი, მოჩვენება ან შეგონება გგონიათ, რაც აქ აღვწერე, არა, სიმართლეა!

1945 წელი, 30 აგვისტო (ხუთშაბათი)

წინა დღეები მუქთად არ გამიტარებია, ეს ამხელა სახლი დავალაგე, თავ—თავისი ადგილი მივუჩინე თითოეულ საგანს და, რაც მთავარია: ასლან აშბას ასავალ—დასავალი ძირფესვიანად შევისწავლე.

ასლან აშბა, ისე როგორც ყველა სხვა რწმუნებული, დილის რვა საათზე თათბირს ესწრება მილიციის რაიონულ განყოფილებაში, არ მაინტერესებს თათბირზე რა საკითხს იხილავნ, ან თათბირის შემდეგ სხვა რწმუნებული რა საქმიანობას ეწევა, მე მაინტერესებს და ვიცი, ასლან აშბა თათბირის შემდეგ არსად არ ჩერდება, პირდაპირ სასადილოსაკენ მიდის ძუბულით, ასე რომ, რვა საათსა და ოცდათ წუთზე სასადილოშია, ას გრამ არაყს სულმოუთქმელად სვამს, ძეხვის ნაჭერს აყოლებს და ჩვენს ქუჩაზე დაძრწის, გჭვის თვალით მიჩერებია დიდსა და პატარას, ყოფილა შემთხვევა: უცხო მგზავრი გაუჩერებია, რაღაც მიზეზი უპოვნია და ფულის გამოძალვამდე არ მოშვებია.

წინა დღეებში, არცთუ ადვილად, რა თქმა უნდა, საიდუმლო გზით ვიშოვე კალიუმის ციანიტი, ავიღე ზუსტად ისეთივე ჭიქა, როგორიც სასადილოში არაყიანი ბოთლის გვერდით აქვს დადგმული ბუფეტში მომუშავე ჩამრგვალებულ კაცს, რამოდენიმეჯერ გამოვავლე ჭიქაში წსნარი და გავაშვრე, შეუიარაღებელი თვალითაც ეტყობოდა, თუ როგორ თხელფენად გამოეკრა სითხე ჭიქას. ჭიქა ავიღე, ხელჩანთაში ჩავდე,

სასადილოსაკენ გავეშურე, შენობის კუთხეს ამოვეფარე და ასლანის გამოჩენას დაველოდე, ისიც მალე გამოჩნდა, საჩქაროდ შევედი სასადილოში, გამყიდველს ვუთხარი, ერთი ქილა შედებული რძე მოეწოდებინა, როდესაც ის ქილა რძის მოსაწოდებლად შებრუნდა, ჭიქა შეუმჩნევლად შევცვალე, ნაყიდის ფული გადავიხადე და კარტბის მისამართით წავედი ის კი დახლიდართან მივიდა, რომელსაც არცთუ მთლად ესიმოვნა იმისი დანახვა, არაყი თავისი ხელით დაასხა და სულ-მოუთქმელად გადაჰკრა, თვალები ზევით აღაპყრო, პირი ღრმად გააღო, შემდეგ ყელზე წაივლო ხელი და ასე ხმის ამოუღებლად იატაკზე მოადინა ზღართანი.

შეიქმნა კივილ–წივილი, შევროვდა ხალხი, თთოქოს არ ვიცოდი, რა ამბავი მოხდა და ცნობისმოყვარეობისათვის დავბრუნდი, სინამდვილეში კი, ჩემი თვალით უნდა მენახა ჩაძალლებული, ის ღრმად პირგალებული უგდო იატაკზე. ამის დამნახავი ხალხი, ზოგი სასწრაფო დახმარებას ეძებდა და ზოგი მილიციას. ასე რომ, სასადილოში სრული ქაოსი სულევდა, მე საერთო არეულობით ვისარგებლე, ჭიქა ისევ–ისე შეუმჩნევლად შევცვალე და, ჩემი საქციელით დიდად კმაყოფილი და სულიერად დამშვიდებული, რკინის სადგურისაკენ წაგედი. სალაროში კუპიროვანი ვაგონის ბილეთი შევიძინე, მატარებელი საღამოს 21 საათსა და 55 წუთზე უნდა გავიდეს, ჯერ კიდევ დიდი დრო მაქვს, მოვასწრებ დეიდა მარიამთან საუბარს და სულიერად დამშვიდებასაც, მაგრამ შევცდი, სახლში დავბრუნდი თუ არა, მოელი ქუჩა გარეთ დამხვდა გამოფენილი, ყველას ასლანის სიკვდილი ეპერა პირზე და თითოეული წყევრა–კრულვითა და სულის წაწყმედით იგონებდა. არ ვიცოდი, ყველა თუ იმისი მტერი იქნებოდა და მიკვირს, აქამდის როგორ აცოცხლეს, თუ ამდენი ხალხი ჰყავდა გამწარებული, ხალხის მითქმა–მოთქმას ყური დავუგდე, მკვლელობა საერთოდ გამორიცხული იყო. ასლანის მიმართ უმეტესობა ამბობდა, რომ – „ღორმუცხლობამ დაღუპა, რასაც ნახავდა, ყველაფერს მუქთად იყრიდა მუცელში და გულმა ვერ აიტანაო“.

მეზობლებს თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს სრულებით არ მაინტერესებდა მომხდარი ამბავი და სახლში დავბრუნდი, შევუდექი მგზავრობის თადარიგს, საქმიან ფუსტუსში რკინიგზის სადგურისაკენ წასვლის დრომაც მოაღწია, ჩავპეტე ფანჯრის დარაბები და კარებები, მეზობლებსაც დავუბარე, თვალყური ედევნებინათ სახლისათვის...

კუპეში ჩემი ადგილი დავიკავე და ფიქრმა წამიღო, დილით მშობლიურ ქალაქში ვიქნები და ვერ გამიგია, მიხარია თუ მწყინს მშობლიური ქალაქის ნახვა, როგორ შემხვდებიან მეზობლები? ისინი სხვაგვარად ელოდებიან ჩემს დაბრუნებას, ქმარ-შვილთან ერთად, მე კი მარტოდმარტო შევაღებ სადარბაზოს კარებს, ქალი სიბრძნით გველია და თვალთმაქცობით ფერია, მეც ქალი ვარ, მოვიგონებ რაღაცას, მეზობლებს კი არ შევებრალები ცხარე ცრუმლით ვატირებ...

კუპეში ოთხნი ვართ, სამი ქალი და ერთი მამაკაცი, მაგრამ ქალებმა კაცს მეზობელ კუპეში ადგილი გაუცვალეს და ჩემს კუპეში მეოთხეც ქალი გადმოიყვანეს. გავიცანით ერთმანეთი. მე ყველაზე მეტად სიტვაძუნწი აღმოგჩნდი, არ მაინტერესებს არავის გაცნობა, თუ შემეკითხებიან, პასუხს ვცემ, თუ არა და ვარ ჩემთვის, ჭერისათვის თვალებმი პყრობილი, ჩემს ასაკთან შედარებით, ცხოვრებაზე გულ-გატეხილი, ვფიქრობ – ადამიანთა სიბრალული თუ როგორ ამოვიღო გულიდან, და მეორე, უნდა გარდავქმნა ჩემი ორგანიზმი ისე, რომ გული არასოდეს არ შემიწუხდეს. შევძლებ კი? მე მგონია, შევძლებ, დაბადებით ხომ ჩვეულებრივ ადამიანად იბადებიან „სპარტაელები“, ადამიანი იოგა, კარატე, თუგინდ ჩემი სპეციალობა, ცირკი და მრავალი სხვა, ვარჯიშს შეუძლია გარდაქმნას ადამიანი, დღეიდან მეც უნდა გარდავიქმნა.

რაო? დეიდა მარიამმა რა მითხრა? „ხათუნას შენგან უწერიაო აღზრდა“, მგონი მთლად ასე არა, მაგრამ საერთო აზრი ასე იყო, დეიდა მარიამი ცოცხალი არ ცრუობდა და მიცვალებული როგორ მომატყუებდა?

მე უნდა ვიცოცხლო და თუ უნდა ვიცოცხლო, ჩემი ორგანიზმიც ჩემს სასარგებლოდ უნდა გარდავქმნა.

ადამიანი, რომელიც სიცოცხლისათვის ზრუნავს, სამ მცნებას უნდა ფლობდეს: სიბრძნეს, სიყვარულს და რწმენას, მე დღეს ეს არცერთი არ გამაჩნია ლა სიცოცხლისათვის აზრი უაზრობა მგონია. არცერთი არ გამაჩნია მეთქი, ვაღიარებ და სრულყოფილი როგორ ვიქნები, როდესაც ადამიანს ერთიც რომ აკლდეს, მის მიერ ჩადენილი სიკეთე სრულყოფილი არასდროს არ იქნება, სიბრძნის გარეშე სიყვარული ფანატიზმია, ხოლო სიბრძნე სიყვარულის გარეშე ბოროტება, თუ სიყვარული და სიბრძნე ერთმანეთთან შერწყმულია, მაშინ რწმენაც თავისთავად შემოდის ადამიანის ორგანიზმში და ამ ძალებით შენდება სიცოცხლის კანონზომიერება მთელ სამყაროში, რამე თუ ცხოვრების კანონზომიერება სურვილი არ გახლავს, სურვილით არ შეგვიძლია შევიცნოთ იგი, თუ ეს სურვილი სინამდვილედ არ ვაქციეთ, მაშინ ვერ შევიცნობთ მარადიულობას, რადგან ჩერენი სურვილიც და მისი შესრულებაც ექვემდებარება დროებით სამყაროს, რომელსაც დღეს ეგრე ვევლებით თავს, ხვალისათვის კი წარმავალია ადამიანთა ერთად, რამეთუ ბუნებაში არ არსებობს უკვდავება...

დავრწყმუნდი, „შავი და თეთრი მაგიის“ სინამდვილეში, ნეტავი წამომელო წიგნები, მე კი უწინდებურად შევახვიე და იქვე შევინახე, სადაც დეიდა მარიამს ჰქონდა შენახული. ფლობდე მაგიას, ეს იმას ნიშნავს, ფლობდე ორივე სამყაროს, რადგან მეორე სამყაროში ადამიანი გარდაცვალების შემდეგ, ობიექტური მდგომარეობიდან გადადის სუბიექტურ არსებაში. მას თან მიაქვს პირველი სამყაროს ესე იგი აქაური ცხოვრებისა და გამოცდილების ჭეშმარიტი სიმდიდრე, რომელიც აუცილებელია მომავალი მოვლენის და სულიერი განვითარებისათვის!

რწმენა, სიბრძნე და სიყვარული უნდა განვითარდეს ნებისმიერი ადამიანის შინაგან სამყაროში, მისი განუვითარებლობა იწვევს სულის—სულიერად დაკინებას, რომ სული

არ დავაკნინოთ და ჩვენც უნაკლონი დაგიბადოთ, უნდა ვიცოდეთ, რომ დაბადება – არის წინა ცხოვრების ცოდვების მონანიება, რომლის მოსანანიებლადაც ვევლინებით ახალ ცხოვრებას, თუკი, ძველი ცხოვრებიდან გადავდივართ ახალ ცხოვრებაში, რატომ არ განვიცდით სიკვდილის მოახლოებას? სიკვდილი რომ კარგი იყოს, ერთჯერ მაინც მოკვდებოდა თვითონ! სიკვდილის მოახლოებას განვიცდით იმიტომ, რომ არა ვართ მომზადილი და სულიერად განწმენდილი ახალი ცხოვრებისათვის...

ცოდვებმონანიებული ადამიანი თვითონ უხმობს სიკვდილს და კი არ ეშინია, არამედ, სულის დამამშვიდებელ მოვლენად ღებულობს მას, რაც შეეხება, არც სიკვდილის უკვდავება არსებობს, რამდენი ადამიანია, იმდენია სიკვდილიც! რომელიც ადამიანთან ერთად პარება და ადამიანთად ერთად იბადება! სიკვდილსაც სურს, კეთილი იყოს ადამიანი და ადამიანის სიკვდილთან ერთად არ მოკვდეს თვითონაც. სიკვდილს არ სურს, გაიგონოს ადამიანის მიმართ ნათქვამი „ადრე იყოვო სასიკვდილო“, რადგან იცის, ცუდ ადამიანთან ერთად თვითონაც მალე ივიწყებენ!

ბევრია ხარბი, გაუმაძლარი, პატივმოყვარე, დიდების მსურველი, სირცხვილის მოშიშარი, ბედნიერი და საამური ცხოვრების მოტრფიალე, სიმდიდრის მეოცნებე, სხვების დამცირების ორგანიზატორი, ასეთი ადამიანები სიკვდილსაც ძულს და ხშირად განერდება ორგანიზმიდან, ჩვენ კი ვამხობთ: „ბოროტი თუ არის, იმიტომ არ შეაბერდაო ქვეყანას“, ეს სწორი არ იქნება, რადგან სიკვდილი მას ერიდება, რამეთუ იცის, მასთან ერთად მოკვდება და ვეღარასოდეს ვეღარ დაიბადება. იმ იშვიათ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან, სამსახური გაუწიონ სხვებს, რომელსაც შეუძლია თვალები დახუჭოს და თავისი თავი სხვის ადგილას დააყენოს, გაიგოს იმისი თვალსაზრისი, გულთან მიიტანოს იმისი ჭირი თუ ლხინი, გაისიგრძეგანოს იმისი ცხოვრებისეული არსი. შეუძლია არ შეწუხდეს თავის მომავალზე, იმის სიკვდილსაც უკვდავება აქვს გარანტირებუ-

ლი. მაშ ვინა ვარ მე და გამოვისყიდი თუ არა ჩემ ცოდვებს? მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ისეთი ადამიანი, ვინც თავისი თავი დამნაშავედ სცნოს და აღიაროს თავისი ცოდვები, მე სრული ჭეშმარიტებითა და სიმტკიცით ვიტყვი, ცოდვილი კი არა, პატრიოტი ვარ, ღმრთის ერთგული ანგელოზი, რომელიც ვიბრძვი ბოროტების წინააღმდეგ, აი, ავიღოთ სატანა, რომელიც ცეცხლითა და მახვილით წამოვიდა ფაშიზმის სახით, სიბრძნის, სიკეთისა და სიყვარულის გასანადგურებლად. იმის გზას თუ ჩემისთანა პატიოსნება არ გადაეღობებოდა, მხოლოდ ბოროტება იზეიმებდა ყოველ გაზაფხულს, რამეთუ ფაშიზმს ადამიანის ხატება ჰქონდა და მნელი ამოსაცნობი იყო სატანისაგან კეთილი, მაგრამ ადამიანის ხატების განადგურება ცოდვა არ იქნება, თუ მათ სულში სატანა არის დაბუდებული... ურჩხულის, ან გველის სახით რომ წამოსულიყო ბოროტება, ისეთივე სულის პატრონი, როგორიც ფაშიზმი იყო, მათი განადგურება ხომ არ ჩაგვეთვლებოდა ცოდვაში? აბა, რატომ უნდა ჩაგვეთვალოს შეცოდებაში ადამიანის სახისა და ბოროტი სულის მქონე სატანის განადგურება? ჩვენ არ ვებრძვით და არც ვიბრძვით ხორციელი განადგურების ან სიკეთისათვის, ჩვენ ვიბრძვით სულის უბედავებისა და სიკეთის თესვისათვის!

დღეს ფიქრმა ნამდვილ ფილოსოფონსად მაქცია, მთელი დამე თვალი არ მომიტუჭავს და არც მემინება, უკვე დილაა, ვუახლოვდები ჩემს მშობლიურ ქალაქს და გულს ბაგა-ბუღი გაუდის, ნეტავი, როგორ შემხვდება იგი? ირიქრაჟა... აღმოსავლეთ ცის კიდობანს ცეცხლი წაეკიდა, და დილა მშვიდობისა, ჩემო ქალაქ! ფეხით გაუყევი გზას სახლისაკენ, ვეალერსები მიდამოს, ბილიკს, ყოველ ხეს და ნაცნობ ადგილს, მივადექი ჩემი ბინის სადარბაზოს კარებს, ხელით მოუალერსე, გარემო მოვათვალიერე – „ხომ არავინ მომჩერებია–მეთქი“ – და სახელურებს კოცნა დავუწყე. ახლა კი ჩემი ბინის კარებთან გავჩერდი და ელექტროზარის ღილაკს თითო დავაჭირე, თითქოს დედა ან მამა გამიღებდა კარებს და მონატრე-

ბული კისერზე ჩამოვეკიდებოდი, ჩავეხუტე და მოვიალერსე კარები, შემდეგ ფრთხილად მოვარგე გასაღები და გადავა-ტრიალე, გავაღე, შიგნით შევდი და, ღმერთო ჩემო, რა არის, ეს ბინა მთლად არეულია, რაც რამ ძვირფასი იყო, წაღებულია, ნოხებიც კი ჩამოუხსნიათ კედლიდან და საბრალო ჩემი მშობლების სურათები იატაკზე აგდია, მინებჩამსხვრეული კარები გატეხილი არ არის, არც ფანჯრიდან არის წაღებული ნივთები, გასაღები კი მარტო მე და ვალერის გვქონდა.

არა, ღმერთო! საკმარისია ის ზნედაცემულობა, რაც მას გააჩნია, ამ ცოდვასაც ნუდარ აპკიდებ! განმარიდე უსამართლო ფიქრი იმის მიმართ! ვფიქრობდი – „ისე მოვედი, არავის დავუნახივარ-მეთქი“ – მაგრამ შევმცდარვარ, ხუთ წუთსაც არ გაუვლია, რომ ჩემი ბინა მეზობლებით გაივსო, ასეთი ანგრეული და გაძარცვული რომ ნახეს სახლი, ჩემი მოკითხვა დაავიწყდათ და ყველა გაკვირვებით შემომცქეროდა ხან მე, ხან კიდევ დაცარიელებულ ბინას, ბოლოს, როგორც იქნა, კარის მეზობელმა ამოიდგა ხმა და მანუგეშა!

– შენი ჭირი და სატკივარიც გაჰყოლია, შვილო, არ ეღირსოს მეტის მოპარვა-შეძენას, რომელ ოჯახშიდაც აქედან ხელუკულმა წაღებული შევიდა, შენი ფიქრი და დარდები მაგაზე დადგეს, ადამიანის სული იყოს კარგად, ახალგაზრდა ხარ შვილო, ყველაფერს იყიდი და შეიძე...

– რაღას ვიყიდი, დეიდა ქეთევან, ჩემი მშობლების მთელი სიცოცხლის ნამოღვაწარი, ერთი ხელისმოსმით წაუღიათ, მე რას შევძლებ იმდენს, რაც მათმა გარჯამ შეძლო – თვალებზე ცრემლშეყინულმა გუპასუხე.

– არა, შვილო! ომი დამთავრდა, საამური ცხოვრება წავა აწ, აი ნახავ!

– ჩემი საამური ცხოვრება, ჩემმა მშობლებმა წაიღო და აწი ბედის წყალობის აღარ მჯერა და აღარც ველოდები!

– ბედი, შვილო, ყოველთვის მათდა სასიკეთოდ ირხება, ვისაც მფარველობს, მას ვერც ძღვენს მიართმევ, რომ გიმფარველოს და ვერც პანლურს ამოარტყამ, რომ გააძევო, უბე-

დობას ყოველთვის ბედნიერება მოსდევს, მხოლოდ ან „თავს ან ბოლოსო“, არის ნათქვამი და ჩვენც უნდა დაველოდოთ, მოსვლით კი აუცილებლად მოვა!

ქეთევანი დედაჩემზედ ათიოდე წლით უფროსი იქნება, დედა—შვილურად გვიყვარს ერთიმეორე, მისი ქმარი და შვილი ომში არიან, ჯერ არ დაბრუნებულან და არც არავითარი ცნობა მიუღია, თუმცა წერილები ორმოცდასამში შეწყდა. მის შემდეგ აღარაფერი იცის, ელოდება, კარგია ლოდინი, იმედი... ჩემი კარის მეზობელია, თავისებურ ყურადღებას მაქცევს, თუმცა ყურადღების მისაქცევი და დასახმარებელი თვითონ არის, არავის არ უკითხავს, რატომ ქმარშვილთან ერთად არ დავბრუნდი, უბრალოდ მომიკითხეს, ჯანმრთელობა იკითხეს, წყენინება გამოთქვეს ბინის გაქურდვის შესახებ, ცოტა ხანს იმასლაათეს და წავიდნენ, მხოლოდ დეიდა ქეთევანი დარჩა ჩემთან და ერთად დავიწყეთ ოთახების დალაგება, რამოდენიმე წუთი უხმოდ ვაკეთებდით საქმეს, მაგრამ ქეთევანმა ვერ გაუძლო სიჩუმის წყვდიადს და ამოიხვნეშა:

— რა მოხდა, დეიდა, ქეთევან, ასეთი ამოოხვრა?
— მგონი გულიც ამოატანე მთლად! — ვუთხარი მე.
— როგორ ფიქრობ, არა მაქს საქმე გულის ამოსაგლე-ჯად? ორი წელიწადია, არაფერი ვიცი ქმარ—შვილის შესახებ, დალამდება თუ არა, გარეთ ვერ გამომინედავს, შიში დამჩერდა, მარტოობას ცოდნია შიში, როდესაც შენ ბინას ქურდავდნენ, რატომ ვერ უნდა გამეგო! არ გამიგია და კიდეც რომ გამეგო, გარეთ ვერ გამოვიდოდი ალბათ!

კარები გატეხილი არ არის, ამ საქმეში შინაური მტრების ხელი ხომ არ ურევია, შვილო?

— მაინც ვინ გყავს მხედველობაში, დეიდა ქეთევან?
— არავინ, შვილო, მაგრამ ზედმეტი პატივი საკუთარ თავსაც არ სცე, თორებ სარკეში ჩახედვა შეგზარდება, რომ შენში ნაკლი არ აღმოაჩინო და არ თქვა, „იმის პატივისცემის ღირსი არ ვიყავო“.

სადღაც უკაკუნებს ქალბატონი ქეთევანი, მაგრამ არ შევიძნიერ, თითქოს ვერ მივუხვდი და ვკითხე:

— სიკეთის ქმნა ყველას მიმართ კეთილი საქმეა, ერთი მადლობაც კი ოც შეცოდებას აბათილებს, დეიდა ქეთევან.

— არა, შვილო, ბოროტმოქმედება კაცთა მიმართ, არც ისე საშიშია, როგორც მათოვის მეტისმეტი სიკეთის ქმნა. მართალია, დახმარების ხელი უნდა გაუწოდო ობოლსა და ოხერს, ღმერთი სიკეთეს არ არ დაგიკარგავს, მაგრამ საშიშია, გამაძლარმა ობოლმა, ცუდი რამ არ მოიმოქმედოს.

— რაღაცის თქმა გინდა, დეიდა ქეთევან! პირდაპირ მითხარი, ყველაფერს შეჩვეული ვარ, ვეღარც შემაშინებ და ვეღარც გამაკვირვებ!

— ვალერიზე ვამბობ, შვილო, მარტოდ რომ მოხვედი, გული მიგრძნობს, ის შენთან მართალი არ უნდა იყოს!

მახსენდება მშიერ-ტიტეველი რომ მიიღე, გაძლა, წელში გაიმართა და არამზადად იქცა...

— ბუნებით თუ არ არის არამზადად დაბადებული ადამიანი, პატივისცემა არამზადად ვერ გარდაქმნის!

— მართალია, მაგრამ როგორ გავიგოთ, როგორია არამზადა ადამიანის სახე? ამას ვერ მიხვდებით მანამდის, სანამ არამზადა თავის თავს თვითონ არ გამოაშკარავებს, და როდის გამოვლინდება ეს? როდესაც ყელში ამოუვა შენგან პატივისცემა, როდესაც იმის დახმარება შენ დაგჭირდება. სიქველე და კეთილი საქმეა, დახმარების ხელი გაუწოდო არამზადასაც კი, მაგრამ არამც და არამც არ მიიღო არამზადისაგან შემოთავაზებული დახმარება, უბრალო ქლიბიც კი, თორემ ქლიბითან ერთად გადააგდებ დანას, რომელიც იმ ქლიბით ალესე, ასეა ეს, ვალერის სულში ბოროტებამ იჩინა თავი ან შენს მიერ ზედმეტი პატივისცემით, ან კიდევ ის დაგჭირდა რაღაც საქმეში.

— აქ თუ მოვიდა ოდესმე, ჩემი არყოფნის დროს?
— არ მინახავს, თუმცა ვგრძნობდი, დამღამობით დადიოდა, ერთჯერ მივაყურადე კარებს, ის უნდა ყოფილიყო, ვიღაცევები

ჰყავდა, რაღაცას თათბირობდნენ, მინდოდა მილიციისათვის შემეტყობინებია, მაგრამ ვერ გაგბედე, შენიც მომეხათრა, ალბათ შენგან ჰქონდა გასაღები და ნებართვა, თორემ სხვის სახლში ასე თამამად შესვლას ვერ გაბედავდა!

— ნუოუ ჩემისახლი ვალერიმ, დივერსანტებისა და აგენტების თავშესაფრად აქცია? შეძეგ კი გაქურდეს და ეშმაკმა უწყის, რომელ ქვეყანას შეაფარეს თავი, მაგრამ ვალერი მე ვერსად დამემალება, პასუხს ახლა მარტო ჩემი დალატი-სათვის კი არ აგებს, ალბათ, ჩემი მშობლების სისხლიც იმის კისერზეა და პასუხი ყველა ადამიანისაგან მოეთხოვება.

დადგხანს ვისაუბრეთ მე და დეიდა ქეთვანმა, ოთახების დალაგებაც მოვასწარით და მოგვშივდა კიდეც, დღეს ქეთვეპნის სტუმარი ვარ, არაფერი არ გამაკეთებინა და, მარტოობით დატანჯულმა, პირველად ჭამა სადილი გემრიელად.

მადლობა ღმერთს, ბავშვის შესახებ არაფერს მეკითხება, იქნებ არაფერი არ იცის იმისი არსებობის შესახებ, იქნებ ყველაფერი იცის, მაგრამ ჩემი გულისტკენას ერიდება და გაჩუმებულია. ფაქტი კი ფაქტად რჩება, ორივე შემთხვევაში ჩემს წისქვილზე ესხმება წყალი...

1945 შწელი, 3 სექტემბერი (ორშაბათი)

ინსტიტუტში პირველ სექტემბერს უნდა მიგსულიყავი და სწავლა გამეგრძელებინა, მაგრამ პირველი ორი რიცხვი შაბათ-კვირა იყო და მეც მთელი დღეები გარეთ არ გამოვ-სულვარ, ამდენი ხნის მიზოვებულ ოჯახში საქმეს რა გამოლევს, ვხვეტავ, ვასუფთავებ, ვალაგებ, ვრეცხავ და თავის ადგილს ვაძლევ ყველა ნივთს, თუკი რაიმე დარჩენიათ წაუღებელი ქურდებს! დღეს 3 სექტემბერია, ორშაბათი, ყველაზე ადრე მივეღი ინსტიტუტში და ჩემს შემდეგ კანტი-კუნტად იწყეს მოსვლა მეგობრებმა, გაიხარეს ჩემი ნახვით და გავიხარე მეც მათთან შეხვედრით, დაიწყო ლექციები, დამამთავრებელი კურსელები ვართ, მეტი მოგვეთხოვება და მეც ყურადღებასაც

გვითმეობენ. პირველ რიგში ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვება მოგვილოცეს, შემდეგ კი იაპონიასთან გამარჯვება, რომელსაც გუშინ მოაწერეს ხელი, ამაღლებული და გულთან მისატანი სიტყვა წარმოსთქვა ჩვენი ფაკულტეტის დეკანმა ამაღლობელმა.

— სამაშულო ომში ფაშისტმა დამპყრობლებმა უდიდესი მატერიალური ზარალი მიაყენეს ჩვენს ქვეყანას! განადგურებისა და გაძარცვის სახით მიყენებულმა ზარალმა 679 მილიარდი ლოლარი შეადგინა!

დანგრეული და განადგურებული იქნა 1710 ქალაქი, 70 ათასზე მეტი სოფელი, 6 მილიონზე მეტი შენობა და უსახლკაროდ დარჩა დაახლოებით 25 მილიონი ადამიანი! ყველაზე მეტი, ტრაგიკული მოვლენა და აუნაზღაურებელი ზარალი კი ის გახლავთ, რომ ამ ომმა 20 მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანის სიცოცხლე შეიწირა! საქართველო, თავისი მოსახლეობის პროცენტული მაჩვენებლებით პირველ ადგილზე დგას, ვინაიდან 700 ათასამდე მეომარი იბრძოდა წინა ხაზზე ფაშიზმის წინააღმდეგ! მათ შორის იყო 23 ათასამდე ოფიცერი, 46 გენერალი, ადმირალი და რაც ყველაზე მეტად საამაყოა, ერთი გენერალისმუსი, რომლის მსგავსიც 1799 წლის სუვოროვის შემდეგ კაცობრიობას არ ჰყოლია. საქართველოდან 16 ათასი ქალი იცავდა სამშობლოს, 244 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა, სხვადასხვა ორდენებითა და მედლებით, 164-ს მიენიჭა კავშირის გმირის უმაღლესიწოდება, 300 ათასი ქართველი მეომრის სიცოცხლე შეიწირა ამ ომმა, მაგრამ სულით არ დაცემულა ქართველი, საბჭოთა მეომრებმა ომი იმპერიალისტურ იაპონიასთან გააგრძელეს, რომელმაც მალე სცნო ჩვენი ძლევამოსილება და ომი გუშინ დამთავრდა სრული კაპიტულაციით, ასე რომ ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ლეგენდარული გამარჯვების ორი თარიღი, 9 მაისი და 2 სექტემბერი).

ამაღლობელი ისეთი ემოციითა და განცდებით ჰყვებოდა ომის საშიშროებას, რომ თვალწინ წარმომიდგა თითოეული

მქვდარი თუ დაჭრილი მეომარი და ისე ძლიერად მომინდა მშობლების ნახვა, აღბათ გავგიუდები, სიზმარში თუ მაინც არ ვნახე ისინი!

გამახსენდა „შავ მაგიაში“ ამოკითხული სიზმრის ხილვა და სახლში როგორც კი დავბრუნდი, მოუთმენლად დაველოდე დაღამებას, ძილის დროს რათა დაღლილი ორგანიზმიც მოვასვენო და სიზმარში მშობლებიც ვიზილო. მუდამ დღის სინათლეს შევტრფოდი და შეუმჩნევლად მიურინდებოდა ხელიდან დრო, ღამე კი გრძელდებოდა და გათენებას ვნატრობდი, დღეს კი ადგილი ვერ მიპოვნია, დაღამებას ვნატრობ,. მაგრამ დრო არ გადის, დღე ივლისის თვესავით გაიწელა.

ჩვენ არ ძალგვიძს დროის ხელყოფა და უნდა გვესმოდეს, ყველაფერს აქვს თავისი დრო, თვით დროსაც აქვს თავისი დრო, თავისი დასასრული, როგორც იქნა, დაღამდა, საღამოს დეიდა ქეთევანი გამოვიდა ჩემთან სასაუბროდ, მაგრამ ამჟამად ქეთევანისათვის არ მცალია, და ლოგინი ავშალე, გავიჩადე, საწოლში წამოვჯექი, ხელები ავაბყრე მაღლა და სიზმრების მეუფეს შევთხოვე;

– „სამშაბათი—ოთხშაბათთან მეგობრობს, ხუთშაბათ—პარასკევთან შაბათი—კვირასთან, შენ ორშაბათი მარტოდ ხარ ერთადერთი, იყვაი ჩემი დაი, და მანახე სიზმარში ჩემი მშობლები, ამინ! ამინ! ამინ!!! სამჯერ გავიმეორე ეს თხოვნა თუ ლოცვა, საბანი თავზე წავიხურე და გავინაბე.

მალე ჩამეძინა და ჩაირთო სიზმრის „კინო—კადრი“ პირველად გერმანელის სამხედრო მუნდირში გამოწყობილი საშინელება გამომეცხადა, რომელსაც თავის მაგივრად ერთადერთი თვალი ჰქონდა მხრებზე დადგმული და ამ უზარმაზარ თვალში, თვალის კაკალი დაგორავდა, ისე რომ სხეულის შემოუბრუნებლად ყველაფრის დანახვა შეეძლო ყოველ მხარეს.

თვალის ქვემოთ, სადაც ადამიანის მკერდი უნდა იყოს, მას გამოქვაბულის მაგვარი ხვრელი ჰქონდა, რომე-

ლშიდაც მიჯრით ჩაწყობილი ხანჯლის მაგვარი კბილები ელავდა.

„გამოქვაბულის“ გვერდებზე, უსასხრო მკლავები იკლაკნებოდა, რომლის თითებისაც გვეღლის თავები ჰქონდა ფრჩხილების მაგივრად, გველები ენებს ასავსავსებდნენ და პირიდან შხამს ღვრიდნენ...

ასო წელზე შემოეხვია და კუდთან ჰქონდა შენასკული...

ფეხები მოკლე, არწივისმაგვარი ბრჭყალები კი ზურგისაკენ შებრუნებული,, ყველაფერი ეს უმსგავსობა რაც აღვწერე, მესაზღვრის ხალათივით აჭრელებული თმით იყო დაფარული, რომელზედაც დაფლეთილი გერმანელი ოფიცრის მუნდირი მოეცვა და სიშიშვლეს სრულებითაც არ უფარავდა.

დამინახა თუ არა, ისე საშინლად დაიღრიალა კინალამ გული გამისკდა და გამოქცევა დავაპირე, მაგრამ ფეხები არ დამემორირდა, „ურჩხულმა“ კი ერთი ცალი კბილი გამოიძრო, ხელში მახვილივით დაიჭირა და აუჩქარებელი ნაბიჯით მომიახლოვდა, ხანჯალ—კბილი ყელში მომაბჯინა და მეორე ხელის გველა თითებით ენაზე მეცა, ამოგლეჯვა დამიწყო და აი, წუთიც და უენოდ დავრჩები, ამ დროს ჩემი მამა გამოჩნდა, სწორედ ასე იყო, როგორც სახლიდან გავისტუმრე, მხოლოდ თეთრი ხალათი ჰქონდა მოხურული და ხელში საოპერაციო დანა ეჭირა, ამ დღეში რომ დამინახა, „შვილოვო“, იღრიალა და ურჩხულს ეგერა, თავისუფალი ხელით ხანჯალ—კბილიანი ხელი დაუჭირა და საოპერაციოდანა რომ უნდა ჩაესცა მუცელში, „ურჩხულმაც“ დაასწრო და მაჯა დაუჭირა, შეიქმნა ერთი—მეორის ღონის გამოცდა და ძიგილაობა, ამ დროს დედაც გამოჩნდა, რომელსაც უკან რამოდენიმე ყავარჯნებიანი ხეიბარი მოჰყვებოდა, მამაჩემის „ურჩხულთან“ შერკინებას რომ შეხედა, ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია, ერთ—ერთ ხეიბარს ხელიდან ყავარჯენი გამოსტაცა და „ურჩხულს“ მთელი ძალით დაჰკრა თავში, რომელიც იმწამსვე ორად გაიპო და უტვინო თავიდან რაღაც გულისამრევი სითხე გადმოიღვარა, რამოდენიმე წუთს სხეული მაინც არ დაწყნარ-

და, ძიგძიგებდა, გველა ზელები რაღათას დაეძებდნენ, დასავსავებდენ, მაგრამ მალე ისინი დამშვიდდენ და გოგირდის ალისმაგვარი ცეცხლით დაიწყო დაფერფუვლა.

ჩემმა მშობლებმა ზელები ხალათზე შეიწმინდეს და ორივე ერთად მომიახლოვდა, ერთი ერთი მხრიდან მკოცნიდა, მეორე მეორე მხრიდან მეფერებოდა და გულში მიკრავდნენ.

— როგორა ხარ, შვილო, მომკლა შენზედ დარდმა! — მითხრა დედამ, მამამ კი სახე მომარიდა და დავინახე, თუ როგორ მოიწურა ცრემლები.

— მე კარგად ვარ, დედა, თქვენ როგორა ხართ? — და გავჩერდით, სალაპარაკო გამოგველია, მხოლოდ უსიტყვილ შევცეკეროდით ერთმანეთს და ვისიყვარულებდით, ეს წუთები ალბათ ყველაფერს ჯობდა, ვერცერთს ბრძენი ვერ ჩააქსოვდა სიტყვაში იმხელა სიბრძნესა და სიყვარულს, რამხელაც ამ წუთში ჩვენს ძლუმარებაში იკითხებოდა, მაგრამ მაინც დაარღვია მამამ მყუდროება:

— დაინახეთ? ურჩხული დაიწვა, ფერფლი სამ ნაგვის გროვად იქცა, მაგრამ ეს ურჩხული ისევ—ისე აღსდგება და სამართლიან კაცობრიობას შთანთქავს! — მივიხედე, „ურჩხულის ფერფლი“ მართლაც ნაგვის სამ გროვად აღმართულიყო და ჩემთვის ჩავილაპარაკე:

— ისე აღსდგა ჩემი მტერი, ეგ რომ აწი აღსდგება!

მამას ჩემი ლაპარაკი არ გამოპარვია და გააგრძელა:

— დიახ, აღსდგება და ახალი ომი მაგ ფერფლისაგან არის მოსალოდნელი!

ომი კი გადუვალია, ორ კლასს შორის ბრძოლისა და სოციალური-პოლიტიკური არსის მიხედვით, ექსპლოატატორული კლასის ბატონობის განმტკიცების და მათი გამდიდრების მიზნით, რომ არ მოხდეს, ჩვენი პლანეტის განადგურებისა და ახალი თაობის აღმოცენებისათვის მაინც მოხდება!

— რატომ უნდა მოხდეს პლანეტის განადგურება? განაჩვენი სამყარო ისეა დამძიმებული ცოდვებით, რომ იმისი მთლიანი დალუპვაა მოსალოდნელი?

— ეს ბუნების კანონზომიერება არის და არა კაცობრი-ობის პრინციპი ან სურვილი, არ, ეს „ურჩხული“ საბოლოოდ გაიმარჯვებს! იმიტოს კი არა, რომ ის მართალია, არამედ იმიტომ, რომ არის მართალი ჩვენი პლანეტის სულიერი არ-სის მმართველობა!

— კარგი, ნუ შეაწუხე ბავშვი! — ლაპარაკში ჩაერია დედა.

— მაღლობა ღმერთს, მე არ მითქვამს არც ერთი სიტყვა, რომელიც „ბავშვს“ შეაწუხებს ან დააბნევს, ჩვენ მუდამ ვას-წავლიდით მას კაცომოფვარეობას, პატივისცემას მშობლების მიმართ და სამშობლოს სიყვარულს, ისე, როგორც მე ჩემს შვილს და ჩემს სამშობლოს გვსურდა და არა ისე, როგორც ამ ფერფლის გროვას უნდოდა.

ახლა საშუალება მოგეცა და კიდევ ერთჯერ რატომ არ უნდა ვიღაპარაკოთ, რათა ყველას გულში უკვდავები დავრჩეთ, რათა ჩვენში შთამომავლობა ისე, როგორც ჩვენ, ვერ შეეგუოს მონობას, რომ მტერმა არ იფიქროს, მონობისათვის ვყოფილ-გართ გაჩენილი!

რაც შეეხება ჩვენს პლანეტას, ეს გვინდა ჩვენ, თუ არ სურს სხვას, ის მაინც დაიღუპება, ახლაც სასწაულად გადა-ურჩება კაცობრიობა დაღუპვას, დედამიწის მფარველ პლან-ეტებს შორის ომი გაიმართა, მისი ყოფნა არყოფნის შესახებ, პლანეტა მარსმა 1889 წლის 20 აპრილს, ბრძოლის სული შთაბერა და სისხლიანი მმართველობით განაწყო ჰიტლერი და რამოდენიმე სხვა ფაშიზმის მიმდევარი პირი, რომლის თაოსნობითაც სამყაროს გარდაუვალი კატასტროფა ეჭუქრუ-ბოდა, მაგრამ შემოქმედმა ვერ გაიმუტა თავისი ხელთქმნილი ქვეყნა და 1879 წლის 21 დეკემბერს პლანეტა იუპიტერმა, ზოდიაქოს მეცხრე ნიშნით, კაცობრიობას მისცა სტალინი, 1874 წლის 30 ნოემბერს იგივე პლანეტამ, იგივე ნიშნით, ჩერჩილი და 1881 წლის 9 დეკემბერს, იგივე პლანეტამ, იგივე ნიშნით რუსელტი, რათა ეს სამი გიგანტი წინ აღსდგომოდა ქვეყნის კატასტროფას...

მამა ასეთი ენაწყლიანი არასოდეს არ მინახავს და რატომ-დაც არ მსიამოვნებდა ასეთი ფილოსოფიურ-ასტროლოგიური საუბარი, რომელიც ჩემთვის მიუწვდომელიც იყო და გაუგებარიც, ამიტომ დედას ჩავეკარი და მოფერება დავუწყებ.

— შვილო, გამხდარი მეჩვენები, ხომ არაფერი გტკივა, ან საჭმელი თუ გაქვს, მანც გენაცვალოს დედა! — მითხრა მან და ცრემლები თავსაფრის ფურით შეიწმინდა.

— არა, დედა, ყველაფერი მაქვს, წამოდით ჩემთან, ნამგზავრი ხარ, გეშივნებათ!

— არა, შვილო, ახლა დრო არა გვაქვს, სხვა დროს ვნახოთ, ისე კი არა გგშია, მაგრამ როდესაც საჭმელი ჭამო, ჩვენთვისაც დადევი მაგიდაზე წყალი და პური.

დედა მკოცნიდა, მამა თავზე ხელს მისვამდა და ასე მეფერებოდა, თუ მემშვიდობებოდა არ ვიცი, შემდეგ, როგორც ყოველთვის, დარიგების კორიანტელი დააყენეს და წავიდნენ, მე არ ვტირივარ, გაკვირვებული გავსცქერი მათ გზას, რომელთაც რაღაც სინათლე მიუძღვით წინ, მე კი ბელში დავრჩი, საღ ვარ, არ ვიცი და შიშმა შემიპყრო, ამ დროს „ურჩხულის“ ფერფლი შეკავშირდა, აირდაირია, მთელმა შენობამაც ზან-ზარი დაიწყო და ფერფლისაგან ზეზე წამოდგნა, ახლა ურჩხული კი არა, რაღაც რობოტისმაგვარი უზარმაზარი უმსგავსობა, რომელსაც არ შეუმჩნევივარ. მკერდზე დამაბიჯა თავი-სი უზარმაზარი უთოსმაგვარი ფეხი, გამსრისა და რობოტისებური აუჩქარებელი ნაბიჯით წავიდა.

... გამომაღვიძა, კიდევ კარგი, სინათლე ჩართული დამრჩენია, თორებ ნამდვილად გავგიშედებოდი, თვალები გავახილე, მზერა ჭერს მივაპყარი, ვერ გამეგო, ცოცხალი ვიყავი თუ არა და ჩემს დაუეუჯილ, დასრესილ სხეულს ხელით ვსინჯავდი, ასე ვიყავი, სხეულს სულგაყრილი, სანამ კარებზე კაკუნი არ შემომესმა, მესმის, მაგრამ ძალა არ შემწევს, რომ ავდგე, იღბალი ჩემი, კარები ჩაუკეტავი დამრჩენია, რომელიც, ვიგრძენი, თუ როგორ წყნარად გაიღო და სახლში ვიღაც შემოვიდა. ძალა არ შემწევს, დავიძახო, „ვინ ხარ“, აჩრდილი მომიახლოვდა, ო,

მადლობა ღმერთს, ეს ხომ დეიდა ქეთევანია, ჩემი მეზობელი, ბებისა და დედისმაგიერი, ყურადღების მომქცევი და ჭირლხინის გამზიარებელი?

— რატომ არ დგები, შვილო, ავად ხომ არა ხარ, ამლენხანს შენ არასოდეს არ გძინებია, არ დაგაგვიანდეს, შვილო.

მინდა ქეთევანს პასუხი გავცე, მაგრამ ვერ ვახერხებ, თავის ტვინი კი წარჩინებულად მუშაობს, ყველაფერს ვხვდები და ვაზროვნებ, მხოლოდ სხეული არ მემორჩილება, არ შემწევს ფიზიკური ძალა.

ქეთევანი ახლოს მოვიდა, დამაცქერდა და შეპკივლა:

— რა მოგიყიდა, გოგო, რამ გამოგაშტერა, ალბათ, ცუდი სიზმარი თუ ნახე, რამ დაგალურჯა, ხომ არავინ მოგხტომია, შვილო.... — მითხრა და შიშის გამოლოცვა დაიწყო, შემდეგ ცივი წყალი მოიტანა, გულმკერდი, ყელი და ყურისძირები დამიზილა, ნელ—ნელა დამიბრუნდა სხეულში ძალა და გავინდერი, ხელებიც ავამოძრავე, უი, ღმერთო, მომკალი, ეს რა მომსვლია, ჩამისველებია, ჩამისვერებია, ჩამისგრია კიდეც. ესეც შენი „შავი მაგია“ არ გაჩერდება ჭკუით? სმამაღლა შევეკითხე ჩემს თავს და ქეთევანმა თვალის უპეები ჩამოიწია, ნაღლად გაგიუებული ვგონივარ.

ლოგინში წამოვჯექი, ვგრძნობ, ძალა შემწევს, ადგომა შემიძლია, და ქეთევანი ჩემი სიახლოვიდან რომ მომეშორებია, ვთხოვე, აბაზანაში შესულიყო და გაეგო, წყალი მოდიოდა თუ არა, რათა შხაპი მიმელო. ქეთევანი გავიდა და, კი, მოდისო — აბაზანიდან დამიძახა,

— გავსე აბაზანა და მეც ახლავე მოვალ, საწოლიდან გამოვეხმაურე მეც.

ქეთევანმა აბაზანის ავსება დაიწყო, მე კი საჩქაროდ ავდექი, ქვეშაგებს ხელი მოვხვიე, საბარგულში ჩავყარე, საცვლები გამოვიცალე, საწოლი ახალი თეთრეულით გავაწყე და აბაზანაში შევარდი.

ცივმა შხაპმა გამომაფხიზლა და ძალა შემმატა, სარკეში ჩავთხდე, ღმერთო ჩემო, ყელი, გულმკერდი და მკლავები დალურ-

ჯებული მაქვს, ე.ი. სულიერად კი არა, ხორციელად მცემეს წუხელის.

დავიბანე, შევიმშრალე და ისევ ისე ჩავწექი ლოგინში, დეიდა ქეთევანმა ჩაი მომიტანა, უარი არ მითქვამს, დავლიე და მთელი ღამის ნაომარს ტკბილად ჩამეძინა, დამშვიდებულს და გამოშუშებულს გამომეღვიძა, საათს გავხედე, სამი სრულ-დებოდა. დეიდა ქეთევანი სასოფლოთან მიზის და დამინახა თუ არა თვალგახელილი, შემეკითხა:

— გაიღვიძე, შვილო! დიდხანს გეძინა, არც კი განძრეულხარ ძილში, ძალიან უწვალებიხარ იმ მარჯვენა შესახმობს, ვიდაც იყო, თუ იცანი მაინც?

გამეღიმა და ლოგინში წამოვჯექი, მკლავები, ყელი და მკერდი მეწვის, სხეული შევათვალიერე, მახსოვს, შხაპი რომ მივიღე, წითლად მქონლდა სხეული, ოდნავ სილურჯეშიდაც გადაზრდილი, ახლა კი, პირველი სტადიის დამწვრობაა, აფუთქელი და სითხეჩამდგარია ნატკენი ადგილები, ბალიში შევისწორე, ზედ ზურგით მივაწექი და ცოტა მოგვიანებით გავეცი ქეთევანს პასუხი:

— არა, დეიდა ქეთევან, ჩემს პატიოსნებას, ეჭვის თვალით ნუ შეხედავ, მე არავისაც არ შევუწებივარ, ეს სიზმარში დამემართა ყველაფერი.

— ეჰ! შვილო, ჩემთან თვალთმაქცობა რად გინდა, მე ხომ ქალი ვარ და ბრწყინვალედ ვიცი ქალის ბუნება. მამაკაცს თუ არ შეუძლია ქალის გარეშე, არც ქალს შეუძლია მამაკაცის გარეშე არსებობა, ეს არის მხოლოდ განსხვავება, რომ ქალი საიდუმლოს ინახავს, კაცი კი იშვიათად, ქალი, შვილო იმდენად არის ქალი, რამდენადაც ქალურ თვისებებს შეიცავს და რაში გამოიხატება ეს ქალური თვისებები? რა თქმა უნდა, ქალური სითბოს გაცემაში და მამაკაცის ძილის მიღებაში, ბევრი ამას სუსტ ნებისყოფად ნათლავს, მაგრამ ჩემი შეხედულება სრულებით საწინააღმდეგოა, ორგანიზმის აყვავება—დაკნინებაზე...

— ოჰ! ღმერთო დიდებულო, კიდევ ერთი ლონდა, ალბათ, ახალგაზრდობაში ესეც ლონდასმაგვარი იყო და ახლა ჩემთან

ენას იფხანს და გულს აყოლებს ახალგაზრდული ცხოვრების მოგონებით,. გავიფიქრე, ხმამაღლა კი არაფერი მითქამს, ის განაგრძობდა ლაპარაკს.

— თუ ბიბლიას გადავავლებთ თვალს (და ბიბლიაში ყველაფერი სიმართლეა, ვინაიდან, ღმერთმა რაც შექმნა, ადამიანმა დაგვიწერა და დაგვიტოვა). ღმერთმა მეექვსე დღეს თავის ხატად და თავის მსგავსად შექმნა ადამი მიწის მტვრისაგან (ებრაელურად ადამი — მიწის მტვერი) ასე რომ, კაცისა და ღმერთის ნათესაობის ორი ნიშანი არსებობს: „ხატი“ და „მსგავსება“ პირველი გარეგანი მოვლენაა, მეორე შინაგანი, ადამიანი, თავის არსებით, ღვთის ხატია, ანარეკლია იმისი დიდებისა, უსაზღვრო სულიერი პოტენციის, შემოქმედებითი უნარის ჩანერგვა რაც შეეხება ღმერთის მსგავსებას, იგი კაცისა და ღმერთის სულიერ კავშირს მოასწავებს, პირველს ღმერთი უნგაროდ ანიჭებს ადამიანს, მეორის მიღწევას კი ადამიანი უნდა ესწრაფებოდეს, ღმერთმა ადამი ედემის ბაღში დამკვიდრა, როგორც ბალის მომვლელად და მცველად, მარტოდ—მარტო პატრონობდა ადამი სამოთხის ბალს „და არ გამოუჩნდა შემწე შესაფერი“. ღმერთმა შენიშნა ადამს მოწყენილობა და ბრძანა: „არ ვარგა ადამის მარტოდ ყოფნა, გაუჩენ შემწეს“. ღმერთმა ადამს მიღწეუში მოჰკვარა, მძინარეს ერთი ნეკნი გამოუღო; ნეკნისაგან დედაკაცი შექმნა და ადამს მიჰკვარა. ადამმა დიდად გაიხარა და თქვა: „ეს კი, მართლაც, ძვალია ჩემი ძვალთაგანი და ხორცი ჩემი ხორცთაგანი“, ამიტომ კაცი ტოვებს დედ—მამას და ეწებება დედაკაცს, რათა ერთ ხორცად იქცნება.

ჩვენ არ ვიცით, რამდენ ხანს ცხოვრობდნენ პირველი ადამიანები სამოთხეში, მაგრამ ის ვიცით, რომ ვიდრე ადამი და მისი შემწე სამოთხეში იყვნენ, ქვეყნად სუფეკდა მშვიდობა და საყოველთაო ნეტარება.

— დედა ქეთევან, მართალია, გულისყურით გისმენ, მაგრამ გულთან არ მიდის ის საყვედურები, რომელიც მე არ მექუთვნის, თუმცა ძალიან საინტერესო ყოფილა პირველი ადამი-

ანების ცხოვრება და კიდევ უკეთესი იქნებოდა, არ დაერღვი-
ათ ლმერთის ბრძანება და არ შეეჭამათ აკრძალული ხილი.

ახლა კი ის მითხარით, თუ რაიმე იცით ძილში დამ-
წვრის წამალი.

— აბა, მიჩვენე, როგორ გაქვს დამწვარი? მომეჩვენა, თითქოს
არ ჯერავდა და იმის შეკითხვაში დაცინვა ამოვიკითხე, მა-
გრამ მე საბანი გადავიძვრე და პერანგი გავიხადე, როდესაც
ჩემი დაფუთქული სხეული დაინახა და მკერდზე დახატული
უთოს ძირი, შეჰქივლა და გაოცებისაგან თვალები შუბლზე
აუვიდა.

— ეს რა მოგვსვლია, შვილო, ან ძილში ვინ გაიმეტა
ასეთი ლამაზი სხეული დასაწვავად. ჩურჩულით წარმოთქვა
ქეთევანმა და დამწვრის წამლის დასამზადებლად გავიდა
თავის სახლში.

თხუთმეტი წუთის შემდეგ დაბრუნდა ქეთევანი და დამ-
წვრის უებარი წამალი მოიტანა „თავლის სანთელი და
მზესუმზირის ზეთი, ნახევარ—ნახევარი ერთმანეთში შეზელილი“,
წავისვი დამწვრობაზე, მართლაც, დამიამა და ისევ ისე ვთხ-
ოვე ქეთევანს მოყოლოდა რაიმეს.

ქეთევანი ზომაზედ მეტად ენაწყლიანია და გგონია, ლაპარ-
აკს დამამადლიდა? თან ისიც საგულისხმოა, რომ საკუთარი
თვალით ნახულის გარდა, უძრავი, აკრძალული თუ ნება-
დართული წიგნი აქვს წაკითხული და სამართლიანადაც
მოაქვს თავი განათლებულ ადამიანად.

— პო! ქალის სიეშმაკეზე გელაპარაკებოდით, რომელმაც
ეჭვი აღმიძრა შენს პატიოსნებაში და რომლისთვისაც ბო-
დიშს გთხოვთ — ასე ბოდიშის მოხდით დაიწყო ქეთევანმა.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მამა ლმერთმა და ქვეყნის შემო-
ქმედმა ადამს ძილქუში მოჰკვარა, ნეკნი გამოაცალა და შექმ-
ნა ქალი, მაგრამ ის კი არ ვიცით, უფრო სწორად არ მითქ-
ვამს, რომ ადამიანის ნეკნში ქალი არ გამოვიდოდა და რა
დაუმატა მას., დიახ დაღონდა ლმერთი, მაგრამ გამოსავალი
მალე იპოვა:

ადამიანის ნეკნს ცოტაოდენი მთვარის შუქი და სიმრგვალე დაუმატა, მხეიარა მთენარის დახლართულობა, ბალახის თრთოლვა, ლერწმის ტანკერობა, ღრუბლების ცრემლი, ქარის წარმავლობა, კურდღლის სიმხრთალე, ფარშევანგის სიკეპლუცე, ცეცხლის სიმზურვალე, თოვლის სიცივე, გვრიტის ღულუნი, კაჭკაჭის ჩხავილი, ვეფხვის მძვინვარება, ლომის ღრიალი, გველის შხამი, მელის ცბიერება, მაიმუნის მესაიდუმლობება, კატის ალერისი, ღორის თაგაწყვეტილობა, ვარდის სილამაზე და სინაზე, აი, ეს ყველაფერი ღმერთმა ერთად შეაკავშირა, შეზილა და ქალს სული შთაბერა, ქალი ღმერთმა კაცს აჩუქა და კაცმაც დიდად გაიხარა, მაგრამ, რვა დღის შემდეგ, კვლავ დაუბრუნა ღმერთს საყვედურით: „ეს რა არსება მაჩუქე, სიცოცხლეს მიწამლავს, მასთან გაძლება არ შემიძლია“. ღვთაებამ დაიბრუნა ქალი, მაგრამ გავიდა ერთი კვირა და მამაკაცი ისეთ თხოვნით წარუდგა ქვეყნის შემოქმედს: „ჩემი სიცოცხლე ეული გახდა მას შემდეგ, რაც ის დაგიბრუნე... გევედრები, ისევ მარგუნე იგი“. ღმერთმა ეს თხოვნაც შეუსრულა, მაგრამ არ გასულა სამი დღე და მამაკაცმა კვლავ მოჰვერა ქალი ხვთაებას. განრისხებულმა ღმერთმა წამოიძახა“ „გამეცალე, ადამიანო, და ისე იცხოვრე, როგორც გსურდეს!“

— რომ არ შემიძლია ქალთან ერთად ცხოვრება? მიუგო მამაკაცმა.

— ხომ არ შეგიძლია უმისოდაც!“ იყო პასუხი ღმერთის! ასე რომ, ჩემო გოგონა, ქალში ყველაფერია ჩაქსოვილი და ნურასოდეს ნუ გაგიკვირდება, ვინც იცის ქალის ბუნება, ეჭვის თვალით შეგხედოს.

ჯერ კიდევ არისტოტელეს, ქალის გაჩენა ბუნების შეცდომად მიაჩნდა.

პლატონი კი ყოველდღე ღმერთს მადლობას უხდიდა ორი წყალობისათვის: რომ თავისუფალი გაჩნდა და არა მონა, რომ მამაკაცად დაიბადა და არა ქალად..,

შექსპირის პოეტური სტრიქონები კი შენც გექნება წაკითხული: „არარაობავ, დედაკაცი უნდა გერქვას შენ“!

„თუ გსურს სულელად არ ჩაგთვალონ, ნუ ეძებ ქალში, რისი პოვნაც არ შეგიძლია“ ამბობს ყაბუს—ნამე.

მაგრამ პიკს რევერი ამბობს: „უნდა განერიდო ყოველგვარ ქალს, პირველ რიგში კი იმას, რომელსაც წარმატება მოაქვს, მასში ყოველთვის როდია ჩამალული სიკეთე — პირიქით, მისი ღალატი მუდამ სდევს დიდ წარმატებას“. მაგრამ ქალს ყველა მაძაგებელი როდი ჰყავს, აი, რას ამბობს დიდრო: „როდესაც ქალზე ლაპარაკი გსურს, კალამი ცისარტყელაში ამოავლე და პეპელას ფრთებზედ დააბერტყე“!... ბუასტი კი ყველაზე მეტად შეჰერის ქალის არსებობას და ამბობს: „უქალოდ განთიადი და მწუხრი ადამიანის ცხოვრებისა უმწეო იქნებოდა და შუადღე უსიხარულო!“

— მე მაინც ვერ გავიგე, რომელია მაგ ბრძენ ხალხში სწორი, შევკალე ქეთევანს,

— რა ვერ გაიგე, გოგო?! — გამინაწყენდა ქეთევანი — ყველა ადამიანი სწორია, ვინც აძაგებს, ისიც სწორია, ვინც აქებს, განა უნიჭოდ შეუთავსა ყველა სულლებულის თვისებები ღმერთმა ქალს? ზოგი მასში, არარაობას მისჩერებია და სწორია, ზოგი სილამაზეს და ისიც სწორია, ზოგი სიცბიერეს და ესეც სწორია, ზოგიც ალერსს და, რა თქმა უნდა, ყველა სწორია, საქმე ის არის, რას დაინახავ ქალში, მას ხომ ყველაფერი გააჩნია?

— ყოჩაღ, დეიდა ქეთევან, ასეთი ლექცია ჯერ არ მომისმენია, ცოდვა კი არ არის შენ, სახლში გამოკეტილი იყო და ზოგიერთი „უწიგური“ ლექციას კითხულობდეს ინსტიტუტში, ეს სიტყვები მართლა გულით ვუთხარი ქეთევანს, რომელიც ისე ვასიამოვნე ტკბილი, ალერსიანი სიტყვით, მყისვე სადილის მომზადებას შეუდგა.

— დიახ, ქეთევანი სადილის კეთებით არის გართული, მე კი თვალიდან არ მშორდება სიზმრის საშინელებანი და მშობლების დაღვრემილი სახე, როგორც მთხოვა დედამ, ყოველთვის ისე მოვიქცევი, სუფრასთან ყოველთვის დავდგამ სკამს, პურს, წყალს და დაგუსხამ კერძს, რაც მექნება.

დღეს ინსტიტუტში არ წავსულვარ, ისე ვარ დაფუთქული, ნეტავი ხვალ წავიდოდე, მაგრამ არა მგონია, ასე უცებ გაიაროს ამ დამწვრობამ არა და ასე გარეთ ვერ გავალ, რომ არ მრცხვენოდეს, ტკივილს მაინც ვერ გავუძლებ და უმჯობესია, სახლში ვიმკურნალო დაწოლილმა.

1945 წელი, 7 სექტემბერი (პარასკევი)

ამ კვირაში სულ ვწევარ, არც ინსტიტუტში წავსულვარ და არც ცირკში, ქეთევანის წამალი ძადიან მომიხდა, თითქმის ალარ მეტყობა დამწვრობა და დღეს შეიძლებოდა ინსტიტუტში წასვლა, მაგრამ ქეთევანმა ექიმი მომიყვანა და ორშაბათამდის თავისუფალი ვარ, ისეთი ცნობა დამიწერა, „ქვას გაარღვევსო მითხრა“.

მე კი ამ დღეების სახლში გატარება ვამჯობინე, ქეთევანის ცნობა არ მქონია, მართლაც და, ჩვენში დარჩეს, ასეთი ნაკითხი არ მეგონა, როდესაც დაკრწმუნდი იმის თვითგანათლებაში, გადავწყვიტე, საკუთარი ცოდნაც გავაღრმავო და დღიურისთვისაც გავიმეტო ორიოდე სიტყვა. მე ვარ წამოწოლილი და ჩემს სიმართლეში დარწმუნებული, ქეთევანი თავს მეევლება, დედასავით მიღოლიავებს და მიკეთებს ყველაფერს, გუშინ შემეკითხა:

— კი მაგრამ, რა გესიზმრა, ასეთი მთლად დაფუთქული რომ იყავი?

— რა თქმა უნდა, მე დავუმაღე ლოცვა „შავი მაგიდან“ და დანარჩენს დაწვრილებით მოვუყვი, ყველაფერს.

— ნეტავი ჩემი ქმარ-შვილი მანახა სიზმარში მაინც და მასეთი დაწვა კი არა, თუგინდ ფერფლად ქცეული მიპოვონ დილით! — ამოხვრით თქვა ქეთევანმა და დაუმატა:

— ეს ურჩხული გერმანია კი სამ გროვად დანაწილდება, მაგრამ საბოლოვოდ, მაინც წამოყოფს თავს და როგორც გამოგეცხადა, ისე მოხდება, თუ მამაზეციერმა არ დაგვიფარა. ისე ჩვენში დარჩეს და სიზმარი, როგორი არ მინახავს, მე

მარტოხელა ღმერთისგანაც მიტოვებული ადამიანი სიზმრებით ვსულდგმულობ, მაგრამ მასეთი არც მინახავს და არც გამიგონია. სიზმარი მძინარი ორგანიზმისა და თავის ტვინის უჯრედების გასაღებია, რომლებიც წინათგრძნობით, ხილულს ხდიან მოსალოდნელ ხიფათს თუ ბეჭნიერებას.

მიყვარს ძილში საშინელი სიზმრების ხილვა, ალბათ, შენ ვერც კი წარმოიდგენ, როდესაც მთელი დამე ბრძოლობ, იმარჯვებ, მარცხდები, კვლავ იჭრები და დილას უვნებელს გამოგელვიძება, ალბათ, აუღწერელია იმ დილის სიხარული და განა ეს უზარმაზარი სიხარული მშფოთვარე დამედ არა ღირს? ხანდისხან ისე მომინდება საშინელი სიზმრების ნახვა, რომ ვწვები, ასე მგონია, აბჯარს ვისხამ და ბრძოლისათვის ვემზადები, ან სადღაც მივემგზავრები, რაღაც სათავგადასავლო ფათერაკების საძებრად.

ქეთევანმა მოულოდნელად შეწყვიტა საუბარი, თითქოს რაღაც ფიქრმა გაიტაცა და გაირინდა, შემდეგ ღრმად ამოიხვნება და ჩაილაპარაკა:

— ცუდ ღროს გავჩნდი ამ ქვეყანაზე, ყველაფერმა ჩემთვის და ჩემი თაობის ხალხისათვის მოიცალა, გუშინწინ შენ მითხარი:

— „ბევრი ნაკითხი ხარო“, წიგნის წაკითხვა რად გინდა, რაც ჩემი თვალით მინახავს, რომელი გული და წიგნი დაიტევს მას!

— მაინც რა გინახავს ასეთი, დეიდა ქეთევან?

— ის მინახავს, რისი თქმაც ყველასთან არ შეიძლება, შვილო!

— ჩემთან?

— ალბათ, არც შენთან, მაგრამ მე მაინც ვიტყვი, იმიტომ რომ მარტო ვარ, სიცოცხლე მომწყინდა, დავიღალე ლოდინითა და მარტობით, ომი დამთავრდა, ქმარ-შვილი კი არსად ჩანს, კარგი არაფერია მათ თავზე, მეშინია, ცუდი არაფერი გავიგონო, თორებ გავგიჟდები და სირცხვილია, ყველა კი ვერ გაიგებს, რისთვის გავგიჟდი, სიკვდილი კი სიკვდილია, დაილოცოს იმისი სახელი, ადამიანს მიწა თუ ელირსა, მეტი რაა

სანატრებელი, ის სიკვდილიც სიკვდილია, ვინც ყუმბარამ დაფლითა და ქოჩორი ყვავ-ყორანმა წაიღო ბუდისათვის, და ისიც, ვინც ღირსეულად განისვენებს მშობლიურ მიწაში? შენ, შვილო, არ იფიქრო რომ შენს განათლებას შეურაცხყოფას გაყენებდე, იმიტომ, რომ ბევრი არ იცნობს და ბევრი ვერ ხვდება ჩემი გულისმაგვარი გულების განსაკუთრებულ მოძრაობის ძალას, რომელთა გულებსაც ამოძრავებს სამი ძირითადი გრძნობა, რომელთა წრეშიდაც მოქცეულია მათი ცხოვრების არსი და სულიერი მღელვარება:

– სიყვარული და სიძულვილი, სიხარული და მწუხარება, იმედი და შიში!

კომუნისტებმა ბრწყინვალედ იციან ეს ყოველივე, ისიც კი იციან, რომ მეტი გრძნობა არც თვითონ არ გააჩნიათ და, გერც ღვთიური აზროვნებითა და ცოდნით აღჭურვილნი, ბუნების საზღვრებს მაინც ვერ გასცილდებიან და რადგან უმეტესობას გააჩნია შეგნება, რომლითაც მაღლა დგანან ჩვეულებრივ ბრძოზე, ეს უპირატესობა მათვის ყველაფერზე ძვირფასია, ამიტომ ღიდების მქონენი ზიზღსა და დაცინვას ვერ იტანენ და შერცხვენას არ გვაპატიებენ, რომელიც ყველაზე შმაგი ვნებაა.

კომუნისტების უმეტესობამ, რომლებიც ღვთიური ნიჭით, ჩვეულებრივ მოკვდავ ადამიანზე მაღლა დგანან, იციან ხალხს რა უნდა წართვან და რა უნდა დაუტოვონ, ამიტომ სამი ძირითადი გრძნობიდან ხალხს დადგებითი თვისებები წართვეს: სიხარული, სიყვარული და იმედი, რა დარჩათ? სიძულვილი, მწუხარება და შიში.

ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ რევოლუციის მიერ მონიჭებულ „ბედნიერებას“ თან არ ახლავს: სიძულვილი, მწუხარება და შიში? მაშინ რა სახელს დავარქმევთ საპყრობილეს და იმ მიღიონობით ადამიანთა დასჯა-წამებას, რომელიც ამ „ბედნიერმა“ რევოლუციამ მოგვიტანა? ახალგაზრდობის სიყვარული სოციალიზმისადმი წარსულის გამოძახილია: რადგან ვერ იტყვით, „ხორციელი ტანჯვასულისათვის ნეტარებაა“.

ეს დაუმტკიცებელი პარადოქსია, ასე რომ, თქვენი სიყვარული, დღევანდელი სწავლა და ცხოვრებისეული ნეტარება, არეულია ათას მწუხარებაში, ან უკეთ რომ ვთქვათ: იგი მწუხარების დაუსრულებელი ხლართია და გზა, რომლითაც ჩვენ სოციალიზმისაკენ მივდივართ, უბედურებითაა მოკირწყლული.

მე ვკრძნობ ქეთევანის განათლების სიძლიერეს და მეს-მის იმისი სიბრძნის, ვკრძნობ დამარცხებას, მაგრამ მაინც გადავწყვიტე, შევპამათებოდი, რადგან გაჩუმებაც არ ძალმის და არც იმის სურვილი მაქს, მთლად გაუნათლებლად ჩამოვალოს.

— ქალბატონო ქეთევან — ვუთხარი მე — თქვენ შეურახუფლ კომუნისტების ჯანსაღ აზრს, როდესაც თვითონ ბრძანეთ, რომ კომუნისტების უმრავლესობა ღთვიური ნიჭით არიან დაჯილდოვებულნი, ესე იგი, ჩვენ, ჯერჯერობით, არ ვდგავართ მათ სიმაღლეზე, ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა დავუჯეროთ მათ მიერ დაწერილ კანონს, შევითვისოთ და შევისისხლხორცოთ ის.

ახალი ცხოვრება ხალხმა შეიყვარა, და ამ ცხოვრების სულის ჩამდგმელი „მამად“ აღიარა, მე კი, ის უბედურ „მა-მად“ მიმაჩნია, ძელი გადმონაშთის, გიმნაზიური განათლების ადამიანთა ხელში, რომლებიც დრომოჭმული იდეებით სუნთქავენ დღესაც სოციალიზმში და სოციალიზმის ამშენებელს შეურაცხყვენ, მოუხედავად ამისა, „მამას“ მაინც უსაზღვროდ უყვარს შვილები, რომელიც არაფერს ზოგავს მათი ღირსეული აღზრდისათვის, მაგრამ სავალალო ის არის, როდესაც მათ ხედავს გაიძვერას, მატყუარას და სულის ჩამდგმელი „მამად“ აღიარა, მე კი ის უბედურ „მამად“ მიმაჩნია, ძელი გადმონაშთის, გიმნაზიური განათლების ადამიანთა ხელში, რომლებიც დრომოჭმული იდეებით სუნთქავენ დღესაც სოციალიზმში და სოციალიზმის ამშენებელს შეურაცხყვენ, მოუხედავად ამისა, „მამას“ მაინც უსაზღვროდ უყვარს შვილები, რომელიც არაფერს ზოგავს მათი ღირსეული აღზრდისათვის, მაგრამ სავალალო ის არის, როდესაც მათ ხედავს გაიძვერას,

მატყუარას და უკიდურესი საქმის ჩამდენს, შეიძლება „მამაშ“ ნუგეში ჰქოვოს ბედის ცვალებადობაში, ღრო აქარწყლებს ყოველივეს და მწუხარება კლებულობს, მაგრამ სად არის წამალი ამ უბედურების გასაკურნავად, რომელსაც თავისი უღირსი ყოფაქცევით აყენებენ უმაღური შვილები?

— ეჭ, უსუსურო ბავშვო — მითხრა ქეთევანმა — ნუთუ ვერასოდეს ვერ დაინახავთ საკუთარი თვალით კეთილგონიერებას. თქვენ შეიძლება მიპასუხოთ, რომ დღევანდელი ცხოვრების პირობები კეთილგონიერებაა, რომ რევოლუციის გზით მოპოვებულ ცხოვრებაში არ გვხვდებიან ტირანები, აღარ არსებობს ჯვარზე წამება, რომ ქვეყანა სავსეა მხოლოდ სათხო ადამიანებით, სინამდვილეში, არაფერიც არ შეცვლილა, ძველებურად შემოგვრჩა კაცობრიობის ცხოვრების არსი და კანონზომიერება, რომელსაც თქვენ ვერასოდეს ვერ დაინახავთ.

არ ვიცი, ქეთევანი სწორად მსჯელობს თუ არა, მაგრამ ერთი კი სინამდვილეა, რომ ზედმიწევნით განათლებულია, რაც მე დღემდე არ შემიმჩნევია, ჩვენ რომ ერთი მეორეს ვერ გაუგეთ, ეს იმას როდი ნიშნავს, ქეთევანი არასწორად მსჯელობდეს, ეს, გიმნაზიური განათლებით, იმ სულისკვეთების თაყვანისმცემელია, რომელმაც განათლება და კულტურა მიაღებინა. მე კი, სოციალისტური კლასის ხელმძღვანელობის დროს ვარ ადზრდილი, ვსწავლობ და ვგითხულობ თანამედროვე საკითხებს, არასოდეს დავინტერესებულვარ წარსულის ქექით, მაგრამ, პირველ რიგში, ეს ყოფილა საჭირო, რომ შეიცნო „საიდან მოდიხარ“ და „ვინა ხარ შენ“. ინსტიტუტში ვსწავლობ, თავი განათლებული მეგონა, მაგრამ თურმე, სამი სახის უკიცი ვყოფილვარ (როგორც ამას ქეთევანი მეუბნება).

პირველი უკიცობა ის ყოფილა, რომ არაფერი ვიცი.

მეორე ის, რომ ცუდად ვიცი, რაც ვიცი.

მესამე კი, როცა სულ სხვა რამ ვიცი, ვიდრე უნდა ვიცოდე.

მომხდარი ამბები ადამიანის წარმოდგენაზე ისევ ზემოქმედებს, როგორც დრო, მართლაც, ვისაც ბევრი უცხოვრია, ის არის მოწმე უამრავი საინტერესო ამბების ხილვისა და სწორედ, ერთეული ადამიანების მსგავსად, რაც უფრო ძღვიდარია ამა თუ იმ ერის ისტორია მნიშვნელოვანი ამბებით, მით უფრო მეტად დაპკრაგს მას სიძველის ელფერი. აბა, სხვაგვარად როგორ აიხსნება ის დიდებული ადათ—წესები, რომელიც ღირსეულად დამჩნევია საქართველოს მატიანეს. როდესაც გონიების თვალით ვხედავთ საქართველოს ისტორიის ადრინდელ დღეებს, ეს პერიოდი შორეული და ბუნდოვანი გვეჩვენება, რადგან ცხოვრებაში მომხდარი ათასგვარი ცვლილებები, მრავალ მოგონებად მოზღვავებული, ჩვენი ერის ისტორიის სათავეს, ისეთი შორეულ ხანას მიაკუთვნებს, გეგონებათ, თითქოს იგი წარსულის წყვდიადში იყოს ჩაძირული, სინამდვილეში კი, სამუალო ხანგრძლივობის ორი თაობის სიცოცხლე სავსებით საკმარისია, რომ ზეპირად გადაეცათ ერთი მეორისათვის ყველაფერი, რაც ცივილიზებულმა ადამიანებმა განახორციელა საქართველოს რესპუბლიკაში. ღმერთმა განიკითხოს მათი ნამოქმედარი, ვისაც სამშობლოს ღალატში და ერის დაღუპვის მცდელობაში „ღირსეული“ წვლილი აქვს შეტანილი.

მე არასოდეს არ მჯეროდა ღმერთის არსებობისა, ისეთი სულისკვეთებით ვიზრდებოდი, არც ჩემს მშობლებს ჰქონიათ მუხლები გადატყაული ყოველდღიური ლოცვით, მაგრამ „შავმა მაგიამ“ რა სასწაულებიც ჩამადენინა, ეს ჩემთვის საკმარისია, ვიწამო ბუნების სასწაულები და იმის ღვთიური ზებუნებრივი ძალა, სასაცილოდაც მიმაჩდა და ავტორის ფანტაზიას მივაწერდი „ობობა ციკლოსმიას“, რომელსაც ზურგზე აქვს გამოსახული ადამიანის სახე ფარით. თევზის „არიუს პრიუსის“ ფორმა და პოზა მთლიანად იმეორებს ჯვარცმული ქრისტეს ხატებას; პეპელა „სფინქსი“ ზურგზე გამოსახული ადამიანის თავის ქალა გადაჯვარედინებული ძვლებით; ქაცვთავა

თევზი „ჰოლავანტუსი“, რომლის კუდზე, ბველ არაბულ ენაზე, გარკვევით აწერია: „ლა ილლა ილ ალლა“ (არ არსებობს ღმერთი, ალაპის გარდა) და „შანი ალლა“, (გეშინოდეს ალაპის). ასეთი სასწაულები კიდევ მრავალი შეიძლება ჩამოვთვალოთ, რომლის ახსნაზედაც, ჯერჯერობით, თავს იკავებენ ბუნებისმეტყველები, არა! ღმერთმა მაპატიოს, თუ რამ შევცოდე არცოდნის მიზნით, დღეს კი, დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს პლანეტაზე მოქმედებს უზარმაზარი ღვთიური ძალა, რომლის გავლენის ქვეშაც ჩვენ ვიძყოფებით, მაგრამ საოცარია და სასწაული, ჩვენთვის ამოუცნობი და მიუწვდომელი ღვთიური ძალა, რომლის სიმართლეშიდაც განათლებულ ადამიანს ეჭვი შეეპარება, ჩვენგან ხომ ყველაზე ახლო ვარსკვლავიც კი რამოდენიმე სინათლის წლით არის დაშორებული და როგორ შეიძლება, რამოდენიმე წამში ადამიანის ჩანაფიქრი განახორციელოს ციურმა ცოომილმა? არ ვიცი, მე თვითონ ვახდენ სასწაულებს და კიდევ ეჭვი მეპარება ციური ცოომილების ზეგავლენაზე.

ისნტიტუტში ცოტა დაგვიანებით მივედი, მეგობრებმა გაიხარეს ჩემი ნახვით, ზოგიერთს ავადმყოფობაც კი გაეგოჩემი და ახლა ჯანმრთელობის ამბავს მეკითხებიან. ვპასუხობ – კარგად! – და მართლაც, პირადული ცხოვრება და ჯანმრთელობა თუ გვაქვს მხედველობაში, დროის მიხედვით, მართლაც, არა ვარც ცუდად, ვსწავლობ და ვმუშაობ, ცირკიდან სოლიდარული თანხა მაქვს შემოსავალი, საკუთარ თავს კი არა, ოჯახს ინახავენ ჩემი კოლეგები და იმედი მაქვს, საკუთარი დანახოგით, მაღლე შევავსებ გაქურდულ ოჯახს.

ცირკიდან გვიან მოვედი სახლში, ჩემი მოსვლა და კარების გაღება დეიდა ქეთევანს არ გამოპარვია. მარტოობით დატანჯული დამლაპარაკებელს ელოდება და მე, ერთადერთ იმედს, მოსიყვარულე დედამთილივით მევლება თავს. დღევანდელ ეკონომიკურ პირობებთან შედარებით, კარგი ვახშამი დამახვედრა გამზადილი. ერთად ვივახშმეულ და ლაპარაკის საღერღელი რომ აუმალო, ქეთევანს ვეკითხები:

— რა შეხედულებისა ხართ, დეიდა ქეთევან, ადამიანის გაჩენაზე, ნუთუ ღმერთი ურევია ჩვენს გაჩენაში?

- ღმერთი როგორ არ ურევია, შვილო? — მი პასუხა მან.
- ღმერთმა როგორც შექმნა და გააჩინა ეს სამყარო და ადამიანი, უკეთესად თვითონ ღმერთიც ვერ გააჩენდა დღეს, შენ ნუ გეჩვენება, მარტო ბოროტებით სავსე ეს ქვეყანა, სიკეთეც ბევრი ითესება და არასოდეს არ მოკვდება სიკეთის თესლი. ღმერთს რომ მარტო კეთილი ადამიანებით დაემძიმებია დედამიწა, სიცოცხლეს ხალისი არ ექნებოდა, ასევე მარტო ბოროტებითაც არ შეიძლება იყოს სავსე ქვეყანა, თორემ ბოროტება ერთიმეორეს შეჭამს და დედამიწა მალე უკაცრიელი გახდება. დღეს ღმერთმა ბრძოლაში მოგვცა ცხოვრების მიზანი, ბრძოლას ვაბბობ, მაგრამ შენ ბრძოლა მარტო ოშში არ შეგეშალოს, ცხოვრება თვითონ ბრძოლაა, ჩვენ, თითოეული, ვბრძოლობთ ლუკმა პურის მოსაპოვებლად და როდესაც მიზანს ვალწევთ, უსაზღვროდ გვიხარია. ქონების ზედმეტნაკლებად მოხვეჭა, ხანდისხან სიხარბით ოშში იზრდება. ომს კი, არც თუ ცოტას გაუვლია კაცობრიობის არსებობაზე, შვეიცარიელმა უან უაკ ბებელმა შეუცდომლად გამოითვალა ომების რაოდენობა და შეაფასა ომებით გამოწველური ზარალი. ამ დიდი მეცნიერის გამოანგარიშებით, 5000 წლის განმალვობაში, კაცობრიობას გადაუტანია 14.500 ომი, რომელშიც 5.640 მილიონი ადამიანი დაღუპულა, მატერიალურმა ზარალმა კი 500 მილიარდი შვეიცარული ფრანკი შეადგინა. ეს თანხა რომ ოქროდ ვაქციოთ და დედამიწას ეკვატორზე შემოვაკრათ, მოგვცემს 10 მეტრი სისქისა და 8 კილომეტრი სიგანის სარტყელს. ახლა, შენ თვითონ წარმოიდგინე ეს თანხა რომ კაცობრიობას მოხმარებოდა მშვიდობიანი გზით, როგორი ცხოვრება გვჯენებოდა? მაგრამ ამ თანხასთან ერთად რომ 5.640 — მილიონი ადამიანი და მათი ნაშიერიც ცოცხალი იყოს, რა იქნებოდა? ასე რომ, ღმერთთან სამდურავი არ გვეთქმის, მან უკეთ იცის თავისი გაჩენილი ქვეყნისა და ადამიანის მართვა.

— თქვენ მართალს ბრძანებთ, დეიდა ქეთევან, მაგრამ ღმერთმა თუ იცის, როგორ ადამიანს აჩენს ამ ქვეყნად, მშობელმა უნდა იცოდეს, როგორი აღიზრდება იმისი პირმშო, აბა, როგორ ვთქვა, ჩემს გაჩენაში ღმერთი ურევია? და ჩემს მშობლებს თუ ეცოდინებათ ჩემი ბედი, ნამდვილად არ გამაჩენდნენ საწვალებლად.

— არა, შვილო, ღმერთსა და მშობელს ნურაფრისათვის ნუ ეტყვი სამდურავს, ეს ასე უნდა იყოს, როგორც არის დაკანონებული ცხოვრებაში, ადამიანმა არ უნდა იცოდეს არც სიკვდილი და არც სიცოცხლის ბედი. შენ გინდ დამიჯერე, გინდ ნუ დამიჯერებ, მაშინ პატარა გოგონა ვიყავი, ერთ კაცთან მახარობლად მივედი, მივულოცე მეოთხე შეილისა და მესამე ვაჟის შეძენა, ის ჩექმებს კემსავდა, ჩემა მოულოდნელმა შეძახილმა, „მომილოცავს ვაჟუშვილის შეძენა–მეთქი“, შეაკრთო და სადგისი ხელისგულში გაიყარა, „ფურ“, გადააფურთხა, სადგისი მოისროლა, ხელისგულიდან სისხლი გამოიწოვა, ისევ გადააფურთხა და ჩემთვის მაღლობაც არ უთქვამს, ისე გაირინდა, იქნებ, ოთხი შვილის აღზრდის სიდუხჭირის მოლოდინით, ან ადამიანის სიცოცხლის ამოუცნობი, უკიდეგანო ცხოვრებით, ვინ იცის, მაშინ რას ფიქრობდა ბესარიონი, ის კი არ იცოდა, რომ ის სტალინის მამა იყო, თორემ სამახარობლო საჩუქარსაც არ დაინანებდა ჩემთვის.

— რას ამბობ, დეიდა ქეთევან, თქვენ სტალინს პირადად იცნობდით?

— ვიცნობდი კი არა, შვილო, ერთად გავიზარდეთ, მთელი ახალგაზრდობა ერთად გავატარეთ და ყვავილი ბატონებიც ერთად მოვიხადეთ, რომელ სენსაც, ღვთის განგებით, სასწაულად გადაურჩით, მაშინ ძალზედ გავრცელებული იყო ყვავილი და ვისაც შეხვდებოდა, იშვიათად თუ გადაურჩებოდა ამ უკურნებელ სახადს, როდესაც ყვავილი გაჩნდებოდა, ჯანმრთელი მოსახლეობა სოფლიდან იხიზნებოდა, ყვავილა ბატონებმა მიირთვა სტალინის ორი, მმა ერთი დაც, და როგორც გითხარი, მე და სოსო მხოლოდ ღვთის განგებამ გადაგვარჩინა.

— გამაგიუებ, დეიდა ქეთევან, ახლა როდესაც სტალინი ამხელა თანამდებობაზე მყოფება, რატომ არ შეახსენებ სიყრმის მეგობრობას?

— სტალინს, შვილო, შეხსენება არაფრის ესაჭიროება, მას ბრწყინვალედ ახსოვს ყოველივე, ან კი რა ვთხოვო, როდესაც მთელი მსოფლიოს მოსახლეობა ერთნაირ სიღუბჭირეში ვიმყოფებით, თვითონ სტალინიც კი.

— რომ გეთხოვა, იქნებ ქმარ-შვილსაც გაიწვევდა ომში.

— რას ამბობ, შვილო, ეს ომი კაცობრიობის ისტორიაში, მშრომელი ხალხის გადარჩენის ომად ჩაიწერება და მე როგორ შემეძლო, ქმარ-შვილი სახლში დამემალა, როდესაც სამშობლოს და თვითონ სტალინსაც უჭირდა? არც შენი მშობლები გაუწვევია სტალინს ომში, მაგრამ მათ ადამიანურმა სინდისმა უკარნახა და იქ დადგნენ, სადაც სამშობლო ეძახდათ. ან კიდევ, მე როგორ შემეტყობინებია სტალინისათვის, „ჩემი ქმარ-შვილი ომში არ გაიწვიოთქ“, როდესაც თავისი შვილი იაკობი წინა ხაზზე გაგზავნა სამშობლოს დასაცავად? მძიმედ დაჭრილი იაკობი ტყვედ აიყვანეს. შეიქმნა სპეციალური სადაზვერვო ჯგუფი იაკობის ტყვეობიდან დასახსნელად, მაგრამ სტალინმა არ გაიზიარა ეს წინადაღება: „რაიმე გამონაკლისის დაშვება, ერთი ტყვე მეომრის გამო, მიზანშეწონილად არ მიმაჩნია“ — თქვა სტალინმა და ამ სიტყვასთან ერთად დაიშალა საგანგებო ოპერაციისათვის შემდგარი ჯგუფი. განვლო დრომ, სტალინს, ტყვე იაკობის წამების შესახებ მოახსენეს და შესთავაზეს ფელდმარშალ პაულიუსზე გაცვლა, მაგრამ სტალინმა მცირე დუმილის შემდეგ უპასუხა:

— „ჩვენ ვვარისკაცს ფელდმარშალზე არა ვცვლით...“ შემდეგ ცოტახანს ჩაფიქრდა, გაისიგრძეგანა ტყვეობაში მყოფი შვილის სულიერად და ფიზიკურად აუტანელი წამება და ნათქვამს დაუმატა:

— „მჯერა, იაკობი, ჩემი და ჩემი ხალხის ერთგულ შვილად დარჩება“.

იაკობ ტყვეობაში აუტანელი წამებით მოჰკლეს, მაგარმ, მართლაც, „მამისა და ლხალხის ერთგულ შვილად დარჩა“, სტალინივით გაუძლო ტანჯვა—წამებას და ვინ იცის, რამდენჯერ შეაცივდებოდა ცრემლი სტალინს თვალებზე სიყრმის შვილის მოლოდინში!

„ჩვენ ყველას, ჩვენი გვწამს და საერთო საქმეს საღი თვალით არ მივჩერებივართ, სტალინი კი ყველაფერს გონების თვალით ხედავდა და ხედავს... — დაამთავრა საუბარი ქეთევანმა დად ღრმად ამოიხსრა.

დღეს, მართლაც, აღტაცების დღე არის ჩემს მეხსიერებაში, აღმოვაჩინე ადამიანი, რომელსაც სტალინთან მთელი ახალგაზრდობა გაუტარებია, გმადლობთ, ღმერთო, ამ სიკეთისათვის, ყველას როდი ხვდება წილად ეს უდიდესი ბეჭნიერება.

1945 წელი, 7 ნოემბერი — (ოთხშაბათი)

დღეს ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულია, ომის დამთავრებისა და გამარჯვების შემდეგ, ხალხს კიდევ მეტად შეუყვარდა ეს დღესასწაული, რადგან ფაშიზმის დამარცხებაში გარკვეული წვლილი რევოლუციის ლიდერებს მიუძღვის... ჩვენი ჯგუფის კომკავშირულმა ორგანიზაციამ ჩაუყარა საფუძველი და დღეს საექსკურსიოდ მივდივართ გელათში. გუშინ მთელი დღე ვემზადებოდით და დღეს, დილიდანვე გავუდექით გზას გელათისაკენ.

როცა გელათის ტაძარში კრიტიკულად მოაზროვნე პატიოსანი ადამიანი შედის, იგი თრთის და ფეხს კრძალვით ადგამს ლოდს, რომლის წიაღშიაც მასზედ მეტად მოაზროვნის, იმ ტიტანის ნეშტი განისვენებს, რომლის სამყოფელი მას ღრუბლების მიღმა, სიკვდილისათვის მიუწვდომლად შორს ჰქონდა წარმოდგენილი. იფანტება ფიქრი, იმის გამო, რომ მე და მრავალი ჩემისთანა მიწაზე დადის და დავითი მიწაშია, უფრო მეტად დიადს ხდის, დავითის სიდიადეს და იმის

დგაწლმოსილებას საქართველოს წინაშე, ასე მგონია, ჩემს მიწაზე სიარულში გარკვეული დგაწლი ამ ტიტანს მიუძღვის და მართლაც, რომ ეს ასეა, საქართველოს ისტორია და-ლადებს, რომლის წაკითხვაც მშობლიურ ენაზე, ივანე მაჩაბ-ლის დაუკიწყარო დგაწლით, სამუდამოდ დავალებულებს საშუალება გვაქვს ჩვენს მშობლიურ ენაზე შევითვისოთ დავ-ითის სიბრძნე, უკვდავყოთ იმისი დგაწლი და ამავე დროს, დავტკბეთ, ქართული ენის შესაძლებლობათა ამოუწურავი სიმდიდრით, რომლის უკვდავებაც დავითის დამსახურებაც არის.

დავითი ადამიანის გონების ისეთი მწვერვალია, რომლის შემდეგაც კაცობრიობას, სიბრძნისა და სამშობლოსათვის თავდადებული ბრძოლის ვერავითარი სასწაული ვეღარ გააკვირებს.

დავცქერი ქვას, ლოდს, რომელზედაც ფეხი უნდა დავაბი-ჯო და მონასტერში შევიდე. უნებურად მახსენდება ნიუტო-ნის საფლავზე აღმართულ მარმარილოს ქვაზე წარწერა და ხმამაღლა ვამბობ: მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ისააკ ნიუ-ტონის მაგივრად, ჩემს გამოთქმაში დავით აღმაშენებელს ვასახ-ელებ: „ეს მარმარილოს ლოდი აღიარებს დავით ბაგრატიონს მომაყვდავად, მაშინ, როცა დრო, ბუნება და ზეცა მის უკვდავ-ებას ადასტურებენ“.

ჩემმა ნათქვამა სიტყვამ ალფროვანება გამოიწვია ჩემს მეგობრებში და თითოეულმა მოწიწებით დააბიჯა ლოდს ფეხი. მეც მოკრძალებით ვადგამ ფეხს და მონასტერში შევდი-ვარ, ვეცნობით საქართველოს ერთ-ერთ უძველეს კულტუ-რულ ქრისტიანობას, საქართველოს სასულიერო აკადემიისა და ქრის-ტიანული სარწმუნოების სულის ჩამდგმელ ბალავერს.

რვასაათიანი საოცრებათა ხილვით ტვინდამბიმებულები ვტოვებთ გელათის შემოგარენს.

სახლში ყველაფერი ნორმალურად მხვდება, თუკი ითქ-მის ჩემი ცხოვრების ნორმალურობაზე, მაშინ მთელ მსოფ-ლიოსაც ნორმალურად უცხოვრია. რა არის ნორმალური

ცხოვრება, გაძლე და დავწე? პო! მაშინ მეც ნორმალურად გყოფილვარ, მაგრამ რა ვქნა, როდესაც ადამიანი ვარ და ადამიანური საფიქრალი არ მაძლევს საშუალებას, არ ვიფიქრო ჩემს ხათუნაზე და ვალერის მოღალატეობრივ ქმედებაზე? ვნახოთ, რას მომცემს დრო, ვფიქრობ, ვალერის შევხვდები და საკადრისს მიუზღავ, თუ გაჭირდა, „შავ მაგიას“ მოვიშველიებ და საკუთარი თავის განადგურებასაც არ დავზოგავ, მხოლოდ აღიგავოს მიწისაგან პირის იმის სახელი.

1946 წელი 1 მაისი, (ოთხშაბათი)

ერთხელ, ალექსანდრე მაკედონელმა გადაწყვიტა, დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი დიოგენი მოენახულებია და ბრძენს გასაუბრებოდა, ბრწყინვალე ამალით მიადგა დიოგენის სამყოფელს, რომელსაც საშინლად სტულდა ფუფუნება, კასრში ცხოვრობდა და სიშიშვლეს დაგლეჯილი მოსასხამი უფარავდა. „თუ ადამიანს სურს, ბედნიერი იყოს, იგი მცირედით უნდა დაკმაყოფილდეს“ – ამბობდა იგი, როდესაც დიდი მხედართმთავარი დიოგენის სამყოფელს მიუახლოვდა, იგი, თავისი კასრის წინ წამოწოლილი, მზეზე თბებოდა, მაკედონელი დიდხანს ესაუბრა დიოგენს და ფილოსოფიური მსჯელობით მოხიბლულმა უთხრა:

– სახელოვანო ადამიანო, სათხოვარი წომ არა გაქვს რამე, მითხარი, სიამოქნებით შეგისრულებთ“.

– „ერთი სათხოვარი მაქვს, ეს შემისრულე: ჩამომეცალე, მზეს ნუ მიჩრდილავ“ – უპასუხა დიოგენმა.

ჩაფირდა სარდალი და ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქვა:

– „მე რომ მაკედონელი არ ვიყო, დიოგენად ყოფნას ვისურვებდიო“ – ვინ იცის, მაშინ რა იფიქრა დიდიბა ბერძენმა ფილოსოფოსმა, მზის სხივის დაჩრდილვა, რომელიც პირადად მას ათბობდა, თუ გაუთავებელი ომებით კაცობრიობის მზის დაჩრდილვა?

ან ვინ იცის, დიდმა მხედართმთავარმა როგორ გაიგო ბრძენის ნათქვამი, რომ დიოგენობა ისურვა?

... მე გავიმურობ ბრძნის ნათქვამს და ვალერის ვეტყვი: „ნუ მიჩრდილავ მზეს“ – დამიბრუნე ჩემი პირმშო, ჩემი ხათუ-ნა, ჩემი შვილი, ჩემი სიყვარული, ჩემი სულისა და ხორცის ნაწილი, შემიბრალე, ადამიანი არა ხარ? ვინ იცის, იქნებ შემიბრალოს, თვითონ თუ არ უნდა ჩემთან ყოფნა, წავიდეს, ღმერთო ჩემო, არ მივდევ!

დიდი ხანია, რაც დღიური არ გადამიშლია და არაფერი ჩამიწერია, რაც ახლა დავწერე, სწორედ ეს ფიქრი არ მა-ძლევს მოსვენებას და გამოსავალს დავეძებ, დღიურისათვის კი ერთი და იგივე მოსაწყენია.

გელერი უნდა ვნახო, ხათუნა უნდა მოვძებნო და შვილი დავიბრუნო, იქნებ, მართლა, მიწერია იმისი აღზრდა, როგორც დეიდა მარიამმა მითხრა, ვინ იცის, იქნებ გამართლდეს იმისი წინასწარმეტყველება?

ჰო! დეიდა მარიამის სასაფლაოზე მისასვლელი ვარ, მოსანახულებელი მაქვს სასაფლაო და ოჯახი, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, დრო არა მაქვს. ვტუშაობ და ვსწავლობ, ახლა მალე დაგამთავრებ სწავლას, აუცილებლად მოვინახულებ დეიდა მარიამის სახლ—კარს და სამუდამო სასუფეველს.

22 აპრილს უნივერსიტეტში ვიყავი, სადაც ვალერი სწავ-ლობდა, გავიცანი და დავიმეგობრე რექტორის პირადი მდი-ვანი ლალი ნუცუბიძე, რომლის მეშვეობითაც გავიგე, თუ სად გაანაწილეს ვალერი არაბული. ეს ხომ არავითარ საიდუმ-ლოს არ წარმოადგენდა და არც ლალის დაზარებია, მცირე-დი სამსახური გაეწია ჩემთვის. დავადგინე ქალაქი და ზუს-ტი მისამართი, რომლის დღიურში ჩაწერა ზედმეტად მიმაჩ-ნია. კიდევ ბევრი რამ გავიგე ვალერის მიმართ და ეს ნუთუ ყველაფერი სიმართლეა? ბოლოს და ბოლოს, იჩენს თავს იმის ავკაციობა და დამსახურებულად მიიღებს ხალხის რისხვას, მაგრამ მე მაინც მებრალება, ნუთუ მიყვარს? იმის შემდეგ, რაც მან ჩაიდინა ჩემს წინაშე, რომელ სიყვარულზე შეიძლება საუბარი?

ღმერთო, დამიფარე!

1946 წელი, 24 ივნისი, (ოთხშაბათი)

მაისის თვეში წარჩინებით ჩავაბარე საკურსო გამოცდები, დავიწყე მუშაობა სადიპლომოზე და დღეს, 23 ივნისს დავიცავი დიპლომი, ჩემთან ერთად კურსდამთავრებულებმა გადავწყვიტეთ, ბანკეტი მოგვეწყო, დავპატიუჟეთ ინსტიტუტის რექტორატი და გამოშვების საღამოს აღსანიშნავად ჩემი ბინა აირჩიეს, დავტრიალდით რამდენიმე რჩეული ახალგაზრდა და, დეიდა ქეთევანის დახმარებით, ზღაპრული მაგიდა გავაწყვეთ, დილამდის გასტანა მილოცვებმა და ლხინმა, დაუგიწყარი არის ყველასათვის ეს საღამო, ფაშიზმთან გამარჯვების სიხარულს დიპლომების მიღება და დღეიდან დამოუკიდებელ ცხოვრებაზე ზრუნვა დაემატა. მართლაც, თავბრუდამსხმელია ეს ბედინიერება, ცხოვრებაში განუმეორებელი, ახალგაზრდობის წლებთან გამოშშვიდობება, უფროს თაობასთან გვერდი—გვერდ დადგომა და მომავალი თაობის აღზრდა.

დამთავრდა ნადიმი, დილით მე და დეიდა ქეთევანმა მაგიდის ალაგება და ჭურჭლის დარეცხვა დავიწყეთ. ქეთევანი ჩემთან ერთად იზიარებს ჩემს სიხარულს და მაფიცებს, რომ ამავე ქალაქში დავრჩე განაწილებით, მაგრამ მე გული იმ ქალაქისაკენ მიმიწევს, სადაც ვალერი და ჩემი ხათუნა მეგულება, ვნახოთ, როგორ დატრიალდება ჩემი ბედი, ხუთშაბათს არის განაწილება და კატეგორიულად უნდა მოვითხოვ პროვინციაში განაწილება.

დეიდა ქეთევანი კი ჩემს ფიქრს ხვდება და მეუბნება:

— შვილო, მერი, მართალია, სიღუწჭირეში ვცხოვრობთ, შეიძლება თავიც კი შეგაწყინე „ბებერმა“ გაუთავებლად შენთან ყოფნით, მაგრამ დიდი ხნის სიცოცხლე არ დამრჩნია და ხელს ნუ მკრავ, ნუ მომიშორებ, ნუ წაშლი ამ ოჯახში შენი მშობლების ნაკვალევს, ამ ქალაქში იშოვე შესაფერი სამსახური, თორებ იცოდე, მე მოვავდები და ჩემს ცოდვას ვერ ზიდავს შენი კისერი.

— დეიდა ქეთევან, არ შეიძლება განაწილებაზე უარი ვთქვა, აბა, თვითონ წარმოიდგინე, სახელმწიფომ რამსელა ხარჯი გასწია ჩვენი აღზრდისათვის და ასე, ერთი ხელის მოსმით, როგორ ვთქვა უარი სამშობლოს სამსახურზე?

— მე წამოვალ, შვილო, და ვთხოვ თქვენს უფროსს, განა ჩემმა ქმარ-შვილმა თავი არ შესწირა საშმობლოს? ახლა მაინც ნუ მომაშორებენ შენს თავს და სულ მთლად ნუ გამიმწარებენ მოხუცებულობას. შენ დღეს, შვილო, სიმწიფის ატესტატი კი არ მიიღე, ცოდნისა და სიბრძნის დიპლომით არის აღჭურვილი შენი გონება, ამიტომ ბავშვური შეცდომა აღარ გეპარტიება და ახალგაზრდული შემართება შენი ოჯახ-ის მოთხოვნილების შესაბამისად შემოაბრუნე. მართალია, კარგ პირობებში არ ვიმყოფებით, მაგრამ უკეთესი არც სხვაგან გელოდება, თუმცა არ არსებობს ისეთი ცუდი გარემოება, რომ გონიერ ადამიანს, თავისდასასარგებლოდ არ შემოებურნებიოს ის. შენი შრომითა და სწავლით, არც აქ გქონია სხვებზე ნაკლები არაფერი და ახალი ფათერაკების საძებრად ნუ წახვალ, შვილო.

— კარგი, ქეთევან დეიდა, ხუთშაბათს წავალ და ვთხოვ ინსტიტუტის რექტორს, ამავე ქალაქში დამტოვოს. — ვიცრუე მე, რათა ჩემს გადაწყვეტილებაში ხელი არავის შეემალა.

— მეც წამოვალ, შვილო, იცოდე, ვერავითარი ძალა ვერ დააკავებს ჩემს თხოვნას, თუ ის ადამიანია, ადამიანურ თხოვნასაც გაიგებს და ადამიანის მდგომარეობაშიდაც შევა. არა-სოდეს ვყოფილვარ ფრთხილი, მეგონა, წლებთან ერთად სიფრთხილეც მომებატებოდა, მაგრამ მივხვდი, რომ, თუ დაბადებიდანვე არ გამოგყვა სიფრთხილე, ვერაფერი შეგცვლის, არაფერს არ უფრთხილდები, ასე გასინჯე, არც ჯანმრთელობას და ამიტომ დამჩემდა ალბათ შიში, მარტობის მეშინია და იმედი მაქვს ერთ-ერთ იმედს, რომელიც ღმერთმა შენი სახით მომივლინა, არ წამართმევს ის ღვთისნიერი ადამიანი, რომელსაც შენთან განშორების სადავე ხელში უჭირავს.

— მე მესმის შენი, დეიდა ქეთევან, მაგრამ არ შემიძლია, ერთი წლით მაინც არ წავიდე რაიონში სამუშაოდ, შენი არ გესმის ჩემი გულისხმევისა რადგან, მაპატიე და ჯერ კიდევ შენთვის გული მთლიანად არ გადამიშლია, ვებრძვი საკუთარ თავს და გამოვიფიტე, მეშინია, ბრძოლის უნარი არ დაგრავო, რადგან სხვის წინააღმდეგ ბრძოლა აკაუბს ადამიანს, საკუთარ თავთან ბრძოლა კი აუძლურებს, მეც დავუძლურდი, აღარ შემიძლია მეტის მოთმენა და ტანჯვის ატანა, ადამიანი მყავს სანახავი, რომელსაც ჩემთვის ბრძოლა აქვს გამოცხადებული და უბრძოლველად ვერ დავწებდები, ჩემი ბავშვობა, სიყრძე, ტანჯვა-წვალებაში გამიტარებია, სიკვდილის არ მეშინია, ბავშვობიდანვე ვბრძოლობ და ბრძოლაში ვპოულობ შვებას, სახლში დავჯდე და საკუთარ გულს ვებრძოლო, ვიცი, ჩემი გული ვერ აიტანს იმ სიმბიმეს, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს; შენ როგორ მირჩევ, დეიდა ქეთევან, ვიცხოვრო, რომ საჭმელი ვჭამო და განავლისაგან დასვრილი საცვლები ვრუცხო? დრო მოკვლა და სიბერეს დაგელოდო? — არაფერი გამოვა, დრო ძლიერია, ვიცი, დამასამარებს უდროოდ და უსახელოდ. უმჯობესია ვიცხოვრო, ჩემთვის განკუთვნილ დროში, და დროც ჩემს ჭკუაზე ვაცოცხლო, მაშინ ის სახელოვან სიცოცხლეს მომანიჭებს, უქმად არ მოკვდება ჩემთან ერთად და თუ შეუძლებელია ის, რაც უნდა გავაკეთო, მაშინ სიცოცხლე ციხე იქნება ჩემთვის.

— მე რა უფლება მაქს, შვილო, აგიკრძალო ის, რაც წლობით გიფიქრია და განზრახულის განხორციელების უამი ახლა დაგდომია, ნება შენია, შენს განათლებაში სიბრძნესაც ვხედავ და თავდადებასაც. ცხოვრება ასეა, მეც მიყვარს ბრძოლა და გამარჯვების სრწმენა თუ გაგაჩნია, გაიმარჯვებ კიდეც, მაგრამ მენანები, შვილო, შენ ხომ ჯერ გამოუცდელი ბავშვი ხარ და მეშინია, ვაი, თუ ცხოვრების სიღუხჭირეს ვერ გაუძლო, ცხოვრებასთან ბრძოლას შენ რატომ ათანასწორებ პიროვნებასთან ბრძოლასთან? კი ბატონო, ებრძოლე ცხოვრებას და გულზე ხელდაკრეფილი ნუ დაელოდები სიბერეს, შეჰქმე-

ნი ოჯახი, ქალის სავალდებულო სამსახური გაუწიე სამშობლოს და დეილის სახელით აამაღლე შენი ღირსება.

— არა, დეიდა ქეთევან, მე პიროვნებას არ ვებრძვი, პიროვნება მებრძვის მე და სწორედ იქედან იწყება ცხოვრებასთან ჩემი ბრძოლა, პიროვნება, რომელიც ცხოვრების გზაჯვარედინზე მელოდება, ცხოვრების წრეში არ მიშვებს, ამიტომ უნდა მოკვდეს ის, იმიტომ კი არა, რომ ჩემგან მართლაც სიკვდილის ღირსია, არა, მე მიპატიებია, მაგრამ მთელს ნაწილი უნდა მოაკლდეს, რათა სხვასაც არ შეუშალოს ცხოვრების წრეში შესვლა. იმედი მაქვს, ამ ბრძოლაში მე გავიმარჯვებ, რადგან მე თვითონ დავეხმარები ჩემს რწმენასა და იმედს, რომ არ ჩაკვდეს ჩემში ეს ერთადერთი ჩემი განუყრელი მეგობარი.

— შენ ისე ლაპარაკობ, მართლა ხომ არავის მოკვლა განგიზრახავს, შვილო?

— არა, დეიდა ქეთევან, სიტყვამ მოიტანა და ცხოვრებასთან ბრძოლას ვგულისხმობ, სიკდვილს კი დრო და უამი გამიზრახავს, რომელიც უმიზნოდ არ მინდა მოვკლა!...

კიდევ ბევრი ვისაუბრეთ მე და ქეთევანმა, დავრეცხეთ, დავასუფთავეთ და თავ-თავისი ადგილი მივუჩინეთ ჭურჭელს თუ საოჯახო ყოველ საგანს, შემდეგ ქეთევანი ჩემთან დარჩა დასაძინებლად, რა ჰქნას, ძნელია მარტობა.

1946 წელი, 27 ივნისი, (ზუთშაბათი)

ეს დღიური, რომელსაც სიმყუდროვეში ვაწარმოებ და არავთარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, შეიძლება შეუფასებელ განბად და ჩემი ცხოვრების სიცოცხლისუნარიანობის უტყუარ მოწმედ იქცეს, რადგან არჩეული გზისათვის არ მიღალატნია, ამაოდ არ დავშვრალვარ და ვინც გზაზე გადამღობებია, უბრძოლველად არ დავნებებულვარ, საშინელებაა, როდესაც ადამიანი შურისძიებაზე ფიქრობს, მაგრამ, არა მგონია ის ნაკლები საშინელება იყოს, როდესაც თვითონ არის შურისძიების მოლოდინში და ბრძოლის მიზანმოკლებულს თავ-

დაცვის უნარი არ გააჩნია. რა თქმა უნდა, მე მერჩივნა სიმღერით მომეკლა ლონდა, მაგრამ ბოროტება კეითლი განზრახვით არ მარცხდება, და სანდისხან იძულებული ვხდებით, ხმალი მოვიშველიოთ გამარჯვებისათვის, თუმცა მკვლელობა, როგორ კეთილადაც ჩადენილი არ უნდა იყოს ის, მაინც ბოროტება და სიბრიყეა, მაგრამ მკვლელი გენიოსი უნდა იყოს, რადგან ყველას არ შეუძლია სისხლიანი ხლების დაბანვა.

ინსტიტუტში თერთმეტ საათზე მივედი, ღდეს დიპლომებს დაგვირიგებენ და განაწილების მიმართავს მოგვცემენ. მე ადგილზე დატოვებას მი პირებენ და ყველა გაოცდა, როდესაც უარი განვაცხადე, გამანაწილებელ კომისიის წევრებთან მივედი და ვთხოვე იმ რაიონში გავენაწილებინე, სადაც ვალერი და ჩემი ხათუნა მეგულებოდა. უარი არ უთქვიათ, თუმცა გულით მირჩიეს, ადგილზე დავრჩენილიყავი და შეჩვეულ კოლექტივთან მეთანამშრომლა, მაგრამ ჩემს დაჟინებულ თხოვნას ვერაფერის მოუხერხეს და მიმართვა ჩემს მიერ შეჩეული ქალაქის მისამართით ამომიწერეს.

როდესაც ინსტიტუტში ჩემი საქმეები მოვაგვარე, ცირკში წავედი და დირექტორს განთავისუფლების განცხადება დავუწერე, სულ მთლად გადაირია, „შვილივით გაგზარდე და ახლა მიღიხარო?“ არაფრით არ მომიწერა ხელი განცხადებაზე და რადგან ინსტიტუტის დამთავრების დიპლომი და რაიონში განაწილების მიმართვა წარვუდგინე, აქვე, ათასგვარი შემომთავაზა, მაგრამ დავპირდი, ერთ წელიწადში დავბრუნდებოდი და დაჟინებული თხოვნის შედეგად, როგორც იქნა, მოაწერა ხელი განცხადებას.

სახლში საღამოს დავბრუნდი, და ფიქრს მივეცი თავი, დრო, პროვინციაში გამგზავრებამდე, კიდევ ბევრი მაქვს, ერთი თვის შემდეგ რომ წავიდე, მაინც დროზე გამოცხადება იქნება, ამიტომ, გადავწყვიტე, ხვალ დეიდა მარიამის ოჯახისა და საფლავის მოსანახულებლად წავიდე. ცოდვაში თუ არ ჩამოვლება, „შავი და თეთრი მაგია“ უნდა წამოვილო, მე დარწ-

მუნებული ვარ ამ წიგნების სასწაულმოქმედებაში და ვინ იცის, სად გამომადგება.

აი, ახლა, როგორც ყოველთვის, დეიდა ქეთევანი ჩემს გვერდით იმყოფება და ფიქრის საშუალებას არ მაძლევ მომაბეზრებელი კითხვებით:

— სად გაგანაწილეს, შვილო?

მე დავასახელე იმ პატარა ქალაქი, სადაც ორიოდე თვის შემდეგ სამსახურს დავიწყებდი, მას კმაყოფილების სახე გაებადრა.

— არ არის, შვილო, შორს ეს ქალაქი, როდესაც მომენატრები, ფეხით ჩამოვალ შენს სანახავად.

— დიდი, საქართველო, მთლიანად არ არის, ერთ თვეში შეიძლება ფეხით შემოიაროს ადამიანმა.

— „მთლიანად“ დიდია, შვილო, მხოლოდ ნაწილ—ნაწილ ვართ პატარა და რადგან ღმერთმა ინება საქართველოს „მთლიანობა“, ყოველთვის წვლილი შეიტანე მის ერთიანობაში, ღმერთსაც კი შეებრძოლე დანაწილება—დაქუცმაცებაში, თორებ შთამომალვობა დაგწყევლის.

ქალებს სალაპარაკოს რა გამოულევს, მითუმეტეს, თუ ერთიმეორეს შორდებიან, ქეთევანმაც მოხსნა თავი სიბრძნის გუდას და დარიგების კორიანტელი დააყენა. დიდხანს ვილაპარაკეთ, შემდეგ ჩემი გადაწყვეტილება გავაცნი, რომ ხვალ გაგრაში მინდა წავიდე დეიდა მარიამის სახლ—კარისა და საფლავის მოსანახულებლად, თვითონაც შევთავაზე, ჩემთან ერთად წამოსულიყო, რადგან მარტოდ მგზავრობა მეზარება, ქეთევანს უარი არ უთქვამს, ორივემ ერთად გადავწყვიტეთ დილის პირველი მატარებლით გამგზავრება და ხვალინდელი მგზავრობის თადარიგს შევუდექთ.

1946 წელი 28 ივნისი — პარასკევი

დილით ადრე ავდექით და სურსათ—სანოვაგით დატვირთულები მატარებლის სადგურისაკენ წავედით, შევიძინეთ

კუპიროვანი ვაგონის ბილეთები და ზუსტად 8 საათსა და 15 წუთზე ჩვენმა მატარებელმა დატოვა გამცილებლებით ხალხმრავალი სადგური. კარგად ვიმგზავრეთ და ჩემი დღიური-სათვის რა საჭიროა ზედმეტი ჩანაწერები, თუ როგორ გავიცანით ჩვენ კუპეში ორი ახალგაზრდა ქალი, რომელებიც მოსკოვში მიემგზავრებოდნენ. ან როგორ ვისადილეთ და ვივახშემთ?

შაბათს, დილის 5 საათზე, გაგრაში ვართ, მახარებს ნაცნობი ადგილების ნახვა და ფეხით მივუყვებით ცენტრალურ გზას დეიდა მარიამის სახლისაკენ. უხასიათოდ ვარ, გული რაღაც ცუდს მიგრძნობს, მარცხნა თვალიც ისე მითამაშებს, ლამის ბუდიდან გადმოვარდეს, დეიდა ქეთევანს არაფერს ვეუბნები და ჩუმად ვლოცულობ, რომ ღმერთმა არაფერ ხიფათს შემყაროს, ასე ჩუმად მივუახლოვდით დეიდა მარიამის სახლს და, ღმერთო ჩემო, ამას რას ვხედავ, ცეცხლის ალისაგან შერუჯული სახლის მარტო კედლებია დარჩენილი. ჩემდა უნტლიედ კივილი აღმომხდა და ჭიშკართან ჩავიკეცე, ქეთევანს აუტეხავს კივილი, მოცვენილან მეზობლები და გრძნობაზე რომ მოვედი, მეზობლის სახლში, ტახტზე ვიყავი წამოწოლილი და ჰაერს მინიავებდნენ, არ ვიცოდი, ამდენი ნაცნობი და გულშემატკივარი თუ მყავდა, თითქმის მოელი ქუჩის მოსახლეობა მოგროვილიყო და ეზოში რომ ვერ ეტეოდნენ, ზოგიერთი ღობიდან იცქირებოდა.

შემრცხვა ჩემი გულსუსტობის და წამოვედი, მეხვევიან მეზობლები, მკოცნიან, მეფერებიან და ჩემთან ერთად ტირიან. გულით ვტირი დეიდა მარიამის უბედობას, ქმარ-შვილი დაედუპა, თვითონაც მათმა დარღმა იმსხვერპლა, სახლი, ეს უზარმაზარი შენობაც დაიწვა და ასე განადგურდა ერთი ბრწყინვალე ადამიანის მოდგმა, რომელთაც რამდენიმე საუკუნის წინათ ჩაუყრიათ აქ ბალავერი.

ჩემი გასაღებით გავალე მარიამის ეზოში ჭიშკარი, ეზოში შევედი, ხანძარს მთლიანად გაენადგურებია ყველაფერი. ცაცხვის სამხრეთი მხარე ცეცხლს შეერუჯა და გამხმარიყო, მხოლოდ

ხელუხლებლად იდგა ცაცხვის ძირში მიღებული ის ხის სავარძელი, რომელშიაც დეიდა მარიამს ჩაჯდომა და ფიქრი უყვარდა, გამოვკითხე მეზობლებს თუ რამ გამოიწვია ხანძარი, თითქოს წინასწარ მოლაპარაკებულები ყოფილიყვნენ, ყველამ ელექტრო დენს დაბრალა, მაგრამ ეს სიცრუეა, მე კარგად მახსოვს სახლში შემომავალი ელექტრო დენი, იმ ბოძე ჩავჭერი საკუთარი ხელით, რომელიც ჭიშკართან არის დასობილი. ბოძთან მივდი და ელექტრო გამტარს შევხედე. ის ისევ ისეა ერთიმეორესთან დაცილებული, როგორც დავტოვე. გამორიცხულა ელექტრო დენს ხანძარი მოეხდინოს და მეზობლებს შევეკითხე, თუ როდის დაინახეს სინათლე დეიდა მარიამის სახლში?

— არასოდეს არ დაგინახავს, მხოლოდ იმ ღამეს შევამჩნიეთ მკრთალი შუქი, როდესაც ხანძარი მოხდა — მიპასუხა დეიდა მარიამის კარის მეზობელმა.

— ელექტრო დენისაგან არ არის ეს შენობა დამწვარი, ბოროტი ადამიანის ნამოქმედარია, მაგრამ ვის პქონდა ამ ბრწყინვალე ოჯახის მიმართ ესოდენ შეუბრალებელი მტრული ინტერესი? — ჩემთვის ჩავილაპარაკე, მეზობლები კი, ჩემს ნათქვამს მაინც გამოეპასუხენ და მტკიცება დამიწევს, რომ შეუძლებელია, ისეთი უგულო ადამიანი არსებობდეს, რომ დეიდა მარიამის სახლი დაეწვას.

გადავწყვიტე, თუ გინდ სიცოცხლის ფასად დამიჯდეს, მე თვითონ მოვძებნო ამ საშინელი ბოროტმოქმედების ჩამდგრი და გაჩუმება ვარჩიე, რომ მეზობლები ეჭვში არ ჩამეყენებია, ვინ იცის, შეიძლება ამ წუთში აქ არის ის მხეცი, ვინც ეს ჩაიდინა და მოჩვენებითი ცრემლით მაბრალებს თავს.

სახლს შემოვუარე, უკან მომყვება დეიდა ქეთევანი და მეზობლების უხვი ამაღა, ფანჯრებზე ისევ ისეა ჩემს მიერ ჩასმული რკინის გისოსები. რკინის კარებიც ყველა დაკეტილი აღმოჩნდა, მხოლოდ, როდესაც სახლში შესასვლელ მთავარ კარებს შევეხე, კინაღამ მეორედ ჩავიკეცე, მაგრამ ქეთევანმა და ერთმა მეზობელმა დროულად შემაშველა ხელი და საკუთარ თავსაც „გამაგრება“ შეუძახე.

კარები გატეხილი და უბრალოდ მიზურული აღმოჩნდა, ფრთხილად შევაღე და საკეტს დაკხედე, საკეტის ენა გადაღურული იყო, ეჭვგარეშეა, კარები გაეტეხათ, მაგრამ განგაში მაინც არ ამიტეხავს და პირველი სართულის სარდაფში ჩაყრილ რკინის კრამტებზე გადავიტანე მზერა. ხანძარი ღამის საათებში მომხდარა და მეზობლებს ერთი ცალი კრამიტიც კი ვერ გადაერჩინათ, მთლიანად არის განადგურებული, რამოდენიმე თაობის მიერ შექმნილი ნაოფლარი დიდება.

— მე მოვძებნი ამის ჩამდენს — ვთქვი წყნარად და იმ საგარმელში ჩავჯექი, რომელშიდაც დეიდა მარიამს უყვარდა დასვენება.

ცოტახანს დავისვენე, საკუთარ თავს შევუძახე „გამაგრება“ და ძალა მოვიკრიბე, შემდეგ მეზობლებს ვუთხარი, ვისაც სურვილი ექნებოდა, დეიდა მარიამის საფლავის სანახავად წამოსულიყვნენ და შესანდობარი შეესვათ, ბევრი გამოჩნდა მსურველი და მთელი ქუჩის მოსახლეობა დაკრძალვის დღესავით გამომყვა უკან.

საკოლმეურნეო ბაზარში გავიარეთ, უხვად ვიყიდე ზილი, ვარდების უზარმაზარი კონა, რამოდენიმე ბოთლი შამპანური და სასაფლოსაკენ წავედით; ალბათ, ჩემი ბრალიც არის, დეიდა მარიამი, საფლავი ბალახითა და ეკალბარდით დამზვდა გადაბასრული, სხვა კი ყველაფერი ისეა, როგორც დავტოვებდავემხვე დეიდა მარიამის საფლავს და ისე ვიტირე, როგორც ჩემს საკუთარ მშობლებს ვტირივარ ხოლმე, ან რა გასაკვირალია, დეიდა მარიამაც ხომ მშობლობა გამიწია და სიცოცხლე შემინარჩუნა, სიცოცხლე მაჩუქა მშობლებმაც და დეიდა მარიამმაც, მათ ხსოვნაში რომ განსხვავება წარმოვიდგინო, ღმერთი არ მაპატიებს. მთელი გულით, მთელი არსებით ვიტირე, ვერავის ამაგლიჯა ცვარიან ბალახს და მეზობლებიც ვატირე, ხმამაღლა ტიროდა დეიდა ქეთევანიც და მარიამის საფლავს ეუბნებოდა: — თუ ასე მიტირებს მერი, როგორც შენ გტირის, ახალავე მოვკვდებიო.

ცოტა თავი მეტკინა, მაგრამ ცრემლმა ისე დამამშვიდა, თითქოს დეიდა მარიამი ცოცხალი მყოლოდეს გვერდით და იმის ბრძნულ საუბარს ვისმენდე.

საკუთარი ხელით გადავთხარე ეკალბარდი და ბალახი, ხელებში სისხლი დამდის, მაგრამ არავინ არ მოვიხმარე, მხოლოდ მარტოდ მე უნდა გავწმინდო—მეთქი, გამოუცხადე მეზობლებს და ყველამ თავი უხერხუბლად იგრძნო, ასე უპატრონოდ მიტოვებული დეიდა მარიამის საფლავის გამო, რომელიც ამისი ღირსი ნამდვილად არ იყო არც ჩემგან და არც მეზობლებისაგან.

მიწა ხელით გავწმინდე, მარმარილოს ქვა და მოაჯირი საკუთარი მოსახსამით, შემდეგ დავაწყვე საფლავზე ვარდები, ავანთე ორი ცალი სანთელი და მაგიდაზე უხვად გავშალე ზოგი სახლიდანწამოლებული და ზოგიც აქ ნაყიდი პურ—მარილი. თამადად, დეიდა მარიამის კარის მეზობელი, იმიდან დაბრუნებული ხეიბარი ვართანი ავირჩიე, ისე არავინ წასულა, რომ დეიდა მარიამის შესანდობარი არ შეესვას.

ყველაფერს თავისი დრო აქვს, ტირილსაც და შესანდობარსაც, დრო მეფობს ხალხზე, დრო სიბრძნეს არ ჩამორჩება, ისინი ერთად ითვისებენ გენიალურობის ერთსა და იგივე ხელუხლებელ სივრცეს. მცირედი დრო, რომელიც ისტორიისათვის არ არსებობს, დავყავით დეიდა მარიამის სანუკვარ სასუფეველთან და სახლისაკენ წამოვედით, ვამბობ, „სახლისაკენ“, მაგრამ სადღა მაქვს სახლი, ან უბრალოდ, თავშესაფარი?

გადავწყვიტე, სასტუმროში დავდგეთ მე და დეიდა ქეთევანი, მაგრამ მეზობლები გამირისხდა და ხანუმამ შეურაცხყოფაც კი მომაყენა:

— რატომ არ კადრულობ, შვილო, ჩვენთან დადგომას, სისუფთავით და ოჯახიშვილობით, ჩვენ განაყოფს, მარიამს არაფრით არ ჩამოვრჩებით, თავი სადღა გამოვყოთ, ან როგორ გავამართლოთ შენი განზრახვა, რომ სასტუმროში დაიდო ბინა და ჩვენთან დამე არ გაათიო? — მითხრა თვალცრუემ-

ლიანმა ხანუმმა და მეც ვეღარ ვუთხარი უარი, დროებით მის სახლში დამედო ბინა.

ხანუმს მეუღლე ოშში ჰყავდა დაღუპული და იმისი ოთხი მცირეწლოვანი შვილი, სათაყვანებელ ბურჯად ედგა ახალგაზრდა ქვრივს მხარში.

მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა, ხანუმმა ცალ—ცალკე ოთახი გამოგვიყო და მე და ქეთევანს. სახელდახელოდ გაკეთებულ ვახშამზედ რამოდენიმე მეზობელსაც დაუძახეს. გვიანობამდე გასტანა ვახშამმა, განსაკუთრებით კი ხანუმის სიტყვა მომეწონა, რომელმაც ქალთა წრე ადღდეგრძელა ჩემი თამაღლებით და სიტყვა ასე დააბოლოვა:

— „ჩვენ, ქალები, ყველანი ერთი თიხისაგან ვართ გამოძერწილნი, ერთი ბედი გვაქვს და ერთი საშიშროების წინაშე გიმყოფებით, ამიტომ ერთმანეთი უნდა გვიყვარდეს, რომ ჩვენი ნეშტისაგან ვიღაც ჩვენზედ უარესი არ გამოძერწონ, თორემ კაცობრიობა აუტანელ სატანჯველში ჩავარდება, ჯერ ჩვენ ვინა ვართ და ჩვენზედ უარესი ვინდა იქნებიან? მაშინ კი დააფასებენ მამაკაცები ჩვენს ლირსებას. მე შენ მიყვარხარ, მერი, გვიყვარდეს ერთმანეთი, მართალია, შენზედ მოკუთვნებული ოთახი დაიწვა, მაგრამ ეს ოთახი, რომელშიდაც ახლა იმყოფებით, შენს მფლობელობაში გადმომიცია და თუ ღმერთი გწამს, ნუ დაგვივიწყებთ.

შეისვა მრავალი სადღეგრძელო, ცოტა გვყოფის, ავჩერჩეტდით ქალები და შემდეგ ავტირდით, ამ ტირილში, შეიძლება წამიერი იყო, ჩვენ მთელი ტკბილი მარადისობა განვიცადეთ, ვეხვეოდით ერთმანეთს და ვტიროდით, ასეთია ქალების წარმოშობა, ზოგი თავის ბედნიერებას ტირის, ზოგი უბედობას და ცრემლში ჰპოვებს სულიერ სიმშვიდეს.

წიგნი რომ დამაწერია, დღევანდელ ზეიმს „ქალთა ღრეობას“ დავარქმევდი, ასეთი ტკბილი, გემრიელი, სიხარულით, მწუხარებითა და სევდით სავსე ზეიმი არასოდეს არ განმიცდია.

შემოგვათენდა და ახლა გაგვაჩსენდა რომ ჩვენთვის მოს-ვენება იყო საჭირო.

დავიძინეთ!

გამომეღვიძა, დღეს კვირაა, დილის თერთმეტი საათი, დეიდა ქეთევანი ფეხაკრეფით დადის ოთახში, მიფრთხილდება, არ გამომეღვიძოს, მაგრამ, რომ შემამწნია მომლიმარი სახით გა-მომეღვიძა, თვითონაც გამზიარულდა და დაიძინე, შვილო, კარ-გად გამოშუშდიო, მირჩია.

მე მაინც ავდექი, ხანუმს საუზმე გაეკეთებინა და ჩემს გამოლვიძებას ელოდებოდა.

გუშინ ბევრი ლვინო დაგლიე, მაგრამ თავს კარგად ვგრძნობ და მადიანადაც ვისაუზმე, შემდეგ ქეთევანს ხელკავი გამ-ოვდევი და ზღვის სანაპიროზე წავედით სასეირნოდ, მოვი-ნახულე ყველა ის ადგილები, სადაც მე და მარიამს განმარ-ტოება გვიყვარდა, ვნახე ლოდიც, საიდანაც ზღვაში გადავვარ-დი და თავის დახრჩობა მინდოდა, გამახსენდა ხათუნა, ვისთვისაც ვიხრჩობდი თავს და დეიდა მარიამის სახე დამიდგა წინ, ვინც დახრჩობას გადამარჩინა.

ლოდზე ავბობლდი, ჩამოვჯექი და ფიქრმა გამიტაცა, „ზღვაო, მითხარი, როგორ მოვძებნო დეიდა მარიამის სახლ—კარის გადამწვავი“, – ვეკითხები ზღვას და ვეჩურჩულები საკუთარ ფიქრებს.

გუშინ დავთვერი, გადავიდალე მგზავრობითა და ნერვიუ-ლობით, დღეს კარგად ვაზროვნებ, გეგმა უნდა შევადგინო, თუ როგორ აღმოვაჩინო ესოდენ ბოროტების ჩამდენი ადამიანი. გადავწყვიტე, „შავი მაგია“ მოვიშველიო და დეიდა მარიამს შევეკითხო, თუ ვინ გადაუწვა სახლ—კარი, ვიცი, ამის განმეო-რება აღარ შემიძლია, შეიძლება მოკვდე, მაგრამ მაინც უნდა გავაკეთო, თუგინდ სიცოცხლის ფასად დამიჯდეს ჯალათის აღმოჩენა. მეორე აღამიანის თანხლება მაინც შეიძლებოდეს, მაშინ ქეთევანს წავიყვანდი და იმედი მექნებოდა, მაგრამ სუ-ლის გამოძახების დროს, მეორე აღამიანი თუ გახლავს, სული არ გამოგეცხადება, მარტო გავაკეთებ და ქეთევანს დაგუბარებ,

„თუ ვეღარ დავბრუნდი, სასაფლაოზე მეძებოს“, – მაგრამ დღეს ღრუბლიანი დღეა, ალბათ, საღამოც ასეთი იქნება და ვარსკვლავები თუ არ გამოჩნდა, ჩემი გეგმაც ჩაიფუშება.

მეორე ვარიანტიც მაქვს, თუ ამაღამ ცამ არ მოიწმინდა, ვარსკვლავები არ გამოჩნდა, ჩადუნელთან უნდა მივიღე და ვეტყვი, აწარმოოს გამოიება, თორემ ვაღიარებ ბოროტმოქმედებაში თანამონაწილედ და მსოფლიოს გავაცნობ იმის ავტობას.

გმადლობ, ზღვაო, ბრძული რჩევისათვის.

დეიდა ქეთევანს შეცივნია და მე არ მესმის იმისი მუდარა, „სახლში წავიდეთო“. ბოლოს, ხელისშეხებით გამომიყვანა ზღვის ფიქრებიდან და ნაომარივით დამძიმებული სხეულით ხელისხლჩაკიდებულები წამოვედით.

მაღაზიებში გამოვიარეთ და სურსათ–სანოვაგით დატვირთულები დავბრუნდით ხანუმის ოჯახში.

ვივახშეთ.

დამით, ხშირად გამოვლივარ გარეთ და ცას შევყურებ, ის, როგორც დღისით, ბურუსით არის შემოსილი, როდესაც დრო შუაღამეს გადაცილდა და ვარსკვლავთცვენის იმედი დამეკარგა, დავწერე იმ იმედით, რომ დილით ჩადუნელთან მივიღე და საქმის ვითარება გავაცნო.

დილის ათი საათია, გამომეღვიძა, კარგად მოსვენებული, ჯანმრთელობას არ ვუჩივი, თავს ჩინებულად ვგრძნობ.

ავდექი, ვისაუზმე და ჩემი განზრახვა ქეთევანისთვისაც არ გამიმხელია, მე და ქეთევანი, თითქოს სასეირნოდ გამოვლით და ქალაქის ერთადერთ მთავარ ქუჩას გავუჟევით. ვგრძნობ, ვიღაც მითვალთვალებს და ჩემს ნაკვალევს მოყვება, ხშირად ვიზედები უკან, მაგრამ საეჭვოს ვერავის ვხედავ, არ დავბრუნებულვარ, არც გზა ამირევია ვინმესთვის, მითუმეტეს, ვიცი, მითვალთვალებენ და პირდაპირ ქალაქის პროკურატურის განყოფილებაში მივედი.

ჩადუნელის კაბინეტის წინ დავდექი, მდივანმა ვინაობა გამომკითხა. ვუპასუხე!

ლოდინი არ დამჭირვებია, პროგურატურის მთავარმა გა-
მომძიებელმა მიმიღო, მიცნო, მოწიწებით ჩამომართვა ხელი,
ზედ მეამბორა, ჯანმრთელობის შესახებ გამომკითხა და სა-
ვარძელზე მიმითითა.

წამიერი სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ჩადუნელს ჩემი სახ-
ელიც არ დავიწყებია და მკითხა:

- რაზედ შეწუხებულხარ, მერი?
- სახლი, რომელიც დეიდა მარიამმა მიანდერმა და თქენ
თავის დროზე შეურაცხყოფაც კი მომაყენეთ ანდერძის უფრა-
დღებობისათვის, დამიწვეს და მაინტერესებს, თქვენ თუ იცით
რაიმე ამ ამბის შესახებ, ან რა ზომებია გატარებული პროგუ-
რატურის მიერ?

– კი, ვიცი, დეიდა მარიამის სახლი, აპრილის შუა რიცხ-
ვებში დაიწვა, ჩვენ იქ გავაგზავნეთ გამოცდილი თანამშრომ-
ლები და ექსპერტიზის ცნობაც აქა გვაქვს, რომ ხანდარი
ელექტრო დენმა გააჩინა, ჩვენ ეს სახლი აღრიცხვაზე გვაქვს,
როგორც უბედური შემთხვევის შედეგად დამწვარი და დახ-
მარჯისათვის, დაზღვევის გარდა, სხვა თანხებიც არის გამოყ-
ოფილი.

– თქენ თუ შეამოწმეთ პირადად ხანძრის წარმოშობის
პერა?

– არა! ხომ გითხარით, იქ ჩვენს საუკეთესო სპეციალ-
ისტები გავაგზავნეთ და ერთმანეთის სიტყვას ვენდობით, ესეც
რომ არ იყოს, ხელთა გვაქვს ექსპერტიზის დასკვნა.

– სტყუის, ბატონო, თქვენი „საუკეთესო სპეციალისტე-
ბი“ და თქვენი „ექსპერტიზა“.

– რატომ კადრულობთ, შეურაცხყოთ ჩვენი ორგანოს
თანამშრომლები? კითხვითვე მიპასუხა ჩადუნელმა.

– იმიტომ, რომ მე თვითონ ჩავჭერი ბოძე სახლში
შემომავალი ელექტრო დენი, ფანჯრებს გავუკეთე რკინის
გისოსები და ჩამოვკიდე რკინის კარებები, ჩემს მიერ და-
კეტილი ყველა კარებები ხელუხლებელი აღმოჩნდა, სათა-
ვოს კარებიც კი, მხოლოდ სახლში შესასვლელი ცენ-

ტრალური კარები დამიხვდა ღიად, რომელსაც გადაღვერილი აქვს გასაღების ენა და ეს უტყუარი ფაქტია კარების გატეხვისა. ასე, რომ ელექტრო დენით ხანძრის გამოწვევა გამორიცხულია!

— ძდა! ეს საინტერესოა, თქვენ გამომძიებლის ნიჭით ყოფილხართ დაჯილდოებული, წავიდეთ, მე თვითონ შევამოწმებ ყოველივეს და ავლძრავ სისხლის სამართლის საქმეს — თქვა ჩადუნელმა და ზეზე წამოდგა. რა თქმა უნდა მეც ავდექი და ღეიდა მარიამის ნასახლარისაკენ წავედით. ვაჩვენებობზე ჩაჭრილი ელექტრო დენის გამტარი, სახლის ყველა კარები ჩაკეტილი და ღიად დატოვებული სახლში შესასვლელი საკეტით და ენაგაღუნული კარები.

მართლაც, განცვიფრებაში მოვიდა ჩადუნელი თავისი თანამშრომლების უყურადებობით და აღმითქვა: რამდენიმე დღეში ჩემთან ყურით მოიყვანდა ბოროტმოქმედს.

დამშვიდებული გავედი ხანუმის სახლში და ჩემთვის განკუთვნილ ოთახში შევედი, ხანუმი სახლში არ არის, „ალბად მაღაზიაში ან ბაზარში წავიდა“ — გავიფიქრე და მის მოლოდინში მე და ქეთევანმა საუბარი დავიწყეთ:

— შვილო — მეუბნება ქეთევანი — ვხედავ, მართლაც, ძლიერ გყვარებია მარიამი, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, თავი დაგენებებია ამ ძიებისათვის?

— რომელი ძიებისათვის, დეიდა ქეთევან? — გავიკვირვე.

— რომელი და რომელსაც საძირეში მიყვები, დაამტკიცეს, „ხანძარი ელექტრო დენმა წარმოშვაო“ და შენ რაღა გინდა, თუ ეს მართლა ბოროტმოქმედის ჩადენილია, შენ როგორ გგონია, შენი თავიდან მოცილება გაუჭირდებათ?

— ვერ გამიგია, დეიდა ქეთევან, მე მითროთხილდებით, თუ სიმართლეს ემაღებით?

— შენ გიფრთხილდები, შვილო, რაღაც ცუდს მიგრძნობს გული და მკვლელის ხელში არ აღმოჩნდე, თორემ არ დაგინდობენ, შენს ცუდ ამბავს ვერ ავიტან და კიდე ორი ოჯახი გაცივდება.

— ნუ დარღობ, მე სიკვდილი არ მექარება, განა პირველად მივჩერებივარ მას თვალებში? ვერაფერს ვერ დამაკლებენ, მე ჯერ შვილი უნდა აღვზარდო, ასე აქვს დეიდა მარიამს ჩემზედ ნაწინასწარმეტყველები.

— ღმერთმა ინებოს! — მითხრა ქეთევანმა და კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ჩვენს ოთახში ხანუმი შემოვიდა, გაგვიღიმა და თავაზიანად ჩაჯდა სავარჯელში, მაგარმ მიუხედავად ნაძალადევი სიმშვიდისა, აფორიაქება მაინც შევატყვე.

ხანუმი ჩვენთან საუბარში ჩაერთო, რომელიც ძირითადად დეიდა მარიამის ყოფა-ცხოვრებას ეხებოდა. ხანუმმა ქება-დიდებით მოიგონა მარიამი და ჩემთან ბოლიში მოითხოვა, საფლავის უყურადღებობისათვის, აღმითქვა, რომ ასეთი რამ არასოდეს აღარ განმეორდება, ყოველთვის დასუფთავებული და ია-ვარდებით მოფენილი იქნება იმისი წმინდა სასუფეველი. რა თქმა უნდა, მადლობა გადავუხადე ყურადღებისათვის და ტკბილად მოვიგონე ამ სანუკვარი ადამიანის ჩემდამი პატივისცემა, ატირდა ხანუმი, ავტირდით ჩვენც.

კიდევ დიდხანს ვისაუბრეთ, დამის თერთმეტი საათია, ხანუმი ვახშამის თადარიგს შეუდგა და სულ მოკლე დროში გააწყო მაგიდა სამი ადამიანისათვის.

მიგვიპატიჟა.

დროსთან შესაბამისად, მაგიდაზე უხვად არის საჭმელ-სანოვაგე, გრაფინით წვენები და დოქით ღვინო, ჩვენც თავ-პატიჟი არ დაგვიწყია და მაგიდას მივუჯექით, ვივაზშეთ, ხანუმმა საკუთარი ხელით აგვივსო ჭიქები ალისფერი ღვინით, დეიდა მარიამის შესანდობარი თქვა და სასმისი პირველ-მა დაცალა, მეც ავიღე ჭიქა, შესანდობარი ვთქვი, მაგრამ ეს რა უნდა იყოს? ჭიქის ფსკერზე თეთრი ნალექი შევამჩნიე, — თუ პრკე არის, ღვინოს თავზე უნდა ჰქონდეს მოყენებული, თუ არა და რა უნდა იყოს ეს? — გავიფიქრე ჩემთვის და ჭიქა ისევ-ისე მაგიდაზე დავდგი, პურს გადავწვდი, რომ პურის

ნატეხი ღვინოში დამესველებინა, ქრისტიანული ზნე-ჩვეულების მიხედვით, მიცვალებულის სულის მოსაგონებლად, ვთომ შემთხვევით, ღვინით სავსე ჭიქას მკლავი გავკარი და წავაქციე, იმ წამსვე ზეზე ავდექი, ბოდიში მოვითხოვე, ტილო მოვიტანე და მაგიდა გავასუფთავე. აღარ დავმჯდარვარ, კიდევ ერთხელ მოვიხადე ბოდიში ხანუმის წინაშე და დასაძინებლად გამოვედი ჩემს ოთახში, ქეთევანიც გამომყვა, დავწექი თუ არა, უდარდელი ადამიანივით მყისვე ჩამეძინა.

მამლის ყივილმა გამომაღვიძა, ალბათ, სამი საათია, ვნახე საათი და მართლაც თხუთმეტი წუთი აკლია სამს, კიდევ სამი საათი და გათენდება, მინდა დავიძინო, მაგრამ აღარ მეძინება, დათვლა დავიწყე, ასე ვიცი ხოლმე, როდესაც ძილი გამიტყდება, ასამდის რომ დავთვლი, აუცილებლად დამეძინება, მაგრამ ორმოცდათიც არ მაქს დათვლილი, კარების სახელურმა დაიწია, ცუდის მოლოდინში საბანი გადავიძვრე და ნახტომისათვის მოვემზადე, ოთახში სინათლე ჩაირთო და შავი მოჩვენება შემოვიდა, მას ტანსაცმელი შავი ეცვა, ნიღაბიც შავი ჰქონდა, ხელთათმანებიც, ცალ ხელში ფეხზე შეყენებული ნაგანი ეჭირა, რომლის მორგვიდანაც შემზარავად იცქირებოდა შვიდი ტყვია, მეორეში კი ალისფერი ღვინით სავსე ჭიქა.

მოჩვენებამ როდესაც დამინახა, არ მეძინა, წყნარად, მაგრამ ძალად გაბოზებული, აკანკალებული ხმით მითხრა, ავმდგარიყავი / – ეს მამაკაცის ხმა არ უნდა იყოს – გავიფიქრე და იმის ბრძანებას დავემორჩილე, მოჩვენებამ ღვინით სავსე ჭიქა მაგიდაზე დადგა, თვითონ უკან დაიწია, ნაგანის ლულა გამისწორა და მიბრძანა, ღვინო დამელია.

– ეს მკვლელი არ უნდა იყოს – გავიფიქრე მე, თრთის, ხმა უკანკალებს, ახლა უფრო ემჩნევა, რომ ქალია, უნდა გაითამაშოს მამაკაცის როლი, მაგრამ არ გამოუდის, ნაგანი ახლა ორივე ხელით უჭირავს და ისე ქანაობს იმისი ლულა, დარწმუნებული ვარ, ტყვიას ვერ მომახვედრებს და კინაღამ გამეცინა, ამ „ძალით მკვლელის“ საქციელზე.

მე მაინც დავემორჩილე იმის ბრძანებას და ღვინით საუსე ჭიქა ხელში ავიღე, ამ დროს ქეთევანის ხმა გავიგონე – „არ დაილიო“ – მოჩვენებამ ნაგანის ლულა ქეთევანისაკენ შემო-აბრუნა და რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ იმისი მოძრაობა ჩემთვის საკმარისი აღმოჩნდა, ჰერში სალტა მოვხაზე და ორივე ფეხი ისე ძლიერად დავარტყი მოჩვენებას მკერდში, რომ ჯერ კედელს მიენარცხა; შემდგა გულშეწუხებული იატაკზე გაითხლაშა, მყისვე მივვარდი, ხელები ჩემივე თავსაფრით უკან გავუკარი, ქეთევანიც ადგა ჩემს მოსახმარებლად, თუმცა მოჩვენებას წინააღმდეგობა არ გაუწევია და ქეთევანის მოხ-მარება იმის ასაღებად და საგარძლებში ჩასადებად დამჭირდა. მოჩვენება სავარძელში ჩავსვით და ქეთევანს ვუთხარი, წყალი შემოეტანა გრძნობაზე მოსაყვანად, მე კი ნიღაბი ჩამოვხსენი გულშეწუხებულ მოჩვენებას. სახეში წყალი შევასხი და ჭა-ში მოვულაწუნე, თვალები გააზილა, შეკრთა!

– ეს შენა ხარ, ხანუმ? – გაკვირვება ვერ დავფარე და მართლა ალალი გულით შევეკითხე. მე ხანუმი გამტერებუ-ლი მოჩერებია, არაფერს ამბობს, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა, რაც მოხდა.

ვადროვე.

ტირილი დაიწყო.

მე ნაგანი ავიღე, ფრთხილად დავუშვი სასხლეტი და მაგიდაზე დავდევი, ხანუმის ტირილისათვის ხელი არ შემიშ-ლია, ტანსაცმლის ჩაცმა დავიწყე, როდესაც შევამჩნიე, ხანუმი ცრემლმა საგრძნობლად დააწყნარა, შევეკითხე:

– ხანუმ, შენ მკვლელი არა ხარ, ვინ აგიძულა, მოგეკალი?

ხანუმი გაჩუმებული არაფერს არ ამბობს და მე იძულე-ბული გავხდი, კითხვა გამემორებია:

– ხანუმ, მე შენ მიყვარხარ, ჩემთვის თავშესაფარი მოგი-ცია და შენთან პური მიჭამია, გულახდილად მომიყევი ყვე-ლაფერს და სიტყვას გაძლევ, ყველაფერს გაპატიებ, თუ არა ახლავე შევატყობინებ ჩადუნელს და პროკურატურა ძალით გათქმევინებს, იცოდე, კანონმა შებრალება არ იცის, შენ კან-

ტორაში გიქრავენ თავს და შენს შვილებს საბავშვო სახლში, რომლებიც ვერასოდეს ვერ მოიცილებენ შენს მიერ მოცხებულ სირცხვილს და შენ თვითონ წარმოიდგინე, რა მოხდება შეძლებ.

ხანუმმა ისევ ტირილი დაიწყო და ამოისლოკინა:

- ნუ დამღუპავ, შემიბრალე!
- გეფიცები დეიდა მარიამის სულს, დაგიფარავ თუ გულახდილად მომიყვები ყოველივეს, მითხარი, ვინ მოგაგზავნა ჩემს მოსაკლავად?
- ალიოშა არძინბამ!
- რისთვის?
- „შენ როდესაც მარიამის სახლის დაწვის ძიება დაიწყე და სწორ კვალს დაადექი, შეგვეშინდა!
- რატომ დაწვით სახლი?
- გავძარცვეთ და ძარცვის კვალი რომ დაგვეფარა, ცეცხლი მოუკიდა, ბევრი ვეხვეწე მაგრამ არ დამიჯერა, არც გაძარცვა არ მინდოდა მარიამის სახლის, მაგრამ შემომიჩნდა და შემაცდინა!

- ვინ არის ეს ალიოშა არძინბა, შენი საყვარელია?

ხანუმი გაჩუმდა, თითქოს ვერ გაიგონა ჩემი შეკითხვა და იძულებული გავხდი, გამემორებინა კითხვა ცოტა მკაცრად.

- ქალი ხარ და გამიგებ, – მიჰასუხა მან – ის პროკურატურაში მუშაობს, რიგითი გამომმიებელია, შემომიჩნდა და რაღაც ერთჯერ წამოვეგე ან კესზე, თავის დახსნა ვეღარ შევძელი, ბრძა იარაღად მიყენებს. პირველად მიჭირდა და სპეცულაციაზე დავეთანხმე, ქალი ხარ, გამიგებ, შენთვის ოდესმე შვილს პური მოუთხოვია? თავის სიკვდილს გადაწყვიტავ, რომ იმის თხოვნა ვერ დააკმაყოფილო, მეც ბევრჯერ გადამიწყვეტია, თავი მომეკლა, მაგრამ, წარმოვიდგინე, ბავშვები მოლად უპატრონოდ დარჩებოდნენ...

ის ლაპარაკობდა, მე აღარ მესმოდა იმისი საუბარი, თვალწინ ჩემი ხათუნა წარმომიდგა, ხელგამოწვდილი პურს მთხოვდა, გული სევდით ამევსო და თვალები ცრემლით, ქეთევანს

ვუთხარი, ხელები გაეხსნა ხანუმისათვის, ორივემ გაკვირვებით შემომხედა, მაგრამ თხოვნა მაინც შემისრულეს. ხანუმი, როგორც იჯდა სავარძელში, არ განძრეულა, თხრობა გააგრძელა:

— დეიდა მარიამის სახლი როგორ უნდა გამეძარცვა და დამეწვა, მაგის ეზოში ვარ გაზრდილი, მარიამის ძუძუ მიწოვია, არამი იყოს ჩემზედ იმისი ამაგი.

ლაპარაკობდა ხანუმი და ცრემლები ღაპა—ღუპით ჩამოუდიოდა და სავსე მკერდს უსველებდა, ვერცერთი მამაკაცი ვერ გაუძლებდა იმისი ცრემლის სევდას, მაგრამ მე ქალი ვარ და ბრწყინვალედ ვიცი, ქალის ცრემლის გავლენა, ამიტომ არ ვაწყნარებ, იტიროს და ცრემლით მაინც მოინანიოს ჩადენილი ცოდვა.

— გიყვარს? ვიღაც არის ის ალიოშა. — ვეკითხები მე.

— მეზიზღება! — მპასუხობს ის და აგრძელებს საუბარს:

— მატყობს, რომ მეზიზღება და ვიცი, მალე მომიცილებს, გასულ წელს ერთი ჩემისთანა ისე „სუფთად“ მოიშორა, რომ იმისათვის ეჭვის თვალითაც არავის შეუხედავს. ზღვამ გამორიყა იმისი გვამი და გამოძიება თვითონ აწარმოა, ისე როგორც მარიამის სახლის ხანძარზე...

როგორ მოხდა პირველად, ეს მომიყევი და შემდეგ მოყევი დანარჩენს, რომ გული სევდისაგან გაანთავისუფლო.

— შემომიჩნდა, მიტოვებული სახლია, ამდენი წნის მაცხოვრებელს როგორ არაფერი ექნებაო, წინააღმდეგობა გავუწიე, მომკალი და მაგ საქმეს არ ჩავიდენ—მეთქი, მცემა, მაინც არ შევუშინდი, მომკალი და მაინც არა—მეთქი! — ვუთხარი.

გაბრაზდა, რა დანაშაულებიც ერთად ჩაგვიდენია, ყველა წამომძახა, თმაში ხელი წამავლო და პროკურატურაში წაყვანა დამიპირა, „შენც დაგასახელებ“—მეთქი ვუთხარი, გაუცინა „ვინ დაგიჯერებსო“ მითხრა, სახლში შემომაბრუნა, გამაშიშვლა, მცემა, შემდეგ, ძუძუზე დანა დამარტყა და სისხლი გამოწივა, მე ტკივილისაგან გრძნობა დავკარე, ის კი მხეცურ ჟინს იკლავდა.

გადაწყვიტე, თავი მომეკლა, მაგრამ განზრახვას მიმიხვდა და ტკბილი სიტყვით სცადა ჩემი დაურვება, ვიცოდი, კიდევ განმეორდებოდა მსგავსი სცენარი, ამიტომ არ მინდოდა ჩემი გადაწყვეტილებისათვის მეღალატნა. დიდი გაიძვერა ვინმეა არძინბა, ისეთ ხერხს მიმართა, რომელსაც იშვიათად მოიგონებს ადამიანი, ატირებული ბავშვები შემომიგზავნა ოთახში, მე სიშიშვლეს ვერ ვიფარავდი, ისინი მეზვეოდნენ და მკოცნიდნენ, ტიროდნენ ისინც, ვტიროდი მეც და სირცხვილით ვიწვოდი...

ბოლოს და ბოლოს, გავუხდი თანახმა, გაგვეძარცვა მარიამის სახლი, 12 აპრილს სატვირთო ავტომანქანით მომაკითხა. ავტომობილს ნომრები არ ჰქონდა, საჭესთან კი თვითონ იჯდა, კარები ძალაყინით გატეხა და დავიწყეთ ძარცვა, რაც კი შეიძლებოდა გაყიდულიყო, ყველაფერი გამოვიტანეთ, ოთხჯერ გავავსეთ ეს ამხელა ავტომობილი, ოთხჯერ წაიღო სადღაც, მე შეკითხვაც კი ვერ გავუბედე, თუ სად მიჰქონდა ეს ნივთები, როგორც ჩანს, სადღაც ახლოში ხელის დამცლელი ჰყავდა, რადგან ჩქარა ბრუნდებოდა ხოლმე.

როდესაც ყველაფერი მოვამთავრეთ – „ჭკუით იყავიო“ მითხრა და სახლში გამომისტუმრა, ფანჯრიდან მივჩერებოდი, თუ როგორ გამოიღო ავტომანქანიდან ბენზინით სავსე ბალონი და მარიამის სახლში შევიდა, მალე გამოვიდა, ავტომობილში ჩაჯდა და გაუჩინარდა, მარიამის სახლში კი ცეცხლმა იფეთქა და ნახევარ საათში ფერფლად იქცა ყოველი.

– რატომ დაჭირდა ეს, ასე გაეკეთება?

– ძარცვის კვალის დასაფარავად, ეს პირველი შემთხვევა არ იყო მისი. მრავალჯერ აქვს ეს ხერხი გამოყენებული და გაუმართლა კიდეც. მეორე დღეს თვითონ მოვიდა მარიამის სახლში, ხანძრის წარმოშობის მიზეზის დასადგენად, სახლს შემოუარა და თავს აქნევდა, თითქოს დიდად დამწუხრებული ჭირისუფალი ყოფილიყოს, იმის შემდეგ პროკურატურის ექსპერტიზა მოვიდა და როგორც ალიოშამ უკარნახა, იმათმაც ისე ჩაიწერეს...

— ჩემი მოკვლა რატომ განიზრახეთ?

— გუშინ უკან გამოგყოლია და ჩადუნელის კაბინეტში რომ შესულხარ, დაუნახავს, დიდი გაიძვერა ვინმეა, მიხვდა, შენ რომ ხანძრის საქმის გამოძიებას იწყებდი და შენი თავიდან მოცილება განიზრახა, გუშინ საღამოს, რომ შემაგვიანდა, მასთან ვიყავი, საწამლავი გამომატანა, არ ვიცი, რა სახელმწოდების არის „ჩქარა მოქმედიაო“, მითხრა და დამარიგა, თუ როგორ უნდა დამელევინებია შენთვის, თუ არ დალევდი და წინააღმდეგობას გამიწევდი, იარაღის მუქარის ქვეშ, ძალით უნდა დამელევინებინა. ამ ამბის შესახებ დანარჩენი შენც კარგად იცი, თუ რა მოხდა, სხვა იქნება არც კი გაინტერესებდეს, თუ როგორ მოვხვდი მაგის გავლენის ქვეშ, მაგრამ მე მაინც მოგიყვები:

— არა, არ მინდა, ეგ დამპალი გული მომავალ საყვარელს გადაუშალე, ახლა კი, თუ სიცოცხლე გინდა, ბავშვები უპატრონოდ არ დაგრჩეს და შენ ციხეში არ ჩაძალლდე, ისე მოიქცი, როგორც დაგარიგებ:

— ყველაფერს გავაკეთებ, როგორც დამარიგებ, მხოლოდ ერთ შეკითხვაზე გამეცი სწორი პასუხი:

— მე როგორ გამომთიშე, შენ გიპნოზს ფლობ?

— ჰო! სწორედ მიმიხვდი, მაგრამ მეც მაქვს ერთი შეკითხვა:

— შენ შეგეძლო ჩემთვის ტყვია გესროლა?

— არა! მე არავინ არ მომიკლავს და არც არასოდეს არ გამისვრია ტყვია რევოლვერიდან!

— მაშინებდი?

— ასე ვიყავი დაპროგრამებული, მხოლოდ საწამლავით უნდა მომკვდარიყავი, გამოძიებას კი თვითონ აწარმოებდა შემდეგ ალიოშა და ყველამ თავისი საქმე იცის, აღბათ, გულის სისუსტეს მიაწერდა ყველაფერს.

— გაქვს კიდევ ის საწამლავი, რომელიც არძინბამ ჩემს მოსაკლავად გამოგატანა?

— კი, მაქვს!

— მომიტანე!

ხანუმა წამოდგა და ისეთი ნელი ნაბიჯით გავიდა ოთახიდან, თითქოს არ სჯეროდა, რომ თავისუფალი გაუშვი.

თეთრი ფხვნილი შემომიტანა, დავხედე თუ არა, მაშინვე ვიცანი „კალიუმის ციანიტი“. ეს იძლენია, შავ ზღვას ეყოფა თევზების გასაწყვეტად.

ჭიქა ავიღე და ისე გავაკეთე, როგორც ერთ დროს აშბას მოედო ბოლო, შემდეგ ხანუმა გვერდით მოვისვი და დარიგება დავუწყე:

— ის შენი ალიოშა, შენთან დღეს აუცილებლად მოვა, რომ გაიგოს, თუ რა ბედი მეწვია და სამძიმარი გითხრას, რა თქმა უნდა, გაუკვირდება ცოცხალს რომ დამინახავს და შენ მკაცრად დაგიწყებს ლაპარაკს, შენ უთხარი: რომ არ შეგიძლია ასეთი რამ გააკეთო, რადგან ჯერ არაგინ მოგიკლავს და ვერ შეძლებ ადამიანის მოკვლას, ის განაწყენებული გეტყვის, რომ მაგიდა გააწყო და თვითონ დაგალევნებს საწამლავს, შენ დაეთანხმე და მაგიდა გააწყვე, მხოლოდ არ შეგეცვალოს და ეს ჭიქა მას დაუდგი წინ, შეავსე ჭიქები და დანარჩენი ჩემზე იყო.

— შენ მე აღარ გამოტქვამ?

— ბავშვები მეცოდება, თორემ შენისთანა ძუკნა დასანდობი არ არის, არ გაგთქვამ და მაგ ჭირსაც ჩამოიცილებ, მხოლოდ ჩემი სახელი არ დაივიწყო, პატიოსნებას დაუბრუნდი, უმჯობესია ბავშვებს მოშივდეს, ვინემ „ბოზის შვილი“ დაუძახოს ვინმებ.

— მე შენ ახალ სიცოცხლეს მაზიარებ და შენზე მლოცველი ვიქნები მუდამ!

— ბოზის ლოცვა რომ ღმერთმა ისმინოს, ციდან მამაკაცები ჩამოცვიდებან! — ვუთხარი და ზეზე წამოვდექი, იმის ნიშნად, რომ თვითონაც ამდგარიყო და საქმისათვის მიეხედა.

კმაყოფილი ვარ ამაღამდელი ღამით, თუმცა, ვინ იცის, დღევანდელი დღე როგორ დამთავრდება...

გათენდა...

დილა ბურუსიანია, გუშინდელივით გაუთენებელი, ასეთ ამინდში ძილია კარგი, სამუდამო კი არა, როგორც მიპირებდნენ, დროებითი, ორიოდე საათის შემდეგ რომ გამოგეღვიძება, გააზმორებ და ადგომა დაგეზარება, აი, ასეთი. ხანუმი ოთახიდან გავიდა, ვინ იცის, რას ფიქრობს, ბოზის ნდობა არ შეიძლება, მოწამლული ჭიქა ავიღე, გვერდზე შეუმჩნეველი შავი წერტილი გავუკეთე და თავის ადგილზე დავდგი...

ქეთევანი მომჩრებია და გაოგნებულია ჩემი მოქმედებით, ვატყობ, „ბავშვი ალარ ვგონივარ“, ალბათ, ასეთ რამეს თვითონაც ვერ მოიფიქრებდა, მაგარმ მაინც მისაყვედურა:

— არ უნდა გებატიებია, მასეთები ღირსია მართლმსაჯულების წინაშე აგონ პასუხი!

— ჩათრეულია, ნანობს, გამოსწორდება! — ვუპასუხე და ქეთევანს ნაძალადევად გავუდიმე.

— კარგი ჰუმანურობაა შენმა მზემ, ღმერთის განგებამ გადაგარჩინა შემთხვევით, თორემ ახლა თმის გლეჯაში ვიქნები შენს ცხედართან.

— რა ვენა, სხვაგვარად არ შემიძლია, დეიდა ქეთევან, შეიძლება ზოგიერთს დეიდა მარიამის საფლავზე დასობილი ჯვარი მიმატების ნიშანი ჰვერნია. მე კი გულს მიკლავს იმისი ნახვა კი არა, მოგონებაც კი. მართლმსაჯულებას რომ არძინბა გადავცე, ციხიდან უფრო დახვეწილი ბოროტმოქმედი დაუბრუნდება საზოგადოებას და ხალხს მეტად გაამწარებს, იმისი ადგილი იქ არის, სადაც გაგზავნას უუპირებ, თუ ღმერთმა გადმომხედა და ჩემით არ შეცვალა იმისი ბედი...

— იმ თანამოსაქმეებს რას უპირებ, ვინც ალიოშასთან თანამშრომლობდა, ისინი ხომ ძველებურად ინავარდებენ თავიანთ ჭკუაზე?

— ეგ საქმე მე არ მეხება, სახელმწიფომ მილიციის ორგანო ჩამოაყალიბა იმათ დასაჭერად!

— შენ იცი თუ არა, არძინბას სიკდვილით ხელს უშლი მართლმსაჯულებას, უზარმაზარი ბანდიტური ბანდის აღმოჩენაში?

— ხელს კი არ ვუშლი, ვეხმარები, სანამ ბანდას არძინბა ჰყავს მფარველი და ეს უკანასკნელი პროგურატურის გამომძიებელია, მათ ბანდას ვერავინ აღმოაჩენს.

— იარაღი აქა გვაქვს, დავაპატიმროთ და ჩადუნელს გადავცეთ!

— თავს დაიძვრენს, იმისი ბანდა ამ ოჯახს დღესვე განადგურებს, რომ მოწმეები მოსპონ!

— შენ ისე ამბობ, რომ გამოსავალი არ ყოფილა!

— არის ერთადერთი, ჩემს მიერ არჩეული გზა.

დღე ისევ—ისე ნისლიანია, გაუთენებელი, საათით თუ გაიგებს ადამიანი დროს, თორემ მუადლისას საღამოს მწუხრი ჩამოწოლილა და დამწუხრებულია ადამიანის გულიც.

დღის თერთმეტი საათია, ჭიშკარი გაიღო და ეზოში სამი მამაკაცი დაუკითხავად შემოვიდა, ერთ—ერთმა, რომელსაც იმ პირთან შედარებით ჩასისხლიანებული თვალები ჰქონდა და ცივი გამოხედვა, ჩემს დანახავაზე კბილები გააკრაჭუნა, „ალბად ეს არის არძინბა“, გავიფიქრე ჩემთვის და თითქოს ყურადღება არ მიძიქცევია, დეიდა ქეთევანთან საუბარი გავაგრძელე, ისე კი, ყოველ მის მოძრაობას მხედველობიდან არ გუშვებ, მკლავზე მოსახამი მაქვს გადაკიდებული და ხელში ფეხზე შემართული ნაგანი მიჭირავს. ისე, რომ იარაღს მოსახამი ფრავს და ვერავინ ვერ იფიქრებს, რომ ამ უწყინარ არსებას ტყვიის გასროლა შეუძლია, სინამდვილეში კი ხანუმასავით სრულებითაც არ ამიკანკალდება ხელი.

ვენაცვალე ღმერთის ძლიერებას, ზუსტად ჩემი ჩანაფიქრით მიმდინარეობს პროცესი.

არძინბამ ცალკე ოთახში ჩაკეტა ხანუმა და ვინ იცის, იქ რა მოითათბირეს, მხოლოდ როდესაც ეზოში გამოვიდა, ყველას გასაგონად დაიძახა:

— ხანუმ, ერთი შენებურად დატრიალდი და საუზმე გაგვიმზადე!

— ახლავე! — სამზარეულოდან გამოეპასუხა ხანუმა. სამზარეულოში შევედი და ხანუმას გადავხედე, იმანაც შემომანათა

მზერა, რომელშიდაც ამოვიკითხე: „ყველაფერი შენებურად მიმდინარეობსო“, – შემდეგ თვალით მანიშნა ჭიქა, რომელშიდაც თეთრი კრისტალები შევნიშნე, მივხვდი, ეს ჭიქა ჩემთვის იყო განკუთვნილი.

ეზოში გამოვდი, არძინბა მოუსვენრად დააბიჯებს, ხშირად ისვამს ხელს რევოლვერზედ, ეტყობა, რაღაც ცუდი აქვს ჩაფიქრებული, მაგრამ მეც გასწორებული მაქვს მასზედ ნაგანის სამიზნე.

სულ მოკლე დროში ხანუმამ მაგიდა გააწყო და ყველანი მაგიდასთან მიგვიპატიჟა, მრგვალ მაგიდას შემოვუსხედით, მე მოსასხამი მკლავიდან მოვიძვრე და ნაგანიანი ხელი მაგიდის ქვეშ დავმალე, არძინბა ჩემს პირდაპირ დაჯდა, „ეს კარგია – გავიფიქრე მე“ – როგორც ვზივარ, ასე რომ ვესროლო ტყვია, მუცელში მოხვთება“.

საუკეთესო ხორავით სავსეა მაგიდა, ღვინით სავსე ორი დოქი დგას, მაგრამ მაგიდაზე არც ერთი ჭიქა არა ჩანს და არძინბამ ხმამაღლა დაიძახა – „ქალო, ჭიქები“ – იმ წამსვე ხანუმბა ჭიქები შემოიტანა და ბოდიში მოითხოვა უყურადღებობისათვის, მაგიდას თვალი მოვავლე, ჩემს წინ თეთრ კრისტალებიან ჭიქა დგას, არძინბას წინ კი ჩემს მიერ დაღდასმული ჭიქა. „ასეც ხომ ხდება, მონადირე, კურდღელს ხაფანგს რომ დაუგებს და შიგ თვითონ ებმება?“ გავიფიქრგე, „ალბათ კურდღელია მონადირეზე მეტად ფრთხილი“.

ჭიქები საკუთარი ხელით შეაგსო არძინბამ და ზეზე წამოდგა, ალბათ, თამადობა თვითონ იკისრა აურჩევლად, ის ზეზე წამოიმართა, მეც ნაგანის ლულას შევუცვალე მიმართულება იმის მკერდისაკენ.

არძინბა ღელავს, ვერ გაუგებ, რას ლაპარაკობს, მხოლოდ ეს კი დახვეწილი ქართულით თქვა: „ეს სადღეგრძელო ყველამ დაცალოსო“ და სულმოუთქმელად გადაკრა ღვინო, მაგრამ ჭიქა ბოლომდის მანაც ვერ დაცალა, სასმისი ხელიდან გაუვარდა, ყელზე ორივე ხელი წაივლო, თვალები გადმოკარგლა და ზურგისაკენ გადავარდა. შეიქმნა წივილ–კივილი, არძ-

ინბასთან მოსულმა მეგობრებმა ხელოვნური სუნთქვა ჩაუტარეს, მაგრამ ალიოშას გვამი თანდათან ცივდება.

მე არეულობით ვისარგებლე, ნაგანის სასხლეტი შეუმჩნევლად დავუშვი, ჭიქა, რომელითაც არძინბამ დალია, შევცვალე და ჩემი ჭიქა ჩემს საძინებელ ოთახში გადავმალე. გამოვედი, ხანუმასთან ერთად ისეთი ტირილი მოვრთე, რომ არძინბას ძმაკაცებმა თვითონ დამიწყეს დამშვიდება. მოვიდა სასწრაფო დახმარების ავტომანქანა, ექიმმა მიირბინა ტახტზე დასვენებულ გვამთან, მაგრამ ხელიც არ უხლია, უკან ცივად შემოტრიალდა. თითქოს არძინბას სიკვდილში, ექიმმა დაარწმუნაო ეზოში შეგროვილიხალხი, ახლა უფრო მონდომებით მორთეს კივილი.

მოვიდა არძინბას მეუღლეც, ის არ ტიროდა, გვამს მიუახლოდა, – „ზვადაგო რა გინდოდა აქ?“ – უთხრა მიცვალებულს და წავიდა, სასწრაფო დახმარების ავტომანქანით. მოტანილ საკაცეზე დააწვინეს არძინბას გვამი და ოთხმა კაცმა ხელით წაიღეს, იმისი მეუღლის უკან.

ჩვენ გავაცილეთ მიცვალებული, შორს არ ნაცხოვრება, დავითვალე, მეთორმეტე სახლია ხანუმას სახლიდან, მიცვალებული სადარბაზო ოთახში შეიტანეს და ტახტზე დაასვენეს. ვაი ამ გულის ბრალი, ყველაფერს გულს აბრალებენ, არძინბას სიკვდილიც გულს დააბრალეს, „გულმა უღალატა“, ამტკიცებდნენ იმისი მეგობრები და ყველა იგივეს იმეორებდა.

ცოტა ხანს გავჩერდით ეზოში, როგორც შეპფერის საძინარზე მისულ ადამიანს და შემდეგ მე და ქეთევანი, ხელი-ხელ ჩაკიდებულები, ცრემლით თვალებამოწითლებული და ძალზე კმაყოფილები ხანუმას სახლისაკენ წამოვედით. ხანუმიც, ასევე როგორც ჩვენ, თვალებამოწითლებული და ძალზე კმაყოფილი დაგვიხვდა, თვალებით ველაპარაკებით ერთი-მეორეს და ყველაფერს ვებულობთ.

საძინებელ ოთახში შევედი, მოწამლული ჭიქები გამოვიტანე და ონკანთან დაკრეცხე, შემდეგ ხანუმს დავუძახე და ნაგანი მივეცი.

— სადღაც გადააგდე, ოჯახში ადამიანის მომაკვდინებელი საშუალებანი, ნეტავი, რად გინდა? — ვუთხარი მე და დარიგება ადვუწყე:

— ბიჭები გეზრდება, ოთხი ცელქი და მოუსვენარი ბავშვი, საწამლავისა და ცეცხლმსროლი იარაღის შენახვა ოჯახში როგორ შეიძლება? თუ საღმე საწამლავის ფერფლი დაგრჩენია იქ ჩაფარე, სადაც ჭიქები დავრეცხე და წყალს გაატანე, თუ არ გინდა, დიდი უბედურების მოწმე გახდე!

ხანუმმა სიტყვის შემოუბრუნებლად გამოიტანა ქაღალდში შეხვეული, საწამლავი, ავზში ჩაფარა და ონკანი მოუშვა, ნაგანი კი ტილოში შეახვია, საბარგულში შენახა და — „საღამოს ზღვაში გადავაგდებო“ მითხრა.

მე წასვლა მოვიმიზეზე და ქეთევანს იმ დროს ვუთხარი, „მოქმზადე უნდა წავიდეთ—მეთქი“, რომ ხანუმსაც გაეგონა, ხანუმი საძინებელ ოთახში შევიდა, საწოლზე დაემხო და ატირდა, მივედი, მოვეფერე და ტირილის მიზეზი გამოვკითხე, ჩემი ალერსით გათამაძა, ცრუმლიანით თვალები შემომანათა და მუდარით მითხრა:

— ნუ წახვალ ცოტახანს, ძალიან მიმძიმს მარტოდ დარჩენა, მე ხომ ჩემი ცხოვრება ადამიანთა სიყვარულში გამიტარებდა, დღეს კი კაცის მკვლელი გავხდი.

— შენ კაცს და ადამიანს ეძახი, ვისაც მძვინვარე მხეცზე მეტი ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის? არა! ისინი ადამიანის ნიღაბს ატარებენ, გულში კი ჩირქი და ბალდამი უდუღს, არ იცის კაცმა, სად და როდის გადმოანთხევენ, რომ დაწამლონ მშვიდობიანი მოსახლეობა. ასე რომ, გულთან ნუ მიიტან მაგ მკვლელობას, თუმცა, შენ რა შუაში ხარ, თავისი ხელით დაისხა ღვინო.

— მაინც მეშინია, რომ გამიგონ?

— შენი ენა არის შენი საიდუმლოს შემნახველიცა და გამუდავნებელიც, სხვის ბოქლომს შეიძლება გასაღები მოარგო და გააღო, მაგრამ სხვისი ენის გასაღები ჯერ არავის გამოუგონია, ნუ გეშინია, ბოროტმოქმედებას გაცილებით მეტი

მფარველი პყავს, ვიდრე კაცომოყვარეობას, მთავარია, დამშვიდდე და თავი ისე მოაჩვენე მოსახლეობას, თითქოს ჩიტიც არ აგფრენია.

— თუ არ მიმატოვებ, ყოველივე ზღვას გადავლახავ და დავმშვიდდები, თუ არა, არ ვიცი, შეიძლება თვითმკვლელობით დავასრულო ჩემი სიცოცხლე.

— შენი ვერაფერი გამიგია, გუშინ მკლავდი, დღეს კი უჩემოდ არსებობა არ შეგიძლია.

— სწორია, თურმე, საკმარისი ყოფილა, ადამიანს, რა-მოდენიმე საათში აეხილოს თვალები და კეთილი ბოროტი-საგან გაარჩიოს, მე შენგან მარტო სიცოცხლით კი არ ვარ დავალებული, ცხოვრებითაც, სწორედ შენმა ჰუმანურმა მოპყრობამ ამიხილა თვალები, გამერჩია ორი საგანი, თეთრი და შავი, დღეიდან, თუ ვიცხოვრებ, რა თქმა უნდა, ვიცხოვრებ პატიოსანი გზით, ეს შენი დამსახურება იქნება.

— კარგი, ათი დღე დავისვენებ ზღვაზე და შენი მანუგეშე-ბელი ვიქნები, შემდეგ წაგალ და ვეცდები, ყოველ წელიწადს მოგინახულო, მხოლოდ ერთი სათხოვარი მაქვს, ნუ მიატოვებ დეიდა მარიამის საფლავს, ხშირად მოინახულე და გაწმინდე ხოლმე.

— მე შენზედ მეტად უნდა ვზრუნავდე მაგ საკითხზე და შეხსენება არ უნდა მჭირდებოდეს, მაგრამ ყოველთვის არეულია იმ ადამიანის ცხოვრება, რომელიც სხვისი გავლენის ქვეშ იმყოფება, დღეიდან თავისუფალი ვარ, ერთჯერ მკვდარი და ცხოვრებას დაბრუნებული, მეორედ აღარ მოვკვდები, აღარაფრის აღარ მეშინია და სიტყვას გამლევ, საკუთარი ჭკუთ გავუძღვე ცხოვრებას: რაც შეეხება ჩემს აქხორცობას, ვეღარავინ გაიგონებს, საკუთარი ხელით დავიჭრი და დავისახი-ჩრებ სხეულს, მამაკაცს კი არ დაგნებდები. შენ ქალი ხარ და გამიგებ, ალერსს მიჩვეული ქალი იშვიათად იოგებს აბობო-ქრებულ ვნებას, რომელიც ადამიანის ურიცხვ ვნებათა შორის ყველაზე ნაკლებად არის ცნობილი, თუმცა არ არსებობს უფრო მძაფრი და უკეთესი ვნება, განცხომაში ჩვენი სული

ხარბად ისრუტავს იდუმალ სიტქბოს, რომლის გულისთვისაც ყველაზე ვნებიან სურვილებსა და მტკიცე ზრახვებსაც კი ვივიწყებ ხოლმე. ეს დაფარული გრძნობა მე დღეიდან ბოროტ-მოქმედებად მიმაჩნია, აბა, სხვა რა ვუწოდოთ მას, ქალს კანო-იერი მეუღლე წაართვა, ლამაზი ხარ და იმიტომ გეპატიება? ეს ხომ იმის განძია? მაშინ რაღად ვძრახავთ იმ მძარცველს, რომელიც ღონიერია, გცემს, გაწამებს და გართმევს საგან-ბურს? ასეთი ენაწყლიანი და მოაზროვნე სრულებითაც არ მეგონა ხანუმი, მაგრამ ადამიანს ერთი დანახვით რას იცნობ, შეზღუდული, მაგრამ საღად მოაზროვნე გონება, რომელიც სხვისი გავლენის ქვეშ იმყოფება, მუდამ უჩინარია, როდესაც „მონობისაგან“ თავისუფლდება, ყველა უკვირს მჭევრმეტყველება იმ გონებისა, რომელსაც არასოდეს გონივრული აზრი არ წამოცდენია. ეს არის ადამიანის სულიერი დამონება, რომელ-იც გაცილებით უარესია ფიზიკურ დამონებაზე.

მონა ყოველთვის ცდილობს ბორკილი დაამსხვრიოს და თავი დაიხსნას მონათმებლობელის ბატონობისაგან, რაღაც სულიერად არ არის დამონებული და საღად აზროვნებს, მაგრამ სულიერად დამონებული ადამიანი გონებადაზულია, იმისი ნათქვამი ბრძნული სიტყვაც კი ყოველთვის სიცილს იწვევს იმაზე, ვისი გავლენის ქვეშაც იმყოფება, ამიტომ ყოველთვის ბრძნული აზრიც კი მცდარი ჰვონია და არა-სოდეს არ ცდილობს მონობისაგან განთავისუფლებას, რად-გან დარწმუნებულია, რომ ის არასწორად მსჯელობს.

1946 წელი, 11 ივლისი, (ხუთშაბათი)

თორმეტი დღეა, რაც გაგრაში ვიმყოფები, ყოველ დღე დეიდა მარიამის სასაფლაოზე დავიარებოდი, ჩემთან ერთად დადიოდნენ ქეთევანი და ხანუმი, მოვიარე ზღვისპირეთი, ვეალ-ერსები ადრე ნახულ ყველა ადგილს, მეტ დროს ზღვაზე და დეიდა მარიამის გადამწვარ სახლ—კარმიდამოში ვატარებ, ვზი-ვარ ცაცხვის ძირას დადგმულ ხის სავარძელში, რომელში-

დაც მარიამს დასვენება უყვარდა და ვოცნებობ. ქეთევანი მუდამ ჩემს გვერდით არის, მაგრამ ვერ იქნა და ვერ გავახდევინე ზღვაზე კაბა.

— იბანავე, დეიდა ქეთევან – ვეზვეწები, მაგრამ ის გაპირვებული თვალებით მომჩერებია და მპასუხობს:

— სად ვიძნავო, გოგო, ამოდენა „ლახანკა“ ჩემს დღეში არ მინახავს და ვინ იცის, კიდევ შიგ რამდენი უწმინდური ბანაობს, მაგათ ნაბანავებში ჩავწევ მე?

— გაიხადე მაინც, მზის სხივი მოგხვდება!

— ვერც გავიხდი, ის მზის სხივი რომ მომხვდეს, რომელიც შენ მოგხვდა, ხომ მოვიწამლები? — სიცილით მუუბნება ქეთევანი და არ იხდის.

დღეს საღამოს მატარებლის საღუგრზე წავედით, ხანუმი გგაცილებს, წასვლას გაპირებთ, შევიძინეთ კუპიროვანი გაგონის ორი ბილეთი, გამოვემშვიდობეთ თვალებცრემლიან ხანუმს, აღუთქვით კიდევ მოვინახულებდით და ვაგონში შევედით.

კარგად ვიმგზავრეთ, შევეგებეთ და შემოგვეგება მშობლიური კერა, ვკოცნი მშობლების სურათს და ასე მგონია, ისინიც მკოცნიან, ხათუნას სურათი მაინც მქონდეს, რომ მშობლებთან ერთად ისიც მოვისიყვარულო.

ორი კვირის მიტოვებული სახლი მტკერს დაუფარავს, მაინც საიდან ჩნდება ფანჯრებ და კარებ დაგმანულ სახლში ამდენი მტკერი? საქმე გამიჩნდა, დავიწყე დასუფთავება და ქეთევანთან ერთად ჩავები ცხოვრების ფერხულში.

ასე გავიდა დრო პირველ აგვისტომდის, დღეს პირველი აგვისტოა, ხუთშაბათი და ქეთევანს ვეუბნები:

— სამშაბათი მთელი დღეა, უნდა წავიდე რაიონში, სადაც განაწილებული ვარ და დეიდა ქეთევან, შენც ხომ არ წამოხვიდოდი?

— მე არავის არსად არ გაუნაწილებივარ, თუ ღმერთი გწამს, დამაყენე ჩემს სახლში, თორემ შენ სადღაც დამკარგავ, ღარიბი ვარ, შვილო, ფული არ გამაჩნია, ტრანსპორტით რომ უკან დავბრუნდე, ფეხით სიარული არ შემიძლია, არც გეოგრაფია

ვიცი კარგად და სადღაც ჩავძალლდები გზაზე! – მოხდენილი სიცილით მეუბნება ქეთევანი და ჩემთან წამოსვლას სიამოვნებით დამთანხმდა.

დღდეიდან შევუდექით მგზავრობის თადარიგს, რაც არ უნდა იყოს, უცხო ქალაქში მივდივართ, სადაც კეთილ—ნათესავი არ გაგვაჩნია და მეტი სიფრთხილე გვმართებს. მართალია, გაგრაც უცხო იყო ჩვენთვის, მაგრამ იქ დეიდა მარიამის საფლავი გველოდებოდა, რომელიც ას ცუდ ცოცხალ ნათესავს ჯობდა, მარიამის დამსახურება იყო, მთელი ქუჩის მოსახლეობა უკან რომ გამომყვა და პატივი რომ ვეცი იმის საფლავს, იმიტომ შემიყვარეს მეც, იქ კი, სადღაც ჩიხში მიგდებული ქალაქია, ვინ მელოდება და ვის ცხელა ჩემთვის?

მატარებლის სადგურზე წავედი, ორი ბილეთი ვიყიდე ექვსი აგვისტოსათვის. ჩავაწყვე ჩემოდანში ჩემი ავლადიდების მცირე ნაწილი და მოვემზადე, მატარებელი საღამოს ათ საათზე გადის, მოსკოვის ღროით, ჩვენი ქალაქიდან. სამშაბათის საღამოც მალე მოვიდა, მე და ქეთევანი ბილეთზე ნაჩვენებ ადგილზე წამოვწექით, მართლაც, ახლოს ყოფილა ჩემს მიერ არჩეული ქალაქი, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, დილით ადგილზე ვიყავით. პირველი სასტუმრო მოვძებნე, ორი დღით ავიღე ორსაწოლიანი ოთახი და დავბინავდით. ცოტა დავისვენეთ, შესაბი მივიღეთ და შემდეგ განათლების განყოფილება ვიკითხე. მიმასწავლეს.

განათლების განყოფილების გამგე, თმაშევერცხლილი, წარმოსადეგი მამაკაცი ფართო საწერ მაგიდას მიჯდომოდა და გამალებით რაღაცას წერდა. ჩემს შესვლაზე არც შემოუხდავს და არც წერა შეუწყვეტია, „მობრძანდი, დაბრძანდიო“ – თქვა და მარცხენა ხელი სავარძელისაკენ გაიშვირა.

ჩავჯექი სავარძელში და დაველოდე, როდის განთავისუფლდებოდა, დიდი ხნის ლოდინი არ დამჭირვებია, როგორც ჩანს რაღაც აზრი ჰქონდა დასამთავრებელი, დაწერა თუ არა, გაკვირვებით შემომხედა:

- რა გნებავს, ახალგაზრდა? — თავაზიანად შემეკითხა ის.
- თქვენთან ვარ გამოგზავნილი, ბატონი! — მივუგე და მაგიდაზე დავუდევი საგზური დიპლომთან ერთად.
- იფ! — გაეღიმა გამგეს, — მე კი მერვე კლასის მოსწავლე მეგონე და მაპატიე უყურადღებობა!
- წამოდგა, ხელი გამომიწოდა — არჩილი!
- მერი! — ვუთხარი და მეზობლის ბავშვივით მაგიდის კუთხეში ავიტუზე.

საბუთებს კითხულობდა და კმაყოფილებით იღიმებოდა არჩილი, ბოლოს შემომხედა, თითქოს ახლა შემამჩნიაო, გაკვირვებით მითხრა:

— ფეხზე რატომ დგახარ? დაბრძანდით! ნეტავი იცოდეთ, როგორ მოველოდი თქვენს მოსვლას, ახალგაზრდები ამთავრებენ ინსტიტუტს და ჩვენს ქალაქში არ კადრულობენ გამონაწილებას, თითქოს ეს ქალაქი, საქართველოს ნაწილი არ იყოს, თქვენ მეშვიდე საშუალო სკოლაში წახვალთ მასწავლებლად, საათები ბევრი გექნებათ, მთელი დატვირთვით უნდა იმუშაოთ, რა ვქნა, სპეციალისტების უკმარისობას განვიცდით. ცოტახანს ყველამ უნდა გავიჭირვოთ, ამ ქალაქში კარგ პირობებს შეგიქმით საცხოვრებლად.

- გმადლობთ, ბატონი!
- მაგ ბატონოს მოეშვი, თუ ღმერთი გწამს, არჩილი დამიძახე, ნაცნობი გყავს ვინმე ამ ქალაქში?
- არა!
- მარტოდ მოხვედით?
- არა, დეიდა ქეთევანი მახლავს, ჩემი მეზობელია.
- მშობლები არა გყავთ?
- არა, ჩემი მშობლები ექიმები იყვნენ, ომში ორივე ერთად დაიღუპა!

არჩილმა კბილები გააკრაჭუნა და თვალთაგან მოწყვეტილი ცრემლი ჩემს დიპლომს დაეცა. ჩაფიქრდა, თავი ზევით არ აუწევია, ალბათ, თავისი ცრემლის შერცხვა და ისევ შემეკითხა ცრემლიანი ხმით:

- სად დაიღუპენ?
- პოლოცკში! — ხმის კანკალით ვუპასუხე.
- ის შენი დეიდა ქეთევანი სად არის ახლა?
- გარეთ მელოდება!

დაუძახე, დაუძახე, ახლავე აქ მოვიდეს, არა გრცხვენია თანხმლები გარეთ დატოვე? — მითხრა, ზეზე წამოიმართა, კუთხეში მიყუდებული ყავარჯნები მოიშველია და დეიდა ქეთევანს კარებთან შეეგება, შარვლის მარჯვენა თათი თითქმის საჯდომთან ჰქონდა შეკეცილი და ქამარში ჩატანებული, თვალწინ წარმომიდგა ჩემი მშობლები, თავი ვეღარ შევიმაგრე და ავტირდი, ატირდა დეიდა ქეთევანიც. ატირდა არჩილიც. ვტიროდით სამივე და ერთმანეთს არ ვამშვიდებდით, თითოეულ ჩვენგანს თავისი სატირალი ჰქონდა.

— მე შენმა მამამ გამიკეთა ოპერაცია, სიკვდილისაგან მიხსნა, თუმცა რაღაა ჩემი სიცოცხლე, ნახევარი კაცი ვარ კიდევ დარჩენილი! — შემომესმა არჩილის აკანკალებული ხმა, გულის ჯიბიდან ტყავის „პორტმანი“ ამოილო, ერთ—ერთი სურათი ამოარჩია და ხელის კანკალით გამომიწოდა:

- ეს არის ხომ? — შემეკითხა.

სურათი პატარა იყო, ჩემი მამა ფეხზე იდგა — დედასთან ერთად, მათ წინ კი ყავარჯნებიანი ავადმყოფები იყვნენ დამჯდარნი, ჩემი მშობლები დავინახე თუ არა, ცუდად შევიქნი და ნელ—ნელა ჩავიკეცე.

— უი! — უკივლია ქეთევანს, მე რომ ცუდად დაუნახივარ და იმას ჩემთვის მოუსწრია წაქცევა.

უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილა არჩილი, — „მიშველეთო“, უყვირია და ყავარჯნები გადაუყრია, შემოვარდნილა მდივანი ქალი, ლილი, და როგორც იქნა, არჩილის დახმარებით, მოუსულიერებივართ. როდესაც მე და ქეთევანი სავარძელში ჩავჯექით, ლილიმ გვისაყველურა:

— რა მოგივიდათ, გოგოებო, რას შემიშინეთ ეს ხეიბარი კაცი, კაბინეტში რომ შემოვედი, გამწარებული ცალ ფეხზე ისე დახტოდა, ქურციკი მეგონა... — ამას კი აღარ მოველოდი

და გამეცინა, ოთხივე ვიცინოდით, როდესაც დავწყნარდით, არჩილი შემეკითხა:

- როგორ თქვი? აქ ნაცნობი არავინ მყავსო?
- დიახ, ბატონო – ვუპასუხე.
- ისევ „ბატონო“, როგორ, მე ნაცნობი არა ვარ?
- თქვენ აქ არ გელოდით, ეს ჩვენი მოულოდნელი შეხვედრა იყო...
- ძალიანაც კარგი, ახლა ჩემთან წამოხვალთ, ნამგზავრები იქნებით, დღეს დავისვენოთ და ხვალიდან შეუდგეთ საქმეს, სექტემბრიდან კი... დიდ საქმეს!
- გმადლობთ, ბატონო არჩილ, ჩვენ სასტუმროში ავიღეთ უკვე ოთახი.

– არავითარი სასტუმრო, ახლავე აქ მოიტანეთ თქვენი ბარგი-ბარხანა და ჩემთან წამოხვალთ, სირცხვილით თავი სადღა გამოვყო, ჩემმა თანამშრომელმა და ჩემი გადამრჩენის შვილმა, ღამე სასტუმროში გაათიოს? ხვალ კი მიმართვას მოგცემ, ქალაქის საბჭოში მიხვალ და ბინით დაგაგმაყოფილებენ, თუ სადმე წინააღმდეგობას წააწყდე, დაუყოვნებლივ შემატყობინე!

– გამადლობთ, პატივცემულო არჩილ! მაგრამ მე დღესვე შემიძლია ქალაქის საბჭოში მივიდე, თუ თქვენი თანხმობაც იქნება!

– რა გაეწყობა, მე წინააღმდეგი არა ვარ! – მითხრა და ლილის მიუბრუნდა:

– ახლავე გაუმზადე ქალაქის საბჭოში წარსადგენი სათანადო საბუთები, ბინის ორდერის მისაღებად!

ლილი უხმოდ გავიდა, მეზობელი ოთახიდან საბეჭდი მანქანის ჩხაკუნი გავიგონე და რამოდენიმე წუთის შემდეგ არჩილს ვრცლად დაბეჭდილი თაბაზი წინ დაუდო ხელის მოსაწერად.

არჩილს არც დაუხედავს თაბაზისათვის, ხელი მოაწერა და უკან დააბრუნა ბეჭდის დასასმელად.

არჩილს ბოდიში მოვუხადე შეწუხებისათვის, მე და ქეთევანიც უკან გავყევით მდივანს.

— ქალაქის საბჭოში მე დაუურეკავ საყვარელიძეს, არ გალოდინებთ და ორდესაც განთავისუფლდეთ, აქ მოდით, გელო-დებით! — მდივანთან გამოსულმა გვითხრა არჩილმა. რა თქმა უნდა, დავბირდით და პირდაპირ ქალაქის საბჭოში წავედით. მართლაც, დაურეკავს არჩილს საქალაქო საბჭოს თავმჯ-დომარისათვის, ამ უკანასკნელს კი მდივანი გაუფრთხილებია, ჩვენი გამოჩენისთანავე მასთან მივეყვანეთ.

კარები შევაღე თუ არა, მისალმებაც არ მაცალა, ფეხზე ადგომით შემტეკითხა:

— თქვენ ბრძანდებით ქართველიშვილი?

— დიახ!

— შემობრძანდით, თავმჯდომარე გელოდებათ!

შევედი, მივესალმე და არჩილის გამოტანებული მომართვა გავუწოდე.

თავმჯდომარემ უნდობლად შემომხედა.

— ეს თქვენა ხართ ქართველიშვილი?

— დიახ, ბატონო!

— მერე, შენ რომელი მკურნალი ექიმი ხარ, ან რას ითხოვთ შენ და არჩილი ვერ გამიგია!

— მართალია, ვერ გაგიგიათ, ბატონო, მე კი არა, არჩილის მკურნალი ექიმები ჩემი მმობლები იყვნენ, ისინი ფრონტზე დაიღუპნენ, მე მასწავლებელი ვარ, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ აქ გამომანაწილეს და არჩილი შემპირდა, ბინით დამატებულებდით!

— ბიძიკო, აქ ნაცნობებით ბინასა და უმაღლესი განათლების სავარძლებს არ არიგებენ, რომელი ინსტიტუტი დაამთავრე?

— პედაგოგიური?

— დიპლომი გაქვს?

ჩანთა გავხსენი და უხმოდ გავუწოდე დიპლომი, პირა-დობის მოწმობასთან ერთად. გაკვირვებული სახით ჩაა-ცერდა პასპორტში ჩაკრულ სურათს, შემდეგ მე შემ-ომხედა.

— დალახვროს ღმერთმა, მთლად ბავშვი მეგონა, მაპატიე, შვილო და არჩილს არაფერი უთხრა, ასე უკმეხად შეხვედრის თაობაზე, სამაგიეროდ, კარგი ბინით დაგაეჭაყოფილებ, მეშვიდე საშუალო სკოლასთან ახლოს მე მგონია, პირველ ხანებში ერთოთახიანი იზოლირებული ბინა საკმარისი იქნება, შემდეგ, თუ ჩვენთან გათხოვდები, გაფართოება ჩემზე იყოს? მოსწავლეებმა სიყვარული თუ აგიხსნან, საჩივრით ჩემთან არ მოხვიდე, ეს შენი აღნაგობის ბრალი იქნება!

თავმჯდომარებ მგანცხადებას ხელი მოაწერა და კომუნალურ განყოფილებაში გამაგზავნა ორდერის მისაღებად. თავაზიანად დაგვემშვიდობები, მაღლობა გადავუხადე და პირდაპირ კომუნალურ განყოფილებაში წავედი.

— გამარჯობათ! — მივესალმე კომუნალური განყოფილების უფროსს და საყვარელიძის მიერ რეზოლუციადადებული განცხადება გავუწოდე. ახალგაზრდა ქალი თავაზიანად მომემსახურა, რამოდენიმე წუთის შემდეგ ერთოთახიანი იზოლირებული ბინის ორდერი და გასაღები, დიდი მოლოცვითა და ოვაციით გადმომცა, მაღლობა გადავუხადე და თვითონაც დიდი წარმატებები ვუსურვე ცხოვრებაში.

ამდენი სირბილითა და განცდით, ცოტა არ იყოს, დავიღალე, მაგრამ ბინის ნახვის სურვილმა არ დამაყენა და განყოფილებიდან გამოვედი თუ არა, ორდერზე დაწერილი მისამართით გავუყვევი გზას, ქალაქის ცენტრიდან ცოტა მოშორებით არის ბინა — რუსთაველის ქუჩა №4, ოთახი №5. მაგრამ, სამაგიეროდ, მეშვიდე საშუალო სკოლასთანაა ახლოს.

ოთახის კარგი გავაღე, შევდგი მარჯვენა ფეხი, დავიღოცე და დათვალიერება დავიწყე. ახალი სტილის ბინაა, ერთოთახიანი, დახურული და ღია აიგნით, იზოლირებული, მეორე სართული, წუნს ვერ დასდებ რაიმეში, მხოლოდ ეს არის, ხელშესავლებია, შესარემონტებელი.

მე და ქეთევანი იატაკზე დავჯექით, ვისაუბრეთ, დამპირდა: „ხმირად სულ შენთან ვიქნებიო“, დიღხანს კიდევ გავჩერ-

დით ახალ ბინაში და განათლების განყოფილებისაკენ წავედით არჩილის სანახავად.

არჩილი ადგილზე დაგვიხვდა და ძლიერ გაიხარა დღევან-დელი ჩვენი წარმატებები.

— პატივცემულო არჩილ! — ვუთხარი მე. — რადგან ყოველგვარი საქმე დღესვე მოვაგვარე, თქვენ დახმარებით, დროებით დაგემშვიდობებით და პირველი სექტემბრისათვის თქვენს განკარგულებაში გავჩნდები!

— პირველი სექტემბრისათვის კი არა, ოცი აგვისტოსათვის აქ უნდა იყოთ, თათბირი გვექნება, საათების განაწილებები და სხვა მრავალი თავსატეხი საქმე, ახლა კი ჩემთან წამოხვალთ, ამაღამ დაისვენეთ და დილით გაუდექით გზას...

ძალიან ვიუარე, მაგრამ ვერ შევძელი გამეწილებია, ეს კეთილი მამაჩემის ტოლი ადამიანი, რომელმაც ყავარჯინები მოირგო და წინ გაგვიძლვა.

არჩილს პატარა საკუთარი სახლი აქვს, მწვანეში ჩამჯ-დარი და ვარდ-ყვავილებით მორთული, ეტყობა, მზრუნველი ადამიანის ხელი უწევს ამ ოჯახს დიასახლისობას, მართლაც, ეზოში სანდომიანი სახისა და ბუნების ახალგაზრდა ქალი გამოგვეგება, არჩილმა გაგვაცნო, ქალმა ალერისანად დაგვკოცნა და სახლში შეგვიპატიუა.

ვახშამის მომზადებაში ნელის (ასე ეძახდნენ არჩილის მეუღლეს) მე და ქეთევანიც მოვეხმარეთ, სუფრა მალე გავაწყვეთ, გემრიელად ვიგახშმეთ და ტებილად ვისაუბრეთ, მაგრამ ძალზედ სიტყვა ძუნწი გამოდგა არჩილი, თითქოს არაფერს არ მოყვა ომის შესახებ, ჩემს მშობლებზე კი ილაპარაკა ცრემლითა და ტებილი მოგონებით, არჩილი როდესაც გაუკო-მისიავებიათ, იმის შემდეგ დაუნგრევიათ ჰოსპიტალი, სადაც ჩემი მშობლები მუშაობდნენ და არჩილმა არაფერი არ იცოდა მათი დაღუპვის შესახებ.

— თუ მიაგნებთ, პატივცემულო არჩილ, იმ ადგილს, სადაც ჩემი მშობლები მსახურობდენ? — თვალცრემლიანი შევეკითხე მას.

– როგორ არა, მაგრამ პოლოცკი ორჯერ გადავიდა ხელიდან—ხელში, იქ შეიძლება, მხოლოდ ადგილს მიაგნო, დანარჩენი არაფერია, მთელი ქალაქი ნანგრევებად არის ქცეული.

– თუ შეიძლება, მშობლების გვამი რომ მოვმებნო და ქრისტიანულად დაგასაფლავო?

– ეს შეუძლებელია, თვითონ წარმოიდგინე, ხუთიათას კვადრატულ მეტრ ფართობზე აშენებული რვა სართულიანი სახლი, რომელსაც რამოდენიმე ყუმბარა დააყარეს თვითმფრინავებიდან და მთელი შენობა ერთ უზარმაზარ ნანგრევების მთად იქცა, იქ მუშაობდა დაახლოებით ათასი ექიმი, მედიცინის და, სანიტარი, დამლაგებელი და, ვინ მოთვლის, რამდენი სამედიცინო პერსონალი, ახლა შენ თვითონ ჩაუფიქრდი, რამდენი იქნებოდა ავადმყოფი? ყველანი ერთად ძმურ საფლავში იმყოფებიან, ისტორია შეინახავს მათ ხსოვნას!

– იქ გერმანელებსაც ხომ მკურნალობდენ?

– მკურნალისათვის არ არსებობს მტერი და მოყვარე, ეროვნება და სქესი, ის ყველას ერთნაირად მკურნალობს! რა თქმა უნდა, იქ გერმანელებსაც მკურნალობდენ და პრუსიელებსაც, როგორც მოყვარეს, ასევე მტერსაც... გვერდი—გვერდ ვიწერით ყველა!

– მერე თავისიანებიც არ დაინდვეს გერმანელებმა?

– რატომ გიკვირს, რომ არ დაინდვეს, მათ ჯანსაღი მებრძოლი ჯარისკაცი ესაჭიროებოდათ, ავადმყოფსა და ხეიბარს ბრძოლის ველზედაც ჰკლავდენ!

– ჩემიანები ხომ არსად შეგზედრიან, ბატონო არჩილ? ხათრის ქვეშ შეეკითხა ქეთევანი!

– რა გვარები არიან?

– მამა—შვილი ძნელაძეები! მამას სანდრო ჰქვია, შვილს ხვიჩა.

– კი, როგორ არა, გვერდი—გვერდ ვიბრძოდით, ის ხვიჩა მაინც ვერცხლისწყალივით დაცურავდა ბრძოლის ველზე, ტყვია არ ეკარებოდა, მაშინ სმოლენსკში ვიბრძოდით და ღირსეულადაც დააჯილდოვეს ორივე მამა—შვილი დიდების ორდენით.

— კი, კი, სმოლენსკში ნამდვილად იბრძოდნენ, იქიდან წერილიც მაქვს მიღებული!

— ხომ გეუპნები, ჩემთან იბრძოდენ—მეთქი, შემდეგი წერილი საიდან მიიღეთ?

— ორშადან!

— ჰო, მართალია, სმოლენსკიდან ორშამდის სულ ბრძოლით ჩავედით, ჩვენი ტანკები ქვას ქვაზე ადუღებდა და გარბოდნენ გერმანელები, ჩვენ მივსდევდით, ალბათ სანდრო და ხვიჩა ბერლინამდის ჩაყვებოდა მტერს, მეც მათ გვერდით ვიქნებოდი, რომ არ დავჭრილიყავი, მაგრამ ბედი არ გინდა?

— ბატონო არჩილ ხომ არავიში გუცვლება, ისინი, „არტილერიაში ვართო“, იწერებოდნენ.

— მართალია, ქალბატონო, მეც არტილერიაში ვმსახურობდი, წინ ტანკები მიდიოდნენ, უკან ჩვენ მივყვებოდით, შემდეგ ფეხოსანი და ასე შემდეგ, აბა, მარტო ტანკი რას გააკეთებს?

— რად იგვიანებენ, ქვეყანა ჩამოვიდა, ისინი კი ჯერ კიდევ არ ჩანან, რაღაც კარგი არ უნდა იყოს მათ თავზე...

— როგორ გეგადრება, ქალბატონო, მე ისინი რომ ვნახე, ომი დამთავრებული იყო და ოამის შემდეგ რა მოუვიდოდათ.

— თქვენს პირს შაქარი, მაგრამ რად არ მოდიან? თვალები გამომიღამდა ლოდინით...

— ქალბატონო, თქვენ განათლებული ადამიანი ჩანხართ და რად არ გადახედავთ ქვეყანას საღი თვალით? მე რომ ფეხი არ დამეკარგა, არც მე ვიქნები ჯერ ჩამოსული, ხომ წედავთ, ქვეყანა დანგრეულია, ამშენებელი უნდა, ქვეყანას მუშახელი ესაჭიროება და აბა, ვინ გამოუშვებდა საღ—საღამათ ადამიანს სახლში?

— წერილის გამოგზავნას რაღა უშლის? — უკვე შინაურულად დაუწყო ქეთევანმა საუბარი.

— წერილის დაწერა ყველას კი არ უყვარს, ქალბატონო ქეთი, იმ შენს ქმარს და ბიჭსაც ჭირივით ეზარებოდა წერილის დაწერა, მე მეხვეწებოდენ ხოლმე, შენ წერილი დამიწერე და გერმანელს მოგიკლავო...

— მართალია, მართალი, ისინი ყოფილან! — აფოფინდა ქეთევანი, მე კი არჩილის მოგონილი ტყუილი მაკვირვებდა, რომელმაც ადამიანს ქმარ—შვილის დაბრუნების რწმენა ჩაუნერგა და, ვინ იცის, სიცოცხლის რამდენი წელი შემატა იმის იმედგადაწყვეტილ სულს.

მწამს, დღეს დეიდა მარიამიც ცოცხალი იქნება, რომ არჩილისთანა ჩამნერგავი გაჩენოდა ვინმე.

— რა კარგი საქმე გავაკეთე, აქ რომ წამოვედით, ასი წლის სიცოცხლე მომემატა, შვილო! — მითხრა დაწოლის წინ ქეთევანმა და სიხარულის ცრემლები მოიწმინდა.

დავწეჭით, ქეთევანი მთელი დამე ბორგავს, ხან იცინის, ხანაც ტირის და ხან ვიღაცას ესაუბრება.

გამთენისას გამომედვიძა.

— გაიღვიძე, გოგო, შენც გაიზიარე ჩემი სიხარული, ვნახე ისინი, ვნახე ორივე მამა—შვილი, როგორც არჩილი მომიყვა, ზუსტად ისე იბრძოლეს, გერმანელები გარბოდენ, ისინი უკან მისდევენ, დამინახეს, მოვიღენ, ვკოცნიდით და ვეზვეოდით ერთმანეთს. ღმერთო, ეს რა კარგი საღამო დამიღამე, არჩილს ცხვარი უნდა დავუკლა, ეგ არის ჩემი ღმერთი, დღეიდან მაგის სურათზე უნდა ვიღოცო!

— კი, დეიდა ქეთევან, მალე დაგიბრუნდებიან და შენთან ერთად ყველა გავიხარებთ!

— აწი, სახლიდან გარეთ აღარ გამოვალ, რომ მოვლიან და სახლში არ დავხეთე, ხომ გაგიუდებიან, როგორია მერე სანდრო, ძირში იცის ჩაკირკიმალება, სად იყავი, რატომ წახვედი. რატომ დაგვიანე და გამოვილაყებს თავს უთავბოლო კითხვებით, არა და, გოგო, იმისთანა მაინც ვიყო, ზოგიერთები რომ არიან!

„ვაიმე, გაგიუდა მგონი“ — გავიფიქრე მე, ის კი თავისას განაგრძობდა:

— ახლა ხვიჩას აღარ იკითხავ? დავრწმუნდი, ნამდვილად ჰყავს ნანახი არჩილს, მართლა ვერცხლისწყალივით დაცურავს, ენაცვალოს დედა...

კიდევ ბევრი ისაუბრა ქეთევანმა და საუბარშივე ჩაეძინა სიზმრით ნასიამოვნებს.

გათენდა.

ადრიანად ავდექით, მაგრამ ნელის საუზმის გამზადება მაინც მოუსწრია და საუზმის გარეშე არ გამოგვიშვა....

არჩილიც ჩვენთან საუზმობს, ბავშვებს ჯერ კიდევ ძინავს, ორი შვილი ჰყავს არჩილს, ქალ-ვაჟი, ნინო მეათე კლასში სწავლობს, ვაჟა მერვეში.

— პატივცემულო არჩილ, დიდი მაღლობა ესიდენ ყურა-დღებისათვის, ღდეს ჩვენ წავალთ და ოცდახუთი აგვისტო-სათვის ვიქწები აღიღილზე, თქვენს განკარგულებაში!

— კარგი იქნება, თუ უფრო ადრეც მოხვალ, მიყვარს პასუხისმგებლობა, შენ ახალგაზრდას აღზრდა უნდა იკისრო და შენგან უნდა მიიღოს ყოველგვარი მაგალითი აღსაზრდელმა, ცუდსაც შენგან იწავლის და კარგსაც, ამიტომ, პასუხისმგებელი უნდა იყო შენს ყოველგვარ ქმედებაზე. ახალგაზრდების აღზრდა სხვა არ არის რა, თუ არა მათი ადამიანად ჩამოყალიბება, ადამიანად რომ სხვა ჩამოაყალიბო, ამისათვის საჭირო და აუცილებელი პირობაა, პირადად იყო ჩამოყალიბებული ადამიანი!

— კარგი, ადამიანო, არ მოგწყიდნა ამდენი ფილოსოფია შინ და გარეთ? ადროვე სტუმრებს, საუზმე შეირგონ! — ღიმილით „შეუტია“ ნელიმ მეუღლეს.

— ღენინის ორდენი მექუთვნოდა და არ მომცეს! — წყენით თავი გადადაქნია არჩილმა.

— რისთვის გეკუთვნოდა ღენინის ორდენი! — შეეკითხა ნელი.

— შენ რომ გიძლებ! — ღიმილით უთხრა არჩილმა და ყველას გაგვეცინა.

— აბა, გერმანიასთან ბრძოლისათვის ვინ მოგცემდა გმირის წოდებას, გუშინ მთელი დღე გეხვეწე და ქათამი არ დაკალი, მეტი არ არის ჩემი მტერი, შენ კაცი არ გყავდეს მოკლული, ის კი არ ვიცი, ეს ამდენი მედალი და ორდენები რისთვის

მოგცეს, არაფერს არ დავეძებ, რაღაი სული ჩამოიტანე და ჩამოხვედი, მადლობა ღმერთს, შენ მყავდე კარგად და წყალმა წაიღოს ყველა მედალი და ორდენი, რაც მსოფლიოში მოუჭრიათ!

— რა ვიცი, ძალიან სათუთად კი ინახავ ჩემს ორდენებს?!

— ის ორდენები კი არ არის, ცხოვრების გზაა, შენი სისხლით მოპოვებული, შვილია, ფაშიზმის უღელს აცილებული, ის მე ვარ, პატიოსნება შენარჩუნებული და ამიტომ ვინახავ!

— თქვენ როგორ იტყვით, მე ვყოფილივარ ორატორი თუ ჩემი მეუღლე? — ისევ ღიმილით გადმოგვხედა არჩილმა.

ბრძნულ ხუმრობაში დამთავრდა საუზმე. დიდი მადლობა გადავუხადე ნელისა და არჩილს, ორივენი დავკოცნე და კომუნალური განყოფილებისაკენ წამოვედით.

— უფროსმა დამინახა თუ არა, სალამზე არც კი უპასუხია, კითხვა შემომაგება:

— არ მოგეწონათ?

— როგორ გეკადრებათ, რა აქვს დასაწუნი? — კითხვითვე მივუგებ.

— აბა, რამ შეგაწუხათ? რით შემიძლია გემსახუროთ?

— მე ამ ქალაქში უცხო ვარ, თუ დახმარებას, გამიწევთ, ვალში მიგულეთ, მუშა მინდა, რომელიც ჩემი სახსრებით შემიკეთებს ბინას!

— ეს ადვილი სამსახურია, თუ მიგეჩქარებათ, წაბრძანდით, გასაღები მე დამიტოვეთ და ბინა პირველი სექტემბრისათვის უმაღლეს დონეზე იქნება!

— არა, ოცი აგვისტოსათვის! ჩვენ ოციდან ვიწყებთ მუშაობას!

— კარგი, ოცი იყოს!

— თანხა?

— რომ ჩამოხვალ, შემდეგ გადაიხადეთ!

ასეთი კარგი, პატიოსანი მომსახურება ჯერ არ მსმენია და არ მინახავს, ხალხი ისეთი კეთილი, ამ ქალაქში რომ

ცხოვრობს. ადამიანთა უმეტესობა ხშირად უკმაყოფილონი არიან იმათი ქცევით, ვისაც ამა თუ იმ საქმის მოგვარებას ანდობენ, ვინაიდან შუაკაცები, თითქმის ყოველთვის უგულებელყოფენ თავიანთი მეგობრების ინტერესებს, მაგრამ ამ ხალხს არ ეტყობა მინდობილი საქმის უგულებელყოფა, ერთი დღე ვიყავი ამ ქალაქში და პატიოსანი ცხოვრების ინტერესი გამიღვივდა, აქ შეიძლება ადამიანმა სიცოცხლე შეიყვაროს.

მატარებლის სადგურზე გავედი ბილეთების შესაძენად, მაგრამ მირჩიეს, ავტობუს, გავყოლოდი და სამ საათში მშობლიურ ქალაქში ვიქწებოდი, მართლაც, აქვეა ავტოსადგური, შევიძინე ორი ბილეთი, სათავადი ადგილზე დავჯექი და სამი საათის მგზავრობის შემდეგ, მშობლიურ ქალაქში ვართ.

გამგზავრებამდის დიდი დრო აღარ დარჩა, აქედანვე უნდა შევუდევ გამგზავრებისა და ახალი ცხოვრების თადარიგს, დავიწყე ავეჯისა და ნივთების დახარისხება, რაც პირველ ხანებში ცხოვრებისათვის აუცილებლობას წარმოადგენს, ის ნივთები უნდა წავიღო, ვახარისხებ და ცალკე ვაწყობ წასაღებლებს, დანარჩენს კი ვაღაგებ და ახალ ელფერს ვაძლევ მამა—პაპურ სახლს. დეიდა ქეთევანიც მეხმარება, მირჩევს, რა წავიღო და რა დავტოვო. მე ბევრს ვაკეთებ იმისი რჩევითა და გემოვნებით.

1946 წელი, 15 აგვისტო, (ხუთშაბათი)

შეუმჩნევლად გაფრინდა ორი კვირა და დადგა ჩემი გამგზავრების ჟამი, დღეს ხუთშაბათია, თხუთმეტი აგვისტო, ცხელა, ამ თვეში საერთოდ არ ყოფილა წვიმა, ცოტა მაინც რომ გაეგრილებინა ჰაერი. გუშინ სატრანსპორტო კანტორაში ვიყავი, ავტომანქანა გამოვიწერე და მძლოლს ცალკე შევპირდი გასამრჯელოს, ისიც დამპირდა, დილის ექვს საათზე ჩემს სახლთან იქნებოდა და მართლაც, დათქმულ დროზე მოვიდა, დეიდა ქეთევანი ძალიან უარზეა, არ მოდის ჩემთან ერთად,

ეშინია, რომ ქმარ—შვილი მოვიდეს და სახლში არ დახვდეს, რას იფიქრებენ? მაგრამ, როგორც იქნა, დავიყოლიე, მხოლოდ იმ პირობით, რომ ჩემი დაბინავების შემდეგ ამავე ავტომანქანით დაბრუნდება უკან.

მძღოლიც მოგვეხმარა, ჩავიტანეთ და ძარაზე დავაწყეთ ათასი ხარახურა, რაც პირველ ხანებში აუცილებელია ჩემი ცხოვრებისათვის. დავგეტე ბინა, დავწერე ჯვარი და გასაღები დეიდა ქეთევანს ჩავაბარე.

ათუხთუხდა ომის დროინდელი ავტომობილი და ცხრა საათზე უკვე ადგილზე ვიყავით.

პირველი კომუნალური განყოფილების უფროსის კაბინეტის კარები შევაღე. ღიმილით შემომეგება და დიდი ხნის უნახავი ნათესავივით გადამკოცნა. შემდეგ მომიკითხა, როგორ გარ, როგორ ვიმგზავრე, როგორ ვცხოვრობ და სხვა.

— დღე და ღამე ვამჟავე ბიჭები, კვირას დაამთავრეს შეკეთება, იმედია, მოგეწონებათ! — მითხრა ღიმილით და გასაღები გამომიწოდა.

- რამდენი გადავიხადო! — შევეკითხე თავაზიანად.
- არაფერი, არც ერთი კაპიკი!
- ეს როგორ, ასე მე არ მინდა!

— ჩვენც ვიცით, ახლა ხარისხიან ბინებს არ აშენებენ და სახელმწიფო, სარემონტო ბიუჯეტში ჩავსვი შენი ბინა, მთავრობას უთხარი მადლობა დახმარებისათვის! მე რა შეაში ვარ? — ღიმილით მიპასუხა, მართლა სულით ლამაზმა მანდილოსანმა.

გასაღები გამოვართვი, დიდი მადლობა გადავუხადე და აი, ჩემი ბინაც. შესასვლელი კარებიც კი შეუღებავთ შინდისფრად, კარები გავაღე, ოთახში შევედი და მართლა გულს ვარდი გადამეყარა, ისე ლამაზად არის ყველაფერი გაკეთებული. ავეჯი შემოვიტანეთ და ისე დავაწყევე, რომ შემდეგ აღარ დაჭირდეს „დეკორატების“ შეცვლა, დავდგი მაგიდა და სახლიდან წამოღებული მცირედი პურ—მარილით გავაწყე, ადგილობრივ მაცხოვრებლებს აინტერესებს, თუ ვინაა მათი ახა-

ლი მეზობელი და ზოგიერთი ოთახში ფრთხილად, გაუბედავი ნაბიჯით შემოვიდა.

შამპანურის ბოთლები გავხსენი და ჭიქა პირველად მძღოლს მივაწოდე:

— კაცი ხარ, პირველად შენ დალოცე ეს ჭერი, იქნებ გისმინოს ღმერთმა! — მას თავპატიჟი არ დაუდვია, და იმსე-ლა ლოცვის კორიანტელი დააყენა, ეჭვი არ მეპარება, სა-სულიერო აკადემია თუ არა, სემინარია მაინც ექნება დამთავრე-ბული და ღმერთმა ნახევარი თუ მაინც მოუსმინა, ჩემისთანა ბედნიერი ერთიც არავინ იქნება ამ ქვეყნად. თითქმის ყველამ დალოცა ჩემი მოსვლა და კარგი მეზობლობა მისურვეს. ქეთევანმა გადაიფიქრა დღეს წასვლა, მითხრა:

— ავეჯის გაწყობაში მოგეხმარები, პირველ დამეს მარ-ტო არ გაგათუვინებ და ხვალ წავალო!

სიხარულით დავეთანხმე.

შეპირებული თანხა გადავუხადე და მძღოლი წავიდა.

ჩვენ ავეჯის გაწყობა დავიწყეთ, მეზობლებიც მოგვეხ-მარებ და მალე მოვრჩით ამ საქმეს.

ჩვენთან შემოსული მეზობლები ქალებია და როგორც მანდილოსნებს სჩვევიათ, დაიწყეს დანარჩენი მეზობლების გაცნობა, მოჰყენენ, ვინ ცუდია და ვინ კარგი, ვინ საიდუმლოს შემნახველი და ვინ სიცრუის გამავრცელებელი.

— გავიცნოთ ერთმანეთი, მე ცირა მქეია, შენი კარის მეზობელი ვარ — მეუბნება შუახნის სანდომიანი შესახედაო-ბის ქალი, რომელსაც წინა ორი კბილი აკლია და ზოგიერთ სიტყვას ენამოჩქერით ამბობს, ეს იმის საუბარს სრულები-თაც არ ამახინჯებს, პირიქით, ურო მიმზიდველსა და მოსას-მენად მეტად სასიამოვნოს ხდის:

— პირველ სართულზე რომ ცხოვრობს, ელისო, არ ენდო, მეტად ჭორიკანა ქალია — აგრძელებს საუბარს ცირა — ორი ოჯახი უკრაინელებია, ომის დროს ზურგში გადმოუგზავნიათ და შემორჩენ ჩვენს ქალაქში, კარგი ხალხია, თავისთვის ცხ-ოვრობენ ხელმოკლედ და ხანდისხან დახმარებას ვუწევთ

მეზობლები შეძლებისდაგვარად. ამ მეორე სართულზე მე ვარ მარტოდ შენი მეზობელი, თავს არ ვიქებ, დრო გაჩვენებს ავსაც და კარგ საც.

მესამე სართულზე, ერთოთახიან ბინაში, შენს პირდაპირ, მარტოხელა ქალი ცხოვრობს, ჭორიკანა და ჩხუბის თავი, მეზობლები, ყველა ვერიდებით და თავს ვუქნებვთ ყველაფერზე, იმის გვერდით ცოტა სხვანაირი გოგო ცხოვრობს, მაგრამ გინ გვეკითხება ჩვენ, მართალია, სხვადასხვა აკითხავს, მაგრამ ჩვენ არაფერს გვიშავებენ და კისერიც უტეხიათ.

მათ გვერდით კი ბრწყინვალე ოჯახი ცხოვრობს, ომიდან ახალი დაბრუნებული შვილი ჰყავთ, შრომობენ და სხვას არ შეჩერებიან ხელში.

მეოთხე სართულზე სამი ოჯახი ცხოვრობს, სამივე განათლებულია და, რად გინდა მერე მათი განათლება, ისე იძლინებიან, თითქოს მათი სადარი ქვეყნად აღარავინ იყოს, ისევ ისე, ის ვალერი არაბული ჯობია ყველას...

— ვინ? შევეკითხე ისეთი ხმით, მგონი ცოტა კიდეც შეეშინდა ცირას!

— ვალერი არაბული! — ცოლი ჰყავს, მზია ჰქვია, მაგრამ წითელი ოჩოპინტრეს განსახიერებას უფრო ჰგავს, ვინემ ქალს, ეს გარეგნულად, სულიერად კი, კიდევ მეტად მახინჯია, აუწევია ზევით ჭორფლიანი წითელი ცხვირი და ჩვენ, „მდაბიო ფენას“ გვეძახის, სალამს არ კადრულობს, რაც მართალია, მართალია. ბავშვი კი სუფთა ანგელოზის განსახიერება ჰყავთ, ლამაზი, ტიკტიკა ისეთი, ბაშვის უნახავს გაგხდის...

ცირა კიდევ ლაპარაკობდა, მაგრამ იმისი საუბარი მე აღარ მესმოდა, თვალებზე ბინდი გადამეკრა და ვგრძნობ, როგორ ვარ გაფითორებული, შამპანური დავისხი და სულმოუთქმელად დავცალე ჭიქა, ცოტა დავმშვიდდი და ახლა მივხვდი, შამპანური ცირასათვისაც უნდა მიმეწოდებინა, დასხმული ჭიქა მიუწიე, ქალებს, ყველას ვთხოვე, ღვინო დაელიათ და ნამცხვარი ჩაეტანებიათ. თხოვნა შემისრულეს და ცირას უფრო

გაეხსნა ლაპარაკის მადა, ის ისევ ისე ალაპარაკდა, გული-სყურით უსმენებ ქალები, მე კი იმისი არც ერთი სიტყვა არ მესმის, ჩემი ფიქრი და სმენა ხათუნას დასტრიალებს თავს. სახლში ვეღარ ვჩერდები, ერთი სული მაქვს, გარეთ როდის გამოვალ და „შემთხვევით“ მაინც დავინახავ ჩემს ერთადერთ შვილს, ჩემს სიცოცხლეს და ჩემს დამტირებელს.

მოუსვენრობაში გავატარე მთელი დღე, დამე ძილი არ მომკარებია, ერთ ჭერის ქვეშა ვართ მე და ჩემი შვილი, ასე ახლობლები და ასე შორს მყოფნი, არა გაქვს უფლება, ერთი მეორე ვნახოთ და თამამად მოვისყივარულოთ, რა არის დღევანდელი ჩემი ცხოვრება? ძალმომრეობა? კარგი, ასე იყოს, მაგრამ ძალმომრეობა და ფიზიკური ღონის გამოყენება ნადირთა ხვედრი მგონია...

„დამიანი „განვითარებული ცხოველია“ და სამართლიანად უნდა მოეყυრას, როგორც თავის თავს, ასევე მოყვასს. ამიტომ, უმჯობესი იქნებოდა, თავგამოდებით დავიცვათ ჩვენი მოყვასის ინტერესები და შეძლებისდაგვარად მზრუნველობა არ მოვაკლოთ მათ, რათა თითოეული მათგანი ჩახვთეს და თავი შეიკაოს სხვისი საუნჯის ხელყოფისაგან.

ჩემი თავგამოდება სწორი მგონია, რადგან ვიცავ სამართლიანობას და არავის არ ველობები წინ, არავის არ ვართმევ არც კარიერას და არც საუნჯეს. მართალია, მე მკვლელი ვარ, მაგრამ არავინ არ მომიკლავს, ყველამ თავისი თავი მოიკლა იმ იარაღით, რომელითაც სიკვდილს მიჰირებდნენ მე.

ვალერი ბრიყვია და ის ვიდაც მზია არის, გიჟი თუ არა, შეშლილი მაინც უნდა იყოს, რადგან არ იცის, ვინა ვარ და დამთხვეული ვგონივარ, შეიძლება ვცდებოდე და ორივე ზედ-მიწევნით ჭკვიანები იყონ, მაგრამ ჭკუა იმიტომ ჭირდებათ, რომ სისულელე ჩაიდინონ?

ჩემზედ ნურც სიბრძნეს გამოიყენებთ და ნურც სიგიჟეს.

მე თქვენ მტულხართ და ამ სიძულვილეს არ გავამჟღავნებ „დამიბრუნეთ შვილ!“

ომში გავატარე მთელი დამე, მოწინააღმდეგის გარეშე...
გათენდა...

ფანჯარასთან დავჯექი და ჭუჩას გავცექრი, ვიცი, მალე
სახლიდან გამოვლიან სამსახურში წასასვლელად, მინდა დავ-
ინახო და მართლაც, ჩემი ფანჯრის წინ გაიარეს, გალერი
როგორც არის ვიცი, ისევ—ისეა ძველებურად, ერთი ნაოჭიც
არ მომატებია, მზია კი, როგორც ცირამ აღწერა, ვალერიზე
ერთი მტკაველით მაღალია და უხეიროდ გაშალაშინებულ
ფიცარს ჰეგავს, არც მკერდი და არც თემი, კისერი მაღალი
და ყრონტი გამობურცული, სახე კი ზუსტად არის ზემოთ
აღწერილი, მზიას ხელში ათასნაირად მორთულ—მოფუჩქული
ხათუნა ჰეგავს აყვანილი და ჩეარი ნაბიჯით მიდიან, ალბათ,
ხათუნა ბაღში მიჰყავთ და შემდეგ სამსახურში უნდა წავიდ-
ნენ, აგვიანდებათ. მეგონა, რომ ვერ ავიტანდი ამ სურათის
დანახვას, მაგრამ ცუდად არ უმოქმედნია, რადგან ხათუნა
კარგი მოვლილი დავინახე და ვალერი საფრთხოებლას ხელ-
ში.

ჯერ კიდევ აღრეა, მაგრამ ქეთევანი ამდგარა და წასას-
ვლელად ემზადებოდა, მე დღეს განათლების განყოფილებაში
ვარ მისასვლელი, არჩილი უნდა ვნახო, არ იფიქროს, უყურა-
დლებოდ ვეპყრობი სამსახურს. ვისაუზმეთ.

ქეთევანს ვეხვეწე, დარჩენილიყო ჩემთან, მაგრამ თავისი
არ დაიშალა და იძულებული გავხდი, ავტოსადგურამდის გა-
მეცილებინა, ბილეთი ავიღე, სამეფო ადგილზე დაგვაჯინე, დაგვოც-
ნე, მოუალერსე და ავტობუსის წასვლამდის ვესიყვარულებო-
დი, ავტობუსი წავიდა და მარტოობა ვიგრძენი.

განათლების განყოფილებაში მთელი ქალაქის პედა-
გოგიური შემადგენლობა არის თავმოყრილი, რიგ—რიგობით
შედიან არჩილთან, ზოგი ზედმეტ საათებს ითხოვს, ზოგი
ნაკლებს და არის ერთი აურზაური. ლილიმ დამინახა თუ
არა, ზეზე წამოიჭრა და დიდი სიყვარულით გადამკოცნა და
საერთო პირადი ცხოვრების ამბავი გამომკითხა, შემდეგ თვა-
ლი ჩამიკრა და ყველას გასაგონად მითხრა:

— შედი არჩილთან, რამდენი ხანია, გელოდება!

მე უხერხულად ვიგრძენი თავი, სხვებისათვის რომ უნდა გადამესწრო, მაგრამ ლილის ხომ ვერ გავაწყილებდი და შევიშვნე იმის შემოთავაზებული გზა.

არჩილი მარტო ზის, დამინახა თუ არა, ზეზე წამოდგა, გადაჭრილი ბარძაყი მაგიდას დაყრდნო და მამა—შვილურად გადამკოცნა.

ვისაუბრეთ, მოვიკითხეთ ერთიმეორე, შემაქო, რომ დროულად გამოვცხადდი და მითხრა:

— ორშაბათს, დილით ცხრა საათზე მოდი აქ, ქალაქის პედაგოგთა თათბირი მაქვს და დასწრება ყველასთვის საგალდებულოა.

— გეახლებით, პატივცემულო არჩილ! — ვუთხარი და კარგბი წყნარად გავიხურე.

სახლში დავბრუნდი. დღიური გადავშალე და ცოტა რამ მონახაზი გავაკეთე, შემდეგ ეზოში გამოვედი. ჩემი ოთახის შენობას შემოვუარე, შევისწავლე კველა ჩემი მეზობლის საცხოვრებელი ოთახების გარეთა ხედი, თუმცა სხვისი ბინა რაში მაინტერესებს, ვალერის ბინის აივანზე შევაჩერე მზერა, ღია აივანი, ვერა ბერის ტალავრით დაბურული, ამავე აიგნიდან სარუცხის გასაფენი თოკი ჭადრის ხეზეა გაჭიმული. აიგნის პირდაპირ განათების ბოძია დასობილი, ბოძზე ელექტრო დენის საღეწების ქვეშ ხაზის რადიოს ორმაგი მავთულია გაყანილი, რომელზედაც რადიოსათვის განკუთვნილი წვრილი სპილენძის სადენია შეერთებული და ვალერის აიგნის გავლით, მათ საცხოვრებელ ბინაში არის შევყანილი. ეჭვგარეშეა, ვალერის ხაზის დინამიკი უდგას სახლში.

რაღაც აზრმა გამიელვა თავში და ვინც ფიზიკაში ჩახედულია, ჩემი აზრი არ გაუკვირდება, ვალერის დინამიკი მიკროფონად უნდა გამოვიყენო და გავიგო, რითი სუნთქვას ეს სამშობლოს მოღალატე, რომელიც ალბათ ხალხში ატვორიტეტით სარგებლობს, რადგან არ იციან მაგისი წარსული და მომავლის გეგმა.

მაღაზიაში წავედი (თითქმის ყველა დასახლების მაღაზია აქვე ჩვენი სახლის გვერდით არიან ჩამწკრივებული) დინამიკი და რადიოსატვის განკუთვნილი გამტარი რკინაკავეულის მაღაზიაში შევიძინე და აქ ერთ კარგი გამყიდველი გოგონაც დავიმეგობრე.

სპორტული ტანისამოსი ჩავიცვი, კიბე ჩემი კარის მეზობელ ცირასაგან ვინათხოვრე, ბოძე მივადგი და ზედ ავედი. ჩაგსხსენი ვალერის სახლში შემაგალი სადენი და ჩემი სადენი შევუერთე, შემდეგ იზოლირებული ლენტით ადგილზე დავამაგრე ისე, რომ მთავარ სადენთან კავშირი მოვუსპე და შეუმჩნეველიც დარჩა. მეორე სადენი მთავარ ხაზს შევუერთე და ეს ოთხივე წვერი მავთული სახლში შემოვიყვანე, კედელზე ჩამრთველი გავაკეთე. ასე, რომ, ჩემი სურვილისამებრ, როცა მინდა, ვალერის დინამიკს ჩავრთავ და როცა მომესურვება, ჩემს (პრიორნიკს) მიძღებს შევუერთებ და მიკროფონდ გამოვიყენებ.

ყველაფერი სწორად გავაკეთე, კანონით უნდა გაამართლოს და ერთი სული მაქვს, როდის დაბრუნდებიან სამსახურიდან, რომ მათი საუბარი მოვისმინო.

კიბე მოვხსენი, ცირას დავუბრუნე, თავის ადგილზე დავდევი, ყოველი საეჭვო გზა შევამოწმე და კვალი წავშალე.

საღამომდის კიდევ დიდი დრო არის, რკინაკავეულის მაღაზიაში წავედი და ჩემს ახლად გაცნობილ მეგობართან გავაძი მასლაათი, ლელა ჰევია, ადგილობრივი მაცხოვრებელია, ლამაზი, ცქრიალა ქალიშვილი, კარგი ყოფაქცევის და ტქბილი მოსაუბრე. როდესაც კარგად გავიცანით ერთი—მეორე, ჩემთან წამოვიყვანე, ბინა ვასწავლე და ოჯახი დავალოცვინე. კიდევ დიდხანს ვიღაპარაკეთ, შემდეგ თქვა, „სახლში გამიწყრებიან“ და წავიდა.

ვალერი „თავისი საყვარელი მეუღლით“ ალბათ მოსული იქნება, გავიფიქრე და ვალერის გამტარი ჩემს მიძღებს შეუერთე. მიძღები შიშინებს, არავთარი ხმა, ვა, თუ შეცდომა დავუშვი სადმე, ვფიქრობ ჩემთვის და ამ დროს გავიგონე:

— ხათუნა, მოდი შვილო აქ!

ეს იყო ქალის სასიამოვნო ხმა, მაგრამ მე ურჩხულის ბრდღვინვად შემომესმა. ცოტახნის შემდეგ ჩემი ხათუნას ხმა გავიგონე:

— მოვდივარ, დედა! — ეს ხმა კი, ხმად ანგელოზისა, მივვარდი მიმღებს, კოცნა დავუწყე, თითქოს ჩემს შვილს გულში ვიხუტებდი და ვკოცნიდი იმის ყელიდან ამოსულ ხმას. დროულად მოვეგე აზრზე, ვალერის დინამიკის სადენი მთავარ ხაზს შეუერთე. ალბათ იმის სახლშიდაც, როგორც ჩემთან, შოპენის მელოდია იღვრებოდა...

დღეს ბევრი „პარგი“ საქმე გავაკეთე. კმაყოფილი ვარ დღეის დღით, ალბათ ვალერიმ არ იცის, ამ ქალაქში რომ გამომანაწილეს და იმის მეზობლად ვცხოვრობ, თორემ რაღაცას მომიხერხებს, მაინც რას მიზამს? ბოლოს და ბოლოს, გაიგებს, რომ აქა ვარ და ვნახოთ, რასაც იზამს, ჯერჯერობით კი, მე მეკუთვნის პირველობა, ვისმენ მისი ოჯახის ყოველგვარ ფაჩუნს.

1946 წელი, 24 აგვისტო, (შაბათი)

კარგი დილა გათენდა, მზიანი, ჩახახას, ხალისიანი, ბინის მთელი მოსახლეობა დღეს სახლშია, ერთმანეთთან მასლაათობენ, ისვენებენ, მე ჯერ ახალი ვარ, არავისთან შევდივარ, აქ, ჩემთან შეიძლება ცირა შემოვიდეს, ეს არის და ეს. ფანჯარაში ვიცქირები, ვიცი, ხათუნას გარეთ გამოუშვებენ, ბავშვებში სათამაშოდ, მეც სპორტული ტანსაცმელი ჩავიცვი და მათთან ერთად უნდა ვითამაშო, თუ ბოლოს არ დამამწარეს ეს თამაში.

მინდა ვალერის ოჯახის საუბარი მოვუსმინო, მაგრამ დინამიკის გამორთვა ახლა, ამ დილით არ, შეიძლება, „დილა მშვიდობისაა“, ყველა ისმენს და სიფრთხილეა საჭირო.

მეზობლის ბავშვები ნელ—ნელა გამოეფინენ გარეთ. ზოგი სილაში თამაშობს, ზოგი კარუსელზე და ზოგიც ბავშვები-

სათვის გაკეთებულ სპეციალურ სასრიალოზე, ხათუნა იგვი-ანებს, მე არ ველოდები იმის გამოსვლას, ვიცი, გამოვა და პირველი მე გავდივარ ეზოში. პირველად კარუსელთან მივე-დი, ვეფერები ბავშვებს და ვატრიალებ კარუსელს, სილაში მოთამაშე ბავშვები უფრო პატარები არიან, კისკისებენ და გოჭებივით გორაობენ, როდესაც მათკენ დავაპირე წასვლა, დავინახე, ხათუნა მზიას მოჰყავს ხელჩაკიდებული ნელი ნაბიჯით. კარუსელთან მოიყვანა, რომელიღაც ბავშვი კარუსელის სკა-მიდან ძირს ჩამოსვა – აატირა და სკამზე ხათუნა დასვა, ვერ ვითმენ, მინდა ბავშვს მოვეფერო, მაგრამ ეს საფრთხობელა, რომელიც გუშინ უფრო ლამაზი მომეჩვენა, კარუსელს არ შორდება, მოთმინების ნერვი გამიწყდა და საფრთხობელას ვეუბნება:

- რა ლამაზი ბავშვია, თქვენია?
- ჩემია! – ამაყად მიპასუხა საფრთხობელამ და ჭორ-ფლიანი წითელი ცხვირი ზევით ააბზიკა.
- ბიჭია? – თითქოს არ ვიცოდი, ისე შევეკითხე მე.
- არა, გოგოა, სად გინახავს შენ ასეთი ლამაზი ბიჭი? – გამომწვევად მიპასუხა საფრთხობელამ.
- ჰო, თუმცა სწორი ბრძანდებით, სულ შენ გგავს ცხ-ვირით, ტუჩებით, წარბებით...
- კარგი, კარგი, კმარა! – ოჩოპინდრემ სიტყვა არ დამ-ასრულებია, მიმიხვდა ქათინაურს და ხათუნას ხელი წამოავ-ლო, „წამოდი სახლში“, მკაცრად უბრძანა ბავშვს.
- აღ მინდა შახში! – ატირდა ხათუნა. ცოტა დამაკლ-და, კინაღამ ავეფერები და ნაღდად შემომაკვდებოდა ოჩოპინ-დრე, მაგრამ ღროზე დავიოკე ნერვები და ხათუნა ხელში ავიყვანე.
- ნუ იტრებ, პატარავ! – მოვეფერე მე და ხელებზე გაკოცე, ცოტახანს მიუცხოვა, შემდეგ კისერზე შემომეხვია და თვითონაც დამიწყო სასაცილო კოცნა.
- კარგი, ახლა კმარა, მოდი შვილო ჩემთან! – დაუყვავა საფრთხოებელამ.

— ალ მინდა! — თქვა ხათუნამ და კისერზე კიდევ უფრო მჭიდროდ შემომეხვია.

— არა, ლამაზო გოგო, დედა რომ გეტყვის, გაუგონე და კიდე ვუფრო კარგი გოგონა იქნები! — ვუთხარი და ბავშვის მზიასთვის გადაცემა გადაწყვიტე, მაგრამ ის კიდევ უფრო მჭიდროდ შემომეხვა კისერზე და პირვანდელი ფრაზა გაიმეორა:

— ალ მინდა დედასთან, შენ ძალიან თბილიხელები გაქ, ლავალი თბილი კოცნა გაქ, დედა ასეთი თბილი ალ ალის!

ატიკტიკდა ხათუნა და ახლა ჩემთვისაც ეკითხათ, ის როგორი თბილი არის ჩემთვის, ვეღარ გავუძელი ბავშვის ტიკტიკს და რომ არ წავქცეულიყავი, კარუსელის კამზე ჩამოვჯექი.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავით ასე ერთმანეთს ჩახუტებულები მე და ხათუნა, ბოლოს, როგორც იქნა, მკერდზე მომაგლიჯა საფრთხობელამ იმისი პაწაწინა წელები და ატირებული წაიყვანა სახლში.

თვალს მიეფარნენ თუ არა, მეც ჩემს ბინაში გავიქეცი და სანამ ისინი მეოთხე სართულზე ავიდოდნენ, ვალერის დინამიკის გამტარით ჩემი მიმღები ჩავრთუ. ცოტახნს შიშინი ისმოდა და აი, მიმღებიც ალაპარაკდა.

— მამიკო, იცი ლა ლამაზი გოგო ვნახე? მიყიდე ისეთი თოჯინა, იცი, ლა თბილი ხელები ქონდა? დედიკომ ალ გამაჩელა გალეთ, შენ წამიყვანე ახლა?

— ვინ ნახა, ქალო, რას ამბობს ეს ბავშვი?

მომესმა ვალერის ხმა.

— ვინ ნახა და ამოწყვეტა, რა ვიცი, ვიღაც სპორტულ ტანსაცმელში გამოტკვეცილი და აკორკოტებული ბავშვი იყო, შემოეხვა კისერზე ეს ჩვენი სულელი და ვეღარ მოვაშორე.

— აქაური არ იყო?

— არა, პირველად ვნახე?

— ვიღაც მასწავლებელი მოსულა, იქნება ის იყო!

— რა ვიცი, იმას მასწავლებლობის არაფერი ეტყობა და...

- დაგეტოვებია ბავშვი გარეთ, რას დაგიმუშვრევია სახლში, ხომ არ შეგიჭამენ!
- სწორედაც რომ შემიჭამენ, ბავშვის ამდენი კოცნა უცხო ხალხისაგან არ გამიგონია მე!
- შენებურად ნუ აღზრდი ბავშვს, ისე აღზარდე, როგორც სხვა ზრდის, საზოგადოება!
- შენ არავინ გკითხავს ბავშვის აღზრდას, ზეზე ადექი და აივნის კარებს საკეტი ჩაუსვი, თორემ ხანდისხან ღამე თავისით იღება და ვცივდები!
- საკეტი სადა მაქვს მერე?
- იყიდე, შე დალოცვილო, ერთ საკეტს ვეღარ იყიდი?
- დღეს შაბათია, ხვალ კვირა, მაღაზიები არ მუშაობს, ზეგ, ორშაბათს შემახსენე და აუცილებლად შეგისრულებ ნატვრას!
- ბავშვის ოთახშიდაც გასაკეთებელია კარები, იმას მაინც არ უნდა საკეტი, პატარა რეზინა მიაკარი და თავისით აღარ გაიღება.
- მაგასაც ორშაბათს გავაკეთებ!
- რამდენი რამე გინდა ორშაბათს გააკეთო, სამსახურში არ მიდიხარ?
- სამსახურშიდაც წავალ და მაგასაც გავაკეთებ! სერგო მაისურაძე ჩამოსულა, დამეტებს თურმე...
- რაღა უნდა, ვეღარ გაჩერდებიან? ხომ ხედავ, მაგათი ბრძოლა დამთავრებულია, რაღას იჭიმებიან მომაკვდავით!
- წასული იყო, ახლა რაღაც ახალი დავალებით ყოფილა გამოგზავნილი და მოგეშვებიან, სანამ სული უდგათ? მაგათ სამსახურში რომ შეჰყოვ ცხვირს, ბოლომდე უნდა ემსახურო, როდესაც აღარ დაჭირდები, თვითონ მოგიშორებენ.
- ვინ გითხრა შენ, რომ ჩამოსულია?
- გუშინ ვასილი ვნახე, მამაშენი!
- ეგ ცუდი საქმე არ არის, ფული ტომრით ექნაბათ ჩამოტანილი.
- გააჩნია, რის „გაკეთებას“ შემოგთავაზებენ!

— რაც უნდა, ის იყოს, საშიში ჩვენს დროში აღარაფერი არ არის! მომესმა მზია საფრთხოებლას ხმა და კარგბის რახუნიც გავიგონე, როგორც ჩანს გარეთ გამოვიდა. მიმღებს სადენები დავაძვრე და მთავარ ხაზზე ვალერის დინამიკი ჩავრთე.

„ჩემს გოგონას ცალკე ოთახში ძინავს, ეს კარგია, აივნის კარგზე საკეტი არა აქვს, ეს მთლად უკეთესი, რაღაც უნდა მოვიფიქრო, მაგრამ ვინ არის ეს სერგო მაისურაძე: ნაცნობი გვარი არის, მაგრამ არ მაგონდება, „ჩამოსულა“, იქნებ რა-მოდენიმე კაცია გაერთიანებული ამ დივერსიულ ბანდაში და მათი ხელმძღვანელი ეს ვიღაც სერგო მაისურაძეა? ხომ არ აჯობებს, მილიციის ორგანოს შევატყობინო? მეც რომ დამა-პატიმრონ, ხათუნას რა ეშვლება? არა, არა, ხათუნას აღზრდა მე მიწერია: — „რატომ გაქვს ასეთი თბილიხელებიო“ — ჩემი სულელი, დედის ხელები აბა როგორი უნდა იყოს, ოჩოპინ-დრეს ცივ ხელებს ხომ არ ემსგავსება?

ლამის ფიქრმა თავი გამიზეთქოს, რა ვქნა, როგორ მოვ-იქცე, არ ვიცი, ერთი მრჩველი რომ მაინც მყავდეს, კარგია, მაგრამ ასეთი ამბის და ადამიანის ნდობა როგორ შეიძლება, შენ რომ მეგობარი გვონია, შეიძლება სწორედ ის იყოს დივერსიული ბანდის წევრი, მაშინ რას იზამ?

არჩილს რომ გავანდო ამ დივერსიული ჯგუფის აღ-მოჩენა, ის როგორ მოიქცევა? რა თქმა უნდა, მილიციის ორგანოს შეატყობინებს, აბა, სხვას რას იზამს ცალფეხა კაცი, ან რა შეუძლია მას?

არა, არა, სხვა აქამდის არავინ ჩამირევია ჩემს საქმეში და არც ახლა ჩავრევ, მე თვითონ შემოვუვლი ამ საერთო საქმეს.

შავი სათვალე გავიკეთე და გარეთ გამოვედი, სუფთა ჰაერზე იქნებ უკეთესად ვიაზროვნო, ვსეირნობ სახლის წინ მდებარე პატარა ბაღში და ვფიქრობ ქვეყნის საფიქრალს, არ მესმის ბავშვების ტიკტიკი და უფროსების დამრიგებლური ბრძანებები ბაგშვების მიმართ. არ ვიცი, რამდენ ხანს ვსეირნობდი,

ვიღაცამ ფრთხილად დამადო მხარზე სელი და შემდეგ მარცხენა მკლავში ისე მომიჭირა, ძვლებმა ტკაცანი დაიწყო, შემოვბრუნდი, ვალერი. სახეზე ზიზლი გამომეხატა, ის იღიმებოდა.

— ეს შენა ხარ თბილ ხელებიანი? — წაისისინა მან — წამოდი, რაღაც უნდა გითხრა!

— აქვე თქვი, რა გაქვს ვინმესთან დასამალი? — ვუთხარი და ხელის განთავისუფლება მოვინდომე, მაგრამ არ გამომივიდა, უფრო და უფრო მიჭერდა მარცხენა მკლავზე მარწუხი.

თითქმის ძალით მიმიყვანა ჩემი ბინის კარებთან, გამაჩერა და ისე წაისისინა, კბილები ერთიმეორისათვის არ დაუცილებია, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა:

— მომძებნე? ბოლოს და ბოლოს, გზიდან ჩამომეხსნები თუ არა? იცოდე, მოგკლავ! აქედან წაეთრიე! ერთი კვირის დრო მომიცია! — ერთი სიტყვაც არ მათქმევინა, ისე ძლიერად შემომკრა, გულშეწუხებული ადგილზე ჩავიკეცე. გრძნობა არ დამიკარგავს, მალე წამოვხტი, კარები გავაღე და სახლში შევედი, სარგები ჩაგიწევდე, თვალი მოწითლებული მაქვს, რომელიც რამდენიმე წამში გაღურჯვდა. „ამას კი აღარ მოველოდი, თუ გაპატიო, არ მერქვას დედა“. ჩავილაპარაკე ჩემთვის და მიმღები ჩავრთუ:

— ის ყოფილა თბილ ხელება გოგონა! — შემომესმა ვალერის ხმა.

— ვინ ის? — შეეჭითხა საფრთხობელა.

— ხათუნას დედა, მერი!

— რა თქვი? აქაც მოგვაგნო? შენი თავის წართმევა უნდა, თუ ბავშვის?

— არ ვიცი, ერთი კვირის დრო მივეცი და თუ ამ ქალაქიდან არ გაქრება, მერე მე გავაქრობ?

— დიდი დრო მიგიცია, ოცდაოთხი საათი არ კმაროდა?

— მგონი, განაწილებით არის აქ მოთრეული და ასე მალე ვერ მოასწრებდა საბუთების გამოტანას!

— რად გინდა, რომ აქედან წავიდეს, მოდი, უკეთესი მოვიფიქროთ.

- სახელდობ, რა?
- რა და როგორც ჩანს მაგას შენ უყვარხარ, თორემ არ მოგძებიდა, ამიტომ სახლში მიღებაზე უარს არ გეტყვის, მიღი, ჩუმად ერთ ლამე დროც გაატარე და შემდეგ მოუგდე, ვინ ჰყავს გამკითხავი უპატრონო ბოზსა და ოხერს?
- სიყვარულისთვის ადამიანი მოვკლა?
- როგორ, პირველი იქნება და გული გიღალატებს!
- ისინი საქმისთვის იყო, დავალებით, ამას კი რა შეუძლია!
- ბავშვის გადაბირება შეუძლია და წინ გადაღობება, მეტი რა უნდა შეეძლოს? ხომ ხედავ, „თბილი ხელები“ აქვსო, ბავშვმა არაფერი იცის და ახლავე მაგისკენ იწევს და რომ გაიგებს, ვინ დააკავებს მას?
- კარგი, თუ არ წაგიდა, ერთი კვირის შემდეგ მასე გავაკეთებ!
- სად ნახე მაინც?
- ჩვენი სახლის წინ, ბაღში სეირნობდა!
- არ გალახე?
- ვცემე!
- ძალიანაც კარგი!
- სერგო მაისურაძე ვნახე! ისიც ბაღში იჯდა განმარტოებით და მე მელოდებოდა, გუშინ ვასილმა მითხრა, ამა და ამ ამდგილზე იქნება ამა და ამ საათზეო, მივედი და, მართლაც, დამხვდა:
- აბა, მაგის ტყუილი ვის უნახავს! რა დავალება მოგცა, რა მინდაო?
- ჩვენთან რომ ატომური ქარხანა შენდება, იმის ნახაზები!
- თანხა?
- თანხაზე ლაპარაკი არ არის!
- შეპირდი?
- არ შეპირდები, არ შეუსრულებ და მოგიშორებენ;
- რამდენ ხანში მომიტანეო!

- ერთი თვის დრო მომცა, ვასილი და სანდრო მოვა შენთან პირველ ოქტომბერს და იმათ გამოატანეო.
 - მამაშენიც აქ არის?
 - კი! ისიც ვნახე გუშინ!
 - ჩემგან ხომ არაფერი უნდა?
 - ჯერჯერობით არაფერი, ისე, ნუ გეშინია, არც შენ დაგტოვებენ მშრალზე, რაღაცაში გამოგიყენებენ!
 - ნეტავი ჩქარა და მოვშორდეთ ამ დამპალ ქალაქს.
- ჯერჯერობით სერგოსთან ვიცხოვროთ პარიზში, შემდეგ ჩვენ თვითონ შევქმნით სერგოზე არანაკლებ ცხოვრებას!
- აი მერიკო, ვინ ყოფილა ვალიკო! — ზიზღით ვუთხარი ჩემს თავს და გადავწყვიტე, ერთ კვირაში ბოლო მოვულო ჩემს მკვლელს. რადიო მიმღები გამოვრთე, ჩალურჯებულ თვალზე შარდის საფენი დავიდე და დავწექი.

1946 წელი, 26 აგვისტო (ორშაბათი)

გუშინ მთელი დღე გარეთ არ გამოვსულვარ, არც ჩემთან შემოსულა ვინმე, კარებზე ვიღაცამ დამიკაკუნა, ალბათ ცირა იყო, მაგრამ არ ავმდგარვარ და კაკუნიც ალარ განმეორებულა. სილურჯემ გადამიარა, ოდნავ მემჩნევა კიდევ. მართლაც, უებარი წამალი ყოფილა დაჟეჟილისათვის შარდის საფენი.

დღეს ბევრი საქმე მაქს გასაკეთებელი, ცხრა საათზე არჩილთან უნდა ვიყო განათლების განყოფილებაში, შემდეგ სხვა და შემდეგ კიდევ სხვა.

ვისაუზმე.

სახლიდან ადრიანად გავედი, მაღაზიებს ჩამოვუარე, ჯერ ყველა დაკეტილია, ზოგი ცხრაზე იღება და ზოგიც ათ საათზე.

განათლების განყოფილებაში მივედი, მეგონა, ყველას მოვასწარი მოსვლა, მაგრამ აქ უკვე შეკრებილან, სამთვიანი არდადაგების შემდეგ ერთმანეთს მონატრებული პედაგოგები ეხვევიან და ჰკოცნიან ურთიერთს, მე კი, სახლშიდაც ობოლი და აქაც ობოლი, ვარ მარტოდმარტო, არც ნაცნობი მყავს და

არც არავინ მემცნაურება, ალბათ, ამათაც „მერვე კლასის მოსწავლე“ ვგონივარ და თაგს არ იყადრებენ ჩემთან.

დარბაზში მიგვიწვიეს, პირველი სიტყვა არჩილმა წარმოოქმა, მოგვილოცა სასწავლო წლის დადგომა, პირველი სექტემბერი. გვისურვა ჯანმრთელობა და მომავალი თაობის კარგი აღზრდა. შემდეგ მდივანს საბეჭდი ფურცლები გამოართვა, სათითაოდ დაასახელა სკოლებში, მასწავლებლის გვარი, სახელი, მამის სახელი, მასზე განკუთვნილი საათების რაოდენობა და საგნების სწავლების მეთოდიკა.

გატყობ, არჩილს ფეხზე დგომა უჭირს, მაგრამ სანამ, არ დაამთავრა მოხსენება, არ შეუსვენებია, შემდეგ დაჯდა, წყალი მოსვლა და ოფლი შეიმშრალა.

დაისვა რამოდენიმე კითხვა, მიიღეს ამომწურავი პასუხი და თათბირმა სამ საათს გასტანა.

თათბირი დამთავრდა, მაგრამ კანტი-კუნტად დაიშალენ, მე მეჩქარება, ამაზე მეტად მძიმე საქმე სხვა მაქვს მოსაგვარებელი და აჩქარებული ნაბიჯით დავტოვე განათლების განყოფილების შენობა. მაღაზიებს ჩამოვუარე, რკინაკავეულის მაღაზიაში კარების ინგლისური საკეტი ვიყიდე, ერთი ცალი გასაღები შეეხსენი და გასაღებების დამამზადებელ ოსტატთან მივედი, სულ ორიოდე წუთში დამიმზადა სამი გასაღები, გასამრჯელო გადვუხადე და საკეტი ქარხნის მიერ დამზადებული გასაღები ისევ ისე აცმაზე გავაკეთე, ასე რომ, საკეტის თვით ნაკეთი სამი ცალი გასაღები მე მაქვს და სათუთად შევინახე ჩანთაში. საკეტი კი, თავისი გასაღებებით, თავისივე კოლოფში ჩავდევი და თავი გადავაწებე.

მდაზიაში ჩემ მეგობარ ლეილასთან მივედი, გადავკოცნე და მოვიკითხეთ ერთი მეორე, შემდეგ ვეკითხები: – შენ ვალერის იცნობ?

– რომელ ვალერის, შენი მეზობელი რომ არის, საფრთხობელას მეუღლე?

– ჰო! – გამეცინა.

– კი, როგორ არა!

— პოდა, ის მოვა შენთან კარების საკეტის საყიდლად, ადექი და შენც ეს საკეტი მიყიდე. — ვუთხარი და უმაღლესი ხარისხის კარების საკეტი გავუწოდე.

- რამდენად მივყიდო?
- რა ლირს, ფასი ზედ აწერია!
- რომ არ იყიდოს და სხვა აირჩიოს?
- შენც ეს საკეტი შეუქე და სხვა საკეტებზე უთხარი, რომ გაფჭებულია.
- ასე გაგიჭირდა, რომ საკეტს ყიდი? მე შემიძლია ფული გასესხო.
- არა ლელა, ფული არ მიდა, ეს თანხაც საგმარისი იქნება ჩემთვის.
- სხვამ რომ იყიდოს ეს საკეტი?
- არა, მხოლოდ ვალერის ან იმის მეულეს მიჰყიდე!
- ვერაფერი ვერ გავიგე, შენ საკეტის გაყიდვა გინდა, თუ იმის გაგება, ვინ იყიდის?
- კარგი საკეტია და მენანება, სხვამ იყიდოს, რალა სხვამ ისარგებლოს კარგით, უმჯობესია, ჩემს მეზობელს ჰქონდეს, მხოლოდ ჩემი სახელი არა ახსენო, თორემ შეიძლება აღარ იყიდონ.
- კარგი, კარგი, რაში დამჭირდება, ვახსენო შენი სახელი?

ლელას დავემშვიდობე და სახლში წამოვგედი, სალამოს, მართლაც, მისულა ვალერი მაღაზიაში და ლეილასაგან სწორედ ის საკეტი შეუძნია, რომელიც მე დავუტოვე.

ცოტახნის შემდეგ ვალერის ღია აივნიდან სატეხის კაჭუნი მესმოდა, „საკეტს სეამს კარებში“, გავითიქრე მე და არ შევმცდარვარ. დღეის საქმე მოგვარებულად ჩავთვალე, ან მე დამრჩა კიდევ სუთი დღის სიცოცხლე, ან ვალერის.

დილით, სამშაბათს, ცენტრალურ საავადმყოფოში მივედი, ოპერაციების დროს ნარკოზის გამკეთებელი ქალი ვნახე, ცრემლით თავი შევაცოდე და ვიცრუე, თითქოს მეზობელ ქალაქიდან ვიყავი მოსული, ჩემს ძმას საჩქარო ოპერაციას

უკეთებენ და დასაძინებელი ნარკოზი ვერსად ვიშოვე, დამეხმარეთ და, რაც გინდათ, თანხაზე საუბარი არა მაქვს—მეთქი.

კი, შვილო, რაზეა საუბარი, ან ფული რად მინდა, ღმერთისა ყველა ადამიანი ამყოფოს კარგად და წყალმა წაიღოს, მსოფლიოში რამდენი ფულიც არის მოჭრილი, — მითხრა თეორებალათიანმა მანდილოსანმა და ორი დალუქული ბოთლი გამოიტანა.

— ეს ექიმმა თვითონ იცის, რა დოზით უნდა მიაწოდოს ავადმყოფს, ხსნარი კი იმდენია, ორას ოპერაციას ჩაატარებს, მაგრამ წაიღე, იქნებ სხვასაც დაჭირდეს და მადლია ადამიანის გადარჩენა.

მე ჩანთა გავხსენი, რომ ფული მიმეწოდებინა, მაგრამ გადაირია მანდილოსანი, იმის შიშით, რომ უკან არ წაედო დასაძინებელი წამალი, უბრალოდ, მადლობა გადავუხადე და სახლში წამოვედი. ყველაფერი მზად მაქვს და ხელსაყრელ პირობებს ველოდები. რისი ნერვები უნდა ჰქონდეს ადამიანს ასეთი გადაწყვეტილების შემდეგ? რომელ ღირსებაზე შეიძლება მესაუბროს ადამიანი, როდესაც მომაკვდინებელ საშუალებას ვამზადებ იმ ადამიანისათვის, რომელიც ოდესლაც საკუთარ სიცოცხლეზე მეტად მყვარებია.

მე ამაყი ვარ, ვერ ვიტან შეურაცხყოფას და ალბათ ეს დიდი ნაკლია ჩემში, მაგრამ მგონია, ეს ნაკლი დაჩრდილოს იმ ადამიანის ნაკლმა, რომელიც მთლიანად გაძარცვულია ყოველგვარი ღირსებისაგან. შეიძლება თქვენ მოგეჩვენოთ, ჩემს ნაკლს ვალამაზებდე და მტრის ღირსებას ფეხით ვთელავდე, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ჩემი დღიური გესაუბრებათ ამ თემაზე და თვითონ თქვენ განსჯით.

1946 წელი, 30 აგვისტო, (პარასკევი)

ბევრჯერ მითქვამ, — „სიკვდილის არ მეშინია—მეთქი“, მაგრამ, როდესაც მოახლოვდა ჩემი განკითხვის უმი, მთელ დღეს მოუსვენრად ვგრძნობ თავს.

კიბე გამოვიტანე, ბოძზე მივადგი, ჩემთან შემომავალი „დინამიკის“ სადენები ჩავსხენი და ვალერის სადენები როგორ, იყო, ზუსტად ისევ ისე შევაერთე. აღარ მესაჭიროება იმისი საიდუმლოების გაგება, ნეტავი ისიც არ გამეგო, რაც გავიგე და ძველებურად კარგი ადამიანის სახელით დარჩენილიყო ჩემს გულში.

ნეტავი, სად არიან? ბავშვი მეზობელმა გამოიყვანა ბალიდან, დალამდა და ისინი ჯერ კიდევ არ მოსულან, შეიძლება დივერსანტების თათბირი აქვთ და გვიანობამდის არ დამთავრდება. ვზივარ ფანჯარასთან და ველოდები, როდის გამოჩნდებიან, ჩემმა გუგულის საათმა თორმეტჯერ დაიძახა „გუგუ“, ისინი კი არა და არ ჩანან.

დაწოლა დავაპირე. ამ დროს ქუჩიდან ხმაური შემომესმა:

— ჯერ კიდევ აქვს ორი დღის დრო, მაგრამ ხომ შეიძლება ცოტა ნაადრევად? — ხმამაღლა ელაპარაკება ზომაზე მეტად გალეშილი ვალერი თავის საფრთხობელას, რომელიც ვალერიზე არანაკლებ გალეშილია. ფეხი ორივეს ერთნაირად ეშლებათ და ძლივს იკავებენ ერთიმეორეს.

— არა! დღეს არა, ხვალ, დღეს არ მოგცემ მაგის უფლებას, დღეს ჩემთან უნდა იყო, გესმის? ჩემთან! — უუბნება საფრთხობელა ვალერის და კისერზე ეკიდება.

კიბეზე ამოვიდნენ, ჩემი ბინის კარებთან შეჩერდნენ:

— არა, არა, შევალ! — თქვა ვალერიმ.

— არავითარ შემთხვევაში, დღეს ჩემთან! — უთხრა ქალმა.

ცოტახანს კიდევ იდგნენ ჩემს კარებთან, მგონი სიგარეტს მოუკიდეს, შემდეგ ერთმაც და მეორემაც გულიანად შეიკუროთხეს ჩემი მისამართით და ბორძიკით აუყვნენ კიბეს.

სპორტული ტანსაცემელი ჩავიცვი და აღარ დაწოლვარ, ყველაფერი წინასწარ მოფიქრებულივით კეთდება, მათემატიკური სიზუსტით. „მათემატიკამ“ ორი პერიოდი გაიარა — ამბობს ჩებიშევი — პირველში ამოცანებს სვამდენ ღმერთები, (დილოსის ამოცანა კუბის გაორმაგების შესახებ) — მეო-

რეში – ნახევრად ღმერთები: (პასკალი, ფერმა) ჩვენ მესამე პერიოდში შევედით, როდესაც ამოცანებს საჭიროება წამოჭრის“.

სწორია, თუ მათემატიკურად გავიგებთ ჩემი ამოცანის არსის, მართლაც, „საჭიროებამ წამოჭრა“ სიკვდილ–სიცოცხლესთან ბრძოლის ამოცანა, თორემ, ვის მობეზრებია წყნარი ცხოვრება, მე რომ მომბეზრებოდა?

ღამის სამ საათს უახლოვდება ჩემი საათის ისრები. ბოთლები ჩანთაში ჩავაწყვე, გასაღები ჯიბეში ჩავიდევი და ეზოში გამოვედი; მთვარე ჩასულა, ცა ვარსკვლავებით არის მოჭედელი, მაგრამ მაინც სიბეჭეს დაუსადგურებია სახლის კუთხეში; ვენახის ძირთან მივედი და ისე ფრთხილად ავყევი ზევით, ერთი ფოთოლიც არ განძრეულა, აივანზე ვდგავარ, კარებს მივაყურადე. ჩამი–ჩუმი არ ისმის, გასაღები ამოვიდე, ფრთხილად გადავატრიალე და კარები ოდნავ შევაღე, მესმის ორი ადამიანის თავისუფალი სუნთქვა, კიდევ უფრო ღრმად გავაღე კარები და მესამე ადამიანს ვათვალიერებ, აქ არ არის, მაღლობა ღმერთს, ღამის მკრთალ სინათლეზე, კედელზე გაკრული ჩემი მამაპაპისული ნოჟები შევნიშნე და კინაღამ წავიქეცი. „აი, ვის გაუქურდავს ჩემი ბინა“ გავიფიქრე და კიდევ მეტი ზიზღი ჩამეღვარა სულში.

ჩანთიდან ბოთლები ამოვიდე და იატაკზე დავასხი, სითხის წვრილი ნაკადი ორი მმინარე ადამიანის საწოლისაკენ წავიდა, „ოთახი დაგმანულია, იმოქმედებს!“ ვთქვი, როდესაც მეორე ბოთლიც იატაკზე დავღვარე, კარები გამოვიხურე, გასაღები ორჯერ გადავატრიალე და როგორც ამოვედი, იმავე სიფრთხილით ძირს დავეშვი. ფრთხილად გავაღე საკუთარი ბინის კარებიც და გაუხთელად წამოვწექი. მკვლელი ვარ! ვითომ აქაც არაფერი მომხდარა, ისე ტკბილად ჩამებინა.

დილით ხმაურმა გამომაღვიძა, ტანსაცმელი გამოვიცვალე, სპორტულები კარადაში შევინახე და ხალათში შინაურულად გამოვეწყვე, ხმაურმა იმატა და ჩემს კარებზედაც გავიგონე კაგუნი:

— ახლავე! — დავიძახე და კარები ისე გავაღე თვალების სრესვით, თითქოს ახლა ავდექი. ცირა არის.

- მობრძანდი! — ვუთხარი.
- მობრძანდი კი არა, რა ამბავია, ვერ მეტყვი? — შემე-კითხა.

- სად რა ამბავია? — მოქნარებით შევეკითხე მე.
- სად და ხმაური არ გესმის?
- კი მესმის, მაგრამ აბა, მე რა ვიცი, რისთვის ხმაუ-რობენ?

- წამოდი, გავიგოთ!
- მოვდივარ! — ვუთხარი და სახლში აღარ შეგბრუნებულვარ, როგორც ვიყავი საშინაო ტანსაცმელში ჩაცმული, ასევე ავუყევით კიბეს.

ვალერის ბინის კარებთან ხალხი შეგროვილი იყო და მილიციის თანამშრომლები მოსული დაგვიხვდა, მე და ცირა რომ მივედით, ისინი საძინებელი ოთახის კარებს ტეხავდნენ.

გატეხეს!

... ხათუნა ტიროდა, მაგრამ მე დამინახა თუ არა, გამოიქცა, კისერზე შემომესკვნა და ტირილი შეწყვიტა. თითქოს, სხვათა-შორის მოვეფერე, ცოტახანს გავზურდი, როდესაც დავრწმუნდი, არაბულები ცოცხლები აღარ იყვნენ, სადარბაზოში დავდექი სხვებთან ერთად და მეზობლებს ჭორიკანაობაში ჩავერთე.

საექიმო ექსპერტიზის თანამშრომლებმა გვამები სასწრაფო დახმარების ავტომანქანით წაიღეს, სხვა დანარჩენი ძიება ადგილზე მიმდინარეობს. გამომძიებელმა ვალერის საძინებელში დასაძინებელი სითხის კვალი აღმოაჩინა, მაგრამ არავის არ სჯერა, რომ ოთახში დაღვრილი სითხე ვალერისა და მზიას მოკვლის მიზნით იყო დაღვრილი.

გამომძიებელმა ვალერის ბინის კარები დალუქა, ზედ თავისი ბეჭედი დასვა და წავიდნენ, მეზობლებიც დავიშა-ლეთ...

საღამოს შავულვაშიანმა ინჟინერმა იორამ აბაშიძემ მე-ზობლებს ჩამოუარა და თავისი გადაწყვეტილება გააცნო:

— მეზობლები ვართ! — ამბობდა ის — ჩვენს გარდა ახლობლები ვალერისა და მზიას არ გააჩნიათ, ამიტომ, მეზობლებო, ჩვენ უნდა ვითაოთ მათი ქრისტიანულად დასაფლავება!

მეზობლებმა იორამის გადაწყვეტილება უყოფმანოდ გაიზიარეს და დაადგინეს, ას—ასი მანეთი შეგვეგროვებინა, შევაგროვეთ ეს მცირედი თანხა და დაკრძალვა ხუთშაბათისთვის მოვილაპარაკეთ. მოვამზადეთ ცოტა რამ პურ—მარილი დაკრძალვისათვის და პირქუშად ჩამოწვა დღე განსვენებისა, მე რიგით მეზობლად მთვლიან და ვინ რა იცის, როგორი ცეცხლი ანთია ჩემს გულში. საქმარისად მოვიდა ხალხი, თანამშრომლებმა გვირგვინიც კი მოიტანეს და საღამოს ერთი სასახლით წასვენეს ორივე გვამი.

... სასაფალაოზე სროლა ატყდა, დაიფანტა ხალხი, მილიციის ერთი თანამშრომელი უსულოდ დაეცა ძირს, ორი კაცი შეიპყრეს, ხალხი ამბობდა: „ჯაშუშები შეიპყრეს“, მე ამ ამბით არ დავინტერესებულვარ, სახლში წამოვედი, ხათუნა არ მშორდება, კაბის ბოლოზე უკიდია ხელი და დამყვება, თუ აყვანილი არა მყავს, ეშინია, მეც არ მივატოვო, როგორც მზიამ და ვალერიმ მიატოვა...

1946 წელი, 6 სექტემბერი, (პარასკევი)

დღეს ექვსი სექტემბერია, მე პირველი სექტემბრის შესახებ არაფერი დამიწერია დღიურში. პირველი სექტემბერი ხომ ჩემი პირველი შეზვედრა იყო აღსაზრდელებთან, ჩემი პირველი გაკვეთილები და ცხადია, ვღელავდი, სკოლაში მეზობლის გარდაცვალებით „დამწუხრებული“ მივედი და თანამშრომლებმაც გაიზიარეს ჩემი მწუხარება. დირექტორმა ერთი კვირით გამანთავისუფლა, ასე რომ, ათ სექტემბერის მივაღ პირველად სკოლაში და დავიწყებ ახალგაზრდა თაობასთან ცოდნის გაზიარებას.

მე, ჩემი ცხოვრების მისია უკვე შევასრულე, ხათუნა ჩემს ჭერქვეშ, ჩემი ალერისით იზრდება, კიდევ ერთ—ერთი ოცნება

და განსახორციელებელი მიზანი დამრჩა, ხათუნა აღვზარდო, ცხოვრების გზაზე დავაყენო და დამშვიდებული მოვაკვდე.

გამომძიებელი ხშირად დადის ჩვენს სახლში, დაიწყო მეზობლების დაკითხვა, რამოდენიმეჯერ დაკითხვა თითოეული, მე მაინცდამაინც არ შეუწუხებივარ, გაივო, ახალი მოსული ვარ და დარწმუნებლია, არაფერი საერთო მექნებოდა გარდაცვლილებთან. ერთმა თვემ გაიარა მას შემდეგ, სადარბაზოში დამხვდა ჯუდელი, გამომძიებელმა ყალბი ქათინაურით მომიკითხა და, თითქოს თავაზიანობის მიზნით, კარების გაღებაში მომეშველა, გასაღები გამომართვა და კარები გააღო, მაგრამ შევამჩნიე მარცხენა ხელისგულზე დაწებებული საძერწი მიწა, რომლითაც ჩემს გასაღებს დააწვა და ანაბეჭდი აიღო, — რა საწყალთან აქვს საქმე! — გავიფიქრე — ნეტავი, რატომ ჩათვალა საჭიროდ, უჩემოდ ჩაატაროს ჩხრეკა ჩემს ბინაში? და უცებ გადავწყვიტე, ვათამაშო.

ჯუდელი ოთახში შემოვიდა, გუგულმა ექვსჯერ დაიძახა „გუგუ“.

- რა კარგი სათია! — თქვა გამომძიებელმა.
- ანტიკვარია, მამაჩემის პაპისაგან საფრანგეთიდან ჩამოტანილი, ვიცრუე მე, სინამდვილეში კი ძელმანების ბაზარზე იყიდა დედამ 1941 წელში.
- როგორ, თქვენ ფრანგებთან გაქვთ კავშირი? — რაღაც იმედის ძაფს ჩაეჭიდა გამომძიებელი.
- ხო გითხარით, მამაჩემის პაპა—მეთქი, მაშინ მსოფლიოს პქონდა ერთი მეორესთან კავშირი.
- თუ პაპათქვენს საზღვარგარეთთან კარგი კავშირი ჰქონდა, იმედია, თქვენ მასზედ უკეთესი კავშირი გექნებათ ფრანგებთან.

— რას გეტყვით, ბატონო გამომძიებელო, იცით? მე მგონია, თქვენ ჩემთან იმიტომ არა ზართ მობრძანებული, რომ გაინტერესებდეთ ფრანგებთან ჩემი კაშვირი. დაღლილი ვარ, ბავშვების უთავბოლო კითხვებით გამოლაყებული მაქვს თავი და გთხოვთ, მათ ნუ გაეჯიბრებით ისეთი

კითხვების მოცემაში, რომელიც ორივესათვის ნაკლებ საინტერესო იქნება.

ჯუღულს გაეღიმა, ცხადია, არ ელოდა ჩემგან ასეთ წინააღმდეგობას გამომძიებელი, მაგრამ თვითონაც უნდა იცოდეს, რომ „მაგრა მართალი“ კაცი.

— ნუ განრისხდები, გოგონა, შემთხვევით შეგხვდი და კარგების გაღებაში დაგეხმარე. ამაში რა არის ცუდი?

— ეს ყალბი კეთილშობილებაა, რომელმაც აიძულა თქვენი თავმოყვარეობა, დაგემალათ ნიღაბ აფარებული ნაკლი, როგორც ჩემთვის, ასევე საკუთარი თავისთვის.

— ნუ დამძრახავთ, გეთაყვა, მე გამომძიებელი ვარ და ვალდებული, ეჭვის თვალით დავინახო ყოველი საგანი, რადგან არსებობენ ადამიანები, რომელთა სიავაცესაც ვერას-დიდებით ვერ დაიჯერებთ, სანამ საკუთარი თვალით არ იხილავთ მათ მიერ ჩადენილ განსაცვიფრებელ ნაავკაცარს.

— იმედი მაქვს, ბატონი გამომიძიებელი ეჭვის თვალით არ შეხედავს ჩემს სითამამეს, რადგან ავგაცობისაკენ მიღრუკილება არ გამაჩნია და არც მართლმსაჯულებას გააჩნია ეჭვიანობის საბაბი!

ღმილით ვუთხარი გამომძიებელს და მაგიდაზე ხილი და არაყი მოვიტანე. დალია! ქლიავი დააყოლა, ბოდიში მოითხოვა შეწუხებისათვის და წავიდა.

დავფიქრდი, რატომ დააიწერესა გამომძიებელი ჩემმა პიროვნებამ? რისთვის საჭიროებს, ჩხრეკა ჩაატაროს ბინაში ჩემს გარეშე? აბა, რაში ესაჭიროებოდა ჩემი გასაღების ანაბეჭდი?

სპორტულები გარეცხილი მაქვს, ბოთლები და ვალერის აივნის გასაღები სარდაფში, მიწაში ჩაფლული. დღიურს სადაც დავდივარ, თან დავატარებ, ჩემი გაცვეთილი ჩანთით. ასე რომ, ჩემს ბინაში, დანაშაულზე ხელმოსაკიდებელი საგანი არ მოიძებნება. მართალია, ჩვენ ადვილად ვივიწყებთ საკუთარ შეცდომებს, როცა ისინი ჩვენს ძეტმა არავინ იცის და თამა-მად ვამტკიცებთ უდანაშაულობას, მაგრამ ეს როდი გვაძლევს

სულის სიმშვიდეს, ბოლომდის სიმტკიცის შესანარჩუნებლად. გადავწყვიტე, თავი შევიქციო, ვათამაშო გამოცდილი გამომძიებელი ჯუღელი და შემდეგ, ვნახოთ რა იქნება.

დილით ხათუნა ბაღში მივიყვანე, შემდეგ სკოლაში წავედი, ორი გაკვეთილი ჩავატარე და ორსაათიანი შესვენების დროს ლელას ვესტუმრე მაღაზიაში, ცოტა ვისაუბრეთ, შემდეგ ერთი კარგი საკეტი ვიყიდე კარებისათვის და სახლში-წამოვედი, შევისვენე, ვისადილე და შემდეგი გაკვეთილების ჩასატარებლად წავედი სკოლაში.

საღამოს სკოლიდან ზეინკალი წამოვიყვანე კარებში საკეტის ჩასასმელად, ხათუნას გამოუარეთ ბაღში, წამოვიყვანე და წამოვედით.

„თავკომბალა“ ზეინკალმა მალე ჩასვა კარებში საკეტი, გასამრჯელოზე უარი განაცხადა, ორი ჭიქა არაყი დალია და წავიდა. ხვალიდან კარებს აღარ დაგვეტავ, ვიცი, ჯუღელი მოვა, კარებზე რომ იმისი გასაღები არ მოერგება, ახალ საკეტს ნახავს ჩასმულს და კარებს ღიას. ერთი იმისი ფიზონომია დამანახვა, რას დაემსგავსება.

დრო მიდის, არ ვიცი, გამომძიებელი იყო თუ არა ჩემს ბინაში, არ ყოფილა შემთხვევა, არეული და გადაადგილებული მენახოს რომელიმე ნივთი. ერთ საღამოს, მარტოობით მოწყენილი და ხათუნას ტიკტიკით გახალისებული, ჯუღელს ვურეპავ და ვეკითხები, „თუ რატომ არის აქამდის ბურუსით მოცული არაბულების მკვლელობის საქმე?“

— თქვენ ვინ ბრძანდებით? მეკითხება უხილავი ხმა ყურ-მილში.

— მერი მასწავლებელი გაწუხებთ.

— ააა! მერი! მახსოვხართ, ასე რატომ გაინტერესებთ არაბულების ბედი? თუ დირსი გახდა ჩვენი ქალაქი და თაყვანისმცემელი შეგირჩევიათ, ბავშვი შეგიძლიათ უპატრონოთა სახლს ჩააბაროთ.

— უპატრონოთა სახლში ჩასაბარებელი თქვენა ხართ, ბავშვები კი ჩვენი სიცოცხლის უტყუარი გამაგრძელებელნი

არიან და მე არ ვთხოვდები, ხათუნა არ დამიკარგავს აღმზრდელის გაწეულ ამაგს და როცა გაიზრდება, სავალდებულოდ მიმაჩნია იცოდეს, რა ბედი ეწია იმის მშობლებს.

— კარგი, კარგი, ნუ გაგვიგულისდები და სასიხარულო ამბავს გაცნობეთ: გახსოვეს? არაბულების დაკრძალვის დღეს ორი მამაკაცი რომ დააპატიმრეს? ისინი სამხედრო ბოროტმოქმედები, გერმანიის „აბვერის“ წევრები აღმოჩნდნენ, ერთი ვალერი არაბულის მამა, სანდრო არაბული, მეორე კი მზია ცერცვაძის მამა, ვასილ ცერცვაზე. სამშობლოს მოღალეტეები ტრიბუნალს გადავუგზავნეთ. არის ვერსია, რომ შვილებმა არ გაიზიარეს მშობლების დივერსიული მოღვაწეობა სამშობლოში და მოწამლეს.

— ეს თქვენი ვარაუდია, თუ მათი მიერ ნაღიარები სინამდვილე?

— ჩვენი ვარაუდი ყოველთვის მართლდება!

— ბოლიში შეწუხებისათვის, კარგად ბრძანდებოდეთ! — ვუთხარი და ტელეფონი გავუთიშე.

ხათუნა ხელში ავიყვანე, მუხლებზე დავისვი და დიდი ქალივით ველაპარაკები:

— აი, გამოძიება! საქმე გაუხსნელი არასოდეს არ დარჩებათ. ერთ „ვილაცას“ დაიჭერენ და რესპუბლიკაში ჩადენილ ბოროტმოქმედებას, ყველას იმას მიაწერენ.

შენ დარდი ნუ გაქვს, დრო დადგება და გაიგებ შენი მშობლების ჭეშმარიტ მკვლელს, დღეს კი თანამედროვე გამოძიებამ იცხოვროს თავისი „ვარაუდით“.

* * *

19... რომელი წელი? რომელი თვე? რომელი რიცხვი?

— არც დღე იცი?

— დღე ვიცი! ხუთშაბათი!

— რატომ შეწყვიტე დღიურის წერა?

— დღიურის წერა მე არ შემიწყვეტია, რადგან დღიურში ღირსშესანიშნავი თარიღებია შესატანი, დროებით შევაჩერე

იმისი წარმოება. აბა, დღიური მეტუარები ხომ არ არის, ყოველი ნაბიჯი აღვწერო მაღალფარდოვნად და მკითხველისათვის იყო ინტერესოვლებული? მართალია, განვლო წლებმა, გამოვიარე ბევრი სიდუხჭირე, სიღარიბე, უქონლობა, შიმშილი, მაგრამ ჩემი ხათუნასათვის არაფერი მომიკლია. არასოდეს არ უგრძვნია ქვეყნის გასაჭირი, ყოველთვის თავს ბედნიერად გრძნობდა ჩემს ფარდას ამოფარებული.

დღიურისათვის რა საჭიროა, თუ როგორ დაამთავრა ხათუნამ საშუალო სკოლა, თუ როგორ აიღო სიმწიფის ატესტატი, როგორი ბანკეტი გადაუხადეთ, რომ სწავლა პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა და ჩემს მამისეულ სახლში ცხოვრობდა სტუდენტობის დროს, იქ, სადაც მე ვცხოვრობდი.

მართალია, ეს ყველაფერი კარგია და აღწერის ლირსიცაა, მაგრამ ეს თვითონ ხათუნამ აღწეროს თავის დღიურში, მე კი, უბრალოდ, მოვთხავ, რომ ჩემმა ხათუნამ ინსტიტუტი დაამთავრა და თავის მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა მასწავლებლად. ვცხოვრობთ და ვართ ერთად ორივე ბედნიერები. მხოლოდ ვარამს ვერც ხათუნა ვერ ხვდება, არ მაყენებს არაბულებზე ფიქრი, რატომ არის აქმდის ბურუსით შემოსილი მათი მკვლელობა? ნუთუ, მართლა სანდროსა და ვასილს მიაწერეს ეს მკვლელობაც? ნუთუ მათ ცოტა ჰქონდა ჩადენილი ცოდვა, რომ ამ მკვლელობითაც არ დაემძიმებიათ თავიანთი სული?

მრცვენია, რომ ასეთი გამოძიება ჰყავს საქართველოს, მომწყინდა კატა—თაგვობიას თამაში, ოცი წელია, ვეთამაშები გამოძიებას და ჯერ აზრადაც არავის მოსვლია, რომ მე ვარ ის სამიში რეციდივისტი, რომელსაც ასე მუხლჩაუხრელად და დაუძინებლად დაეძებს მთელი რესპუბლიკა.

ახლა, როდესაც ხათუნას გზაზე დამდგარს ვხედავ, გადავწყვიტე, გამოძიება ავალაპარაკო და მართლმსაჯულების წინაშე წარვსდგე.

არა! ნურავინ იფიქრებს და მათ შორის ხათუნაც, რომ მე ხელის მთხოვნელი არავინ მყავდა და ფიქრების გამზიარებე-

ლი. ამას მხოლოდ დედა მიმიხვთება, თუ რატომ შევალიე ჩემი ახალგაზრდობა შვილის აღზრდას, რომელიც, მაღლობა ღმერთს, ცუდად არ აღმიზრდია.

გადავწყვიტე და გადაწყვეტილება ერთი წლის წინათ სისრულეში მოვიყვანე, ჩემი მესაძღუმლე, ჩემი ერთადერთი მოაზროვნე, ჩემი განუყრელი მეგობარი, ჩემი დღიური გამომმიებელ ჯუდელს მივუტანე.

— წაიკითხე, მხოლოდ დღიური არ დამიკარგო, სამ დღეში დამიბრუნე! — ვუთხარი მე.

— სიამოვნებით! მაგრამ რა არის ეს?

— ჩემი დღიურია, შეიძლება გამომიებას დაეხმაროს რამეში. — გამომძიებელს ღიმილმა გაუპო ბაგე და დღიური უხალისოდ გამომართვა.

სახლში კმაყოფილი წამოვედი, იმ იმედით გარემოცული, რომ მალე მართლმსაჯულების წინაშე წარვსდგები, მე ხმას არ ამოვიღებ, ჩემი დღიური ილაპარაკებს ჩემს მაგივრად და მათ იმსჯელონ ჩემს მიერ ჩადენილ დანაშაულზე, მხოლოდ სიმართლეს ნუ დამიკარგავნე, მე სიამოვნებით ავიტან სამუდამო კატორდას, რათა გავწმინდო ჩემი სული და ხორცი.

სამი დღის შემდეგ გამომძიებელმა დღიური დამიბრუნა, — „დაუჯერებელიაო!“ თქვა და წავიდა.

ბევრჯერ მივაკითხე, მაგრამ ადგილზე აღარ დამხვდა, მითხრეს, „მივლინებაში არისო წასული“. ასე დამეკარგა რამოდენიმე თვე გამომძიებელი, რომ ან სასჯელი მომეთხოვა და ან ორდენი.

რვა თვის შემდეგ ჯუდელი სახლში მოვიდა ჩემთან:

— „მართალი ყოფილხარო“ — მითხრა.

— შეადგინეთ საქმე და სასამართლოს გადაეცით, მათ გაარჩიონ მართალი ვყოფილვარ თუ მტყუანი! — ვუთხარი მე.

— იცი, რას გეტყვი? — მოქალაქეობრივი სიმართლე სხვა არის, იურიდიული სხვა, როგორც მე და შენ განვსწვავდებით, ისე განსხვავდება ეს ორი მცნება ერთი მეორისაგან.

იურიდიულად რომ ვიმსჯელოთ, შენ სასამართლო სასჯელს დაგადებს და არც თუ გულსაწყვეტს, რადგან იურიდიული კოდექსი არ ითვალისწინებს თვით გასამართლებას. – დანაშაულის ჩამდენი პირი უნდა აღიაროთ და სასჯელი დაადოთ სასამართლოს ძალით!

შენ კი პირადად იყავი გამომძიებელიცა და მოსამართლეც, მსაჯულიცა და ჯალათიც, იურიდიულად ეს გაუმართლებელია.

მე დღეს ვწერ განთავისუფლების განცხადებას, სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, ორი მიზეზის გამო: პირველი ის, რომ შენს შეუნილებავ კვალს ვერ მოვაგენი, მეორეც ის, რომ შენ მართალი ხარ მოქალაქეობრივი თვალსაზრისით, რომელიც იცავს პატიოსნებას, წესრიგს, კულტურას, ემსახურება ერთს, ოჯახს, შვილის აღზრდას, ოცნებობს სწავლაზე, მრავალშვილიანობაზე და სამშობლოს კეთილდღეობაზე.

ის საქმეები, რომელიც შენ არ გიწერავს ნერვებს, დავიწყებულია. ნურც შენ გამოაბამ ჟუდს, იცოცხლე და იცხოვრე შენს შვილთან, აღზარდე შვილიშვილები და იყავი „ტკბილი ბებია“. ჩემი აზრით, ასე უმჯობესი იქნება, ვინემ შვილიშვილებმა „მკვლელ ბებიად“ მოგიონონო.

– რისთვის მომიგონებენ ცუდად, ნუთუ თვითონ ვერ დაინახავენ, თუ როგორ ვიბრძოლე ადამიანური დიდებისათვის და არავის გავათელინე ჩემი ღირსება, განა ეს ცუდია, მარტოხელა ქალი არ შეუშინდეს არაფერს, გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება და შეინარჩუნოს ოჯახი?

– შეიძლება შენი მოქცევა მისასალმებელი იყოს ნებისმიერი ადამიანისათვის, მაგრამ გიმეორებ: იურიდიულად შენი გამართლება შეუძლებელია:

– ლონდას მკვლელობამ დააფრთხო დივერსანტთა ჯგუფი და დღემდე მოუხელთებელი გაგვიხდა, აშბას მკვლელობამ მთლად გადაკარგა მთებში განიზნული ბანდიტების ჯგუფი. არძინბას მკვლელობამ სააშკარაოზე გამოიყვანა ბანდიტ სეპარატისტთა ჯგუფი და უთავბოლო შეტაკებების დროს ჩვე-

ნი თანამშრომლებიც ბევრი დაიღუპნენ. არაბულების მკვლელობამ და მათი მშობლების დაპატიმრებამ მთლიანად გადაკარგა მათი ხელმძღვანელი სერგო მაისურაძე.

ასე რომ, თქვენ კარგი საქმე კი არ გაგიკეთებიათ სამშობლოსათვის, არამედ ხელი შეგიშლიათ ბოროტებასთან მებრძოლი ადამიანებისათვის და ერთი შეხედვით, შორიდან ისე ჩანს, თითქოს თქვენ მონაწილე ყოფილიყოთ იმ ბანდისა, რომელშიდაც უჭირმიტანილი ადამიანები კვდებოდა, ვფიქრობთ, ისინი კვდებოდნენ იმიტომ, რომ ბანდა არ აღმოჩენილიყო. ვინ კლავდა მათ? – რა თქმა უნდა, ბანდის უფროსი! – სინამდვილეში კი, სრულებით გამოუცდელი გოგონა, რომელსაც მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებდა. აი, ძირითადი, რა გვიშლიდა ჩვენ ხელს ბოროტმოქმედის აღმოჩენაში, ვეძებდი ზვიგენს დიდ ოკეანეში და ვერ ვამჩნევდი ლიფსიტას აკვარიუმში.

დღეს მე შენ ყველაზე უკიდურეს მამაც ადამიანად მეჩვენები, რადგან მარტოდ–მარტომ ჩაიდინეთ ის, რასაც თავზე ხელალებული ვაჟკაციც კი მხოლოდ მრავალრიცხოვან მოწმეთა თანხლებით თუ გაბედავს. თქვენი თავდადებული ვაჟკაცობისა და მოხერხებულად მკვლელობის გზის მიჩქმალვის გამო, მე უფლება არა მაქვს, თქვენი საქმე მართლმსაჯულებას გადავცე. რადგან არის მეორე ვერსიაც, თქვენ ბოროტმოქმედებას მარტო პირადი ინტერესებისათვის არ ჩადიოდით, თქვენი გაგებით, სპობდით იმ სარეველას, რომელსაც ათასობით ზიანის მოტანა შეეძლო. თქვენ თქვენებური წვლილი შეგქონდათ ადამიანის თანასწორუფლებიანობაში. პროკურუსტე, ბერძნული მითოლოგიის ყაჩაღი, გექნებათ გაგონილი, რომელიც შეიტყუებდა ხოლმე მგზავრებს თავის სადგომში და ტახტზე აწვენდა, ვინც გრძელი აღმოჩნდებოდა, ფეხებს ჭრიდა, ვინც მოკლე, კიდურებს უჭირმავდა. ეს ადამიანიც თავისუფლებისა და თანასწორობისათვის მებრძოლი იყო, რომელიც ადამიანთა სიმაღლეში მიჩერებოდა თანასწორობას.

შენ არა ხარ მართლმსაჯულებას ჩასაბარებელი ადამიანი, რადგან ბოროტმოქმედთა სამყაროს არ შეიძლება გააჩნდეს შენი მაგვარი უშიშარი ქმნილება.

— უშიშრობა კი არ არის უჩვეულო ძალა სულისა, რომელის წყალობითაც შენ შესძლი დიდი განსაცდელის წინაშე პირისპირ დგომით გამოწვეული ელდის დამარცხება, სწორედ, უშიშრობობამ თქვენ მოგანიჭათ გმირობის ის უნარი, რომ ყველაზე თავზარდამცემ ვითარებაში შეინარჩუნეთ სიმშვიდე, სიღინჯე, აუმღვრევლობა და სულიერი წონასწორობა. შენზედ წიგნი უნდა დაიწეროს, რადგან უშიშრობით წაგბაძოს მომავალმა თაობამ და თავისი უშიშროება მკვლელობაში კი არა, ატომური ქარხნების მშენებლობაში გამოიყენოს.

ბრძოლის ველზე ადამიანთა უმრავლესობა მხოლოდ იმიტომ იგდებს თაგს სასიკვდილო ხაფანგში, რომ ჩირქი არ მოეცხოს მათ ღირსებას, შენ როდესაც ბრძოლის ველზე გაიმარჯვე და უვნებელი გამოხვედით, მაშინ რაღად გინდათ ჩირქი მოსცხოთ თქვენი გამარჯვებით შარავანდედით განათებულ დიდებას? რად გინდათ ჩირქმოცხებული თავდადება დაუტოვო შთამომავლობას?

მამაცი კაცი ბრძოლის ველზე მოხერხებულობასა და გამჭრიახობას იჩენს თავის გადასარჩენად, შენ კი გამჭრიახობა გამოიჩინე, დამარცხებას ერიდებოდი და გაიმარჯვე, ვერ შეგუებისარ ჩევნს დამარცხებას, რომელიც უნდა გიხაროდეს.

მომწონს შენი ყოველგვარი ქცევა: უშიშროობა, გამბედაობა, სიქველე და მეზიზლები, რომ არ შეგიძლია მათი ღირსეულად გამოიყენება. ჩევ ყოველ ზომას ვწმარობთ იმისათვის, რომ ბოროტმოქმედს ჩადენილი დანაშაული ვათქმევინოთ, შენ კი დღიურს მაწვდი, შენივე სურვილით, რომლის ხელში ჩაგდებას წლების მანძილზე ვოცნებობდი და ჩემით ვერ მოვახარხე.

მგონი, ლაპარაკით თავი შეგაწყინე, მე ჩემი ვალი მოვიხადე ადამიანური სინდისის წინაშე და დამირიგებისარ, მხოლოდ არ გამოქვა, მართლმსაჯულების წინაშე ეს ქმედება კანონით ისჯება. არაყით ჭიქა შეივსო, დამილოცა ჭერი, გამბე

დაობა, ქალობა და ისე წავიდა. ერთი სიტყვა არ მათქმევინა, აღბათ, არ უნდოდა, მოქსმინა ჩემგან უთაგბოლო მიკიბულ— მოკიბული თავის მართლება.

წავიდა და უფრო მეტ საგონებელში ჩამაგდო, არა, ვერ ვიზამ საკუთარი სინდისის დაუსჯელობას, სხვას რომ ჩემს მიერ ჩადენილი დანაშაული გაემეორებინა, მე ხომ სასტიკად დავსჯიდი? მაშ, რატომ უნდა მაპატიოს საზოგადოებამ და მართლმსაჯულებამ ბოროტმოქედება, ჭრელი პეპელა ვარ?

მახსენდება, რამოდენიმეწლის წინათ, დეიდა მარიამის ნათქვამი: „ვინც საკუთარ სიცოცხლეს ხელყოფას დაუპირებს, ის, ადრე თუ გვიან, იგივე მცდელობას გაიმეორებს და თვითმკვლელობით დაასრულებს სიცოცხლეს“ — გამართლდა დეიდა მარიამის წინასწარმეტყველება, როდესაც მითხრა: „ხათუნას აღზრდა შენ გიწერიაო“, აღბათ, მეორე წინასწარმეტყველებაც გამართლდება. სწორს ამბობს ჯულელი, მართლმსაჯულება მარტო ჩემი დღიურით არ დაკმაყოფილდება, დაიწყებენ ჩემი სულისა და ხორცის ჯიჯგნას და, ვინ იცის, შეიძლება სამშობლოს დალატიც კი დამწამონ, სამშობლოზე ესოდენ შეყვარებულს!

დღეს 18 აგვისტოა, ხუთშაბათი. ვიტოვებ ერთ თვეს საკუთარ თავთან სასაუბროდ და ხათუნას ალერსისათვის, შემდეგ კი საკუთარი სინდისი განსჯის საკურთხეველზე უნდა დავაყენო.

* * *

ხომ შეიძლება ისეთი განცდა დაეუფლოს ადამიანს, რომლის აღწერაც შეუძლებელი იყოს? ერთი თვეა, სწორედ ასეთ განცდაში ვიმყოფები, არ შემიძლია, დღიური გადავშალო და ჩანაწერი გავაკეთო ჩემი განცდისა, არ შემიძლია, ხათუნას-თან საუბარი მორალურ თემაზე, მეშინია, ამანაც არ მირჩიოს სინდისის დაუსჯელად დატოვება.

ყოველთვის ჩემით, სხვის დაუხმარებლად, ვწყვიტავდი ყოველგვარ საჭირობოროტო საქმეს და ახლაც, დღეს, ოცდაერთ

სექტემბერს, ღვთისმშობლის დაბადების დღეს, გადავწყვიტე, ჩემი სული ღვთისმშობელს ჩავაბარო, მან დასდოს ციურ სასწორზე ჩემს მიერ ჩადენილი კეთილი თუ ბოროტი ზრახვანი.

როდესაც ხათუნა სკოლაში წავიდა, მე ვრცელი წერილი დავწერე და პატიებას ვთხოვ იმ უკეთური საქციელისათვის, რომელიც რამოდენიმე წუთის შემდეგ უნდა ჩავიდინო...

აქ ვამთავრებ დღიურის წერას, და აქ მთავრდება ერთი მოუსევნარი ადამიანის სიცოცხლე.

რა ვქნა...

სისხლი მეძახის, მესმის გოდება,
სასაფლაოზე მომელის ლოდი.
მიძაქვს მიწაში უმანკოება,
რომელსაც ასე ვუფრთხილდებოდი...

— მერი —“

სარჩევი

სიყვარულის მსხვერპლი

თავი პირველი	3
თავი მეორე.....	9
თავი მესამე	14
თავი მეოთხე	16
თავი მესუთე	19
თავი მეექვნე	21

CHAPIDZE GARI

VICTIM OF LOVE

DETECTIVE

რედაქტორი: — ნ. კაკიაშვილი
მხატვრული რედაქტორი: — მ. სამხარაძე
ტექნიკური რედაქტორი: — ქ. ტრიპოლსკი
დიზაინერი: — ლ. ლაცაბიძე

გამომცემლობა — „კოლორი“